

**არმაზ სანებლიძე**

**ეს იყო**

**„ღღე ღღეს გადასცემს სიტყვას“  
ფსალმუნი 18 (19), 3**

**2018 წელი**

# ავტორისგან

„განუმზადეთ გზა უფალს, გაასწორეთ მისი ბილიკები“  
(მათ. 3,3).

სიმართლეს გაუსწორეთ თვალი:  
საზეიმოდ შევიდა იერუსალიმს იესო ქრისტე;  
გოლგოთით დაუმთავრეს ამქვეყნიური ცხოვრება;  
ზეცად აღზევდა — მაცხოვრად.

ამ მარადიულ ტრიადაში ჯდება ყველაფერი ღირებული, რაც კი მზისქვეშეთში მომხდარა ოდესმე და მოხდება კვლავაც: აღიარება, უარყოფა, აღიარება — სიკეთით ბოროტების ძლევის ბეჭედდასმული ჭეშმარიტება.

და კონიუნქტურის უღლეურობის დასტური.

ამ წიგნში შეკრებილი პუბლიკაციები მხოლოდ უმცირესი ნაწილია ედუარდ შევარდნაძის იმ ღვაწლის, რომელიც მან დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მამულიშვილური საქმისთვის გაიღო.

რის გამოც აღიარეს ცივილიზებულ მსოფლიოში და რაც, როგორც ხელენიფებოდა, გადმოსცა თქვენმა მონა-მორჩილმა.

წყარო — გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც რეალურ რეჟიმში აქვეყნებდა ამ მასალებს.

პერიოდი — 1996-2003 წლები.

და უმთავრესი: ეს წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა, ქალბატონ მანანა შევარდნაძისა და ბატონ გია ჯოხთაბერიძის თანადგომა რომ არა. მაღლობა მათ!

რედაქტორი: ნუბზარ ფოფხაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ლევან ზანბურაშვილი

სარედაქციო ჯგუფი:  
დარეჯან ანდრიაძე,  
თინათინ ლაოშვილი  
სერგო ედიშერაშვილი (ფოტო)

დაიბეჭდა „ავტორიტი-სტილში“.

ISBN 978-9941-27-691-0



**საქართველოს პრეზიდენტი  
ედუარდ შევარდნაძე**

**წიგნი გამოიცა ედუარდ შევარდნაძის დაბადებიდან  
90 წლის იუბილესთან დაკავშირებით**



# 1996 წელი





# როსა გულითადად გხვდებიან და საქმიანად გესაუბრებიან

## 1. პრეზიდენტები – დიდი პოლიტიკოს „საშუალოთა მწარმოებლები“

ცოტაც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რაოდენობა, — პერიოდიკაზე ვლაპარაკობ, — ამავე საშუალებათა მომხმარებლის მასობრიობას გადააჭარბებს.

ხომ ვიყავით 1000 სულზე უმაღლესი და სხვა დონის განათლების მქონეთა მაჩვენებლით განვითარებული ქვეყნების სიაში? ახლა ერთ მოქალაქეზე გაზეთების რაოდენობით პირველ ადგილზე გავედით, მგონი.

ჩვენ კი — მომხმარებლის კალათაო, საარსებო მინიმუმი ნელზე ქამარს და ყელზე თოკს ერთნაირად გვიჭერსო.

გვიჭირს, სული გვძვრება და ჩვენ, შიმშილით გასავათებულნი, ვყიდულობთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული ველური ჯიხურების დახლებზე დახვავებულ გაზეთებს.

**გვიჭირსო?!**

**ვასალებო.**

ვასალებო კი არა, უპირველესი ბიზნესი გახადეს, მგონი, გაზეთის გამოცემის საქმე.

დაიჯერებთ, რომ საშუალო სტატისტიკური ქართველი მოქალაქე სამომხმარებლო კალათიდან ამოიღებს სურსათის რომელიმე სახეობას და სანაცვლოდ ჩადებს რომელიმე გაზეთს?

არ დაიჯერებთ.

ყელში გაჩხერილი ძვალავით არის ეს წინააღმდეგობა და, თუ გასურს „არ დაიდარდო“, — გვიშველე, ექიმო ბენუამენ!

ან, იქნებ, უსაშველო არაფერი გვჭირს და კბილებით კაკლის მტვრევას უნდა შევეშვათ? მით უფრო, თუ იგი კერკეტი პარადოქსია!

ივსება ასეთი პარადოქსებით პრესა — ინფორმაციის ჭური — და იმ ხმას გამოსცემს, რომელზეც რეზონირებს დაპროგრამებული სასმენელი.

ასეა თუ ისე, მკითხველს ინფორმაცია არ აკლია. ამის გამო არავინ ჩივის, პირიქით, ფაქტებით დანაღმულ ინფორმაციულ ველზე გზის გაგნება უჭირს, ფაქტის ახსნას მოითხოვს, გარსის შიგნით რაც იმალება, იმ შუაგულში ჩახედვას, თორემ გაზეთის გვერდებზე მოთხრობილ ამბავს რა პროფესიული ცოდნა სჭირდება?!

ეპისტოლარული ჟანრის კლასიკური ნიმუში — „გამარჯობა, დედა. მე კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?“ — ჟურნალისტიკის გარეშეც არსებობდა და იარსებებს. ფაქტისა და მოვლენის კონტექსტის ფონზე ამოკითხვა კი, სამწუხაროდ, გვიჭირს.

სჭირდება ფაქტს ინტრიგა, — ამტკიცებენ პროფესიონალი ჟურნალისტები.

ინტრიგა — ინტერესი, ბირთვი მკითხველის ინტერესისა.

თურქეთში ოფიციალურ ვიზიტად მიმავალი საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავს საზღვარზე თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოთხი ამერიკული „ფანტომი“ ამოუდგება დანყვილებული და ანკარის აეროდრომამდე მიაცილებს: უმაღლესი პატივი, რომელსაც კი მიაგებენ უცხო სახელმწიფოს ლიდერს.

ზიხარ ამ თვითმფრინავში ერთი რიგითი ჟურნალისტი (გარნმუნებთ, სენტიმენტალიზმი არ მანუხებს) და შენი ქვეყნისადმი სიამაყით ივსები.

თუ მორი არ ხარ, რა თქმა უნდა... ფუტურო.

ოთხი მწვანე ელვა — ავიაგამანადგურებლების კორტეჟი — ანკარის აეროდრომზე ზარბაზნების ერების ზალპად იქუხებს და ესეც — შენი ქვეყნის პრეზიდენტის პატივსაცემად.

თურქეთი მიესალმებოდა ედუარდ შევარდნაძეს.

ფრიალებდა საქართველოს დროშა ანკარის აეროპორტის თავზე და იდგა თვითმფრინავის ტრაპთან სულეიმან დემირელი.

სულეიმან დემირელი — თურქეთის ღირსეული პრეზიდენტი, რომელსაც მიღების ოქმით დადგენილი წესით სრულიადაც არ ევალებოდა აქ მოსვლა. ვიზიტების პროტოკოლით პრეზიდენტები ერთმანეთს პრეზიდენტების სასახლეებში ხვდებიან, საზეიმოდ, ოფიციალურად.

აქაც ასე იქნება.

მაგრამ სულეიმან დემირელი მეუღლესთან, ქალბატონ ნაზ-

მიე დემირელთან ერთად, მაინცდამაინც აეროპორტში დახვდა ედუარდ შევარდნაძესა და ქალბატონ ნანული შევარდნაძეს. რას ნიშნავს ეს, ჩემი კომენტარი თქვენ, რასაკვირველია, არ გჭირდებათ.

პრეზიდენტის სასახლის პარკში, რომელიც ანკარის „ჰილტონ“-„შერატონით“ ურბანიზებული ცენტრის ნამდვილი ნალკოტია, საქართველოს პრეზიდენტის ჩასვლისთვის რეკონსტრუირებული რეზიდენცია შესთავაზა მასპინძელმა სტუმარს. „შუშის კოშკი“ — ასე დაურქმევიათ ბექობზე წამომართული თანამედროვე, შუშითა და ვარდისფერი ქვით (ტუფით?) ხელქმნილი ამ არქიტექტურული უნიკალობისთვის.

„ეს „შუშის კოშკი“, — ბროლის კოშკი, როგორც ქართველები ვამბობთ, — ჩანერს ედუარდ შევარდნაძე შთაბეჭდილების კალამდაუკარებელ ნიგვში, — ერთგვარად სიმბოლური მინიშნებაა იმისა, რომ დამთავრდა ჟამი ქვათა სროლის, დადგა დრო ქვათა შეკრების“.

შევკრათ წრე: მხოლოდ რამდენიმე ფაქტი წარმოგიდგინეთ, რომლებშიც გაცხადდა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა, შემდეგ კვლავ და კვლავ მჟღავნდებოდა, რაიც უაღრესად ნაყოფიერად მოქმედებდა შეხვედრებისა და მოლაპარაკებების საქმიან კონკრეტიკასა და ეფექტიან შედეგიანობაზე.

მხოლოდ რამდენიმე ფაქტი და ვიმედოვნებ, რომ მათ არსსაც ჩასწვდით და ინტერესიც გაგიჩნდათ, ინტერესი, რომელიც ითქმის, აგრეთვე, ინტრიგად.

\* \* \*

სიტყვა, რომელიც თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა წარმოთქვა დელეგაციათა სრული შემადგენლობით მოლაპარაკების დროს, იყო ორი ქვეყნის ურთიერთობის ანალიზური მიმოხილვაც და თანამშრომლობის პერსპექტივის გლობალური და კონკრეტული გააზრებაც ერთდროულად.

საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩასვლა მან შეაფასა, როგორც ამ ვიზიტის უაღრესი მნიშვნელობის დამადასტურებელი ფაქტი.

— თქვენი ქვეყანა თანდათან ფეხზე რომ დგება, — მიმართა მან ედუარდ შევარდნაძეს, — ეს თქვენი დამსახურებაა. ქართველმა ხალხმა 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებისადმი დამო-

კიდებულებით დაადასტურა ამის სისწორე. ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავის პრეზიდენტს.

თურქეთმა, ერთ-ერთმა პირველმა, ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, გახსნა საელჩო, ამიტომ მას კარგად ესმის ამგვარი მხარდაჭერის ფასი.

საბჭოთა კავშირი შიგნიდან დაირღვა. მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო უსისხლო დაშლის უშუალო მონაწილე არის ბატონი ედუარდ შევარდნაძე. გაჩნდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ამაშიც დიდია მისი პირადი წვლილი.

სულეიმან დემირელმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ახალგათავისუფლებული ქვეყნების ბაზაზე კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ახალი რეალობა — ევრაზიის რეგიონი შეიქმნა. ამ ქვეყნების მიმართ თურქეთს არავითარი ანგარებითი მიზნები არ ამოძრავებს, არც ტერიტორიული მისწრაფება და არც მათი მართვის სურვილი.

თურქეთის ერთადერთი სურვილი იყო მხოლოდ ის, რომ ამ ქვეყნებს შეენარჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და კომუნისტური ეკონომიკური სისტემიდან წარმატებით გადასულიყვნენ ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

— მაგრამ ტრანსფორმაციის პერიოდი იოლი არ არის, — აღნიშნა მან. — ყველამ იცის, როგორია ახალი სისტემის ელემენტები, იცნობს მათ რაობას, მაგრამ მაინც უჭირს გზის გაგნება, რადგან ძნელია ძველ სისტემას მოწყვეტა.

კომუნისტური სისტემიდან გამოსულ ქვეყნებში ჩატარებულმა არჩევნებმა სხვადასხვა შედეგი გამოიღო. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისია — ხალხმა აქ მიიღო და აღიარა ტრანსფორმაცია.

ამიტომ გვსურს ბატონი პრეზიდენტისა და მისი მიმდევრების გამარჯვება, მათი იდეების გამარჯვება.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ბალკანეთში, ერაყში შექმნილ ვითარებაზე რომ ლაპარაკობდა, თურქეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა: **თუ კავკასიაში მშვიდობა დამყარდება, მშვიდობა იქნება ევრაზიაშიც.**

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ, თუ შეიძლება, ეს აბზაცი და გაიხსენეთ, რომ დებულება კავკასიის ფენომენის მნიშვნელობის შესახებ — რეგიონისა და მსოფლიო სივრცისთვის ამ რამ-

დენიმე წლის წინათ სწორედ ედუარდ შევარდნაძემ ჩამოაყალიბა. ასეთი მიდგომა დღესაც ერთადერთი და უალტერნატივოა და, ამასთან ერთად, ახალ და უაღრესად აქტუალურ დატვირთვას იღებს. ეს დაადასტურა სულიმიან დემირელმა თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე.

ამასთანავე, მან შეუფოთება გამოთქვა იმ მოვლენების გამო, რომლებიც რუსეთში მიმდინარეობს და რომლებიც ხელს არ უწყობს ამ თეზისის რეალიზაციას (შემდეგ ნატო ონიანისთვის მიცემულ სახელდახელო ინტერვიუში დააზუსტებს, რომ იგი უაღრესად უარყოფითად აფასებს რუსეთის სათათბიროს უგუნურ გადაწყვეტილებას და სერიოზულად აფიქრებს აქედან გამომდინარე არასასურველი პერსპექტივა).

კვლავ დადასტურება, ამჯერად სულ ახალი, შევარდნაძისეული დასკვნისა, რომ სახელმწიფო სათათბიროს მიერ ბელოვეჟის შეთანხმების დენონსაცია კარგს არაფერს უქადის თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთობას. დემირელის ვარიანტში იგივე აქცენტი რეგიონისა და მსოფლიო არეალზე გავრცელდა.

— 4 წელიწადი ქვეყნის ისტორიაში მხოლოდ ერთი საარჩევნო პერიოდია, — თქვა თურქეთის პრეზიდენტმა ორმხრივი ურთიერთობის განვითარებაზე საუბრისას, — მაგრამ ამ მოკლე პერიოდშიც ბევრი რამ გაკეთდა 70 წლის განმავლობაში განყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად, იმ გაუცხოების დასაძლევად, რომელსაც ჩვენ შორის აღმართული კედელი ქმნიდა.

თურქეთის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ საქართველოსთვის თურქეთი ექსპორტ-იმპორტის სფეროში პირველი პარტნიორი გახდა, შეიქმნა ერთობლივი სანარმოები და სხვა.

რიცხოვრივი გამოხატულებით ეს ურთიერთობა, სამწუხაროდ, ჩამორჩება სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის მასშტაბებს: რუსეთში, მაგალითად, თურქი მშენებლები 5 მილიარდი დოლარის ღირებულების სამშენებლო პროექტებს განახორციელებენ, დაახლოებით ასევეა შუა აზიის ქვეყნებში, რუმინეთში; ევროპაში თურქეთის 2,5 მილიონი მოქალაქე მუშაობს, მათ შორის, 60 ათასამდე ბიზნესმენი-მენარმეა.

თურქეთის პრეზიდენტი ფიქრობს, რომ მის ქვეყანას უფრო ბევრის გაკეთება შეუძლია საქართველოსთვის და სწორედ ამ

პოტენციალის რეალიზაციის საშუალებას მოგვცემს ის სამართლებრივი ბაზა, რომელსაც ორმხრივ სასარგებლო ხელშეკრულებები შექმნის, მით უფრო (უკანასკნელი ნიღბის პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ), რომ ჩვენი ურთიერთობის ამ უბანს დინამიზმის ტენდენცია ახასიათებს.

— ეს ვიზიტი კი, — განაცხადა ბატონმა დემირელმა, — ახალ ბიძგს მისცემს ამ ურთიერთობათა განვითარებას.

აი, ასე ყალიბდება ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის გლობალური პრინციპები, საერთო მიმართულებანი. მაგრამ დელეგაციათა შეხვედრები და საუბრები, თქვენც კარგად იცით, მარტო საერთო პრინციპების გამოსახატავად არ იმართება. შეხვედრების არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილია ის კონკრეტიკა, რომელსაც პრეზიდენტები, გავბედოთ და ვთქვათ, სამუშაოთა მწარმოებლების სკრუპულოზურობით აყალიბებენ უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებისას.

დეტალურად ისაუბრა ამიტომ სულეიმან დემირელმა საქართველო-თურქეთის მესამე სასაზღვრო პუნქტის გახსნაზეც და ხოფა-სარფის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პრობლემებზეც, ბათუმის აეროპორტის ერთობლივ ექსპლუატაციასზე და მისი ინფრასტრუქტურის შექმნაზე; თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის სარკინიგზო გამჭოლი მოძრაობის ორგანიზების და ჩვენი ენერგოსისტემების ერთობლივი ფუნქციონირების დეტალებზეც.

მაგრამ, ეგების, მთავარი ამ ეკონომიკურ ნაწილში მაინც ნავთობსადენის საკითხი იყო:

— ჩვენ გვახარებს, — თქვა თურქეთის პრეზიდენტმა, — რომ დადებითად გადაწყდა ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების საკითხი. მას მიაჩნია, რომ სწორედ ეს ვარიანტი არის ყველაზე გამართლებული ყაზახეთისა და შუა აზიის ნავთობის, გაზის მსოფლიო ბაზარზე გასატანად, რადგან ვერც ბოსფორის, ვერც დარდანელის სრუტეები ვერ გაატარებს დიდი ოდენობით ნავთობის პროდუქციას. ბოსფორზე დაფიქსირებული გემების ავარიები ამის დამადასტურებელია. ამასთან, ბაქო-სუფსის, ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებით ნავთობსადენის ამოქმედება ორივე ქვეყნისთვის კეთილდღეობის მომტანია.

საინტერესოა, რომ მან შესაძლებლად მიიჩნია ამ პროექტე-

ბით რუსეთის დაინტერესება და მისი მონაწილეობა პრაქტიკულ სამუშაოთა ჩატარებაში.

მაგრამ ყველა ამ იდეას თუ კონკრეტულ პროექტს განხორციელება მხოლოდ მშვიდობიან პირობებში უნერია, თურქეთის პრეზიდენტმა მთლიანად დაუჭირა მხარი ედუარდ შევარდნაძის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიისთვის“ თბილისის დეკლარაციას, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის დროს იქნა მიღებული.

— მინდა მივულოცო საქართველოს პრეზიდენტს ეს ინიციატივა, — საქვეყნოდ განაცხადა მან.

**1996 წლის 9 აპრილი**

## **2. სულეიმან დემირალი: ჩვენს ბუღსა და ბონებაში ქართველებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ**

ფინანსები ისეთი აბლაბუდის ქსელია, ოდნავი შეხებაც განყვეტს, ჩაშლის და ველარ აანყობ სათქმელს გაზეთის ფურცლებზე, ამიტომ თურქეთ-საქართველოს ფინანსური ურთიერთობის მხოლოდ ერთ ფაქტზე შევჩერდები, ფაქტზე, რომელიც ბატონმა სულეიმან დემირელმა დელეგაციათა მოლაპარაკების დროს განსაკუთრებით გამოყო.

**ფრთხილად შევეხები, აზრი რომ არ ავბურდო და მკითხველი არ დავაბნეო.**

— თურქეთმა ადრე 50 მილიონი დოლარი გამოჰყო საქართველოსთვის, — თქვა მან, — 23 მილიონი უკვე გამოყენებულია, 7 მილიონი, ეგრეთ წოდებული, დოკაპის პროექტის დასაფინანსებლად არის გამიზნული. კრედიტის სრულად გამოყენება დღეს შეუძლებელია, რადგან გადახდის არ არის ვალის ნაწილი, აგრეთვე, იმ პრობლემის გამო, რომელიც „ექსიმბანკს“ შეექმნა ევროპის სტრუქტურებთან ურთიერთობაში.

შეიძლება დროებით — გადასახადების ვალის დაფარვამდე, „ექსიმბანკის“ პრობლემების გადაწყვეტამდე, მაგრამ მაინც 50 მილიონი კრედიტიდან დარჩენილი თანხა ამჟამად გაყინულია.

**ასეთია ფისკალური ლოგიკა.**

მაგრამ არის სხვა ლოგიკაც, რომელიც ფინანსური მოთხოვნების სიმკაცრეს (საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებით მკაცრს) კეთილგანწყობილების, გნებავთ, მეგობრობის სითბოთი აღლობს.

**ალბათ, ასეა, რადგან სხვანაირად ვერ ახსნი იმას, რასაც მოსმენ თურქეთის პრეზიდენტის მიერ განცხადებულს:**

— შარშან თურქეთის პრემიერმინისტრი საქართველოში ვიზიტის დროს დაჰპირდა საქართველოს პრეზიდენტს 100-მილიონიან მიზნობრივ კრედიტს. თურქეთში არჩევნების ჩატარების გამო ამ დაპირების განხორციელება დაგვიანდა, მაგრამ, როგორც ბატონ პრეზიდენტ შევარდნაძეს მოვახსენე, ამ საკითხის განხორციელება დღის წესრიგში დადგა.

საპასუხო სიტყვაში ედუარდ შევარდნაძე, რა თქმა უნდა, გულწრფელ მადლობას ეტყვის ასეთი დახმარებისა და ხელის გამართვისთვის.

მადლობის თქმას გააჩნია.

მაქსიმ გორკის ციტირება შეიძლება რეტროგრადად ჩამეთვალოს, მაგრამ კარგად აქვს ნათქვამი ამ მწერალს და — რა ვქნა: „საოცრად უხერხული რამ არის ფული: ალებაც გეუხერხულება და მიცემაც“.

აი, ასეთი უხერხულობის გასანიეიტრალებლად იუმორს უხმო ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ყოველთვის ბუნებრივი აქვს და ნაღდი.

მადლობა გადაუხადა-მეთქი შევარდნაძემ დემირელს ვალეზის გადავადებისთვის, ახალი კრედიტის გაღებისთვის და:

— ღარიბ კაცს ვალის აღება არ ეზარება, — თქვა, — მაგრამ გადახდა უჭირს...

გაეცინა ყველას. მოკლე პაუზა, ისეთი, რომელიც საკმარისი იყო ეჭვის გასაჩენად — ამ ხუმრობაში ახალი სესხის გადაუხდელობის პერსპექტივა ხომ არ შემოგვაპარესო, და დაასკვნა: — ვფიქრობ, რომ ჩვენი სიღარიბე დროებითი მოვლენაა.

და ამ თეზისის რეალობა მან შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის — თურქეთის ამ ინიციატივის განვითარების პრაქტიკით დაასაბუთა, რისთვისაც ორი-სამი წლის განმავლობაში წარმატებით იღვნიან ჩვენი ქვეყნების წარმომადგენლები.

ისმენდე და იგებდეო...

იგებდე, მაგალითად, იმას, რომ თურქეთის მხარე, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტმა განაცხადა (შემდეგ იმავეს იტყვის პრემიერმინისტრი მესუთ ილმაზი), მაღლობელია, რომ საქართველო დათანხმდა მის (საქართველოს) ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანას(!).

დათანხმდა საქართველოს მხარე. სწორედ ასე ითქვა და ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ფრიად სერიოზულად აღიქვამენ და აფასებენ საქართველოს, როგორც პარტნიორ ქვეყანას, რომ ჩვენს სიტყვას, თანხმობას წონა აქვს ისეთი საკითხის გადაწყვეტისასაც კი, რომლის დადებითი შედეგით — ყველამ იცის — სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული.

ერთი შტრიხია, მაგრამ, არა მგონია, — უმნიშვნელო.

პარტნიორობა — კი, მაგრამ მხოლოდ — თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა. ინტეგრაციაც შეიძლება, მაგრამ არამც და არამც რომელიმე მხარის უფლებათა შელახვით, თავისუფლების, დამოუკიდებლობის უმაღლეს პრინციპს იცავს საქართველო და ჩვენი პარტნიორი ქვეყნებიც აღიარებენ ამას.

ეს პოზიცია გამოკვეთა ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობის რთულ სისტემაში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრების პრობლემაზე, კერძოდ, რუსეთთან ურთიერთობაზე საუბრობდა. პოსტკომუნისტურ სივრცეში ამ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

— რუსეთი ჩვენი დიდი მეზობელია, — თქვა მან, — ჩვენ დიდი საერთო საზრუნავი გვაქვს (უთუოდ იგულისხმებოდა, რომ გავლენაც, გამორიცხული არ არის — ძალისმიერიც ამ სიდიდის ადეკვატური იყოს — ა.ს.), მაგრამ რუსეთის ხელმძღვანელობამ შესანიშნავად იცის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უჭირს, იგი მხოლოდ პარტნიორული პრინციპებით თანამშრომლობას აღიარებს და ეთანხმება.

დღეს მჭიდრო ინტეგრირების გარეშე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ნონსენსია. ეკონომიკური განვითარების გარეშე კი პოლიტიკური თავისუფლება ბლეფია. ამაში ერთხელ და სამუდამოდ დაგვარწმუნა წინა ხელისუფლებამ.

ამიტომ არის, რომ ნებისმიერი უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის პრაქტიკული საკითხები არა მარტო დომინირებს, არამედ დეტალურად განიხილება.

ასე იყო თურქეთ-საქართველოს დელეგაციათა მოლაპარაკებისას; და გაირკვა, რომ აქაც ორივე მხარის ინტერესები სრულად ემთხვევა ერთმანეთს — ბაქოდან ე.წ. დასავლეთის ვარიანტით პირველადი ნავთობის ტრანსპორტირება იქნება ეს თუ ახლო მომავალში იმავე მიმართულებით დიდი ნავთობის გადმოდინება, ორი ქვეყნის რკინიგზის მაგისტრალების გაერთიანება თუ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მესამე გადასასვლელის გახსნა. ორივე მხარეს ხელს აძლევს (ორივესთვის მომგებიანია) არსებული ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით ერთიანი სისტემის გამართვა, აეროპორტებისა და ნავსადგურების — როგორც საკვანძო სატრანზიტო პუნქტების — ამუშავება.

ყველაფერი ეს და ბევრი სხვაც, რაზეც მოილაპარაკეს (შემდეგ ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს) პრეზიდენტებმა და დელეგაციების წევრებმა, საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში მდგომარეობის სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაღლობა გადაუხადა თურქეთის პრეზიდენტს კავკასიის სტაბილიზაციისთვის დაწყებული მოძრაობის აქტიური მხარდაჭერის გამო. მას მიაჩნია, რომ ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში მშვიდობის დამყარება შეუძლებელი იქნება თურქეთის მონაწილეობის გარეშე. ამიტომ დიდია ფასი და წონა იმ მხარდაჭერისა, რომელიც ჩვენი ინიციატივების მიმართ თქვენ გამოხატეთო, — განუცხადა მან სულეიმან დემირელს.

**სულეიმან დემირელი:** — ჩვენი აზრები და სიტყვები ერთმანეთს დაემთხვა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ როგორი საიმედოა დასაწყისი...

ქართველებს ჩვენს გულსა და გონებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. წარმატებას ვუსურვებ ამ ლამაზ ხალხს და მის ხელმძღვანელს.

ასეთივე კეთილი განწყობილებით წარიმართა საუბარი თურქეთის კოალიციური მთავრობის პრემიერმინისტრ მესუთ ილმაზთან, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს რეზიდენციაში ეწვია. სწორედ ამგვარი ატმოსფერო ქმნის საკითხების პრინციპულად განხილვის საშუალებას: არც მასპინძელი მასპინძლობის გამო იხევს უკან, არც სტუმარი არის სტუმრის სტატუსით შებოჭილი.

ასე იყო ამ საუბრის დროსაც და — ორიოდ ფრაგმენტი საქმიანი დიალოგიდან:

მესუთ ილმაზმა დააყენა საკითხი მდინარე ქოროხზე ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის მშენებლობის შესახებ — ამ პროექტით პირადად ვარო დაინტერესებული.

**ედუარდ შევარდნაძე:** — ქოროხზე კაშხლის მშენებლობის საკითხი პრეზიდენტ დემირელთან არ დამიყენებია, რადგან თქვენთან მსურდა, მომეთათბირებინა.

ეს არის ჰიდროელექტროსადგურების საკმაოდ საინტერესო კასკადი, მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი პრობლემა: ქოროხს დიდი რაოდენობით ჩამოაქვს ინერტული მასალა, რომელიც აუცილებელია შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება, თუ როგორ ნადგურდება პლაჟები მდინარეების ჩამონატანების ხელოვნურად შეწყვეტის მიზეზით.

ეგებ, ჩვენმა სპეციალისტებმაც მიიღონ მონაწილეობა პრობლემის საბოლოოდ გარკვევაში. საერთაშორისო მოთხოვნათა ნორმების დაცვა აქ აუცილებლად საჭირო იქნება.

**(უთუოდ მიაქციეთ ყურადღება, თუ როგორ ტაქტიკურად აუხსნა ჩვენმა პრეზიდენტმა თანამოსაუბრეს, რა სიფრთხილეა საჭირო იმ პროექტის რეალიზაციისთვის, რომლითაც პრემიერმინისტრი პირადად არის დაინტერესებული).**

**მესუთ ილმაზი:** — თუ თქვენი თანხმობა იქნება, ზაფხულში დავინყებთ სამუშაოებს (ჩანს, ენერგიული პიროვნებაა და შევარდნაძის „ეკოლოგიური წინააღმდეგობის“ გადალახვას ამ თვისებით აპირებს, მაგრამ...)

**ედუარდ შევარდნაძე:** — როგორც კი ეს საკითხი გადაწყდება (იგულისხმება მდინარის მიერ ინერტული მასალის ჩამოტანის პრობლემა — ა.ს.), ჩვენ მხარს დაგიჭერთ, მაგრამ მანამდე შეხვდნენ ერთმანეთს სპეციალისტები, ამ დარგების ხელმძღვანელები, შეისწავლონ, გაიაზრონ, გადაწყვიტონ.

**რა თქმა უნდა, საბოლოოდ ასეც გადაწყდა და ამას ჰქვია ობიექტურ, ურთიერთგაგების ვითარებაში საუბარი.**

ასევე იყო ერთ-ერთი თურქული ფირმისთვის ბათუმში ელექტროსადგურის ასაშენებლად სახელმწიფო კრედიტის მიცემის საკითხის განხილვის დროსაც. ეს საკითხიც თურქეთის პრემიერმა წამოჭრა. ჩვენმა პრეზიდენტმა განუმარტა, რომ მსოფ-

ლიო ბანკის გარეშე ამ კრედიტის გაცემა შეუძლებელია. გამოსავალი კი ის არის, რომ ამ პროექტის განხორციელებაში ჩავართოთ კერძო ბანკები. ეს გარიგება ისეთია, რომ რისკის კოეფიციენტი დაბალია და ფირმისთვისაც მომგებიანი იქნება, რადგან იგი 7 წლით იჯარით იღებს ნავსადგურის ტერმინალს და აქედან მიღებული მოგებით ფიქრობს კრედიტის დაფარვას.

— თუ თანახმა იქნებიან, რომ კომერციული ბანკი დაუდგეს გარანტიად, ჩვენც მზად ვიქნებით.

— ესე იგი, სახელმწიფო გარანტია არ იქნება? — იკითხა ილმაზმა.

— არა, და ფირმის ხელმძღვანელობამ იცის ამის შესახებ. ჩვენ აქ მთლიანად დამოკიდებული ვართ მსოფლიო ბანკზე, — გაუმეორა ედუარდ შევარდნაძემ ანუ უთხრა უარი. მაგრამ, რას იზამ, ასეთი არის საქმიანი საუბარი, რომელიც მეგობრულ განწყობილებას არ არღვევს. ეს თვით პრემიერმინისტრმა დაადასტურა, როდესაც სწორედ ამ უარის შემდეგ განუცხადა საქართველოს პრეზიდენტს, რომ მისი სურვილია, საქართველოს ტერიტორიის გავლით შემოვიდეს თურქეთში ბუნებრივი გაზი, რომელსაც ისინი შუა აზიის ქვეყნებში იყიდიან; რომ იგი არა მარტო მთლიანად უჭერს მხარს ბაქო-სუფსის მიმართულებით კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირებას, არამედ ძირითადი ნავთობპროდუქტების ამ გზით ხმელთაშუაზღვისპირეთში გატანა მისი სტრატეგიული მიზანია სრუტეებში შექმნილი პრობლემების გამო.

და აქვე, პაუზის გარეშე: — პრეზიდენტმა, ალბათ, მოგახსენათ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას...

**ედუარდ შევარდნაძე:** — აფხაზეთის პრობლემა ჩვენი ყველაზე დიდი ტკივილია. პრეზიდენტს მოვახსენე, რომ რისი შეთავაზებაც შეიძლება, ყველაფერს ვთავაზობთ — რესპუბლიკის სტატუსს, კონსტიტუციას, პარლამენტს, სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტს, ცენტრთან ფუნქციების გამიჯვნა-განაწილებას, პარლამენტში კვოტების შეთანხმებას...

მაგრამ არძინბას აჩემებული აქვს — რუსეთს უნდა შეუერთდესო აფხაზეთი.

რეალურად რუსეთი ამას არ დათანხმდება: გამოვა, რომ რუსეთმა დაიპყრო ტერიტორია.

თანდათან მნიფდება საკითხი, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს, თუმცა მდგომარეობა რთულია...

**მესუთ ილმაზი:** — ჩვენთვისაც ეს რთული საკითხია, რადგან თურქეთში გვყავს აფხაზური და ქართული წარმომობის მოსახლეობა. ვცდილობთ, რომ ისინი არ ჩაებან ამ კონფლიქტში.

**ედუარდ შევარდნაძე:** — არც ჩვენ გვექონია მცდელობა, მიგვემართა მათთვის.

აი, სწორედ აქ და ამ დროს განაცხადა თურქეთის პრემიერმა, რომ მთავრობამ მითითება მისცა საზღვაო დეპარტამენტს, ნავსადგურების ხელმძღვანელებს და გემების კაპიტნებს, სოხუმის აკვატორიის ნავსადგურებში წასვლისას აუცილებლად შევიდნენ ფოთის ნავსადგურში, სადაც მათ ტვირთს შეამოწმებენ.

ასე იყო.

იყო ბევრი სხვა რამ საინტერესო, მაგრამ ხომ უნდა დასვა წერტილი, რომელიც ყოველთვის არ არის სათქმელის დამთავრების ნიშანი.

ასეც მოვიქცეთ.

**1996 წლის 12 აპრილი**

# დანუბა დასაწყისისა

ღრუბლების თეთრ მინდორს, საშემოდგომოდ მოხნულს რომ ჰგავს გადაბრუნებული თეთრი ბელტების პარალელური რიგებით, კავკასიონის მთავარი ქედის სადემარკაციო ზოლი გაურკვეველობის თავსატეხად კეტავს.

რომანტიკული ლიბრივით არის ეს თეთრი სიმაღლე — მიწის სიმყარე აბსურდად აღიქმება აქ, თუმცა გიზიდავს. მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმფრინავის გაშლილი ფრთები ამ სითეთრეში შეიჭრება და დამფრთხალი ფრინველივით აფარფატდება, როდესაც გაუსაპნავი ურმის ჭრიალივით ხმას მისცემს „ტუ“-ს დაჭმუჭნილი სალონი, გაგახსენდება, რომ მიწიერ სირთულეებთან შეჭიდების პრობლემა ასაფრენი ბილიკის ვინრო ზოლზე ამ ჩამოსაწერი დინოზავრის დაშვებაზე გაცილებით რთული საქმეა.

თუმც არც ესაა იოლი. მადლობა ღმერთს, უმაღლესი კლასის პილოტები გვყავს.

მიწაზე მყოფისთვის გაურკვეველობის ის სითეთრე გატეხილი ზაფხულის ჩვეულებრივი საავდრო ღრუბელი იყო.

ვლადიკავკაზში ჩასული საქართველოს პრეზიდენტის წინაშე დაგლეჯილი საქართველოს გამთლიანების პრობლემა იდგა.

ჩვენი მკითხველი ინფორმირებულია ამ ვიზიტის შედეგებზე, და, თუ დღეს კვლავ ვუბრუნდებით ამ მოვლენას, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც აღსარბეკ გალაზოვმა განაცხადა, ეს იყო ისტორიული ფაქტი.

მრავალნახნაგოვანია მართლაც ვლადიკავკაზის მოლაპარაკება, სხვა ღირსებებთან ერთად, საკმაოდ ოპერატიული შედეგებითაც გამოირჩა.

მაგალითად, უკვე 29 აგვისტოს საქართველოს „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარეს — გიორგი ქათამაძეს, ცხინვალემა კოლეგებმა ჩამოაკითხეს და დაიწყო ერთობლივი მუშაობა კოოპერაციული კავშირის სპეციფიკური ჭრილით, უპრობლემოდ და გაუცხოების ხელოვნურად შექმნილი სიძნელეების გარეშე.

მასპინძლებმა ვლადიკავკაზის შეხვედრის საქმიანი პროტოკოლი დახვედრის ზეიმურობით გააღამაზეს.

ბესლანის აეროპორტი.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალ-ვაჟი სტუმრისთვის გამზადებული ძღვენით.

აღსარბეკ გალაზოვი, ჩრდილოეთ ოსეთის — ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბაგანით სავსე თასით ესალმება საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და ტრადიციისამებრ ადღეგრძელებს, ბედნიერებას უსურვებს მას და ქართველ ხალხს:

— დაე, ყოველთვის უნათებდეს მას ნათელი მზე და ჰაერი იყოს ჯანსაღი მეგობრობით გაჟღენთილი. დაე, ქართველი ხალხი მყარად იდგეს საკუთარ მიწაზე და მიწამ უხვად უძღვნას თავისი ნაყოფი.

ჩასვლისთანავე პრეზიდენტები პირისპირ სასაუბროდ შეხვდებიან ერთმანეთს.

ბატონი გალაზოვი შეხვედრის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს განუცხადებს, რომ ვლადიკავკაზის მოლაპარაკება ეს არის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, 1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე დამყარებული და მისი რეალიზაციის მიზნით განხორციელებული.

— ამ ისტორიულ ნაბიჯს სხვაც უნდა მოჰყვეს. დღეს ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ამაზე ვისაუბრეთ. უნდა შეიქმნას ექსპერტთა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მოამზადებენ მოლაპარაკებებს, ეს ერთი. მეორე: საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აიღონ სავსებით სწორი კურსი კონფლიქტის მოსაგვარებლად. არ შეიძლება სამხრეთ ოსეთის პრობლემის საერთოკავკასიური პრობლემებისგან გამოცალკეება. მიმაჩნია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი მომნიჭებულია გადასაწყვეტად. ჩვენ შეგვიძლია, მივალწიოთ სერიოზულ პროგრესს ამ საკითხში და მაგალითი მივცეთ სხვა დანარჩენ „ცხელ წერტილებს“. კაცობრიობას მოლაპარაკებაზე უკეთესი არაფერი მოუფიქრებია ომის საშინელებიდან ადამიანების გამოსაყვანად.

რაც შეეხება ოსეთისა და საქართველოს, ოსი და ქართველი ხალხების ურთიერთობას, ისტორიამ არ იცის ამაზე უფრო ნათელი, კეთილი, ძმური დამოკიდებულების სხვა მაგალითი. ეს ურთიერთობა სრულად უნდა აღდგეს.

მეამაყება, რომ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მეგობრად მივაჩნევარ, — დაასკვნა აღსარბეკ გალაზოვმა.

— მე მგონი, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ის, რაც თქვა აღსარბეკ გალაზოვმა, ზუსტად ასახავს იმ პროცესს, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის მონესრიგების მიზნით მიმდინარეობს და საერთო კავკასიური მოვლენების განვითარებას გულისხმობს.

ვფიქრობ, ჩვენ შევძელით ამ კონფლიქტის მონესრიგების სწორი მიმართულების დასახვა. ქართულ-ოსური კონფლიქტი მართლაც მომნიფდა გადასაჭრელად, მაგრამ ხელოვნურად ამის დაჩქარება არ შეიძლება და არც არის საჭირო. მოვლენები პერსპექტიული მიმართულებით ვითარდება.

მიმაჩნია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის — ალანიის პრეზიდენტი აღსარბეკ გალაზოვი ჩემი გულწრფელი მეგობარია. იგი უნიკალურ როლს, მისიას ასრულებს ორი ხალხის კვლავ დაახლოების, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართულ-ოსური ტრადიციების აღდგენის, დღევანდელი რთული სიტუაციის გადაწყვეტისა და განმუხტვის საქმეში.

ვფიქრობ, როდესაც შევძლებთ საბოლოო გლობალური გადაწყვეტილების მიღებას, ჩვენი ხალხები ღირსეულად დააფასებენ მის ისტორიულ ღვაწლს.

ჩვენს ერთობლივ წვლილსო, — დაასრულა აღსარბეკ გალაზოვმა.

\* \* \*

პირველი პლენარული სხდომა. დაძაბულობა იყო, ცხადია. მოსალოდნელი შეხვედრის თითოეული დეტალი, გინდა-არ გინდა, ასეთ დროს სრული სიმძაფრით აღიქმება: ვინ გაუნვდის პირველად ხელს ჩამოსართმევად? ვინ რას იტყვის? რა რეაქცია ექნება მეორეს, როგორ შეხედავს, სახის როგორი გამომეტყველება ექნება? და ასე შემდეგ.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ საქართველოს დელეგაციის ყველა წევრი განგების მადლობელი იყო, შეხვედრის მეთავეობის (ამ გამოთქმის სისწორეს ნუ გამოეკიდებით) ურთულესი და უმძიმესი მოვალეობა ედუარდ შევარდნაძეს რომ ჰქონდა დაკისრებული: სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, მორალური, ფსიქოლოგიური. თუ ვცდები, გამისწორონ.

მაგრამ იმაში მაინც დამემონებებიან, როგორ განელდა თანდათან დაძაბული სიტუაცია, როგორ ჩადგა მოლაპარაკება საქმიანი განსჯის კალაპოტში.

როგორ გადნა გაუცხოების ყინული. ემოციური ფონი იმდენად ძლიერი იყო, რომ არ უნდა ჩანდეს იმ ფონზე ამ წინადადების ტონალობა საგანგებოდ ამაღლებული...

მხარეებმა განცხადებებით მიმართეს ერთმანეთს და ედუარდ შევარდნაძე და ლუდვიგ ჩიბიროვი სასაუბროდ განმარტოვდნენ.

ლოდინის ორი საათი გაიჭიმა და გაგრძელდა. ყოველ წუთს — რამე ხომ არ გაიგე? — შეკითხვა, რომელზეც, ცხადია, ყველა უარყოფითად უპასუხებდა და ყველა ერთმანეთს მაინც ამ კითხვას უსვამდა.

ორი საათის შემდეგ, პლენარულ სხდომაზე ედუარდ შევარდნაძე ლუდვიგ ჩიბიროვთან პირისპირ პირველ შეხვედრას შეაფასებს, როგორც საეტაპო მნიშვნელობის ფაქტს და იტყვის, რომ მისი აზრით, ეს შეხვედრა გაიმართა გულახდილ, ხაზგასმულად საქმიან ვითარებაში, რომელიც რეზონირებდა შექმნილ გარემოებასთან.

შეძლეს განეხილათ საკითხების კომპლექსი, რომლებიც დღის წესრიგში დგას და, მათ შორის, ურთულესი და უძნელესი პრობლემებიც, რომლებიც ეტაპობრივად უნდა გადაიჭრას.

განსაკუთრებული, პრინციპული მნიშვნელობა მიანიჭა პრეზიდენტმა შეთანხმებას სპეციალური დელეგაციის — სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ყველა მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლის საქმიანობა პოლიტიკური მოწესრიგების, პოლიტიკური სტატუსის შემუშავების და მასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსის გადასაწყვეტად წარიმართება.

— ვფიქრობ, რომ სასარგებლო საუბარი გაიმართა ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემებზე, მათთვის უსაფრთხოების პირობების შექმნაზე, მხარდაჭერასა და, შეძლებისდაგვარად, დახმარებაზე. ყველა მათგანი, რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს საკუთარ კერას. ვისაუბრეთ იმაზეც, რომ საკონტროლო კომისიის შემადგენლობაში ჩამოყალიბდება ჯგუფი, რომელიც ლტოლვილთა პრობლემებით იქნება დაკავებული.

დანვრილებით ვილაპარაკეთ ეკონომიკური კავშირებისა და ურთიერთობათა აღდგენის შესახებ. ჩვენი საერთო აზრით, ეს მიმართულება უაღრესად პერსპექტიულია, აქ დაგროვებული

საკითხების წარმატებით გადაწყვეტა უთუოდ ხელს შეუწყობს მთავარი პრობლემის გადაჭრას.

შეხვედრის დროს ისაუბრეს ორმხრივი და მრავალმხრივი სასარგებლო კავშირების აღდგენაზე მრეწველობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და სხვა დარგებში, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაზე, ისეთი პერსპექტიული მიმართულების ამოქმედებაზე, როგორც არის საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური დახმარება.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციის საკითხი განიხილეს ორგანიზებულ დანაშაულობასთან საერთო ბრძოლის გაძლიერების კონტექსტით.

მოლაპარაკების რთული პროცესის წარმატებით დამთავრებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნია ორივე მხარემ. ხაზი გაესვა პრესასთან კონტაქტების გაფართოებას, სრულად მის ინფორმირებას, ურთიერთობის ჩამოყალიბებას სასწავლო, სამეცნიერო და კულტურულ უწყებათა და დაწესებულებათა შორის.

— მოვილაპარაკეთ, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ მომავალში ორი ხელმძღვანელის შეხვედრები სამუშაო ხასიათისა იქნება, განსაკუთრებული წინასწარი შეთანხმების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრას ოთხმხრივი ხასიათი მიეცემა, მაგრამ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში. ამგვარი შეხვედრების პროცესში გამომუშავდება მათი გამართვის პრაქტიკა.

გულახდილად გეტყვით, რომ შეხვედრით კმაყოფილი ვარ, შინაარსითაც და ატმოსფეროთიც. ჩვენ არ გავურბოდით მწვავე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებთან და სხვა პრობლემებთან.

ედუარდ შევარდნაძემ ლუდვიგ ჩიბიროვს მადლობა უთხრა თანამშრომლობისთვის.

ლუდვიგ ჩიბიროვის გამოსვლის პათოსი იყო სრული გაგება შექმნილი სიტუაციისა და სურვილი პრობლემის გადაჭრისა, რაც (სურვილი) ორივე მხარეს თანაბრად ძლიერი აქვს. ამასთან, მან ხაზი გაუსვა ძირითად საკითხებში პოზიციათა დამთხვევას; საჭიროდ მიიჩნია საზოგადოებრიობის წარმომადგე-

ნელთა კონტაქტების გაძლიერება, სახალხო დიპლომატიის როლის ამძლლება, მხარი დაუჭირა მოლაპარაკების შემდგომ გაღრმავება-გაფართოებას, მაღალი შეფასება მისცა შუამავალთა როლს.

— კონსტრუქტივიზმის სული, რომელიც ამ შეხვედრაზე იყო, — თქვა მან, — უფლებას გვაძლევს, ოპტიმიზმით ველოდოთ ხვალინდელ დღეს.

იმედის თესლი ჩაგდებულია.

პრაქტიკულის, არა ეფემერულის: ვლადიკავკაზში ხელი მოანერეს ერთობლივ განცხადებას.

დასაწყისი დაიწყო.

**1996 წლის 4 სექტემბერი**

# არს ისე უორია ლისაბონაჲ

## 1. „უკვე საღამო არ არის, რომ აფხაზეთში გენოციდია“

რაჭიდანაც არ არის შორი ლიშბოამდე, როგორც თავიანთ დედაქალაქს უწოდებენ პორტუგალიელები.

ამაში რომ დარწმუნდეთ, ჭრებალოდან თბილისში უნდა ჩამოხვიდეთ, ჩაჯდეთ „ორბის“ თვითმფრინავში და ხუთ საათ-ნახევარში ლისაბონის სამხედრო აეროპორტში იქნებით.

\* \* \*

რა შუაშია რაჭა?

საქმე ისაა, რომ მართლაც ასეთი მარშრუტით — ჭრებალო-თბილისი-ლისაბონი, ანუ ლიშბოა მომინია სივრცესა და დროში გადაადგილება.

წინა დღეს ამბროლაურში ხიდი გაიხსნა, ხიდი რიონზე, რომელმაც წელში გამართა ქალაქი და საღამოს ანთებულმა ლამპიონებმა მთელი დღის საზეიმო განწყობილებას სინათლის გვირგვინი დაადგა.

საქართველოს ენერგოსისტემას ერთი მცირე, არცთუ ახალი, მაგრამ ახალადგენილი ჰიდროელექტროსადგური შეემატა 4,5 მეგავატის სიმძლავრის, მდინარე რიცეულას ხეობაში.

ასობით ასეთი ხიდი შენდებოდა საქართველოში, მაგრამ ახლა, „ნგრევის ეპოქის“ შემდეგ, პირველია. მცირე ჰესები რა სათქმელია, უნიკალურს ვაგებდით გიგანტებს, მაგრამ ამ უმწვავესი ენერგოკრიზისის დროს პერიფერიაში პირველად აღდგა ეს, აღმოჩენასავით ჰიდროელექტროსადგური.

არ დავიფიცებ, ალბათ, მენდობით, რომ რიონზე გადებულ ხიდზე ანთებული ლამპიონები, რომელთა დათვლას სულაც არ სჭირდებოდა ორივე ხელის თითები, ისევე მეზეიმა, როგორც ჩემს რაჭველ მეგობრებს, რომლებმაც ამ ხიდს პრეზიდენტისა უწოდეს, უფრო მეზეიმა, ვიდრე საღამოს ლისაბონის ელექტროსიმფონია, თუ ელექტროჩუქურთმები, ოქროცურვილი და ვერცხლისფერი მანათობელი მძივებით მოქარგულ-მოგვირისტებული უკიდევანო ფარდაგი, ამოუცნობი და საიმედო როგორც...

როგორც არ ვიცი რა, რადგან ამ დიდებული ენერგეტიკული ფეიერვერკის თვითმფრინავიდან დანახვისას სიტყვები ისე ქრება, როგორც „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“.

სამაგიეროდ, იბადება, შეიძლება ჯერ კიდევ ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი, მაგრამ ენერგიული იმპულსი — თუ ამათ შეძლეს...

ამბროლაურის კულტურის სახლის მშენებლობა მაშინ დაუწყიათ, როდესაც გერმანელები მამისონის უღელტეხილს ყოფილან მომდგარნი. 1947-ში დაუმთავრებიათ.

ამათაც შეძლეს...

ჩვენ რა, დამბლადაცემულები ვართ?

გახსნილ სეზამში აბრიალებული ეს უძვირფასესი თვლები თანდათან ასაფრენი ზოლის სინათლეებად იქცევა და ძალიან დაღლილი „ორბი“ დიდგზაგამოვლილი მგზავრით მიწაზე დაეშვება და ამოისუნთქებს.

მეორე დღეს ლისაბონში გაიხსნება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ნევრ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრა, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთი ოპერატიულად გამოაქვეყნებს მასალებს, რომლებსაც საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი მაია ალუდაური ვაჟკაცური შეუპოვრობით მოამზადებს და გადმოსცემს თბილისში.

წერილები, უფრო ზუსტად, ინტერვიუები, რომლებსაც შემოგთავაზებთ, უფრო შემფასებლური ხასიათისაა.

\* \* \*

იდეალური სამუშაო პირობები, რომლებიც სამიტიის სტადიონისხელა პრესცენტრში შეექმნათ ჟურნალისტებისთვის, იმდენად უჩვეულო იყო, რომ სულაც არ განგანყობდა „დაკისრებული მოვალეობის“ ოპერატიულად შესრულებისთვის: გამოსვლების თარგმანი ექვს ენაზე, ხელისგულისოდენა პორტატული მიმღებთ, შენობის ნებისმიერ კუთხეში შეგეძლო მოგესმინა ყველაფერი, რაც სამიტიის დარბაზში ხდებოდა; უფასო ფაქსი და პერსონალური ტელეფონი, ტელემონიტორები, სანერი ქალაქი და კალმისტრები, ნაირ-ნაირი ბუტერბროდები და ნვენები (ესეც უფასოდ). ჯერ მარტო ამის აღქმით დაიღლები, და კიდევ დიდხანს უნდა ებრძოლო საკუთარ თავს, საქმიან სტადიაში რომ გადახვიდე.

გადავედით: ნაჩუქარ ბლოკნოტებში იწერება, თითქმის სტე-

ნოგრაფიულად, გამომსვლელთა სიტყვები, შემდეგ — მთავარი აზრი, ბოლოს — რამდენიმე წინადადება ან მხოლოდ სახელი ორატორის და ქვეყანა, რომელსაც იგი წარმოადგენს.

სიზარმაცის ბრალი არ არის: თუ სპეციფიკურ-დიპლომატიური აზროვნება თავიდან თავისთავად არის ინტერესის საგანი, მერე ამ სპეციფიკური ფრაზეოლოგიიდან თანდათან გამოიკვეთება აზროვნების გარკვეული შტამპი, მადლიერებისა და რევერანსების მოსაწყენი ეტიკეტურობა და... და, სამწუხაროდ, უმარილო გამოსვლები.

ნუ დამაბრალებთ სხვათა მთავრობათა მიმართ დიდგულობას, მაშინ, როცა საკუთარის მიმართ...

„საკუთარის მიმართ“ ცალკე თემაა.

„საკუთარის მიმართ“ კოლეგები, მაგალითად, რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტები ედუარდ შევარდნაძის სიტყვას შეაფასებენ, როგორც „самое яркое выступление на саммите“. ასეც გადასცემენ და ასეც გადაიცემა იმავე საღამოს „ვრემიაში“.

მაგრამ ედუარდ შევარდნაძის სიტყვის შეფასება შთაბეჭდილებების დონეზე, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად არაპროფესიული მიდგომა იქნებოდა.

იტყვიან ამას ექსპერტები.

ლისაბონის სამიტის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დასკვნით დოკუმენტში, დავარქვათ ასე, საქართველოს პრობლემის ასახვა ისე, როგორც ჩვენმა დელეგაციამ წარადგინა. დეკლარაციის ეს პუნქტი „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ გამოქვეყნდა.

...ბოლო სხდომის წინ ნახევარსაათიანი შესვენება გამოცხადდა.

ირაკლი მენაღარიშვილი განმარტოებით იდგა კონფერენცდარბაზის ვერანდაზე. ჩანდა, ისე გაეტაცა ფიქრს, რომ... არ ენეოდა.

— ასეა?

— არა, ძალიან დაღლილი ვარ. რამდენიმე დღეა, დაძაბული მუშაობა გვინევს და, ალბათ, მეტყობა.

— შედეგი ამ მუშაობის?

— ვფიქრობ, გვაქვს საფუძველი, კმაყოფილი ვიყოთ, რადგან ყველა წინადადება, რომელიც ჩვენ მიერ მრავალრიცხოვანი

კონსულტაციების გზით შემუშავებული და შეტანილი იყო, ისეთი პირი უჩანს, უნდა მიიღონ და, როცა ეს მოხდება, მაშინ უფრო დანვრილებით გეტყვით.

**„ეს“ მოხდა და კონფერენციის დასკვნითი სხდომის დამთავრებისთანავე პირობა შეასრულა:**

— მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ლისაბონის სამიტზე, თავისი შინაარსით ობიექტურია, პრინციპული და საკმაოდ მწვავე შეფასებას აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებს.

ხაზგასმით და კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ მოვლენები, რომლებიც აფხაზეთში განვითარდა, არის ეთნიკური წმენდის კლასიკური მაგალითი, ასევე, ცალსახა შეფასება მიეცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ უკანონო არჩევნებს. და, საერთოდ, სეპარატისტთა პოზიციას, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების ხელშემშლელ ფაქტორად რომ არის წარმოდგენილი, გარკვევით დაერქვა დესტრუქციული.

არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ საქართველოს უსაფრთხოებაზე საუბრისას სწორედ კონფლიქტების პრობლემა გამოიკვეთა. ეს არის ძირითადი სატკივარი ჩვენთვისაც და, რაც მთავარია, ევროპისთვისაც. ყურადსაღებია ის, რომ დასკვნით დოკუმენტში აქცენტირებულად გამოიყო ოთხი რეგიონი — ბალკანური, აქ მიმდინარე პროცესები, საქართველო — კონფლიქტებით, მთიანი ყარაბაღი და ჩეჩნეთი.

ევროპაში ამჟამად საომარი მოქმედება შეწყვეტილია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იქ სტაბილური მდგომარეობაა პერსპექტივის თვალსაზრისით. სწორედ კონფლიქტები არის ძირითადი საშიშროება, რომლებიც ევროპის სტაბილურობას ემუქრება.

აი, მოკლედ ის, რასაც საქართველოს დელეგაციამ მიაღწია ამ სამიტზე.

მე არ გავაგრძელებ სიტყვას იმის თაობაზე, თუ როგორი გამოხმაურება ჰქონდა ბატონ ედუარდის გამოსვლას სამიტზე, რომელიც ხაზგასმით განსხვავებული იყო სხვა, მეტისმეტად დაბალანსებული და დელიკატური გამოსვლებისგან.

ასეთ შეფასებას შეუერთდა არაერთი სახელმწიფოს მეთაური და ჩემი კოლეგა, რომელთანაც ამ თემაზე მომიხდა საუბარი.

საკითხები, რომლებიც ბატონ ედუარდის სიტყვაში იყო ნა-  
მოჭრილი, მთავარი სატკივარია ეუთოსთვის, აუცილებლად  
დასაძლევია.

**თვითკმაყოფილების ატმოსფერო, ზოგიერთი ორატორის  
ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიც რომ გაანეიტრალა, და-  
არღვია საქართველოს პრეზიდენტის არაორდინალურმა სი-  
ტყვამ, შეიძლება ითქვას, მწარე სიმართლემ.**

— ხომ იყო ეს სარისკოც, ბატონო ედუარდ, რადგან კრიტი-  
კა, ჩვენი არ იყოს, არც ეუთოში უყვართ? — ეს უკვე ბლიც  
ინტერვიუა ედუარდ შევარდნაძესთან.

— სიმართლე ყველა შემთხვევაში უნდა ითქვას და, როგორც  
ვიცი, სწორად აღიქვებს. ბევრი რამ ითქვა, თუმცა სიტყვა ძა-  
ლიან მოკლე იყო.

— **მეჩვენება, რომ თქვენ სხვების სათქმელიც თქვით. ისე-  
თი განწყობილება შეიქმნა, რომ ამოისუნთქეს, როდესაც გა-  
ნაცხადეთ ის, რაც მათაც ანუხებდა.**

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ერთია — საქართველოს უკ-  
ვე აქვს თავის ხმა, თავისი ადგილიც და გარკვეული გავლენაც.

— **და ეს გამოიხატა დეკლარაციაშიც, რომელიც სამიტმა მი-  
იღო.**

— ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია. უკვე სადავო აღარ  
არის, რომ აფხაზეთში გენოციდია, გაშიფრულია, მიეცა ასეთი  
შეფასება. სასიხარულო ის არის, რომ მსოფლიო ერთსულოვა-  
ნი იყო ამ ფორმულირების მიმართ.

პრესკონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიმართება ქარ-  
თველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის, საქართველოს  
პრეზიდენტი გაშლის და ფართოდ ჩამოაყალიბებს თავის და-  
მოკიდებულებას ლისაბონის სამიტის შედეგების მიმართ.

ზუსტი ფორმულირებები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს სა-  
მიტის დეკლარაციის 21-ე პუნქტად ჩამოაყალიბდა, ომის მოლო-  
დინის მშვიდობის მოლოდინად ტრანსფორმაციის საფუძველს  
ქმნის.

**1996 წლის 6 დეკემბერი**

## 2. მწარე სიძულვილის ცაცხლი მშვიდობის იმედინაჲ დღემ შეცვალა

ასე თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტმა ალბერტ გორმა, ბოსნიაში მშვიდობის დამყარება რომ შეაფასა. და, საერთოდ, ეუთოს სამშვიდობო ძალისხმევაზე მხოლოდ მაჟორულ ტონალობაში ლაპარაკობდნენ ლისაბონის სამიტზე.

მშვიდობის იმედინი დღე — ამ დადებითი მუხტისა იყო საქართველოს მშვიდობიანი აქციები, რომელთა საერთაშორისო რეზონანსი დაადასტურეს ვან დე ბრუკმა (ირლანდია), სულეიმან დემირელმა (თურქეთი), რომელმაც პირდაპირ განაცხადა: საქართველოს ერთიანობა უნდა აღდგეს და შენარჩუნებულ იქნას; ჯონ მეიჯორმა (დიდი ბრიტანეთი) — საქართველოს ხელისუფლებამ ეუთოსთან თანამშრომლობით შეძლო კონფლიქტების ხანძრების ჩაქრობა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია პოლიტიკური საკითხი, რომლის მოგვარებაც აუცილებელია და აქტიურ მოქმედებას მოითხოვს.

ცნობა კოლეგებს:

ამასთან დაკავშირებით ინგლისის პრემიერმა მეიჯორმა გაბედა და საერთაშორისო პრესას ერთი შენიშვნა მისცა — კონფლიქტების შეწყვეტა პრესის ისეთივე ყურადღებას არ იქცევს, როგორც თვით კონფლიქტები...

ვალდაროთ — სწორია. ჩვენი სამრეკლოდან დანახულზე მოგახსენებთ, რომელზეც მეიჯორი არ ასულა, თორემ მეტსაც იტყოდა, იმას, მაგალითად, რომ მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი სულს მიჰყიდის ეშმაკს, კონფლიქტის ხანძრის ახალი აბრიალებისთვის.

ყველა ორატორი, გამონაკლისის გარეშე, კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრაზე გააკეთებს აქცენტს. ბენიამინ ნეთანიაჰუ (ისრაელი) იტყვის, რომ მტრებმაც კი არასოდეს არ უნდა განყვიტონ კავშირი ერთმანეთთან, რადგან ასეთ კონტაქტს მაინც საბოლოო მიზნამდე — მშვიდობამდე მიყვავართ. ამის შესანიშნავ დადასტურებად დაასახლეს სსრკ-აშშ-ის ურთიერთობა „ცივი ომის“ პერიოდში, როცა ორი ბანაკის დაპირისპირებულობის ვითარებაში

**სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე მათი წარმომადგენლების შეტაკებანიც კი, საბოლოო ჯამში, ამ დაპირისპირებულობას ანელებდა.**

რუსეთის მთავრობის მეთაურმა **ვიქტორ ჩერნომირდინმა** კატეგორიულად გაილაშქრა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ, კვლავ დაადასტურა, რომ რუსეთი მტკიცე ოპოზიციაში უდგას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმას, რადგან დარწმუნებულია, რომ ევროპაში ახალი წყალგამყოფების წარმოშობა მსოფლიოში გეოპოლიტიკური ვითარების გაუარესებას გამოიწვევს.

„დიახ, — თქვა მან, — რუსეთს არ აქვს ვეტოს უფლება ალიანსის გაფართოებაზე, მაგრამ არც არავის აქვს ვეტოს უფლება ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვაზე. დარწმუნებული ვართ, ჯერ კიდევ არის დრო და აქვს აზრი, დავფიქრდეთ, თუ სად მიგვიყვანს ნატოს გაფართოება. თუ ჩვენი საერთო მიზანია ერთიანი და მშვიდობიანი ევროპა, განა შეიძლება მივალნით მას სამხედრო ალიანსების გაფართოებით?“

სხვათა შორის, ეს კატეგორიული პოზიცია ლისაბონამდეც ცნობილი იყო და, რა თქმა უნდა, არ იყო მოულოდნელი აშშ დელეგაციისთვის.

რით უპასუხა **ალბერტ გორმა** ასეთ მკაცრ შემოტევას? მე ციტატას გადმოგცემთ, დასკვნა თქვენ გააკეთეთ: „ნატო იყო და რჩება დემოკრატიული ქვეყნების თავდაცვით ალიანსად... სტაბილურობა, რომლის გავრცელებას ცენტრალურ ევროპაში ნატომ შეიძლება შეუწყოს ხელი, ყველა ქვეყნის მიზანსა და ინტერესს ემთხვევა. ნატოს გაფართოების პროცესის პარალელურად მას სურს, მტკიცე თანამშრომლობა დაამყაროს რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან“.

რუსეთს არავინ უპირისპირდებოდა ღიად და აშკარად.

სამაგიეროდ, ოთხში ამოიღეს ლუკაშენკო — ბელარუსის პრეზიდენტი.

თითქმის ყველა ორატორმა თავის მოვალეობად ჩათვალა, ეთქვა, რომ ამ ქვეყანაში დაირღვა დემოკრატიის პრინციპები და მოუწოდა მას (ლუკაშენკოს) კრიზისის დაძლევისკენ ყველა პოლიტიკურ ძალასთან მოლაპარაკების გზით.

„შეაყარე კედელს ცერცვი“.

— პატივცემულო კოლეგებო, — განაცხადა **ლუკაშენკომ**, —

სრული პასუხისმგებლობით ხაზს ვუსვამ, ჩვენთან არ არის პოლიტიკური კრიზისი, მინიშნებაც კი არ არის საზოგადოების რამენაირ გახლეჩაზე, რასაც დაჟინებით ამტკიცებდა ჩვენი შიდა ოპოზიცია. პირიქით, რეფერენდუმის შემდეგ საზოგადოებაში დამკვიდრდა სიმშვიდე და სტაბილურობა...

ბრალდებებს ავტორიტარიზმის შესახებ უკომენტაროდ ვტოვებ, როგორც მოგონილს“.

და — მეტიც: „ჩვენი ქვეყანა, პოსტსაბჭოთა სივრცეში იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორისაა, სადაც არ არის სასაზღვრო დავა მეზობლებთან, ეთნო და რელიგიური კონფლიქტები, მოქალაქეთა დისკრიმინაცია ენისა და სხვა ნიშნების მიხედვით“.

აი, ასე — გადაიღეთ მაგალითი!

თანაც ეს უკვე შეტევაა, კონკრეტული მინიშნება ბალტიის რესპუბლიკებში რუსთა დევნაზე. სანამ ამას იტყოდა, უკვე „ჩაუშვა“ უკრაინა, როდესაც განაცხადა, რომ ბელარუსმა საკუთარი ნებით, უპირობოდ და ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე, უარი თქვა უდიდეს ატომურ პოტენციალზე, რომელიც მის ტერიტორიაზე იყო განთავსებული.

უკრაინამ ივაჭრა. ეს არ უთქვამს, მაგრამ მინიშნა.

ასევე, ბელარუსი სხვებზე მეტად დააზარალა ჩერნობილის კატასტროფამ. „ჩერნობილის სადგური ჩვენ არ აგვიშენებია და იგი ბელარუსის ტერიტორიაზე არ არის“.

ვინ ააშენა? უკრაინამ — თავის ტერიტორიაზე.

ე.ი. ცუდები სხვაგან ეძებეთ, ჩვენ რას მოგვადექით.

იყო ასეთი ქვეტექსტი, რომლის გაშიფვრას ტვინის ჭყლეტა არ სჭირდებოდა და, რომელმაც, დამერწმუნეთ, ბელარუსის პრეზიდენტის ავტორიტეტზე ისევე იმოქმედა, როგორც ჩერნობილის კატასტროფამ მის ქვეყანაზე — დააზარალა.

ერთი სიტყვით, არ იყო პოპულარული ბატონი ლუკაშენკო ლისაბონის სამიტზე...

\* \* \*

თუ მანცდამანც ერთი რომელიმე ცნებით შევეცდებით ლისაბონის სამიტის შეფასებას, ჩემი აზრით, **საზღვრების გაფართოება** უნდა ავირჩიოთ, ცნებათა საზღვრებზე მოგახსენებთ.

ეს, უნინარეს ყოვლისა, იმ სივრცეზე ითქმის, რომელიც ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე მოხაზულ არეალში ვერ ჩაეცია, და, მეორე, თვით უშიშროების არსის გაფართოებას ეხება.

ალბერტ გორის აზრით, უშიშროების პრობლემის გადასაწყვეტად ქვეყნების ლიდერებმა უნდა გააერთიანონ კეთილი ნება და გონიერება, რათა მიაღწიონ ჰარმონიზაციას არა მარტო სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებში, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკურ, მორალურ და ეკოლოგიურ სფეროებში. და, თუ პეზიდენტ ნაზარბაევს მოვიშველიებთ, რელიგიურ შემწყნარებლობაშიც, რადგან **შუა საუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობის ნიშნები, მისი აზრით, ჯერ კიდევ დარჩენილია დღევანდელ საზოგადოებაში.**

სხვადასხვა ვარიაციით ასეთი მიდგომა კიდევ რამდენჯერმე გამეორდა.

მეორე მიმართულების — არეალის გაფართოების აუცილებლობა — განსაკუთრებით გამოიკვეთა ცენტრალური აზიის ქვეყნების ლიდერთა სიტყვებში.

— ევროპის უშიშროებას საზღვრები არ აქვს, — განაცხადა უზბეკეთის პრეზიდენტმა **ისლამ კარიმოვმა**, — ამიტომ ეუთოს გავლენა უნდა გავრცელდეს ცენტრალური აზიის რეგიონზე. ნარკობიზნესს, საერთაშორისო ტერორიზმს, ადამიანთა უფლებების დარღვევას არ აქვს საზღვრები. მაგალითად თუნდაც ავღანეთი დავასახელოთ. 18-წლიანი ომის შემდეგ იგი იქცა ტერორიზმის ცენტრად და ნარკობიზნესის ბუდედ.

ამიტომაც ერთნაირად საშიში ავღანეთში მიმდინარე პროცესები, როგორც მეზობელი ქვეყნებისთვის, ისე ცენტრალური ევროპისთვისაც. ემბარგოს დაწესება ავღანეთში იარაღის შეტანაზე ისევე აუცილებელია აზიისთვის, როგორც ევროპისთვის. ცენტრალური აზიის ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოცხადება, ასევე, ყოველმხრივ სასარგებლო და საჭირო საქმედ მიიჩნია.

**ბორის შახმურადოვმაც**, თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეს აზრი გაიზიარა: ავღანეთის შტორმის ტალღები ევროპამდე აღწევს ნარკობიზნესის სულ უფრო მზარდი ოდენობით.

ამოუცნობი აღმოსავლეთი ევროპას უშიშროების პრობლემის მოგვარების თავის გასაღებს სთავაზობდა.

კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის აუცილებლობაზე ილაპარაკა **ბენიამინ ნეთანიაჰუმ**, ისრაელის პრემიერმინისტრმა, რომლის ასეთი რაკურსით გაცნობა რამდენადაც მოულოდნე-

ლი იყო (ერთგვარად მაინც, — წინასაარჩევნო კამპანიის გავლენით), იმდენად სასიამოვნოც და დამამშვიდებელიც.

არავინ დამარცხებულა, ყველამ მოიგო იმით, რომ მშვიდობა დამყარდა ევროპაში.

სხვათა შორის, „მშვიდობა ევროპაში“ ყველას კარგად ესმოდა, რომ ჯერჯერობით ომის შეწყვეტას ნიშნავს მხოლოდ (**ალია იზეტბეგოვიჩი**). დეიტონის ხელშეკრულება ძალიან მძიმედ რომ ხორციელდება, ამასაც რეალისტურად აფასებდნენ, მაგრამ გადამწყვეტი იყო ის, რომ ადამიანებში აღარ იხოცებია.

ეს იყო ყველასთვის უმთავრესი კრიტერიუმი სიტუაციის შეფასების დროს.

დავუბრუნდეთ ნეთანიაჰუს, რომელიც თავისი ქვეყნის მთავრობის სახელით გამოთქვამს მზადყოფნას, შეასრულოს საერთაშორისო გადანყვეტილებანი. — მაგრამ, — თქვა მან, — ეს არის ქუჩა ორმხრივი მოძრაობით, და ჩვენ და არაბულმა ქვეყნებმა ერთად უნდა განვახორციელოთ ისინი, ეს გადანყვეტილებანი.

— ჩვენ და არაბები, — განაგრძო ისრაელის პრემიერმა, — დიდხანს ვლაპარაკობდით მიზნებზე და არა მიზნის განხორციელების საშუალებებზე, მშვიდობა მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მოვიპოვოთ, ძალადობის გარეშე. საყოველთაო და სრული მშვიდობის მისაღწევად კონფლიქტის რეგიონის სრულად მოცვა და პრობლემათა მთლიანი კომპლექსის გადაჭრაა საჭირო.

სახელმწიფოს პოლიტიკის საფუძველი, მისი აზრით, უნდა იყოს: საერთაშორისო ნორმების უეჭველი დაცვა, ძალადობაზე უარის თქმა და მუდმივი დიალოგი. ისრაელი, განაცხადა მან, ამ მეთოდებს უნდა დაესესხოს ევროპას. მხოლოდ ასე შევძლებთ მშვიდობის დამყარებას ჩვენს რეგიონში.

**1996 წლის 11 დეკემბერი**

### **3. ახალი ჰელსინკი – ევროპის ახალი კონსტიტუცია**

— ჩვენი პრეზიდენტის სიტყვას რომ ვუსმენდი, არ დაგიმაღავთ, ვლელავდი. არა ყველასთვის გასაგები მიზეზისა გამო (რა თქმა უნდა, ესეც იყო), — თქვა მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, საერთაშორისო განყოფილების უფროსმა გელა ჩარკვიანმა,

— იმდენად უჩვეულო და არაბიუროკრატიული იყო, იმდენად მრავალპლანიანი, რომ ცოტა მეშინოდა კიდევ — გაიგებს კი ყველა იმ ახალი აზროვნების პლატფორმას, ნიუანსებს დღევანდელ ევროპასთან, დღევანდელი და ხვალინდელი მსოფლიოს მიმართ, რომელიც სულ 7-8 წუთიან სიტყვაში იყო აკუმულირებული (ასეთი რეგლამენტი განსაზღვრა სამიტმა).

არაორდინალური, ზუსტი და ტევადი იყო ანალოგია ცნობილ პორტუგალიელ ზღვაოსან ვასკო და გამასთან, ახალ გზებს რომ ეძებდა მსოფლიო ოკეანეში.

დღეს, ახალი საუკუნის შესაყართან მსოფლიო და, განსაკუთრებით მისი ერთი, ძალიან დიდი, პირდაპირ ვთქვათ, ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე, ეს სამყარო დგას ახალი იდეების ძიების აუცილებლობის წინაშე, ახალი ლოცია სჭირდება მის პერსპექტივას მომავალ საუკუნეში. დამთავრდა „ცივი ომი“, გაჩნდა ახალი რეალიები. ყველაფრის მიუხედავად, მაინც არის ახალი კონფრონტაციის საშიშროება და ა.შ. ამ ოკეანეში ახალი აზროვნების საფუძველზე შერჩეულ გეზს უნდა გაჰყვნენ ქვეყნები.

ახალი აზროვნება ერთ ეპოქას არ განეკუთვნება. მას არა მარტო მაშინ უნდა მოეხდინა რევოლუცია, როცა მოახდინა, — დაიშალა ბიპოლარული სამყარო, არამედ იგი, როგორც შემოქმედებითი პროცესი, გრძელდება და ახალ ეტაპზეც იგივე უნდა გააკეთოს.

როგორია ამ ახალი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანი?

პირველად კაცობრიობის ისტორიაში (და ნებისმიერმა თქვენმა მკითხველმა შეიძლება შეამოწმოს ჩემი ეს ნათქვამი) ასეთი უზარმაზარი რეგიონი — ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე — გახდა ერთი მსოფლმხედველობის სივრცე.

შეიძლება შემოგვედავონ, რომ ეს პროცესი ერთიანი და მონოლითური არ არის — ვთქვათ, ჰოლანდია, შეერთებული შტატები და ცენტრალური აზიის ქვეყნები ერთიანი მსოფლმხედველობის არ არის, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მთელი ეს სივრცე მიისწრაფვის ერთი და იმავე იდეალებისკენ. ლიბერალური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების იდეალებისკენ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველად ამხელა სივრცეს აქვს ერთი მსოფლმხედველობა.

უნდა ვისარგებლოთ თუ არა ამ უნიკალური მომენტით? რასაკვირველია, უნდა ვისარგებლოთ.

პრეზიდენტის სიტყვაში გამოკვეთილად არის მითითებული, რომ ძალთა ბალანსის კონცეფცია, რომელიც კარგა ხნის მანძილზე აღიარებული იყო, როგორც უშიშროების ერთადერთი გარანტია, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დღევანდელ ურთიერთობებს. კარგად იყო თქმული და დასაბუთებული, რომ ჩვენ ერთიანობით მივალნიეთ უშიშროებას და არა ძალთა ბალანსით.

რას ნიშნავს ძალთა ბალანსი? პრაქტიკულად იგი ნიშნავს, რომ კვლავ უნდა შევექმნათ ბლოკები და დაფუძირისპირდეთ ერთმანეთს, თუნდაც ძლიერი — ძლიერს. ძალთა ბალანსის თეორია პირველად მოხსენებული აქვს ჯერ კიდევ თუკიდიდეს, რომელიც თავისთავად რეალისტური თეორიაა: **თუ ერთ-ერთი სახელმწიფო მეტისმეტად ძლიერდება, სხვა სახელმწიფოების სისუსტის ფონზე, ეს აუცილებლად იწვევს ომს**, ამიტომ ამ ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება არის ძალთა ბალანსი. შემდეგ ეს თეორია სხვათა შრომებით უფრო განვითარდა, მაგრამ საფუძველი იგივე დარჩა, და დღეს იგი ცნობილია, როგორც ე.წ. რეალიზმის თეორია.

დღეს, პირველად მსოფლიოში, იქმნება ახალი სიტუაციები და ყალიბდება აზრი, რომ შეიძლება იგი არ იყოს ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი. მოდით, ვეძებოთ სხვა გზები.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვაში ბრწყინვალედ არის ნათქვამი, აგრეთვე, იმის თაობაზე, რომ **შეიძლება დღეს საჭიროა ახალი ჰელსინკი, რომელიც შექმნის ამ ახალი ევროპული სივრცის ძირითად კანონს, ანუ ოცდამეერთე საუკუნის ევროპის კონსტიტუციას. უშიშროების ახალი სისტემა აგებული იქნება ახალი აზროვნების პრინციპებზე.**

ბატონ ედუარდის ამ მოსაზრებას ახალი ჰელსინკის ქარტილის თაობაზე მხარი დაუჭირა უბზეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა, ყველა პრეზიდენტისა თუ მთავრობის ხელმძღვანელის სიტყვაში, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის შემდეგ გამოვიდნენ, ამა თუ იმ ასპექტში აირეკლა ეს ახალი იდეა.

გადაწყვეტილებას ახალი ჰელსინკის შესახებ, რასაკვირველია, დრო დასჭირდება.

— მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ახალი იდეის თესლი ნაყოფიერ ნიადაგზე დაეცა...

— რა თქმა უნდა, და ეს არის მთავარი. ამის გარეშე წარმოდგენილია დემოკრატიული სივრცის განვითარება. ამის საჭიროება არსებობს და იგი აუცილებლად განხორციელდება.

ეს არის შევარდნაძის გამოსვლის ცენტრალური თეზა.

მეორე, აგრეთვე, უმთავრესი საკითხი იყო საკითხი უშიშროების გარანტიის შესახებ.

უშიშროების მთავარი გარანტია არის ინტეგრაცია. ევროკავშირის განვითარება აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთისკენ იქნება არაკონფრონტაციული განვითარება და, მაშასადამე, ყველაზე საიმედო ფარი, როგორც გამოსვლაში ითქვა, ყველა ქვეყნისთვის უშიშროების ყველაზე ძლიერი გარანტია.

მუდმივი დისკუსიები, თუ რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს ალიანსები, მხოლოდ კონფრონტაციული ლაპარაკია. ამიტომ უმჯობესია, ვიფიქროთ ინტეგრაციაზე, მით უფრო, რომ ამის იდეოლოგიური საფუძველი უკვე არსებობს.

**— ედუარდ შევარდნაძის სიტყვაში იმდენი აზრია დატეული, რომ კიდევ და კიდევ შეიძლება ლაპარაკი...**

— მოკლე სიტყვაში არის მეტაფორები, ანალოგიები, ვიტყვოდი — პოეტური მუხტი, რომელიც ყველამ დააფასა. იუნესკოს წარმომადგენელმა მითხრა, რომ **ერთადერთი შევარდნაძე იყო, რომელმაც გაიხსენა კულტურული განზომილება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც ისეთი პრობლემის გადასაწყვეტად, როგორც არის უშიშროება.**

ეს მე შემთხვევით არ ვახსენე, რადგან ამ სამიტზე უშიშროება განიხილებოდა, როგორც კომპლექსური მოვლენა. ეს პოლისტური მიდგომა, რომელიც პრობლემის მთლიანობაში განხილვას გულისხმობს, ფიგურირებდა ლისაბონის სამიტზე განსხვავებით წინა პერიოდისგან, როცა უშიშროებას ძალთა ბალანსის, სამხედრო თვალსაზრისით უფრო უყურებდნენ.

უშიშროება ყველაფერს შეიცავს — ეკოლოგიას, ეკონომიკას, ადამიანის უფლებებს, კულტურას. ალბერტ გორმა თქვა, რომ მშვიდობა, უპირველეს ყოვლისა, არის მშვიდობა თავად საზოგადოებაში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ უნივერსალურ მშვიდობაზე.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ისიც, რომ სამიტის ფოკუსირება მოხდა კავკასიაზე, აქეთკენ კარგახანია მიდიოდა საქმე. ჩვენი დიპლომატია — ქართული, კავკასიური — დიდი ხა-

ნია ამაზე მუშაობს.

მაგრამ, როცა ეუთოს შვეიცარიელი თავმჯდომარე განაცხადებს, რომ მშვიდობა კავკასიაში ნიშნავს მშვიდობას ევროპაში, ეს უკვე არა მარტო აღიარებაა ჩვენი სიმართლის, არამედ ევროპის დიპლომატიური აზროვნების შემადგენელი ნაწილია.

ასე წამოიწია კავკასიის პრობლემა.

აქ თავისი როლი ითამაშა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა, რომელზეც აგრეთვე მოხდა ფოკუსირება.

თუ დააკვირდებით ცნებათა ნომენკლატურას, რომელიც ფიგურირებს სამიტის დოკუმენტებსა და ორატორების გამოსვლებში, ნახავთ, რომ მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებიც ქართულ დიპლომატიაში გაჩნდა, და, თუ უფრო ზუსტად ვიტყვი, ჩვენი პრეზიდენტის გამოსვლებში. თუნდაც აგრესიული სეპარატიზმი და ნაციონალიზმი, რომლის ბუნება და არსი პირველად ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განსაზღვრა, ის საშიშროება, რომელიც აქედან მომდინარეობს, რეგიონული და სუბრეგიონული უშიშროებისთვის ძალთა ინტეგრირების კონცეფცია და ბევრი სხვა.

ყოველი შეფასება არის სტიმული, ყოველი სტიმული იწვევს რეაქციას, ამიტომ ყოველი შეფასება აუცილებლად მოითხოვს რეაგირებას. როდესაც ეთნიკური წმენდა დოკუმენტში შეფასდა, როგორც ეთნიკური წმენდა, შემდეგი ნაბიჯი მისი აღკვეთა უნდა იყოს.

შეფასებები სულ უფრო და უფრო ზუსტი ხდება, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მივალწიეთ სრულ იდენტიფიკაციას, მაგრამ აქეთ-კენ მივდივართ.

დაბრკოლების მიზეზი არის ის ბიუროკრატიული ინერცია, კონსერვატიული პრინციპი ეუთოში, ამ უზარმაზარ ორგანიზაციაში, სადაც ყველა ქვეყანას თავისი ინტერესები აქვს და ერთიანობის მიღწევა მეტისმეტად ძნელი საქმეა, ყოველ შემთხვევაში, არაა იოლი ბიუროკრატიული თუ კერძო ინტერესების წინააღმდეგობის გადალახვა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ის ზუსტი შეფასებები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ჩაინერა დეკლარაციაში საქართველოს მიმართ.

მე მგონი, ძალიან საინტერესო იქნება, თუ ერთ წიგნად ავკინძავთ ყველა საერთაშორისო დოკუმენტს, რომლებიც საქართველოზე, კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტზე გამოქვეყნდა,

გაეროს უშიშროების საბჭოს პირველი რეზოლუციით დაწყებული დღემდე.

ეს დინამიკა საქართველოს დიპლომატიის უცილობელ წარმატებას დაადასტურებს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ შეფასებებს მოითხოვდა, და მიაღწია კიდეც მიზანს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. მე მგონი, რომ უფრო შორს წავალთ.

**— პრაგმატიკოსი მკითხველი შეგეკითხებოდათ, ბატონო გელა: — მერე რა პრაქტიკული შედეგი მოჰყვება ამას?**

— პრაგმატიკოს მკითხველს ვუპასუხებ: ვერ გეტყვით, რომ შედეგს დღესვე დაინახავთ, ამას ექნება კუმულატიური ეფექტი, ეფექტი თანდათან დაგროვებული მუხტისა, გაძლიერების კვალობაზე მას ის შედეგი მოჰყვება, რომელიც ლოგიკურად უნდა ჰქონდეს.

სხვაგვარად არ შეიძლება.

კონფლიქტების მოგვარების სხვა გზა არ არსებობს. მესმის უმძიმესი მდგომარეობა ასიათასობით ლტოლვილისა, რომელთაც (და ჩვენც) არ აკმაყოფილებთ ასეთი გახანგრძლივებული კონფლიქტი, მაგრამ ჩვენ, პოლიტიკოსებმა, ხომ უნდა ვიცოდეთ, და უნდა ვთქვათ კიდეც, რომ პრობლემა გადაწყვეტისკენ მიდის.

სახელმწიფოების ლიდერთა უფრო დიდი ფორუმი, ვიდრე ეუთოს სამიტია, არ არსებობს, ამიტომ აქ მოპოვებული ჩვენი გამარჯვების გადაჭარბებული შეფასება, უბრალოდ, შეუძლებელია.

**1996 წლის 12 დეკემბერი**

# 1997 წელი





# ქარაზანი მიღის, მიუსხლავად...

სტრატეგიული ურთიერთობა — ეს პოლიტიკური ტერმინი საქართველოს საგარეო ურთიერთობებში პრაქტიკულად მკვიდრდება.

ახალი ცნება არა მარტო ახალი ეტაპის მანიშნებელია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, არამედ თვისებრივად ახალი, XXI საუკუნისთვის გათვლილი ურთიერთობების დასაწყისია, რომელთაც საფუძვლად ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის — ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე — შექმნის პრინციპები უდევს საფუძვლად.

ეს პრინციპები ლისაბონის შარშანდელ სამიტზე მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე გამოიკვეთა, მომავლის სტრატეგიად ჩამოყალიბდა და მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა ქვეყნის ლიდერის მიერ არის აღიარებული.

დღეს უკვე ამ იდეების რეალიზაციაზე ვლაპარაკობთ, მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე, ტრანსნაციონალური, ტრანსრეგიონული ველის შექმნაზე, რომელიც ცხოვრების ახალი ნების, ახალი იდეების მატერიალიზებულ რეალობად უნდა ჩამოყალიბდეს.

ანუ ყალიბდება.

და ეს პროცესი საქართველოდან დაიწყო.

მომავალზეა საუბარი, დღევანდელ სადავ დღეებში ჩასახულ ხვალეზე. მიაქციეთ ამას ყურადღება.

რალაცას უნდა ნიშნავდეს, მგონი, ის ფაქტი (უფრო ზუსტად, მოვლენა), როცა ქვეყნების თვისებრივად ახალი თანაცხოვრების წესის სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი ბაზის მშენებლობა ერთი „პატარა, სამხრეთული ქვეყნიდან“ იწყება, საქართველოდან (თუ საქართველოს მიერ?).

და თუ გვინდა, მართალი ვიყოთ, უნდა ვთქვათ, — საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამ მრავალსვლიანი პოლიტიკური პერსპექტივის საერთაშორისო მნიშვნელობა უეჭველია. ისიც უეჭველია, რომ, საბოლოო ჯამში, მთავარი აქცენტი მაინც შიგნითაა მიმართული. ქვეყნის სრულ სუვერენიტეტზე, ჭეშმარიტ

თავისუფლებაზე, ნამდვილ დემოკრატიაზე კეთდება აქცენტი და, რა თქმა უნდა, ეკონომიკის კრიზისის დაძლევის გზით ძლიერი, აყვავებული საქართველოს შექმნაზე.

თბილისი-კიევი, თბილისი-ბაქო, საქართველოს პრეზიდენტის უკრაინასა და აზერბაიჯანში ვიზიტების დროს ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებები ორმხრივ სტრატეგიულ ურთიერთობათა სათავედ შეიძლება ჩაითვალოს, სტრატეგიად XXI საუკუნისთვის.

შეიძლება ვცდები, მაგრამ ის საზეიმო ატმოსფერო, ის ემოციური დატვირთვა, რომელიც ამ ვიზიტებს (განსაკუთრებით ბაქოში) ახასიათებდა, მხოლოდ გულწრფელი სტუმართმოყვარეობით, შეხვედრების ბრწყინვალე ორგანიზაციითა და ხალხის გულითადობით არ შეიძლება აიხსნას. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ, ასევე, იყო, შეიძლება ბოლომდე გაუცნობიერებელი, მაგრამ ხალხის უტყუარი ინტუიციით აღქმული და ატაცებული ახლის დასაწყისის შეგრძნება.

XXI საუკუნიდან დანახული დღევანდელობა.

ასე შეიძლება აიხსნას, მგონი, ბაქოს ფენომენი, იქაური განსაკუთრებული სიტუაციიდან გამოსვლის შემდეგ, დამშვიდებულ გონებაზე, ან არც მაინცდამაინც დამშვიდებულზე, რომლის შემჩნევაც ამ ნაწერიდან არ უნდა გაგიჭირდეთ.

ეს ძლიერი მუხტი თან ახლდა აზერბაიჯანის დედაქალაქში პრეზიდენტების „ხალხში გასვლასაც“ და სამუშაო შეხვედრებსაც, რომლებიც არც მთლად დახურულ, მაგრამ არც მოღია-ვებულ კარს მიღმა ეწყობოდა.

მძიმე სამუშაო, სადღელამისო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გადაუჭარბებლად.

ორივე მხარის მთავრობათა ხელმძღვანელები, მინისტრები, ექსპერტები ასეთ დღეებში მზის სინათლეს ვერ ხედავენ: მისხალ-მისხალ ინონება და იხვენება თითოეული დებულება, პუნქტი, წინადადება იმ მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებებისა, რომლებსაც შემდეგ საზეიმო ვითარებაში მოაწერენ ხელს.

მუშაობა, მუშაობა და კიდევ ერთხელ მუშაობა (სწავლისა არ იყოს).

ამ უზარმაზარი სამუშაო მანქანის შუაგულში — პრეზიდენტები, მათი პოზიცია და მითითებები.

ასეთ სიტუაციაში, მთავარი თემის გარდა, ყველაფერი გა-

ვინყდება, საკუთარი დაბადების დღეც. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დამემართა.

1997 წლის 18 თებერვალი. ბაქო. პრეზიდენტის სასახლე.

ამ დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციები პრეზიდენტების მეთაურობით ერთმანეთს შეხვდნენ და, როგორც წესი, დაწყება დაგვიანდა: ედუარდ შევარდნაძესთან სახელმწიფოთა მეთაურების პირისპირ შეხვედრების ქრონომეტრაჟი არასოდეს ეტევა ერთ საათში, მაგრამ პროგრამებში ყოველთვის წერენ მაინცდამაინც 60 წუთს: გოგა გორგილაძემ იცის, რომ ქრონომეტრაჟის გაზრდა დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევად ჩაითვლება.

არადა, ირღვევა პროგრამა. სისტემატურად, ყოველთვის.

დაგვიანდა-მეთქი დელეგაციების შეხვედრა, იმდენად დაგვიანდა, რომ დელეგაციის ზოგიერთმა წევრმა, სხვებზე ადრე დეპუტატმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, გორგილაძე ჯერ ერთხელ მოიკითხა, მერე — მეორედ და შემდეგ სულ მის ხსენებაში იყო არა მარტო პოეტი, არამედ სხვანიც, რომლებსაც სიტყვაკაზმულ მწერლობასთან საერთო არა ჰქონდათ რა, მაგრამ ენამზებოდნენ გორგილაძის თემაზე.

აბა, პრეზიდენტებზე ხომ არ იტყოდნენ?!

მაგრამ ყველა მოლოდინი მთავრდება.

დასრულდა ესეც.

ჰვიდარ ალიევი მიესალმა ედუარდ შევარდნაძეს, თავის მეგობარსა და კოლეგას:

— მადლობას მოგახსენებთ, რომ მიიღეთ ჩემი მოწვევა და ჩამოხვედით აზერბაიჯანში. გისურვებთ ნაყოფიერ სამუშაო დღეებსა და ჯანმრთელობას.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ადრეც ყოველთვის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა იყო.

დიდი სიამოვნებითა და სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ დღესაც ორივე ქვეყანა კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ერთი წლის წინათ მიწვეული ვიყავი თბილისში და მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თქვენს კეთილგანწყობაში აზერბაიჯანელი ხალხის მიმართ.

დიდი სიამოვნებით ვიხსენებ საქართველოში ჩემს ვიზიტს, როცა ჩვენ მივიღეთ დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ორი წლის განმავლობაში ვზრუნავდით იმისთვის, რათა განვითარებულიყო ეს ურთიერთობა. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ თქვენს ვიზიტს აზერბაიჯანში და იმედი გვაქვს, რომ ხელს მოვანერთ ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყნებს.

ცნობილია, რომ ჩვენი ხალხების ბედი ბევრად ჰგავს ერთმანეთს, ბევრი გვაქვს საერთო დღევანდელ ისტორიულ ეტაპზე, ბევრი ერთნაირი პრობლემაც უნდა გადავწყვიტოთ.

ამ პრობლემათა მოსაგვარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ერთობლივ სახელმწიფოებრივ მუშაობას, თქვენს ვიზიტსა და თქვენს იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც ყოველთვის გვეხმარებოდა სირთულეთა დაძლევაში.

**ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი გადაჭრა ერთობლივად უნდა შევძლოთ. დაკარგული ტერიტორიების გათავისუფლების საკითხი თქვენ და ჩვენ ერთნაირად გვანუხებს.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა დაწვრილებით ილაპარაკა მთიანი ყარაბაღის, ერთი მილიონი ლტოლვილისა და ქვეყნის ტერიტორიის დაკარგული 20 პროცენტის მიზეზით შექმნილ სირთულეებზე.

— ჩვენ ვიცით, — თქვა მან, — რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ორიენტირია ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრა, რასაც ვცდილობთ კიდევ, და რისთვისაც ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო კანონმდებლობით, საქართველოს გამოცდილებით.

— დღეს კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, — უთხრა ჰეიდარ ალიევმა საქართველოს პრეზიდენტს, — იმის გამო, რომ ლისაბონის სამიტზე თქვენ მხარი დაუჭირეთ ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას.

პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრებზე სიტუაცია, რა თქმა უნდა, საქმიანია, მაგრამ აქ თქმულ ყველა სიტყვას სხვა ფასი და წონა აქვს, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ეს არის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პოზიციის გამოხატვა პროტოკოლისგან ერთგვარად გათავისუფლებულ გარემოში, რასაც გარკვეულად კამერული გარემო განაპირობებს.

ასეთ სიტუაციაში აღმოჩენა ჟურნალისტისთვის ინფორმაციულ კლონდაიკში მოხვედრას ჰგავს, მაგრამ ვინ მოგახვედრებს? პრესის დასწრება ამ შემთხვევაში მაინცდამაინც სასურველი არ არის. და, თუ ხარ, არ ნიშნავს, რომ ვინმეს შენზე ამოსდის მზე და მთვარე, ბედნიერი შემთხვევაა, რომელიც ზოგჯერ ჟურნალისტსაც შეიძლება ჰქონდეს.

ამიტომ — ჩავინეროთ ყველაფერი, რადგან ყველაფერი ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია...

— თქვენო აღმატებულება, ძმაო და მეგობარო! — მიმართავს საქართველოს პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევის, — ჩემი დელეგაციისა და ჩემი სახელით გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ მოპატიუებისთვის. თქვენი მეშვეობით მინდა დიდი მადლობა გადავცე ყველა ბაქოელს იმ სასწაულებრივად თბილი შეხვედრისთვის, რომლის მონაცემსაც დღეს ყველა ჩვენგანი იყო.

ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრა, ბაქოს მოქალაქეთა განწყობილების დემონსტრაცია, საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ჩვენ, პრეზიდენტები, სწორი გზით მივდივართ, როცა საფუძველს ვუყრით ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობას.

— ჩვენ, — განაგრძობს ედუარდ შევარდნაძემ, — უძველესი სახელმწიფოები ვართ, უძველესი ისტორიითა და უმდიდრესი მემკვიდრეობით.

დრომ, განგებამ ისე იწევა, რომ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ამ ბოლო წლებში მოგვეპოვებინა. აზერბაიჯანმა და საქართველომ დიდი ტკივილები გადავიტანეთ, დიდი დანაკარგები განვიცადეთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. მოხდა ისე, რომ ორივე ქვეყანა ღრმა კრიზისსა და ნახევრადქაოსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დღეს უდიდესი სიამაყის გრძნობით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველო და აზერბაიჯანი გამოდიან კრიზისული სიტუაციიდან და წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობა.

საქართველოს პრეზიდენტმა აზერბაიჯანელი ხალხის ბედნიერებად მიიჩნია ის, რომ ყველაზე ძნელ და კრიზისულ მდგომარეობაში ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა იკისრა მსოფლიოში აღიარებულმა პოლიტიკოსმა, ქართველი ხალხისა და პირადად მისმა მეგობარმა ჰეიდარ ალიევმა, რომ დღეს,

როდესაც ტკივილებს ვიყუჩებთ და კრიზისიდან გამოვდივართ, ჩვენი ხალხების მეგობრულ და ძმურ დამოკიდებულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა, რომელიც დელეგაციათა შეხვედრას წინ უსწრებდა და ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, ედუარდ შევარდნაძემ შეაფასა, როგორც კონსტრუქციული, საინტერესო და უნიკალური.

— **პრეზიდენტების შეხვედრამ და საუბარმა დაამტკიცა, —** თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — **რომ უნდა ვიფიქროთ ახალ ეტაპზე, ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობაზე.**

ჩვენ უცებ არ მივსულვართ ამ ეტაპამდე. გავიხსენებ თქვენს ვიზიტს თბილისში, — მიმართა მან ჰეიდარ ალიევს, — რომელმაც განაპირობა ამ შეხვედრის წარმატება.

დღევანდელი და მომავალი თაობები მადლობას გვეტყვიან იმისთვის, რომ თბილისში ხელი მოვანერეთ დეკლარაციას „მშვიდობიანი კავკასიისთვის“ და შემდეგ ოთხი პრეზიდენტის კისლოვოდსკის განცხადებას.

დღეს ჩვენ ვისაუბრეთ კავკასიის ხალხების მიერ საუკუნოვანი მეგობრობის, ურთიერთკავშირების განვითარების, ურთიერთდახმარების გამოცდილებაზე.

მინდა, განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოგმართოთ თქვენ და ყველა კოლეგას, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებში უპირობოდ გვიჭერენ მხარს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

ბატონო პრეზიდენტო, — მიმართა მან ჰეიდარ ალიევს, — მინდა, დაგიდასტუროთ, რომ ისევე, როგორც თქვენ, ჩვენც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მომხრე ვართ და ამისთვის ვიღვნით.

რა ძნელიც გინდა იყოს ეს გზა, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ჩვენი სახელმწიფოები შეძლებენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ამის გარანტიაა ის საერთაშორისო ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომელიც ასე თვალნათლივ გამოიხატა ლისაბონის სამიტზე.

დღეს განვიხილეთ რეგიონული საკითხები, ორმხრივი პრობლემები, მდგომარეობა თანამეგობრობაში და საერთაშორისო

ვითარების აქტუალური პრობლემები.

სიხარულით მინდა ვაცნობო ჩვენს კოლეგებს, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, — რომ თითქმის ყველა ჩვენი პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა, ჩვენი ინტერესები აბსოლუტურად ურთიერთშესაბამისია.

არ შემიძლია, ბატონო პრეზიდენტო, არ შევასრულო ჩემი ხალხის ნება და თხოვნა და არ გადმოგცეთ გულწრფელი მადლობა კავკასიის დიდი ნავთობის ტრანზიტის ერთ-ერთ ვარიანტად საქართველოს აღიარებისთვის თქვენი მცდელობისა გამო.

გარწმუნებთ, რომ ეს იქნება სრულიად უსაფრთხო, დაცული, ძმობისა და მეგობრობის მაგისტრალი.

ერთხელ კიდევ დიდი მადლობა საოცარი სტუმართმოყვარეობისთვის, უდიდესი სითბოსთვის, რომელსაც ჩვენ აქ ვგრძნობთ.

**P.S.**

**ქვეყანა ქვეყანას ემსგავსება, ქვეყნის ქარავანი მიდის, მაგრამ ქარავნის გადაადგილება, როგორც აღმოსავლეთში ამბობენ, ყველაზე ნელ აქლემზეა დამოკიდებული, მით უფრო, თუ ხელოვნურად შექმნილ პრობლემებს აჰკიდებენ და დაუმძიმებენ ტვირთს.**

**მაგრამ ქარავანი მიდის, მიუხედავად...**

**1997 წლის 7 მარტი**

# მარტის თოვლზე დაყრილი თეთრი ფურცლები

დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების პრესკონფერენციაზე კრემლში, ტრადიციულ მე-14-გ კორპუსში ჟურნალისტების ელიტა შეიკრიბა (პრეზიდენტთა პრესკონფერენცია ამ ბოლო დროს ფრიად იშვიათი მოვლენაა), ნაცნობი სახეები მოსკოვიდან, ახალი და ტრადიციული დემოკრატების ქვეყნებიდან, ისინი, ვის აზრსაც ყოველთვის ყურადღებით ეკიდებიან საზღვრებით შემოუფარგლავ ინფორმაციულ სივრცეში, იზიარებენ ან არ იზიარებენ, მაგრამ ითვისებენ.

ივანე კოროტჩენიამ, დსთ აღმასრულებელმა მდივანმა, ამ შემთხვევაში პრესკონფერენციის წამყვანმა, ქართველ ჟურნალისტებს საშუალება არ მოგვცა, შევკითხოვოთ ჩვენს პრეზიდენტს, თუმცა, კოროტჩენიასავე ფორმულირებით, პრეზიდენტებისთვის თითო-თითო კითხვის დასმის უფლება ჩვენც გვეძლეოდა.

შევარდნაძეს ჰკითხა სხვამ, მოსკოველმა, და ესეც ბევრის მანიშნებელია: თავისი ქვეყნისთვის უაქტუალურეს პრობლემაზე კოლეგა-ჟურნალისტს მაინცა და მაინც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის აზრი აინტერესებს.

ამიტომ დავუგდოთ ყური.

— თქვენი მდიდარი დიპლომატიური გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ შეაფასებთ აღმოსავლეთით ნატოს გავრცელების პრობლემას, რომელზეც იყო, ალბათ, საუბარი სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე? — რადიოსადგურ „მაიაკის“ კორესპონდენტის ამ შეკითხვას ედუარდ შევარდნაძემ ასე უპასუხა:

— ეს საკითხი განვიხილეთ, მაგრამ იგი არ იყო ცენტრალური. ბორის ნიკოლოზის ძემ (ელცინმა) თავის პრინციპულ სიტყვაში ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ კლინტონთან შეხვედრაზე, სადაც ამ პრობლემას შეეხნენ, მაგრამ ეს საკითხი არ გამხდარა ჩვენი სპეციალური მსჯელობის საგანი. ასე რომ, ჩემი დიპლომატიური გამოცდილების გამოყენება საჭირო არ გამხდარა.

ჟურნალისტების რეაქცია მყისიერი იყო ედუარდ შევარდნაძის ამ ბოლო წინადადებაზე და სწორედ ეს პასუხი მიიჩნის მისი დიპლომატიური გამოცდილების მატერიალიზაციის სახიერ დადასტურებად.

პრესკონფერენციაზე მეტი არაფერი თქმულა დასავლეთთან ურთიერთობის შესახებ, არა იმიტომ, რომ ეს თემა განსაკუთრებით დელიკატურია და ყველა ქვეყანას მოძრაობის მიმართულების არჩევის თავისი უფლება აქვს (რასაც, სხვათა შორის, დსთ წესდებაც ითვალისწინებს), არამედ უფრო დელიკატური მიზეზისა გამო — რუსეთის პრეზიდენტის ჯერ კიდევ სუსტი ჯანმრთელობა — შეკითხვებიც და პასუხებიც მაქსიმალურად ლაპიდარული იყო.

ედუარდ შევარდნაძე შემდეგ იტყვის, რომ პრეზიდენტების დახურულ სხდომაზე მისი გამოსვლა ამ საკითხის მიმართ მწვავე იყო. მან იქ განაცხადა: ჭეშმარიტებაა, რომ, 5 ნელინადია, დსთ-ის წევრები ვართ, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ, 5 ნელინადია, თავისუფალი ქვეყნები ვართ, რომ თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა ამ ქვეყნების სრული უფლებაა.

**ამიტომ არის, რომ თვით რუსეთიც დასავლეთთან ურთიერთობის პოლიტიკას ირჩევს, დასავლეთთან ურთიერთობენ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებიც. მათ შორის, საქართველოც. დასავლეთი რომ არ ყოფილიყო, მისი ეკონომიკური, ფინანსური, ჰუმანიტარული დახმარების გარეშე, ჩვენ — დსთ წევრი ქვეყნები — ვერ გადავიტანდით შიმშილსა და ქაოსს, რომელშიც აღმოვჩნდით.**

**ამიტომ დასავლეთისკენ სწრაფვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განხილული, როგორც ალტერნატივა თანამეგობრობისა ან რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა.**

ამ თვალსაზრისით სავსებით ნორმალურია სტრატეგიული პარტნიორობის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით დადასტურება, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

და არა მარტო საქართველოსი.

— ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირების განვითარების აუცილებლობას ბევრმა პრეზიდენტმა გაუსვა ხაზი. თურქმენეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა — განსაკუთრებით, —

თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძე, როგორც მან განაცხადა, მწვავე „ჩხვლეტებს“ ელოდა ასეთი პოლიტიკის გამო, მაგრამ ასე არ მოხდა. მას მხარი დაუჭირეს.

\* \* \*

მოვლენებს ცოტა გავუსწარით.

გაგახსენებთ, რომ პრესკონფერენციაზე ვართ კრემლში და ველოდებით პრეზიდენტების შემოსვლას.

შემოდიან.

ბუნებრივია, ყველა ელცინს უყურებს, რათა საკუთარი შთაბეჭდილება შეიქმნას.

დავაკვირდეთ.

რუსეთის პრეზიდენტი საკმაოდ ჯანმრთელი და ენერგიული, მაგრამ ფერმკრთალი, შეფერთხილი და დამცხრალი ასლია ბორის ელცინისა. ის ვულკანური ენერგია, რომელიც მასში ყოველთვის ჩქეფდა, ახლა თითქოს შიგნით არის ჩაბრუნებული...

ამ ჩაბრუნებული ენერგიის ამოფრქვევას, გამჟღავნებას რაღაც დრო სჭირდება, ამიტომ რჩება შენელებული რეაქციის შთაბეჭდილება. ასეთია ერთი შეხედვით.

ბორის ელცინმა დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა ეს შეხვედრა თანამეგობრობის ბედისმიერ ეტაპად მიიჩნია, რომელმაც ალიანსის ხუთი წლის თავზე დაადასტურა, რომ დსთ დროის კარნახით შეიქმნა და შედგა კიდევ, არის და უნდა იყოს.

თუმცა, როგორც მან აღნიშნა, პრეზიდენტების დახურულ შეხვედრაზე გულახდილი და პრინციპული, კრიტიკული საუბარი გაიმართა დსთ-ის ნაკლოვანებათა შესახებ. ამ ხუთი წლის მანძილზე, — თქვა მან, — ასეთი გულახდილობა არ მახსოვს.

იგივე დაადასტურა უკვე თბილისის აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტმა:

— რასაც მე დავსწრებივარ, ასეთი კრიტიკული საუბარი არასოდეს ყოფილა. პრეზიდენტების კრიტიკა მიმართული იყო თანამეგობრობის არაეფექტიანობის წინააღმდეგ. ამ ქრილში ილაპარაკეს პრეზიდენტებმა: ნაზარბაევმა, კუჩმა და სხვებმა.

განსაკუთრებით კრიტიკული იყო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა და მის ამ პოზიციას დაეთანხმნენ.

— **პრეზიდენტი ელცინის კრიტიკის პათოსი საით იყო მიმართული?**

— მე მგონი, მან ანგარიში გაუწია პრეზიდენტების მწვავე და კრიტიკულ საჯარო გამოსვლებს, რომლებიც მოსკოვის სამიტის წინ იყო და სწორად გადანყვიტა, თვითონ ეთქვა თანამეგობრობის არაეფექტიანობის შესახებ.

ბორის ელცინის მოკლე გამოსვლა პრესკონფერენციაზე კრიტიკული იყო და კონსტრუქციული. იგი შეეხო ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას, მოძრაობის გაძლიერებას ერთმანეთისკენ, ორმხრივ და მრავალმხრივ კავშირებს, უნინარესად, ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ხაზი გაუსვა უკვე არსებულ ხელშეკრულებათა აუცილებლად ამოქმედების პრობლემას.

და, იქნებ, ყველაზე მთავარი დასკვნა: თანამეგობრობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ მის ფარგლებში იქნება კონფლიქტები. ეს არის კონფლიქტები აფხაზეთში, დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში... — ასე თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

როგორც იქნა! როგორც იქნა, პრობლემები და აქცენტები, რომლებიც არაერთხელ გამოუკვეთია თავის გამოსვლებში ედუარდ შევარდნაძეს, მთლიანად გაზიარებული აღმოჩნდა.

ეს უკვე იმედის მომცემია, იმის იმედის, რომ სიტყვასა და საქმეს, გადანყვიტებასა და მოქმედებას შორის შეუთავსებლობა, რაც აქამდე დსთ-ისა და რუსეთის მხრიდან კონფლიქტებისადმი დამოკიდებულებაში არსებობდა, ბოლოს და ბოლოს მოიხსნა.

ამ იმედის საფუძველი მარტო ლოგიკა არ არის. პრეზიდენტმა უჩჩამამ, რომელმაც მოსკოვის სამიტი დსთ-ის განვითარების ახალ ეტაპად მიიჩნია, პრესკონფერენციაზე განაცხადა: — ჩვენ მოვილაპარაკეთ მთავარზე — არა მარტო აღვნიშნოთ პრობლემები, არამედ გადავწყვიტოთ ისინი. რა არის ის თანამეგობრობა, რომელიც კონფლიქტებითაა არეული?!

და კიდევ ერთი.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღებული გადანყვიტებანი „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის შესახებ“ და „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განვითარების შესახებ“ თავისთავად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეტაპობრივად აღდგენის გზაზე, მაგრამ ჯერ მხოლოდ დო-

კუმენტებია.

ისინი უნდა ამოქმედდეს.

და სწორედ ამაზე ესაუბრა 29 მარტს საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს პირისპირ შეხვედრის დროს.

ყველასთვის ცხადია, რას ნიშნავს რუსეთის პრეზიდენტის, იმავე მთავარსარდლის სიტყვა რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებისთვის. ასეთი განკარგულების გაცემას დაჰპირდა ბორის ელცინი ედუარდ შევარდნაძეს, თუმცა იქვე გამოთქვა ერთგვარი შეშფოთება იმის გამო, რომ უშიშროების ზონის გაფართოებას არ მოჰყვებოდა გართულება.

ეს, ჩანს, სეპარატისტთა აგრესიული განცხადებების ერთგვარი გამოძახილია.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი იგორ როდიონოვი მზად არის სამიტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ყველანაირი საფუძველი არსებობს, დავასკვნათ, რომ არასოდეს ისე ახლოს არ ვყოფილვართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, როგორც დღეს.

მაგრამ ნებისმიერი სულსწრაფობა, მაქსიმალიზმი და ემოციებს აყოლა მხოლოდ ავნებს საქმეს.

**— თუ ამ გადაწყვეტილებებს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება, მაშინ დსთ გაკოტრებული აღმოჩნდება, — ეს ედუარდ შევარდნაძის სიტყვებია.**

# ისტორია გვასწავლის, როსა ერთად ვართ, ვიპაჩვებით

ბაქოში ვიზიტის ამაღლებულ მონუმენტურობას ერევანში ვიზიტის კამერული დახვეწილობა ჩაენაცვლა. არ გამოდგება აქ არც სასწორის პინაზე დადება გასარკვევად — რომელი გადანონის, რადგან ფორმათა განსხვავების მიღმა იყო ერთნაირი სიღრმე ისტორიული ფესვების, მასშტაბურობა ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივის, საფუძვლიანობა მოლაპარაკებების, გულითადობა, გულწრფელობა და ასე შემდეგ, რომელთა ჩამოთვლაც, ვითარების მრავალნაზნაგოვნობისა გამო, პროფესიონალ დიპლომატებს ხელენიფებათ მხოლოდ.

კინალამ ხელი გამექცა და, ძმობისა და მეგობრების დემონსტრაცია იყო-მეთქი, დავწერე.

თუმცა — იყო.

მაგრამ არ სჭირდება ამ კატეგორიებს განსაკუთრებული ხაზგასმა, რადგან ჩვენი ურთიერთობის ბუნებრივი მდგომარეობა არის იგი — ჩვენი ხალხების საარსებო გარემო.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე მჟღავნდებოდა ეს — ზვარტნოცის აეროპორტში დახვედრით დაწყებული და იმ საქმიანი შეხვედრებით დამთავრებული, რომლებიც ვიზიტის პროგრამით თუ პროგრამის გარეშე მრავლად იყო ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გარემოში.

ერევანში ხელმოწერილი სამთავრობოთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებათა პაკეტი საკმაოდ დიდი დიაპაზონისაა და ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების პრიორიტეტული მიმართულებების მომცველია.

მუშაობა ამ დოკუმენტებზე საკმაო ხანს მიმდინარეობდა, ჯერ ექსპერტების დონეზე, შემდეგ — მინისტრების; დასკვნით ეტაპს (უკვე ერევანში) სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეიკიშვილი და პრემიერმინისტრი რობერტ ქოჩარიანი ხელმძღვანელობდნენ.

მათვე მოახსენეს პრეზიდენტებს 3 მაისს დასკვნით სხდომაზე, რომ ყველა საკითხი დელეგაციათა შორის შეჯერებულია

და შეთანხმებული.

— ახლა ჩვენი ამოცანაა, — თქვა სომხეთის პრემიერმინისტრმა რობერტ ქოჩარიანმა, — რომ ეს შეთანხმებები ქალაღზე არ დარჩეს. გვაქვს კარგი განწყობილება და დიდი სურვილი, ვიმუშაოთ ისე, რომ პრეზიდენტებს ბევრი საკითხი გადასაჭრელად არ დავუტოვოთ.

მოსაწონი ინიციატივაა, მაგრამ:

— მაშასადამე, პრეზიდენტები აღარც ვყოფილვართ საჭირო, — ჩაურთო ლევონ ტერ-პეტროსიანმა.

— დავრჩეთ მაშინ საპატიო პრეზიდენტებად, — ედუარდ შევარდნაძის რეპლიკა. და მცირე ყოვნის შემდეგ: — ეს დროც მალე დადგება...

ასეთი განმუხტვის შემდეგ პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ, მათი „იგნორირების“ მიუხედავად, მაინც უნდა შეეხიდონ პრემიერებს და შეუმსუბუქონ სამუშაო. საქმეს ასე წაადგება.

— მეც მიმაჩნია, — თქვა ამ შეხვედრის დროს ედუარდ შევარდნაძემ, — რომ დღეიდან უფრო მეტად უნდა ვიშრომოთ, მეტი მონდომებით ვიმუშაოთ და კონკრეტულ საქმეებს მოვკიდოთ ხელი. დეკლარაციულად ყველაფერი ნათელია, ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტები განსაზღვრულია, ახლა კონკრეტული საქმეებით მათი დატვირთვა დგება დღის წესრიგში. ამის ტრადიციაც გვაქვს და მომავალიც იმედიანი ჩანს.

...წუხანდელ სიზმარს ჩურჩულებდნენ გაზაფხულის მზისგან გაღვიძებული ჩრდილები და გამთენიისას გადავლილი წვიმის წვეთებს სიცოცხლის სანყისივით ისრუტავდა არარატის ველზე ამონვერილი ლორთქო ბალახი.

ერევნის შესასვლელთან, მორიგი აღმართის კოფოზე თავის ტკივილივით ეყარა ჟანგიანი ლოდები, როგორც ისტორიის მოცვეთილი კბილები.

აქედან ქვევით — „თემურ ლენგის დასაპყრობი სივრცე“, რომელიც „წარსულისა და დღევანდელის რეალურ აღქმას შლის... მიდიხარ და გრძნობ, რომ ჯიბეში გიდევეს ბარათი ტამერლანთან ხმობის“ (ოსიპ მანდელშტამი, „აშუტარაკი“).

სივრცე — უსასრულო მოცულობა მინასა და ცას შორის, რომლის სახურავზე ჩამომჯდარი სავაოფი რეზო გაბრიაძის მარიონეტებივით სამყაროს რიტმში ატრიალებს სამხედრო ვერტიკალურ ერევნის თავზე: პრეზიდენტების უსაფრთხოების

დაცვის შემადგენელ ატრიბუტს.

ეს გაბრუნებს რეალობაში, მით უფრო, რომ ჯიბეში გიდევეს მოსანვევი ბარათი — საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად სასტუმრო „არმენიაში“ გამართულ სადილზე.

შევიდეთ.

ხომ ვამბობთ, რომ ქართული სუფრა აკადემიაა? ასეა. თუ ასეა, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ოფიციალური სადილები, რომლებიც უმაღლესი რანგის ვიზიტების დროს სახელმწიფო-თა მეთაურების პატივსაცემად იმართება, დიპლომატიური აკადემიაა. ამის დასადასტურებლად ედუარდ შევარდნაძის აქ წარმოთქმულ სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ, პირველწყაროსთან მაქსიმალურად მიახლოებულს. მხოლოდ მაქსიმალურად მიახლოებულს, წერილობითი დოკუმენტის არარსებობის გამო: პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეს სიტყვა ექსპრომტად წარმოთქვა:

— გულითადად მოგესალმებით და დიდ მადლობას მოგახსენებთ მოძმე სომხეთში, თქვენს შესანიშნავ დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად მონვევისთვის.

მადლობა მინდა გითხრათ საოცრად თბილი, მეგობრული განწყობილებისთვის, რომლითაც ჩვენს დელეგაციას იღებთ.

დღეს სხვადასხვა შეხვედრაზე იყო თქმული, რომ უმაღლესი დონის ვიზიტები არსებითად ისტორიულია. მართლაც საეტაპო იყო, ბატონო ლევონ, თქვენი სტუმრობა საქართველოში. ბევრი ხატოვანი, ფრთიანი გამოთქმა, რომლებიც თქვენ ადამიანებთან — ქართველებთან, სომხებთან, სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მაშინ წარმოთქვით, ჩვენმა მოქალაქეებმა დაიხსომეს, და არა მხოლოდ დაიხსომეს, არამედ დიდად მადლობელი არიან თქვენი ამ გონიერი, ბრძნული სიტყვებისთვის.

(ედუარდ შევარდნაძეს, უნინარეს ყოვლისა, მხედველობაში ჰქონდა, ფორმულის სახით ჩამოყალიბებული ტერ-პეტროსიანის დებულება: ის სომეხი, რომელიც საქართველოს უმტრობს, სომხეთის მტერია. — ა.ს.).

— თქვენ განაცხადეთ, — მიმართა ედუარდ შევარდნაძემ სომხეთის პრეზიდენტს, — რომ ჩვენ ვიმყოფებით დემოკრატიული ქვეყნების მშენებლობის ურთულეს ეტაპზე.

თქვენ გაიხსენეთ ამ საუკუნის პირველი წლები. კარგია, რომ

გვახსოვს წარსულის გაკვეთილები, რომლებიც გვიკარნახებს — როცა ერთად ვართ, ვიმარჯვებთ. თუ ჩვენ რამე შეგვეშლება და აგვერევა, ეს ვნებს ქართველ ხალხსაც და სომეხ ხალხსაც.

დარწმუნებული ვარ, იგივე შეიძლება ვთქვათ კავკასიის ყველა ხალხის მიმართაც.

დადგება დრო, როდესაც მრავალტანჯული კავკასიის მიწაზე მშვიდობა დაისადგურებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა და განსაკუთრებული ურთიერთობა კავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და მისი აყვავების გადამწყვეტი ფაქტორი გახდება...

ამ რთულ ეტაპზე ჩვენი სახელმწიფოების მოღვაწეობის არსს საერთაშორისო ასპარეზზეც და რეგიონული მასშტაბითაც მომავალი თაობები სათანადოდ შეაფასებენ. ვფიქრობ, რომ ჩვენ ღირსეულად ვიცავთ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესებს.

დიდად მიემედება რეგიონული თანამშრომლობისა. არ უნდა გვეშინოდეს ამ სიტყვის. არიან ადამიანები, რომლებიც რეგიონულ თანამშრომლობაში რაღაც საშიშროებას ხედავენ გარკვეული ქვეყნებისა და სახელმწიფოებისთვის.

მიმაჩნია, რომ რეგიონული თანამშრომლობა დროის მოთხოვნაა. თვით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა არის რეგიონული ორგანიზაცია, ისევე, როგორც ჩვენი თანამშრომლობა შავი ზღვის სახელმწიფოთა ალიანსის ფარგლებში.

მჯერა, რომ კონფლიქტებს მოვანესრიგებთ. მე და თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, დღეს დანვრილებით ვისაუბრეთ ამ თემაზე და ახლაც მოგმართავთ თხოვნით: სომხეთს ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია აფხაზეთში კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. ამით დაინტერესებულია არა მარტო საქართველო, არამედ რუსეთიც, დაინტერესებულია სომხეთიც და აზერბაიჯანიც, ამიერკავკასიის ხალხები, ჩვენი სხვა მეზობლები.

ჩემმა მეგობარმა, ჩვენი პარლამენტის წარმომადგენელმა შულაროვმა დღეს, პარლამენტში შეხვედრის დროს, განაცხადა, რომ მას აღიზიანებს გამოთქმა „ეროვნული უმცირესობანი“.

დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როდესაც ასეთ გამოთქმას აღარავინ იხმარს, რადგან საქართველოს ყველა მოქალაქე, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი თანასწორია. ვიცი, რომ სომხებიც ასევე არიან განწყობილი.

მათი სახელითაც და დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს მოქალაქეთა სახელით მადლობას მოგახსენებთ ყველა თქვენგანს, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო.

ედუარდ შევარდნაძემ უაღრესად მაღალი შეფასება მისცა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომლის მიმართაც უღრმესი პატივისცემით არის განმსჭვალული. მან ძალიან მოკლე დროში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა თანამეგობრობაშიც, ევროპაშიც და მსოფლიოშიც. ორიგინალური, კოლორიტული პიროვნებაა და გაბედული პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა ლევონ ტერ-პეტროსიანის სიტყვების მნიშვნელობა რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების წინ, მოსკოვში თქმული, რომ ელცინის აურჩევლობა დსთ-ის დასასრულს ნიშნავს.

საქართველოს პრეზიდენტმა აყვავება უსურვა მოძმე სომხეთს, წარმატებები — სომეხ ხალხს და პირადად პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანს.

\* \* \*

ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა: პირველი — იმას, ვინც ყვებოდა, მეორე — იმას, ვინც ისმენდა, მესამე — იმას, ვინც გაიგო.

ასე ამთავრებდნენ ხოლმე თხრობას სომხეთში სახალხო მთქმელები.

ისმენდე და გაიგებდე...

1997 წლის 8 მაისი

## როში 18 საუკუნის შიდა

იტალიაში ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თვითმფრინავში ინტერვიუ მისცა ქართველ ჟურნალისტებს.

განწყობილება ყველას ამაღლებული აქვს: ისტორიული მოვლენის მონმე გახდა ყველა.

ისტორიულობით გაიჟღინთა ატმოსფერო.

18 საუკუნის წინათ: „...ანტონიუს პიუსის (138-161 წწ.) მეფობის დროს ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის გაუმჯობესდა... ფარსმან II ოჯახითა და იბერ დიდებულთა თანხლებით ეწვია რომს, სადაც იბერთა პატივსაცემად დაიდგა ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება“, რადგან მოიხიბლნენ გონიერებითა და მხედრული სიკისკასით იბერთა წინამძღოლისა და მიაგეს საკადრისი პატივი ამიტომაც.

18 საუკუნის შემდეგ: ათასრვაასწლიანი პაუზის შემდეგ პირველად საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი ჩადის რომში...

ეს იყო მსოფლიო რეზონანსის მქონე მოვლენა, — ასე შეაფასებს იტალიური პრესა ამ ფაქტს.

ასეთი ისტორიული პარალელები ბადებს შეკითხვას:

— რა განწყობით ბრუნდებოდა ფარსმან II სამშობლოში, მიახლოების ანალოგიით შეიძლება გავიგოთ, თუ დღეს გვიპასუხებით ვიზიტის შემდგომ თქვენს განწყობილებაზე, ბატონო ედუარდ?

— ჩვენ ახლა ხშირად ვხმარობთ გამოთქმებს: „ისტორიული ვიზიტი“, „ისტორიული მისია“... ფაქტობრივად, ასეც არის: ახალი სახელმწიფოსთვის ახალი ურთიერთობების აწყობა, განსაკუთრებით, დიდ ქვეყნებთან, მართლაც დიდი მოვლენაა.

სასიხარულოა, რომ ეს ვიზიტი მართლაც დატვირთული იყო თავისი შედეგებით, დოკუმენტებით, რომლებიც გაფორმდა. მგონი, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ორი დეკლარაცია მივიღეთ.

ვთხოვ პრესას, ტელევიზიას, მიაქციონ ყურადღება იმას, როგორი არაფორმალურია პოლიტიკური დეკლარაცია, საქართველოს სათანადო მხარდაჭერის გამოხატვით და, ასევე, ძალი-

ან მნიშვნელოვანია დეკლარაცია ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ძალზე საინტერესოა ხელშეკრულება ინვესტიციების შესახებ: მანქანათმშენებლობა, კულტურა, მეცნიერება, ტურიზმი, თითქმის ყველა დარგია მოცული.

იტალიის პრემიერმინისტრის მიღებაზე ვთქვი, რომ ქართველები ალლოიანი ხალხი ვართ. 18 საუკუნის წინათ იცოდა ჩვენმა წინაპარმა, რომ ყველა გზა რომისკენ მიდის. ჩვენც დღეს დავუბრუნდით ამ ჭეშმარიტებას და მოვუნოდებთ ხალხებს, რომლებსაც დავინყებულები აქვთ იგი, რაც შეიძლება სწრაფად მიბადონ ჩვენს მაგალითს...

**— ევროკავშირთან და ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იტალიის პრემიერმინისტრმა რომანო პროდიმ მაგალითად დაასახელა ფაქტი ნატოს მისიის დასაპონსორების შესახებ.**

— უწინარეს ყოვლისა, ისინი მიესალმებიან ევროპაში ინტეგრირების პროცესს. იგულისხმება ეკონომიკური ინტეგრაცია, აგრეთვე, ყველა სხვა სახის დაახლოება ევროპასთან.

ნატოს იტალიასთან გამორჩეული ურთიერთობა აქვს. მას მიაჩნია, რომ ნატომ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს უსაფრთხოების საქმეში. თუ მიაქციეთ ყურადღება, მე გამოვკვეთე კიდევ იტალიის როლი ევროპული უსაფრთხოების ე.წ. სამხრეთ სარტყელის ფორმირებაში. მხედველობაში მქონდა იტალიის აქტიური როლი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (უკვე 14 თუ 15 ქვეყანა შეუერთდა მის წამოწყებას); იტალიის უნიკალური ინიციატივები ხმელთაშუა ზღვის აუზში ესპანეთთან და სხვა ქვეყნებთან ერთად, ე.წ. ბარსელონის ინიციატივები და იტალიელთა ძალიან გაბედული მოქმედება ალბანეთში. მართალია, ეს უკანასკნელი ეუთოს ეგიდით განხორციელდა, მაგრამ ძირითადი სიმძიმე ალბანეთის სამოქალაქო ომისგან და მასობრივი სისხლისღვრისგან გადასარჩენად იტალიელებმა თავად იკისრეს.

მიმაჩნია, რომ იტალია დღეს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა ევროპის უსაფრთხოებისთვის, ეკონომიკური, ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის და, საერთოდ, მშვიდობისთვის ბრძოლაში.

ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა იტალიის პრემი-

ერმინისტრმა სტუდენტებთან შეხვედრის დროს. პრემიერი თავისთავად ძალიან ჭკვიანი და საინტერესო პიროვნებაა. მან თქვა, რომ იტალია თანამედროვეობის ერთ-ერთი გიგანტია, სამრეწველო და ეკონომიკური გიგანტი, მაგრამ პოლიტიკურად (არ მინდა, ის სიტყვა გავიმეორო, რომელიც მან აქ იხმარა, რადგან შეურაცხყოფელია), ტაქტიკურად თუ ვიტყვი, ძალიან ინერტულია, ეს უნდა დავძლიოთო.

მიმაჩნია, რომ იტალიას მართლაც შეუძლია, განსაკუთრებული როლი შეასრულოს. იგი მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა თავისი ფინანსური, სამრეწველო, საერთო ეკონომიკური პოტენციალით, ქვეყანა მრავალრიცხოვანია — მოსახლეობა 60 მილიონს აღწევს. ჰყავს შესანიშნავი პოლიტიკოსები, მოაზროვნეები.

ჩვენი ვიზიტის ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა ეკონომიკური ასპექტები, რომლებიც, როგორც გითხარით, დეკლარაციის დონემდეა აყვანილი, მაგრამ არა მარტო დეკლარირებულია, არამედ კონკრეტული შეთანხმებებით არის გამოხატული.

შემიძლია გითხრათ, რომ შემოდგომისთვის გვაქვს გარანტია, რომ ისევე, როგორც გერმანია, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, იტალიის მთავრობაც დააზღვევს ინვესტიციებს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

თქვენ იცით და ეს თქვენს გადაცემებსა და პუბლიკაციებში გამოჩნდა, ამერიკის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკის როგორ გიგანტებთან მქონდა ახლახან შეხვედრები. მათ აინტერესებთ ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა, სხვა დარგები. მაგრამ მათი მოძრაობა ჩვენკენ დიდად იქნება დამოკიდებული სწორედ იტალიის მთავრობის მზადყოფნასთან, რისკთან — დააზღვიოს ეს ინვესტიციები.

მოვილაპარაკეთ იმაზეც, რომ თბილისში გაიმართოს იტალიის პროდუქციის დიდი გამოფენა, რომელიც ორჯერ და მეტად გადააჭარბებს ჩვენში ერთხელ უკვე გამართულს. შევთანხმდით იმაზეც, რომ ამ გამოფენის დროს იტალიის მსხვილი, საშუალო, მცირე ბიზნესის 150-200 წარმომადგენელი ჩამოვა თბილისში. მათთან შეხვედრა მიიღებს კონფერენციის, ბიზნესფორუმის ხასიათს, რომელზეც განვიხილავთ პრობლემებს, მოვამზადებთ და ხელს მოვანერთ კონკრეტულ კონტრაქტებს.

ალარ გავაგრძელებ ისეთ სფეროებზე საუბარს, როგორც

არის კულტურა, სპორტი, ტურიზმი.

დღეს ჩემთან მოვიდნენ ტურიზმის დარგში მომუშავე ბიზნეს-მენები, რომელთაც ჩვენთან ურთიერთობის დაწყების ინტერესი აქვთ.

თქვენ ნახეთ, იტალიაში იმდენი ტურისტია, რომ ლამის ადგილობრივ მოსახლეობას სჭარბობს — ამერიკელები, გერმანელები, იაპონელები, მთელი მსოფლიო. უნიკალური გამოცდილება აქვთ და უზარმაზარი შემოსავალი.

იტალიასთან თანამშრომლობა ჩვენ უდავოდ გაგვამდიდრებს.

**— შეხვედრების ატმოსფეროს შესახებ?**

— ატმოსფეროს შესახებ, ალბათ, თქვენ დანერთ. მაგრამ ყალბი თავმდაბლობის გარეშე თუ ვიტყვი, სხვადასხვა ქვეყანაში მოგ ზაურობისას ვხედავ, ამჯერად რომშიც დავრწმუნდი, რომ, თურმე, არ ვარ ჩამონერილი, არ დავვინწყებივარ ადამიანებს. უწინარეს ყოვლისა, ყველაფერი ეს მსიამოვნებს იმიტომ, რომ რაღაც ფორმით, რაღაც სახითა და დოზით ჩემს ქვეყანას ნაადგება.

ამას გამოხატავენ ხელმძღვანელებიც, რიგითი მოქალაქეებიც...

**— რომის პაპთან შეხვედრის შესახებ, თუ შეიძლება...**

— სამწუხაროდ, ჩვენი დელეგაცია აქ ფართოდ არ იყო წარმოდგენილი.

იოანე პავლე II ცოტა სიტყვაძუნნი გამხდარა — ფიზიკურად ძლიერად ვერ არის, მაგრამ ძალიან სალად აზროვნებს, საოცრად სალად და ყველაფერი, რაც თქვა, საყურადღებოა.

მის საქმიანობაში ამ ბოლო დროს (მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, ის მაინც მოგზაურობს — იყო იუგოსლავიის კონფლიქტურ რეგიონში, იყო ლიბანში) გამოიკვეთა რელიგიათა შორის თანამშრომლობის, რელიგიათა შემწყნარებლობის, ამ ისტორიული საქმისთვის ხელშეწყობის ფუნქცია. ჩანს, მან ითავა ეს დიდი საქმე.

მას აქვს (მიაქციეთ ყურადღება) ერთი საოცრად საინტერესო გამონათქვამი (მე კიდევ ვუთხარი, რომ იგი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა-მეთქი მისი მრავალი ბრძნული გამონათქვამიდან), რომ დემოკრატია, ეთიკური საფუძვლის გარეშე, ანარქიული ეგოიზმია. საოცრად მიგნებული, ხატოვანი და

ბრძნული აზრია. ეს მას ცხოვრებამ ასწავლა.

მიმაჩნია, რომ მან მართლაც უნიკალური როლი შეასრულა ადამიანის, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა აზროვნების მარწმუნებისა და ბორკილებისაგან გათავისუფლებაში. ამის შესახებ კიდევ ვთქვი ვატიკანის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ზოგიერთ თქვენგანს ახსოვს ის პერიოდი, როდესაც რომის პაპის ხსენება საბჭოთა კავშირში აძაგდაგებდათ ხოლმე, იმდენად შეურიგებელი იყვნენ მისდამი.

ისე მოხდა, რომ დღეს მისი წინასწარმეტყველებები გამართლდა.

**— თუ ჩამოვა საქართველოში?**

— მე არ შემითავაზებია, თვითონ თქვა.

მან გაიხსენა უწმინდესისა და უნეტარესის — ილია II-ის მასთან სტუმრობა, სახელით მოიხსენია: ჩემთან იყო ილია და კარგი შეხვედრა გვქონდაო. გაიხსენა შეხვედრა ყოველთა სომეხთა კათალიკოსთან და განმიცხადა, რომ მიმინვიაო სომხეთში.

წინასწარ არ მომითათბირებია უწმინდესთან და უნეტარესთან, — მოვიწვიოთ თუ არა. მართალია, იოანე პავლე II ვატიკანის მეთაურიც არის, ვატიკანის სახელმწიფოსი, მაგრამ იგი, უწინარეს ყოვლისა, სასულიერო მოღვაწეა, ამიტომ უწმინდესის ლოცვა-კურთხევის მიუღებლად ვერ გავკადნიერდი, მომენვია იგი. მდგომარეობიდან გამოსავალი ვიპოვე იმით, რომ ვუთხარი — თქვენ უნდა ჩამოხვიდეთ კავკასიაში, არა მარტო სომხეთში, არა მარტო საქართველოში, არამედ აზერბაიჯანშიც. და, თუ გაქვთ სურვილი, ჩამობრძანდეთ კავკასიაში და გააგრძელოთ თქვენი დიდი მისია, ჩვენ, სამი პრეზიდენტი, მოვილაპარაკებთ, შემდეგ ჩვენს სულიერ ლიდერებს დავეუკავშირდებით, იმათ მოველაპარაკებთ და ასე მივალთ საბოლოო გადწყვეტილებამდე.

დარწმუნებული ვარ, რომ რომის პაპი კავკასიას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამიტომ, მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, იგი შეიძლება კიდევ ჩამოვიდეს. როდის? რამდენი ხნით? ეს ცალკე საკითხებია.

იტალიაში ვიზიტის სხვა საკითხებიდან კიდევ ერთზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ეს არის სამხედრო ხელშეკრულება, ხელშეკრულება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შე-

სახებ. იტალიის პრეზიდენტთან საუბრის დროს გადავწყვიტეთ, ამ ხელშეკრულებას უმაღლეს დონეზე მოვანეროთ ხელი.

ასეთი რამ სახელმწიფოთა შორის ნდობის ფაქტორის უმაღლესი გამოხატულებაა. დოკუმენტს ხელი მოვანერეთ იტალიის პრემიერმინისტრმა და მე.

ვერ გეტყვით, სასწაულს მოახდენს, მაგრამ ვნახოთ...

პრემიერმინისტრთან სადილის დროს იტალიის თავდაცვის მინისტრმა ბენიამინ ანდრეოტიმ მითხრა, დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი საქართველოშიო. ცოტა მოგვიანებით, როცა უკვე ვიშლებოდით, ხუმრობით ვუთხარი: — ბევრი არ დაგჭირდებათ, 15-20 დიდი ხომალდი ჩამოგვიტანეთ და გელოდებითმეთქი (*იცინის*). გაასავსავა ხელები — ოლონდ მაგას ნუ მთხოვთო!..

მთავარი ის არის, რომ იტალია-საქართველოს თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა და უფრო მეტი ინიციატივა მათგან იყო.

საერთოდ კავკასიისადმი ინტერესი ძალიან დიდია.

იტალიის უმსხვილესი ფირმები უკვე შემოვიდნენ კასპიის ზღვაში, განსაკუთრებით, ყაზახეთის ტერიტორიულ წყლებში — ყაზახეთის ნავთობსა და გაზზე მუშაობენ და შესანიშნავად იციან, რომ, თუ ერთადერთი არა, ამ სიმდიდრის გამოსატანი ერთ-ერთი მარშრუტი საქართველოზე გადის.

**— გაეროს როლის ამალღების, მსოფლიო თანამეგობრობაში მცირე ქვეყნების მნიშვნელობის გაზრდით ახალი წინადადებები ხომ არ ნიშნავს მეორე რეალურ შანსს, რომელიც ეძლევა მსოფლიოს ქვეყნებს მას შემდეგ, რაც მათ მსოფლიოს გარდაქმნის პირველი შანსი, რომელიც „ცივი ომის“ დამთავრებით შეიქმნა, ვერ გამოიყენეს?**

**და, საერთოდ, იმ შეფასებებს თუ დავეყრდნობით, რომლებიც ამ ვიზიტს ჰქონდა უცხოეთში, იგი ორი ქვეყნის ურთიერთობით არ იფარგლება და საერთაშორისო პერსპექტივით განიზომება.**

— კარგია, რომ ნამოჭერით საკითხი გაეროს შესახებ.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და პრემიერმინისტრმა, სხვებმაც შემახსენეს მათი ინიციატივა გაეროს რეორგანიზაციის შესახებ.

ისინი არ იზიარებენ აზრს, რომ გაიზარდოს გაეროს უშიშრო-

ების საბჭოს მუდმივი წევრების რაოდენობა.

თუ გახსოვთ, 1992 წელს მე შევიტანე წინადადება, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს დაემატოს გერმანია და იაპონია. გერმანელებთან და იაპონელებთან ამით ძალიან ვტრიაბახობ... იტალიელებს კი მიაჩნიათ, რომ უნდა გაიზარდოს არამუდმივი წევრების რაოდენობა, შესაბამისად, გაიზარდოს მათი სტატუსიც, რასაც უნდა მოჰყვეს საერთო პასუხისმგებლობის გაძლიერება გაეროში.

როცა პრემიერმინისტრმა ეს საკითხი წამოჭრა, ვუთხარი, რომ უნდა ვალიარო ჩემი დიდი ცოდვა თქვენ წინაშე, ერთ-ერთი ინიციატორი მუდმივი წევრების რაოდენობის გაზრდისა მე გახლდით, მაგრამ მაშინ იტალიასთან ასე ახლოს არ ვიყავი მეთქი (იციინის). ახლა გადავხედავთ ჩვენს პოზიციას...

იტალიელები ძალიან მგრძნობიარენი არიან პატარა ქვეყნების მიმართ, ხაზგასმულად მგრძნობიარენი.

ჩვენ საერთო აზრი გვაქვს, რომ პატარა და საშუალო ქვეყნებს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ საკაცობრიო უსაფრთხოების პრინციპების შემუშავებაში და გარანტიების შექმნაში.

### — გაეროსთან სასამართლოს შექმნის შესახებაც იყო საუბარი...

— სასამართლო იტალიელების უნიკალური ინიციატივაა. მე ყველა დონეზე, საჯარო გამოსვლებში, პრესკონფერენციაზეც განვაცხადე, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური წინადადება და მისი რეალიზაციის დაბრკოლება დანაშაულია. ლაპარაკია უშიშროების საბჭოს ტრიბუნალზე, რომელმაც უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებები კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა შესახებ. ეს ის არის, რაზეც ამდენი ხანია ვლაპარაკობთ, მაგრამ, ჩანს, ჩვენი ხმა ისეთი მძლავრი არ არის, როგორც იტალიელების.

სასიხარულოა, რომ ჩვენ და იტალიელები ერთ პოზიციაზე ვდგავართ.

საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელთა შრომას ვიზიტის მომზადებასა და ჩატარებაში, ასევე, მინისტრების საქმიანობას, რომლებმაც კარგი კონტაქტები დაამყარეს თავიანთ კოლეგებთან. ამასთან, დასძინა:

— თქვენ იცით, რომ მე მოვინახულე საერთაშორისო ორგანიზაციები — ფაო, იფადი. ბატონი ბაკურ გულუა დაგვიდასტურებს, რომ ხელი მოვანერეთ 6,5 მილიონი დოლარის გამოყოფას გლახობისთვის სოფლის მცირე მეურნეობების ხელშეწყობის მიზნით. ამას თუ დავუმატებთ 15 მილიონ დოლარს, რომელიც მსოფლიო ბანკმა ამავე მიზნებისთვის გამოყო, ეს 22 მილიონამდე დოლარია, რომელიც ჩვენს სოფლის მეურნეობას წაადგება. ძალიან დიდი ფინანსური ეფექტი ექნება იმ ხელშეკრულებებს, რომლებსაც ჩვენმა მინისტრებმა ხელი მოაწერეს, ამიტომ ნუ შეაშინებთ ის ხარჯები, ჩვენს ვიზიტს რომ მოჰყვება ხოლმე (იცინის).

**საქართველოს პრეზიდენტი კარგი, იმედიანი განწყობილებით დაბრუნდა სამშობლოში.**

**1997 წლის 18 მაისი**

# თეთრი სახლი, 18 ივლისი, 18 საათი

ზუსტად ამ დღეს და ამ საათს, დაუგვიანებლად, რადგან თეთრი სახლის მკაცრი ოქმით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან, ამ შემთხვევაში, ბილ კლინტონთან დაგეგმილი შეხვედრის დროის დარღვევა პრაქტიკულად გამორიცხულია, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადააბიჯა ოვალური კაბინეტის კარის ზღურბლს.

მაგრამ მაინც დაირღვა წესი — ორი პრეზიდენტის პირისპირ საუბარმა დაგეგმილზე ორჯერ მეტ ხანს გასტანა: არასოდეს ჩატყულა შევარდნაძესთან საუბარი ოქმის პროკრუსტეს სარეცელში...

რაც უფრო აგვიანებდა საქართველოს პრეზიდენტი გამოსვლას ჟურნალისტებთან, მით უფრო იმედიანი ხდებოდა ჩვენი მოლოდინი: ალბათ, კარგი ამბებია...

როგორც იქნა!..

თეთრ სახლში მიღებული წესისამებრ, პრესკონფერენცია ადგილობრივი (მრავალრიცხოვანი) და ქართველი ჟურნალისტებისთვის შენობის გარეთ, ვთქვათ ასე, კონდრიან ეზოში გაიმართა.

— რამდენ ნაცნობ სახეს ვხედავ, — ღიმილით მიესალმა ედუარდ შევარდნაძე ჟურნალისტებს, რომლებიც აშშ-ის დედაქალაქში მრავალგზის ვიზიტების დროს შეხვედრიან მას, და უცებ დამყარდა კონტაქტი მასმედიის არცთუ მარტივ წარმომადგენლებსა და საქართველოს პრეზიდენტს შორის.

ეს არ იყო მეორეხარისხოვანი თუ სასხვათაშორისო მომენტი, რადგან ადგილობრივთა შორის ერთი-ორი ისეთი „ქოფაკი“ იყო, როგორც გვითხრეს, ისეთი მწარე ენისა და კალმის პატრონი, რომ პრეზიდენტებს ცეცხლივით ეშინიათო ჟურნალისტური ელიტის ამ ხანდაზმული წარმომადგენლების.

ვის ეშინია, ვის — არა...

— ძალიან კარგი შეხვედრა იყო, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — ეს ჩვენი მეორე შეხვედრაა. პირველად პრეზიდენტ კლინტონს 1994 წელს შევხვდი.

განვიხილეთ, რა თქმა უნდა, კავკასიის პრობლემები, განსაკუთრებით, საქართველოს მდგომარეობა, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებაში. ეს მნიშვნელოვანწილად იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდი დახმარება გაგვიწია.

განვიხილეთ კავკასიის ახლებურ ფუნქციასთან დაკავშირებული საკითხები — ევრაზიის დერეფნის განვითარება, ნავთობსადენების პრობლემა და, საერთოდ, კავკასიის სტაბილურობის საკითხები.

ვიმსჯელებთ სხვა თემებზე — მეზობელ ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობაზე, გლობალურ პრობლემებზეც და, ბუნებრივია, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პერსპექტივაზე.

შეხვედრა დაგეგმილი იყო ნახევარი საათით, ერთ საათს კი გაგრძელდა. იყო აზრებით, წინადადებებით დატვირთული საუბარი.

**— თქვენ მოგეწონათ მისი პასუხები, ვთქვათ, მილსადენებთან დაკავშირებით?** — ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვა.

ედუარდ შევარდნაძე ერთხანს დუმს, შემდეგ გაუღიმებს, და უპასუხებს — მომეწონაო.

საერთო სიცილი — მოწონების ნიშანი.

— ყოველ შემთხვევაში, მე ხელს მაძლევს ის, რაც პრეზიდენტმა კლინტონმა ბრძანა. ნავთობი იმდენია, ყველას გვეყოფა.

შეკითხვას, საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც აიძულებს ჩვენს მოქალაქეებს, ქვეყნის გარეთ ეძებონ საარსებო წყაროები („ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ეთერ ფიჩხაძე), ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

— თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავიტანეთ უმძიმესი წლები — სამოქალაქო ომი, სისხლიანი კონფლიქტები. დღეს ქვეყანა სტაბილურია, დემოკრატიულია; მეც (მინიშნებით — **ა.ს.**) დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ვარ...

ქართველები სხვაგან ვერ ხარობენ. დაინყო დაბრუნების პროცესი. ეკონომიკა ვითარდება, ბიზნესი ვითარდება...

**— აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ რა ითქვა?**

— ითქვა, რომ აუცილებელია ახლებური მიდგომა, მოლაპა-

რაკების ფორმატის გაფართოება, რომელშიც, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატები.

ასეთი ფორმატის პირველი შეხვედრა უახლოეს დღეებში შედგება ჟენევაში. მე რამდენიმე დღეში შეხვედრები გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს და, ალბათ, საუბარი გვექნება უფრო ფართომასშტაბიან ოპერაციებზე, რა თქმა უნდა, რუსეთის მონაწილეობით.

**— 31 ივლისს ვადა გაუდით რუსეთის სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში. ნავლენ თუ დარჩებიან?..**

— მანამდე შედგება ჟენევის შეხვედრა და ეს შეხვედრა გვიკარნახებს, როგორ მოვიქცეთ.

**— ჯარის რომელი კონტინგენტის ნახვას ისურვებდით აფხაზეთში — რუსული კონტინგენტის თუ სხვა ქვეყნისას?**

— ვფიქრობ, რომ არც ერთის გამოორიციხვა არ შეიძლება. გაერომ უნდა მიიღოს ახალი რეზოლუცია, და ჩვენი თხოვნაც და ვარაუდიც არის, რომ ოპერაცია იყოს ფართომასშტაბიანი და მრავალეროვნული. რა თქმა უნდა, რუსეთის მონაწილეობით.

**— კმაყოფილი თუ ხართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და საფინანსო დახმარებით, განსაკუთრებით, მილსადენთან დაკავშირებით? თუ ამერიკას უფრო მეტად შეეძლო ინვესტირება პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც?**

— მე ვუთხარი ბატონ პრეზიდენტს, რომ ჩვენ მაღლიერი ვართ ამერიკის შეერთებული შტატების. ამ ქვეყნის დახმარება რომ არ ყოფილიყო, საქართველო შიმშილით ამოწყდებოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტი აღარ გვჭირდება...

**— მაგრამ ქართველი ხალხი, ალბათ, ჯერ კიდევ იბრძვის არსებობისთვის, სიტუაცია ხომ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, არ გჭირდებათ დახმარება?**

— რა თქმა უნდა, გვიჭირს, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც იყო, უკეთესი მდგომარეობაა.

**— ელცინთან ნორმალური ურთიერთობა გაქვთ?**

— მე ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ახლაც ნორმალური ურთიერთობა მაქვს რუსეთის პრეზიდენტთან.

**— გორბაჩოვისა რა გესმით?**

— გორბაჩოვთან პირადი შეხვედრები არ მაქვს, რადგან იშვიათად ვარ მოსკოვში...

**— თქვენ ახსენეთ, რომ გლობალური საკითხებიც განიხი-**

**ლეთ, რაიმე სპეციფიკური ხომ არ გაგირჩევიათ?**

— გლობალურ საკითხებში იმდენი ელემენტი, რომ ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. თქვენ, კარგა ხანია, ამ სიცხეში დგახართ და, მე რომ ლაპარაკი დავიწყო, კიდევ უფრო დაგლით, — იხუმრა ედუარდ შევარდნაძემ.

**— მხარს უჭერთ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას?**

— რალა დროსია, უკვე გაფართოვდა...

ჟურნალისტთა ერთსულოვანი სიცილი ამ პასუხის მოწონებისა და მთქმელის იუმორის უდავო აღიარება იყო.

— ჩემი პასუხი ყოველთვის ასეთი იყო: ზედმეტად ხდებოდა ამ პრობლემის დრამატიზება, კომპრომისი მოიძებნებოდა. ნატო გაფართოვდა, რუსეთი გახდა „დიდი რვიანის“ წევრი, ხელი მოაწერა განსაკუთრებულ ხელშეკრულებას. ასე რომ, ყველა კმაყოფილია.

**— საქართველო მოითხოვს ნატოს წევრობას? — არ ცხრება**

ამერიკელი ჟურნალისტი ქალი.

— ჩემი პრეზიდენტობის დროს, ალბათ, არ მოესწრება. ჩვენამდე რიგში ხომ სხვა ქვეყნები დგანან...

**— გესიამოვნებოდათ ასეთი რამ?** — თავი გამოიღო კოლეგამ, მგონი, „სი-ენ-ენიდან“.

— ეს ნატოს უნდა ჰკითხოთ — ჩვენ ვესიამოვნებით თუ არა.

**— მაგრამ ელცინმა თქვა, არ გვინდა, საქართველო გახდეს ნატოს წევრი** (ჯიუტი ქალი ყოფილა ძალიან! თუმცა, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, — ამაზეა ნათქვამი).

— ელცინს თავისი აზრი აქვს, მაგრამ ელცინი საქართველოს პრეზიდენტი არ არის.

შეკითხვას რუსეთის ბაზების დარჩენა-არდარჩენის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ საამისოდ რუსეთმა ორი პირობა უნდა შეასრულოს: უნდა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქართული არმია უზრუნველყოფილი უნდა იქნას შეიარაღებით, ტექნიკით და ა.შ. თუ ეს არ მოხდება, მაშინ არ იქნება რატიფიცირებული ხელშეკრულება ბაზების შესახებ. ამის შედეგი კი რაც არის, თქვენ კარგად იცით...

**— ამერიკის შეერთებული შტატები თუ ეხმარება საქართველოს არმიის შექმნაში?**

— ჩვენ ხელი მოვანერეთ ხელშეკრულებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეერთე-

ბული შტატებიდან უკვე ავიამზიდები დაიძრა საქართველოს-  
კენ...

\* \* \*

ამ პრესკონფერენციიდან ათიოდ წუთში ვაშინტონს ისეთ-  
მა თქეშმა გადაუარა, ისეთი ჭეჭა-ქუხილი შეიქნა, გეგონებო-  
და, სამყაროს თალი დასკდა და დაიბზარა, ჩამოიქცაო... წყლის  
სვეტებად დაგვემხოო თავზე.

დახუთული ფილტვები გაეხსნა ქალაქს, აქამდე სუნთქვა  
რომ უჭირდა, და სიგრილე მოიტანა ზღვაურს გამოყოლილმა  
დიდმა წვიმამ.

კარგი ნიშანი უნდა იყოს, იტყოდნენ ძველი რომაელები.

რომაელებს დაეჯერებათ.

სამართალი ხომ რომაელთაგან მოდის...

1997 წლის 20 ივლისი

# «ბედნიერი ვარ, რომ უზენაესის ნებით ფანი დავაღვი წინდა მინაზე»

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საბერძნეთში ოფიციალური ვიზიტის დროს, 17 სექტემბერს ეწვია ათონის ივერთა მონასტერს.

„ყველა ქართველის ოცნება იყო, მათ შორის, ჩემიც, ბავშვობიდან, მას შემდეგ, რაც აზროვნება დავიწყე, ჩავსულიყავი ათონის ივერთა მონასტერში.

ეს ოცნება ამიხდა და იმან, რაც მე ვნახე, ყველაფერს გადააჭარბა“, — ასე გამოხატავს საქართველოს პრეზიდენტი თბილისში დაბრუნების შემდეგ თავის შთაბეჭდილებას.

იყოს ეს ციტატა იმ საუბრის ეპიგრაფი, რომელიც მქონდა ამ ისტორიული ფაქტის თვითმხილველებთან — საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელ ვახტანგ აბაშიძესთან და ცნობილ ბიზანტიოლოგ ავთანდილ მიქაბერიძესთან, საქართველოს დელეგაციის წევრებთან და ბერძენ მასპინძლებთან ერთად ათონის მთის ივერთა მონასტერში საქართველოს პრეზიდენტს რომ ახლდნენ.

(ქართველი ჟურნალისტები ათონის მთაზე ასულებს, თესალონიკში ველოდებოდით).

**ვახტანგ აბაშიძე:** — კარიესში, ათონის მთის ადმინისტრაციულ ცენტრში პრეზიდენტს დახვდა ათონის მთის ბერთა საბჭო სრული შემადგენლობით და ამ საბჭოს თავმჯდომარე — პროტოსი მამა კალენიკე.

**ავთანდილ მიქაბერიძე:** — პრეზიდენტის ჩასვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც სწორედ ეს სასულიერო პირი — ივერთა მონასტრის წინამძღვარი ერთი წლით არჩეულია პროტოსად.

— საბჭოში ათონის მთის ოცივე მონასტრის წარმომადგენლები შედიან, მაგრამ ხელმძღვანელობს ოთხი პიროვნება, ქრონოლოგიურადაც და იერარქიულადაც — ყველაზე დიდი მნიშვნელობის მონასტრების წინამძღვრები. ივერთა მონასტერი

მათ შორის მეორე ადგილზეა.

— კარიესის ცენტრალურ ტაძარში — პროტატონში, რომელიც მეათე საუკუნისაა, ჩვენს პრეზიდენტს მიესალმნენ, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მართლმადიდებელი ქვეყნის ლიდერს: „თქვენს მოსვლას, — ითქვა იქ, — აღვიქვამთ დიდ მოხილვად და გაგრძელებად იმ ტრადიციებისა, რომლებმაც აღზარდა და განანათლა არა მარტო ბერძენი და ქართველი ხალხები, არამედ ერი მრავალი. ქართველ ერს ღირსეული ადგილი უკავია მართლმადიდებელ ხალხებს შორის თავისი სიძველით, მნიშვნელობითა და თავისი ისტორიით (ხაზს უსვამდნენ — მრავალტანჯული ისტორიით), რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს ათონის მთის სინმინდეების — მატერიალურ, სულიერ და კულტურულ ფასეულობათა შექმნაში“.

— თქვენი მოსვლის ჟამს, — უთხრეს საქართველოს პრეზიდენტს, — ვიხსენებთ ათანასე ათონელის პიროვნებას, რომლის ერთ-ერთი პირველი მოწაფე იყო იოანე — ივერთა მონასტრის დამაარსებელი ათანასე ათონელის ხელდასმით. სწორედ ათონის ივერთა მონასტრის დაარსების შემდეგ გაიშალა ათონის ბერების მოღვაწეობა მთელს ნახევარკუნძულზე.

— ათონის ივერთა მონასტერი იყო პირველი უცხოელთა მონასტერი, რომელსაც არ აღიქვამდნენ, როგორც უცხოს, — **ეს ავთანდილ მიქაბერიძის კომენტარია**, — მისი მნიშვნელობა საერთაშორისო მართლმადიდებლურ სამყაროში ამით უფრო იზრდება. ამას დავუმატებდი ისტორიულ ფაქტს — ათანასეს პირად მეგობრობას იოანესთან და თორნიკე ერისთავთან.

— მამა კალენიკემ ბრძანა, — **განაგრძობს ვახტანგ აბაშიძე**, — რომ წმინდა ათონის მთა გულითა და სულით ეხვევა ტრაგიკული ისტორიის ქვეყანას და თანადგომასა და მხარდაჭერას უთვლის მის ხალხს. წმინდა ათონის ღვთისმშობელი იყოსო მფარველი ქართველი ხალხის.

— მანამდე კი იყო საზეიმო ღვთისმსახურება. აჟღერდა ყველაზე ცნობილი ჰიმნი, რომელსაც ასრულებენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დიდი სასულიერო პირების დახვედრის საზეიმო ცერემონიის დროს. ამ საზეიმო ღვთისმსახურებაზე საგანგებოდ მოიხსენიეს მოძმე მართლმადიდებელი ქართველი ერი და საქართველოს პრეზიდენტის ქრისტიანული მართლმადიდებლური სახელი. ამიერიდან ათონის მთაზე, სხვა

მოსახსენებლებთან ერთად, დამკვიდრდება ედუარდ (გიორგი) შვეარდნაძის სახელი და ასე გადაეცემა მომავალ თაობებს საუკუნიდან საუკუნეში.

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მოვიხსენიებდითო აქამდე ტრადიციულ რიგში.

— ამიერიდან კი იოანეს, ექვთიმეს, გიორგის და ილია II-სთან ერთად წმინდა ლოცვებში მოიხსენიება გიორგი შვეარდნაძე.

— საზეიმო ლოცვა აღევლინა როგორც პროკატონში, ასევე, ივერთა მონასტერში და მოსახსენიებელთა ერთი და იგივე რიგი დაკანონდა ორივეგან.

ბატონმა ედუარდ შვეარდნაძემ საზეიმო შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა.

— მინდა, გულითადად მოგესალმოდ თქვენ — ათონის მთის პოლიტიკურ მოღვაწეებსა და სასულიერო პირებს და გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ მზადყოფნისთვის, მიმიღოთ წმინდა მთაზე და მომცეთ საშუალება ჩემი დიდი ხნის ოცნების განხორციელებისა — მოვიხილო ეს, ყველა მართლმადიდებლისთვის სანუკვარი ადგილი.

საბერძენეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში არაერთი ღირსშესანიშნავი ფურცელია ჩანერილი, მაგრამ, ვფიქრობ, ათონის მთას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ძნელია, დღეს საქართველოში მოინახოს ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს წმინდა მთის შესახებ, რადგან სწორედ აქ ქართული სასულიერო მწერლობისთვის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და, ვიტყვოდი, ზოგადად ქართული კულტურისთვის მრავალი უმნიშვნელოვანესი ჩანაფიქრი განხორციელდა.

ეს პატარა, ჭეშმარიტად ღვთის მადლით გაცისკროვნებული ნაწილი ჩვენი დიდი სამყაროსი, შეიძლება ითქვას, ყველა მართლმადიდებელი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობის არის, რადგან აქ დაფუძნებულ მონასტერთან ხილული თუ უხილავი ძაფებით ყველა ამ ქვეყნის სასულიერო ცხოვრება არის დაკავშირებული. და, აი, მეც, ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ქვეყნის წარმომადგენელს, არ შემეძლო ჩემი თავისთვის მიმეცა უფლება, ჩამოვსულიყავი საბერძენეთ-

ში და არ დამედგა ფეხი ამ კურთხეულ მიწაზე, არ ვწვეოდი ჩემი ყველა თანამემამულისთვის ცნობილ და სათაყვანო ივერთა მონასტერს.

უკანასკნელ ხანებში ქვეყანაზე ბევრი რამ შეიცვალა. იყო დრო, როდესაც ჩემს სამშობლოში, რომელიც დიდი ქვეყნის ნაწილს წარმოადგენდა, იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, არსებითად, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის აკრძალული იყო რელიგიური გრძნობების საჯაროდ გამოხატვა, ამ ქვეყნისთვის იდეოლოგიის ერთ-ერთ საფუძველთაგანს ათეიზმი წარმოადგენდა და, ბუნებრივია, მაშინ მხოლოდ თითო-ორო-ლა ადამიანს თუ შეეძლო, თავში გაეველო გაბედული აზრი წმინდა მთაზე ჩამოსვლის.

დღეს ვითარება არსებითად შეიცვალა. ჩემი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა ღვთის გზას და ეკლესიამ, მართლმადიდებლობამ ჩემი ხალხის ცხოვრებაში სათანადო ადგილი დაიკავა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს გზა დიდი რელიგიური ცენტრებისკენ გაეხსნა არა მარტო სასულიერო, არამედ საე-რო პირებსაც.

მე მინდა, რომ ჩემმა ჩამოსვლამ მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებასა და ჩვენი ორი ხალხისთვის სასიკეთოდ წარმართვის საქმეში.

კიდევ ერთხელ მინდა, დიდი მადლობა მოგახსენოთ მიღე-ბისა და ჩემ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის.

\* \* \*

**ვახტანგ აბაშიძე:** — ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ის-ტორიაში პირველი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, შესაძლოა, საერთოდ, სახელმწიფოს მეთაურის პირველი ჩას-ვლა ათონის მთაზე.

**ავთანდილ მიქაბერიძე:** — მასპინძლებმა ჩათვალეს დიდი მნიშვნელობის ფაქტად, რომ მსოფლიოში ასე აღიარებული პი-როვნება, ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ქვეყნის ხელმძღვანელი, ესტუმრა მათ ათონის მთის სინმინდებების მო-სახილველად.

— დიახ, ამას გაუსვეს ხაზი. ამის შემდეგ შედგა ათონის ბერ-თა საბჭოსთან შეხვედრა. სწორედ აქ თქვა პრეზიდენტმა, რომ ინყება ურთიერთობათა ახალი ეტაპი, რომელიც ასე გვჭირდე-ბა ორ მართლმადიდებელ ერს.

ბერთა საბჭოს თავმჯდომარე, მამა კალენიკე სამჯერ ყოფილა თბილისში. მან უაღრესად დიდი პატივისცემა გამოხატა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ. უწმინდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ ყოფილა საბერძნეთში, მაგრამ არა პატრიარქის რანგში, და უახლოეს პერიოდში მის ჩასვლას ელოდებიან.

— ჩვენ ვიცით, — მიმართა მამა კალენიკემ პრეზიდენტს, — რომ გარკვეული სირთულეები იყო და არის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. გვინდა, გადასცეთ პატრიარქს ჩვენი მხარდაჭერა, თანადგომა და გთხოვთ, დაეხმაროთ ამ სირთულეების დაძლევაში.

— პატრიარქს იქ აქვს აბსოლუტური მხარდაჭერა, როგორც სულიერ მამას.

— საუბრის დროს (საინტერესო დეტალია), ჩამოატარეს ჭაჭის არაყი.

ღვინის დამზადების კულტურა ათონში აბსოლუტურად ქართულია.

— თვლიან, რომ დიდმა ათონელმა ქართველმა წინაპრებმა დაამკვიდრეს აქ ქართული ვაზის ჯიში — ჯორჯანიკო. წითელ ღვინოზეა ლაპარაკი.

— იყო ერთი, სრულიად განსაკუთრებული ნიშანი პრეზიდენტისადმი პატივისცემის გამოვლენის. მას მოუტანეს და გადაუშალეს ათონის მთის საზოგადო და პოლიტიკური ცხოვრების წესების შემცველი დოკუმენტი, უძველესი ხელნაწერი.

— ტიპიკონი, რომლის საკუთარი სახელია თრაკოსი, ანუ ხის პერგამენტი. იგი დათარიღებულია 972 წლით, მას ხელს აწერენ ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისკი და ათონის მაშინდელი ავტორიტეტული ბერები — ათანასე ათონელი, როგორც დამაარსებელი ათონის მთისა, ასევე, მისი სულიერი შვილობილი სხვა ათანასე ილუმენი, წინამძღოლი ათანასეს ლავრისა, რომელიც ბერებს ქართველად მიაჩნიათ. ჩვენ ამის თაობაზე ცნობა არ მოგვეპოვება. ამ უიშვიათესი დოკუმენტის გამოტანა და ჩვენება იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საბჭოს საგანგებო შეკრებას და ამ შეკრებაზე ოქმით გაფორმებული გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს.

— ათონის ოცივე მონასტრის ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებულს.

— მამა კალენიკემ განაცხადა, რომ მისი 45-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში სულ მეთედ გაიხსნა ტიპიკონი.

— თავად ეს დოკუმენტი არის ცნობა, რომლითაც ბიზანტიის იმპერატორი ათონის მთის თვითმმართველობას ადასტურებს. აქ დღესაც თვითმმართველობაა...

ცენტრალურ მონასტერში არის ფრესკა, რომელზეც ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლებიც არიან გამოსახულნი.

— დიახ. სხვა მონასტრების დამაარსებლებთან ერთად — ოცივე მონასტრის წმინდა მამებთან ერთად, და ამ ქტიტორების რიგში სამი ქართველი არის გამოსახული: ექვთიმე მთაწმინდელი, როგორც სულიერი შვილობილი და მხარში მდგომი ათანასესი; წმიდა გაბრიელი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ივერთა ღვთისმშობლის ხატის გამოჩენა; ასევე, იოანე ქართველი, რომლის ფრესკა ამჟამად არ არსებობს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ათანასეს გვერდით ყოველთვის, როგორც წესი, ექვთიმე მთაწმინდელი არის წარმოდგენილი.

ბერძნები არ ჩქმალავენ ქართველების როლს ათონის ივერთა მონასტრის, საზოგადოდ, ათონის ისტორიაში.

— ივერთა მონასტერში ამას განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი და განაცხადეს, რომ შენობის კედლებზე მარმარილოთი მოპირკეთების ქვეშ ქართული ნიშანი იმალებაო.

ივერთა მონასტერი ულამაზეს ადგილას არის გაშენებული და ყველა ქართველისთვის აქ შესვლა ამაღლებულ გრძნობებთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, იმავეს განიცდიდა ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი.

აქ, ივერთა მონასტრის მთავარ ეკლესიაში, რომელიც გიორგი მთაწმინდელის (მაშენებლის) მიერ XI საუკუნის დასაწყისში არის აგებული, გაიმართა საზეიმო ღვთისმსახურება.

— ჩვენ თავად ვართ აღელვებული თქვენთან შეხვედრით, — მიმართა მამა ბასილმა საქართველოს პრეზიდენტს, — მაგრამ წარმოგვიდგენია თქვენი აღელვება ივერთა მონასტერში ჩამობრძანებით. მე ვიცი, რომ თქვენ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მოგნათლათ, მაგრამ, ჩათვალეთ, რომ ივერთა მონასტრის მოხილვით ხელახლა მოინათლეთ.

ხაზგასასმელია, რომ ყველა შეხვედრაზე პრეზიდენტი წმინდა მამებს მიესალმებოდა ქართველი ხალხის სახელით, იმ ერისა, რომელიც ტოტალიტარიზმის შემდეგ ერთ-ერთი პირველი

შემობრუნდა სულიერებისკენ; გადასცემდა საუკეთესო სურვილებს უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორისგან.

— აქვე გაიმართა ძალიან საინტერესო საუბარი მამა ბასილთან და სხვა ბერებთან.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სტუმართა წიგნში ჩაწერა:

**„ბედნიერი ვარ, რომ უზენაესის ნებით ფეხი დავადგი წმინდა მიწაზე — ათონის მთაზე, მოვიხილე ივერთა მონასტერი, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა დააარსეს.**

**მადლობა ღმერთს, ამ დღეს რომ მომასწრო.**

**ედუარდ (გიორგი) შევარდნაძე“.**

— ტრაპეზებს, მოგეხსენებათ, საკულტო, რიტუალური მნიშვნელობა აქვს, აუცილებელი კომპონენტია ღვთისმსახურების, ეს არის გაგრძელება იმ ლოცვების, რომელთაც ეკლესიებში აღავლენენ, გაიმართა საზეიმო ტრაპეზი ივერთა მონასტერშიც — ლოცვით დაიწყო და ლოცვით დამთავრდა, აქაც ხაზგასმული პატივისცემა გამოხატეს პრეზიდენტისადმი.

მამა ბასილმა ქართულ სტილში წარმოთქვა სადღეგრძელოები, თამადობის ინსტიტუტი მან ქართველთა კიდევ ერთ დამსახურებად ჩათვალა.

— მამა ბასილი თეოლოგიის პროფესორია, უაღრესად განათლებული პიროვნება და გავლენაც აქვს საბერძნეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

— საინტერესო კაცია ნამდვილად, იგი შეუძლვა პრეზიდენტს ივერთა მონასტრის არქივსა და ბიბლიოთეკაში.

— მონასტერი ამჟამად დიდი მშენებლობის პროცესშია. ევროპის კავშირის, საბერძნეთის მთავრობის მხარდაჭერა ფრიად სერიოზულია, იხარჯება დიდი თანხა რეკონსტრუქციას-რესტავრაციისთვის და ეს მამა ბასილის პიროვნული ავტორიტეტის გამო ხდება.

ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და უძველესი ნაბეჭდი წიგნების ფონდით ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში — მონასტერთა შორის მეექვსე ადგილზეა. აქ არა მარტო ქართული ხელნაწერები ინახება, არამედ უნიკალური ბერძნული ხელნაწერებიც X-XI საუკუნეებისა. ეს ფოლიანტები თავის დროზე შეიძინეს ქართველმა ბერებმა, რაც, სხვათა შორის, მათი განსწავლულობის კიდევ ერთი დადასტურებაა. ამჟამად აქ შენდება ორი ახალი შენობა ამ უნიკალური საგანძურის შესანახად

და დასაცავად თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, თუმცა დღევანდელ პირობებშიც თავდადებით უვლიან.

— საქართველოს პრეზიდენტს აჩვენეს უძველესი ხელნაწერები, მათ შორის, გიორგი ათონელისა. აქვე გამოფენილია თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგის ნაწილი, დიდი რელიკვიაა, რომელიც შუშის ვიტრინაში ინახება. პრეზიდენტის პატივსაცემად გახსნეს და ხელი შეახებინეს.

— მასპინძლები კვლავ და კვლავ ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რას ნიშნავს მათთვის მართლმადიდებელი ქვეყნის პირველი პირის ჩასვლა ათონის მონასტერში, საუკუნეთა განმავლობაში ედუარდ შევარდნაძე პირველი სახელმწიფოს მეთაურია, რომელმაც მოიხილაო აქაური სინმინდენი.

— ერთიც უნდა დავამატოთ, — თქვა ავთანდილ მიქაბერიძემ, — რომ სწორედ ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელთან არის დაკავშირებული 80-იანი წლების დასაწყისში ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ფოტოზე აღბეჭდვა და ჩვენს ქვეყანაში ჩამოტანა. გავიხსენოთ გურამ პატარაიას — რეჟისორის, ირაკლი ონოფრიშვილის — ოპერატორისა და ჩემი მონაწილეობით გადაღებული ფილმი. ქართველ მეცნიერებს დღეს სრული სურათი აქვთ ქართული ხელნაწერების, რომლებიც ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახება.

\* \* \*

საინტერესო ისტორია უამბეს სტუმარს ერთი ბარბაროსის შესახებ, რომელიც ქრისტიანობას ებრძოდა და მუსრავდა ხატებს.

ხმალი დაარტყა თურმე ბარბაროსმა ხატს, ღანვი გადაეხსნა წმინდა გამოსახულებას და სისხლმა გამოჟონა (შემხმარი სისხლი დღესაც ატყვია). ეს რომ დაინახა ბარბაროსმა, რომლის სახელიც არ ვიცით, მუხლებზე დაემხო და მორწმუნე გახდა. მის ფრესკულ გამოსახულებაზე იგი წმინდა ბარბაროსად არის მოხსენიებული.

ბერძნები იხსნებიან, კარს გვიღებენ, ქართულ ძირებს ამზეურებენ.

ავთანდილ მიქაბერიძემ გაიხსენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ივერიის ღვთისმშობლის ხატთან არის დაკავშირებული.

სწორედ მამა ბასილის დამსახურებაა, რომ ამ ორი-სამი

წლის წინათ ჩამოხსნეს ხატს გვიანდელი, მოსკოვში ვერცხლისგან დამზადებული კაბა და გამოაჩინეს უძველესი ქართული ფენა.

მის ქვეშ, ალბათ, არის კიდევ სხვა, უფრო ძველი ფენა, რაც მეცნიერებს საფუძველს აძლევს, დაასკვნან, რომ ეს წმინდა ხატი V-VI საუკუნეების იმ ხატების ხნისაა, რომლებიც ეგვიპტეში, სინას მთაზე ინახება.

მათი მადლი შეგეწიოთ!

1997 წლის 19 სექტემბერი

# «შეპარდნაჲის ფანოქანი ღღასაჲ ყველასთვის არსებობს»

„პონტოელი ბერძნებისთვის საქართველო ნავსაყუდელია, რომელსაც გარემოებათა გამო მივმართავთ ხოლმე და ეს ნავსაყუდელი თქვენ შეგვიქმენით, პრეზიდენტო შევარდნაძე.“

ბერძენთა ათმა მსოფლიო ფედერაციამ წამოაყენა წინადადება ონასისის საერთაშორისო პრემიით ედუარდ შევარდნაძის დაჯილდოების შესახებ. ბერძნები შესანიშნავად ხედავენ, რა განუზომელი წვლილი მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს მსოფლიო მშვიდობის დამყარებაში და ელინიზმის განვითარებაში“.

ონასისის პრემია უდავოდ დამსახურებული და მაღალი ჯილდოა, მაგრამ:

„როდესაც თქვენ ამ პრემიას მიიღებთ, მას უფრო მეტი ღირებულება და მნიშვნელობა მიენიჭება“.

და კიდევ:

„ეს ჯილდო ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ“.

ეს უთხრეს საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულმა ბერძნებმა ედუარდ შევარდნაძეს ვიზიტის პირველსავე დღეს, 15 სექტემბრის საღამოს შეხვედრაზე, რომელიც სასტუმრო „ჭილჭონის“ „ერატოს“ დარბაზში გაიმართა.

იყო პრეზიდენტი და იყვნენ გამომსვლელები — ოფიციალური ფორმა, მაგრამ ამ ოფიციალურ ფორმაში დიდი გულწრფელობა და სიყვარული იდო. თუ უფლება მომეცემა, ვიტყვი — სიკეთის მაღლი იდგა იმ შეხვედრაზე. ბერძნები მაღლობას მოახსენებდნენ საქართველოს პრეზიდენტს იმისთვის, რაც მას მათთვის გაუკეთებია.

გაიხსენეს, რომ ყოფილ სსრ კავშირში სწორედ ედუარდ შევარდნაძე იყო ის პირველი ხელმძღვანელი, რომლის მითითებითა და გადაწყვეტილებით საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალება მიეცათ; რომ ბერძნები მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მართვაში, იყვნენ წარმოდგენილი არჩევითი და აღმასრულებელი ხელისუფლე-

ბის ორგანოებში. დღეს, ქაოსის შემდეგ ისეთი პირობები შექმნა პრეზიდენტმა თავის ქვეყანაში, რომ რეპატრიანტებს შეგვიძლია უშიშრად ჩამოვიდეთ საქართველოში ჩვენს ახლობლებთან, ჩვენი მშობლების საფლავები მოვინახულოთო (**როზა იოსიპიძე, პონტოელ ბერძენ ქალთა კავშირის პრეზიდენტი**).

**იანის მურატიდი**, საქართველოშიც და საბერძნეთშიც (თე-სალონიკში) — აქაც და იქაც ცნობილი პედიატრი:

— ბოლო წლებში თქვენ რომ ყოფილიყავით საქართველოს სათავეში, ასეთი მასობრივი რეპატრიაცია არ იქნებოდა.

ჩვენი გულის ნაწილი საქართველოში დავტოვეთ, რადგან სამშობლო ის არის, სადაც დავიბადეთ და გავიზარეთ. ჩვენი ქორწილი აქ, საბერძნეთში, დღესაც ქართული ქორწილია, ჩვენი სევდა და ტირილიც ქართულია.

ამ შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ის ბერძენები, რომლებიც თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ, საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები არიან საბერძნეთში. მათი ფიქრი აქაც საქართველოს კეთილდღეობას დასტრიალებს.

ისინი კი, ვინც დარჩა საქართველოში, ცდილობენ, ორი ქვეყნის შემაერთებელი ხიდის როლი შეასრულონ. მათ კარგად იციან, რომ საქართველომ ბევრი ჭრილობის მოშუშება შეძლო და დღეს გამართულად მიდის განვითარებისკენ. ისიც იციან, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა დღეს ბერძნული ენის სწავლებას საქართველოს სკოლებში. ასეთი იყო ამ შეხვედრის პათოსი, თუმცა არც პრობლემებზე საუბარი აკლდა. პონტოელმა ბერძნებმა საქართველოს პრეზიდენტის წინაშე სავიზო რეჟიმის გამარტივების, ორმაგი მოქალაქეობის, აფხაზეთში დარჩენილ ბერძენთათვის დახმარების განწევის საკითხები დააყენეს.

პრეზიდენტმა პირველ საკითხში უეჭველი დახმარება აღუთქვა; ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე კონსტიტუციამ გამობატა თავისი დამოკიდებულება და აქ რაიმე ცვლილების შეტანა რთულია, ხოლო აფხაზეთში დარჩენილ ბერძენთა საკითხი თქვენთვისაც და ჩვენთვისაც განსაკუთრებით მტკივნეულიაო, — უთხრა პრეზიდენტმა. მათთვის დახმარების ყველაზე რეალური და ეფექტიანი გზა აფხაზეთში ჩვენი რაც შეიძლება მალე დაბრუნებაა.

პრობლემები, ოღონდ სრულიად განსხვავებული, აქვთ ჩვენს თანამემამულეებსაც, რომლებიც საბერძნეთში საშოვარზე, სამუშაოდ არიან ჩასული, ყველა — საკუთარი სურვილით, საკუთარი მიზეზითა და მიზნით. ერთმა საერთო მიზეზმა — ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა აჰყარა ისინი საქართველოდან. ზოგი მოენყო, ზოგი ვერა, ზოგი ქუჩაშია დარჩენილი.

მართალია, ბოლო ორ წელიწადში ეკონომიკურ მიგრანტთა რაოდენობა პრაქტიკულად არ იზრდება, მაგრამ წინა წლებში ჩასულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია; არაოფიციალური მონაცემებით, 6-7 ათასს აღწევს. ძირითადად, ისინი ტურისტული ვიზებით ჩასული საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებმაც მოახერხეს აქ დროებითი სამუშაოს პოვნა. სამუშაო — სამუშაოდ, მაგრამ იმდენ პრობლემას შეეჯახნენ, რომ ადრე მათ შესახებ ყურმოკვრითაც არაფერი გაეგოთ.

ბევრი მათგანი, წლებია, საბერძნეთში ცხოვრობს. თუ ბედმა გაუღიმა და შედარებით სტაბილური სამუშაო იპოვეს, ხომ კარგი, არადა, იძულებული არიან სეზონურ სამუშაოს დასჯერდნენ, რომელიც, როგორც წესი, მცირეხელფასიანია.

ასე გააქვთ თავი.

მაგრამ ეს ეფემერული ეკონომიკური „კეთილდღეობა“ შეიძლება ყოველ წუთს დაირღვეს. საქმე ის არის, რომ საბერძნეთში ტურისტული ვიზა მხოლოდ ერთი თვით გაიცემა (იშვიათად — 3 თვით), გაგრძელება გამორიცხულია, და ჩვენი მოქალაქე, რომელსაც, ამასთან ერთად, პასპორტიც ვადაგადაცილებული აქვს, ყოვლად უუფლებო მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. ამით, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ დამქირავებლები და კაბალურ პირობებში ამუშავებენ გაჭირვებულებს.

აი, რა თქვეს ამის თაობაზე ჩვენი საელჩოს თანამშრომლებმა:

ყველაზე მეტად გავრცელებული სამუშაო მოახლეობაა, მოსამსახურეობა. ძირითადად, ქალები არიან დასაქმებული, მათ სიამოვნებით იღებენ ბერძნები ოჯახებში — იაფი მუშახელია, მაგრამ...

მაგრამ ჩამოართმევენ პასპორტებს. მოტივი — დაუკითხავად არ მიატოვონ სამუშაო და კიდევ — ყველა მოულოდნელი შემთხვევისგან დაზღვეულნი რომ იყვნენ ოჯახები. ასეთ ვითარებაში გამორიცხულია დაქირავებულის რაიმე პრეტენზია მოპყრობაზე თუ ჯამაგირის მიღებაზე („ჯამაგირი“ ზუსტად

მიესადაგება ამ სიტუაციას). ხდება ხოლმე (არცთუ იშვიათად), თვეობით არ უნაზღაურებენ შრომას, ამის გამო უკმაყოფილების ნებისმიერ გამოხატვას მოჰყვება მუქარა პოლიციისთვის შეტყობინების შესახებ და მოსამსახურეც იძულებულია, ხმა ჩაიკმინდოს, რადგან სხვა შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ გაასახლებენ საბერძნეთიდან, ამიტომ მორჩილად იტანენ ყველაფერს.

ჩვენი საელჩოს თანამშრომლებმა, ძალიან შენუხებულებმა, გვითხრეს: განსაკუთრებით საგანგაშო ის არის, რომ ყველაფერ ამას ხედავენ და ეგუებიან(!) ბავშვები (დედებს ჩაყვანილი რომ ჰყავთ), რომლებიც მოახლეობას, სამნუხაროდ, როგორც აუცილებლობას, აღიქვამენ.

რა უშველის ამ სიტუაციას?

დრო. დრო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალური საკითხების მოგვარების ტენდენციის გაძლიერებაზე მუშაობს, და კიდევ ის, რომ საბერძნეთში შენგენის შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ კიდევ უფრო გამკაცრდება სავიზო პოლიტიკა იმ ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც ევროგაერთიანებაში არ შედიან.

მივენდოთ დროს და რეალურ ტენდენციას.

ერთი უსიამოვნო დეტალიც: სამნუხაროდ, ზოგიერთი ქართველი საბერძნეთში ქურდობს. საქართველოს 9 მოქალაქე სწორედ ამის გამო იხდის სასჯელს ამ ქვეყნის ციხეებში.

ისიც სათქმელია, რომ ამ ჭრილში საქართველო გამონაკლისი არ არის. ბევრად უარესი მდგომარეობაა სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა შორის.

თუმცა — ყველამ თავის პრობლემებს მიხედოს.

\* \* \*

16 სექტემბერს აკროპოლისის დასათვალიერებლად მიიწვიეს პრეზიდენტი შევარდნაძე.

ამ დილასაც ტურისტთა ტალღები აწყდებოდა ათენის თავზე წამომართულ ტურისტულ მექას — აკროპოლისს. და ვინც აქ იყო იმ დილით, ორმაგად დაჯილდოებული აღმოჩნდა: ბევრმა, ძალიან ბევრმა ასე, ხელის განვდენაზე იხილა (შეიძლება პირველადაც) საქართველოს პრეზიდენტი, ვისზეც ამდენი კი გაეგოთ, მაგრამ ტელეეკრანებზე უნახავთ მხოლოდ.

— შევარდნაძე არის, — უმტკიცებს ქმარი მეუღლეს.

— შეუძლებელია! შევარდნაძეს აქ რა უნდა! — კატეგორიულად უპასუხებს ცოლი. ესპანურად საუბრობენ.

— აბა, ნახე, — ამბობს ქმარი და იმდენს უძახის: „სევარდნაძე, სევარდნაძე“, სანამ არ მოახედებს და მიესალმება.

— აი, ხომ ხედავ! — გაიმარჯვა კაცმა.

ამერიკელები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

— Смотри! Шеварднадзе идет! — გაცემით აღიქვამდნენ რუსები მოულოდნელ შეხვედრას. ყველას სურდა იმ მომენტის ფოტოზე ან ვიდეოზე აღბეჭდვა, თუმცა საკმაოდ ძნელი იყო დაცვის კედლის იქით საჭირო კადრის დაჭერა...

მგონი, შევარდნაძესაც გაუჭირდა. ერთი მხრივ, ყურადღებით უნდა ესმინა ექსკურსიამძღოლისთვის; მეორე მხრივ, ადამიანების მისალმებასა და ემოციას უყურადღებოდ ვერ დატოვებდა.

როგორ მოახერხა, ვერ გეტყვით, მაგრამ ორივე მხარე კმაყოფილი იყო — ექსკურსიამძღოლი უპაუზოდ ლაპარაკობდა, ხალხიც შევარდნაძის ყურადღებით ფრიად კმაყოფილი დარჩა.

მაგრამ წინ იყო მთავარი — „მეგარო მუსიკის“ უზარმაზარ დარბაზში, რომელშიც ერთი სტადიონი ჩაეტევა, გამართული საზეიმო ცერემონია, რომელიც ედუარდ შევარდნაძისთვის ონასისის პრემიის გადაცემას ეძღვნებოდა.

წარმოუდგენელია იმის აღწერა, რისი მოწმენიც გავხდით იქ დამსწრენი. საქართველოს ტელემაცურებელმა ნახა ეს მოვლენა. მაგრამ, დამერწმუნეთ, ვერც ელექტრონული, ვერც ტრადიციული პრესის ხერხებითა და საშუალებებით ვერ აღინერება ის, რაც იქ ხდებოდა, ყველა მცდელობა ფერმკრთალი ანარეკლია ფაქტის.

რადგან ეს იყო მაღალი ჰარმონია, უმაღლესი კატეგორია ადამიანთა პატივიგებისა ადამიანის სიკეთის წილ.

საბერძნეთის ელიტურმა საზოგადოებამ პატივი მიაგო თანამედროვეობის დიდ მოღვაწეს, რომლის ძალისხმევითაც სრულიად ახალ განზომილებაში დაიწყო მსოფლიომ ცხოვრება.

„პრეზიდენტ შევარდნაძის სახით ფონდი აღიარებს და აჯილდოებს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელმაც მთელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ყველაზე კრიზისულ პერიოდში მთავარი როლი შეასრულა ზესახელმწიფოთა შორის ურთიერთდაპირის-

პირების იდეოლოგიის უკუგდებასა და „ცივი ომის“ დასრულებაში; ყველა სახეობის სამხედრო იარაღის გავრცელების შეზღუდვასა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში; ეროვნული ღირსების, მშობლიური ენისა და კულტურული თვითმყოფადობის დაცვაში; ხალხის მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად კერძო მენარმეთათვის და თავისუფალი ბიზნესისთვის ხელსაყრელ სამართლებრივ ნორმათა შემოტანაში“.

გლობალურ საქმეთა ნუსხაა ეს ჩამონათვალი.

მაგრამ მხოლოდ ნაწილია, რადგან: „ფონდი პატივს მიაგებს საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც მოახერხა, გათავისუფლებულიყო მის სამშობლოში დამკვიდრებული იმ ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებათა გავლენისგან, რომლებმაც მას ძალაუფლება გადასცეს...“

მან ბოლო მოუღო მის ქვეყანაში გაბატონებულ სამოქალაქო ომსა და საყოველთაო ქაოსს, და ყველაფერი კანონის უზენაესობას დაუქვემდებარა“.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მსოფლიო საზოგადოება სამომავლო იმედისთვის, ანუ იმედიანი მომავლისთვისაც აჯილდოებს ედუარდ შევარდნაძეს:

„ნათელია, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს ჯერ კიდევ აქვს ამოუწურავი შესაძლებლობები, რათა თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო პოლიტიკის სტაბილიზაციაში. მსოფლიო საზოგადოება იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე მოღვაწეობას შემდგომაც გააგრძელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა სფეროში. მისი პიროვნული მიუკერძოებლობა, გამოცდილება და ავტორიტეტი აუცილებლად უნდა ჩანდეს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე“.

„უნდა გავიაზროთ, თუ რამდენი რამ გააკეთა ერთმა კაცმა ყველასთვის და არა მხოლოდ თავისი თანამემამულეებისთვის. დასაფიქრებელია ისიც, თუ როგორ მოასწრო მან ესოდენ მცირე დროში თავისი გრანდიოზული მოღვაწეობა... შევარდნაძის ფენომენი დღესაც არსებობს და განაგრძობს თავის ბრწყინვალე და ბრძნულ გზას უმაღლესი მიზნებისკენ“.

ჟღერდა ეს სიტყვები „მეგარომუსიკის“ უზარმაზარ დარბაზში, ლაპარაკობდა ალექსანდრე ონასისის საზოგადოებრივი ფონდის პრეზიდენტი სტელიო პაპადიმიტრიუ.

წლერდა ეს სიტყვები „მეგაროს“ თაღებქვეშ და ისმენდა ათენის საუკეთესო საზოგადოება, რომელიც, როგორც ზეიმზე, ისე მოვიდა დღეს ამ ცერემონიაზე.

ადვილი წარმოსადგენია, რა განვიცადეთ ჩვენ, ქართველმა ჟურნალისტებმა, როდესაც მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა „საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი დამსახურებისთვის“ ალექსანდრე ონასისის პრემიის ლაურეატს, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და ოვაცია გაუმართა.


უნიკალური და უპრეცედენტო ფაქტი.

აიეტისა და მედეას შთამომავლებმა იაზონის მემკვიდრეთაგან მიიღეს ოქროს საწმისის უძვირფასესი ნაწილი, — ეს შევარდნაძის სიტყვების ოდნავი პერიფრაზია.

გაბრწყინებული იყო ამ ღამეს აკროპოლისი, როგორც ნატურის თვალის ახდენილი ოცნება და მომავლის გაუთვითცნობიერებელი მონატრება.

**1997 წლის 23 სექტემბერი**

# 1998 წელი





# ახალი მსოფლიო მოწყობისკენ გადაღებული კიდევ ერთი ნაბიჯი

გუშინ იალტაში მუშაობა დაამთავრა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სამიტმა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ტრადიციისამებრ — ინტერვიუ პრეზიდენტთან თვითმფრინავის სალონში.

„საქართველოს რესპუბლიკა“: — 50-ზე მეტი წლის წინათ ყირიმის კონფერენციაზე, იალტაში ზესახელმწიფოების ლიდერებმა: სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის შესახებ. სამწუხაროდ, ეს იდეა არ განხორციელდა. დღეს იალტაში ხელმოწერილი დოკუმენტები შეიძლება თუ არა განვიხილოთ, როგორც მეოცე საუკუნის ბოლოს ახალი მსოფლიოს მოწყობის ერთი სერიოზული შემადგენელი ნაწილი?

— მე მგონი, სწორედ ასე უნდა განვიხილოთ. მართალია, აქ ერთ რეგიონზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ მასშტაბშიც გარკვეულ სტანდარტებამდე მივდივართ. ეს იმას ნიშნავს, ქვეყნებმა, რომლებმაც „ბისეკის“ წესდებასა და დეკლარაციას მოაწერეს ხელი, მხარი დაუჭირეს მოძრაობას, ინტეგრირებას მსოფლიო და ევროპული სტრუქტურებისკენ. მათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს სწორედ ახალი მსოფლიო მოწყობისკენ.

რაც შეეხება მაშინდელ იალტას, მე და ბულგარეთის პრეზიდენტი მიგვიყვანეს ლივადიის სასახლეში, დარბაზში, სადაც ის ისტორიული კონფერენცია გაიმართა. მე წილად მხვდა სტალინის სავარძელი, ის ჩერჩილის სავარძელში ჩაჯდა, მესამე არავინ იყო, რუზველტის ადგილი რომ დაეკავებინა.

„ბისეკის“ ეს სამიტი თავისთავად დიდი მოვლენაა შავი ზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის, ურთიერთობის ახალ ეტაპზე, ახალ ხარისხში აყვანის თვალსაზრისით.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასში შემავალი ბევრი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრიც არის და, ამავე დროს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშ-

რომლობისაც. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ ცალკეულ ქვეყნებსა და ჯგუფებს შორის კონკურენციიდან გადავდივართ უფრო აქტიურ თანამშრომლობაზე.

თქვენ უთუოდ მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველა გამოსვლას ნითელ ხაზად მიჰყვებოდა აზრი, რომ ამ აუზის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარებასთან. ამ თვალსაზრისითაც იალტის სამიტი ახალი ეტაპია და ახალ სტადიაზეც შეიძლება ლაპარაკი.

**„მომბე“: — 1996 წელს თქვენ განაცხადეთ, რომ „ბისეკი“ განზე დგას მსოფლიო მნიშვნელობის პროცესებისგან. დღეს როგორი პერსპექტივა ისახება ამ თვალსაზრისით?**

— „ბისეკის“ მიზანი, უწინარეს ყოვლისა, როგორც წესდება-ში და დეკლარაციაში ჩაინერა, არის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, მაგრამ ეკონომიკური განვითარება არ მოხდება, თუ, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ჭერი არ ექნება ამ მიმართულებით მოძრაობას. ჩემმა შეხვედრებმა, შევხვდი კი ყველა პრეზიდენტს მუშაობის პროცესში და ცალ-ცალკე, დაადასტურა, რომ არსებობს დიდი სურვილი და პოლიტიკური ნება იმისა, რომ ამ რეგიონში მშვიდობა დამყარდეს. ყველა დარწმუნებულია, რომ კავკასიას, კასპიისპირეთს, შავი ზღვისპირეთს აქვს უზარმაზარი მომავალი თავისი რესურსებით, ინტელექტუალური პოტენციალით, წარსულითა თუ აწმყოთი, ოღონდ ეს მომავალი გარანტირებული იქნება მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობებში. ვფიქრობ, რომ ამას დაპირისპირებული მხარეებიც კი იგებენ უკვე.

მაგალითად, ჩემი აზრით, საინტერესო იყო აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხედრა, სომხეთის პრეზიდენტის შეხვედრა თურქეთის პრეზიდენტთან, შემდეგ — ჩემი საუბარი მათთან, იმის ხაზგასმა, რომ საქართველოს გარკვეული როლი შეუძლია შეასრულოს ამ ქვეყნების დაახლოება-დაკავშირებაში.

განვიხილეთ ისეთი საკითხიც, როგორიცაა „ტრასეკას“ ქვეყნების ფართომასშტაბიანი კონფერენცია, სამიტის გამართვა ბაქოში. არ გამოვრიცხავ, რომ იქ სომხეთის ძალიან მაღალი რანგის დელეგაცია ჩავიდეს და შეიძლება, ეს ბევრი და დიდი ცვლილების დასაწყისი იყოს.

იმ შეხვედრებიდან, რომლებიც იალტაში მქონდა, ყველა მნიშვნელოვანი იყო თავისთავად.

პრეზიდენტ დემირელთან შეხვედრის დროს ჩვენ დავადასტურეთ, რომ ორივე ქვეყანა კვლავ ჩვეული ენერჯით გააგრძელებს ზრუნვას მაგისტრალების მშენებლობისა და განვითარებისთვის, მათ შორის, რკინიგზის მაგისტრალის. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ დიდი ნავთობი აუცილებლად საქართველოზე გაივლის.

ძალიან საინტერესო იყო საუბარი პრეზიდენტ კუჩმასთან. იგი დიდად არის დაინტერესებული შავი ზღვისა და კასპიისპირა ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებით. საქართველო აქაც საკვანძო ქვეყნად წარმოგვიდგება.

რაც შეეხება ბულგარეთისა და რუმინეთის პრეზიდენტებთან საუბარს, უნდა გითხრათ, რომ ივლისის პირველ რიცხვებში საქართველოში სტუმრად ჩამოვა რუმინეთის პრეზიდენტი და ძალიან ბევრი სერიოზული საკითხი გვექნება გადასაწყვეტი.

ჩემი და ჰეიდარ ალიევის შეხედრა ტრადიციულია. ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი თანამშრომლობის კურსი როგორც გაზსადენების, ასევე ნავთობსადენების მშენებლობისა და განვითარების საქმეში.

ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია ჩემი საუბარი სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანთან.

რალაც პატარ-პატარა გაუგებრობებს აქვს ადგილი — ხან ჩვენთან, ხან იქ გამოვა რომელიმე მოღვაწე, ეჭვქვეშ დააყენებს ჩვენი ორი ხალხის ურყევ მეგობრობას... ორივე შევთანხმდით, რომ არც ერთი პრეზიდენტი არ აპყვება არავითარ პროვოკაციულ გამოსვლას, რომ ჩვენი ურთიერთობა ორივე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. არის ზოგიერთი დეტალი, რომლებსაც მოგვარება სჭირდება: თქვენ იცით, რომ ძირითადი ტვირთები სომხეთში საქართველოდან მიდის. მათ აქვთ პრობლემები ტარიფებთან დაკავშირებით. თუ გადავხედავთ ტარიფებს, ტვირთების რაოდენობა შეიძლება გაორმაგდეს ან გასამკეცდეს და გაცილებით მეტი შემოსავალიც მივიღოთ.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეზე სერგეი კირიენკოზე. ჯერჯერობით იგი ღრმად არ არის ჩახედული ჩვენს კონფლიქტებში, მაგრამ და-

მეთანხმა, რომ ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში. იგი მზად არის, როგორც კი ცოტას მოიცილს, ჩამოვიდეს საქართველოში.

მან დამიდასტურა, რომ სოხუმშია დაბადებული და ქართულ სკოლაში სწავლობდა, თუმცა არ მიკითხავს, — იცის თუ არა ქართული. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა — საქმიანი, ნორმალური და კეთილი ახალგაზრდა კაცია, რომელიც განწყობილია პრობლემების გადასაჭრელად.

**პრეზიდენტებთან შეხვედრაზე საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა ლეონიდ კუჩმას განსაკუთრებული სიტბო და ყურადღება საქართველოს პრეზიდენტისა და დელეგაციის მიმართ, მეგობრული გრძნობა ქართველი ხალხის მიმართ. აქვე ვთქვათ ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძე ერთადერთი იყო, ვინც კუჩმამ აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპამდე მიაცილა.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“: — გალის თემას ხომ არ შეხებიხართ?**

— გალის თემა თითქმის ყველა საუბრის დროს განიხილებოდა. მე დამახვედრეს კუჩმას გამოსვლა გაზეთში, მისი სპეციალური განცხადება გალში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ მხარს უჭერდა და უჭერს საქართველოს, მის ტერიტორიულ მთლიანობას და უკრაინა ყოველთვის მზად არის, ჩაერთოს გაეროს ეგიდით მიმდინარე პროცესებში.

მან თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და შემომთავაზა, უფრო აქტიურად ვთხოვოთ გაეროს უკრაინის ჩართვა სამშვიდობო პროცესში, სამშვიდობო ძალებში. ეს პერსპექტივა საკმაოდ რეალური ჩანს: თუ სამშვიდობო ძალები მომავალშიც დარჩებიან, ისინი, ალბათ, უფრო კოლექტიური ძალები იქნებიან არა მარტო რუსეთის მონაწილეობით, არამედ თანამეგობრობის ქვეყნებისა და, შეიძლება, უფრო შორეული ქვეყნებისაც.

ყველას აინტერესებდა, რა მოხდა გალში. ყველას მიაჩნია, რომ საქართველოს გადანყვეტილება — არ ჩართულიყო დიდ საომარ ოპერაციებში, იყო ერთადერთი სწორი, ბრძნული გადაწყვეტილება, რაც შეესაბამება ამ ქვეყნების კერძო ინტერესებს. ყველა დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი მოგვარების გზა ერთადერთია და სწორი. თანდათანობით ყველა ქვეყანა ჩა-

ერთვება აღნიშნულ პროცესში და ჩვენი მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს.

მოსკოვის მოლაპარაკება, როგორც ვიცი, არც თუ წარუმატებლად მიმდინარეობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ არის, მაგრამ ზოგიერთ საკმაოდ რთულ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია. დარჩენილია კიდევ ბევრი საკითხი. დაბრუნებისთანავე მეც ჩავეერთვები. მოსალოდნელია ჩემი და არძინბას შეხვედრა, უნინარეს ყოვლისა, იმისთვის, რომ ლტოლვილთა ბოლო ტალღის საკითხები მოვაგვაროთ. თუ უსაფრთხო დაბრუნების საკითხი გადაწყდა, ჩვენი მეგობრების დახმარებით გამოვძებნით დაახლოებით 5-6 მილიონის საშუალებას, რათა ამ ხალხს სახლების აღდგენასა და კარ-მიდამოს მოწესრიგებაში დავეხმაროთ.

უნდა გითხრათ, რომ ძალიან აქტიურად მუშაობს ბერეზოვსკი, იგი თბილისსა და სოხუმში იყო, ახლა მოსკოვშია და ორივე მხარეს ცალ-ცალკე ხვდება. დარწმუნებულია, რომ გარკვეული შედეგი მალე დადგება.

**ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ის მოვლენები, რომლებიც ამ დღე-ნახევარში მოხდა.**

**1998 წლის 6 ივნისი**



# 1999 წელი





# საკურა ამ გაზაფხულზე აყვავდება

## საბრალორი 777

ხილვა — გამოცხადებასავით მოულოდნელი.

რაკურსი — ბლაგვი კუთხით ზემოდან ქვევით — თვითმფრინავიდან დედამიწისკენ.

ქვევით — ღრუბლებიდან ამოზიდული ფუძიამა (ასევე ბლაგვი) ყინულით ინკრუსტირებული მონაცრისფრო გუმბათი — თავნაცლილი მწვერვალი, როგორც კიოტოს „როიანჯის“ — „დრაკონის სიმშვიდის“ — ტაძრის კოსმიური ასლი და მისი ფილოსოფიური არსის ამოცნობა-მატერიალიზაცია: სამყარო ფარდობითია, მაგრამ სულაც არ არის ამოება ამოებათა, რადგან განგების ნებით, გარკვეულ პირობებში მიუწვდომელთან (შორეულთან მაინც) მიახლოება შესაძლებელიც არის და აუცილებელიც.

სიცოცხლის გასაგრძელებლად.

შორეულ (მიუწვდომელ) იაპონიასთან საქართველოს პარტნიორულ ურთიერთობათა ახალ ფაზაში შესვლა, რისი განხორციელებაც შესაძლებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტის შედეგად, ამის პრაქტიკული დადასტურებაა.

ეს — კონკრეტულად საქართველოსთვის.

ახლა — მსოფლიოს მასშტაბით.

გარდაქმნა ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის ყველა პერიოდის მთავარი ორიენტირია, აქეთაა მიმართული მისი ინტელექტუალური კომპასის ისარი.

ყველა ეტაპზე ასეა — პერესტროიკამდე გაცილებით ადრე (ათწლეულებით ადრე) და მას შემდეგაც, რაც იგი (პერესტროიკა) წარსულის ფაქტი გახდა.

ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ აბრეშუმის ნაზი და სათუთი ძაფივით გასაფრთხილებელი იდეის თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად გარდაქმნა ედუარდ შევარდნაძის — ავტორისა და მთავარი მამოძრავებელი ძალის —

მოღვაწეობის მეორე შედეგია. მსოფლიო მასშტაბის შედეგებზეა საუბარი.

პირველი „ცივი ომის“ დამთავრებაა და ეს ყველამ იცის.

საქართველოს თემა ცალკე დგას. ამაზე შემდგომ.

ყველამ იცის-მეთქი, რომ ვამბობ, ამაშიც მსოფლიო მასშტაბს ვგულისხმობ.

იაპონიაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტმა დაადასტურა ეს ერთხელ კიდევ, იაპონიის მასმედიის განსაკუთრებულმა ყურადღებამ და ინტერესმა ედუარდ შევარდნაძისადმი, როგორც მსოფლიო რანგის პოლიტიკოსისადმი.

ჩვენს მკითხველებს ექნებათ შესაძლებლობა, გაეცნონ თვით ედუარდ შევარდნაძის დამოკიდებულებას დღევანდელი მსოფლიოს კარდინალური საკითხებისადმი: ამ სტრიქონების ავტორმა ინტერვიუ ჩამოართვა მას სრულიად არაორდინარულ ვითარებაში, ექსპრომტად — ტოკიოში, სასტუმრო „იმპერიალის“ მეთექვსმეტე სართულზე, პრეზიდენტის აპარტამენტში და მეორე დღეს — ექსპრესმატარებელში პოეტური სახელწოდებით „ნოდომი“ — „ოცნება“. „ნოდომი“ — ექსპრესების მესამე თაობაა, პირველი იყო „ცუბამე“ — მერცხალი, მეორე — „ჰიკარი“ — სინათლე, ხოლო სულ ახალი „ნოდომი-700“ — ფანტასტიკაა — საათში 300 კილომეტრს განავითარებს (იაპონურ სინამდვილეში რეალიზებული ქართული მუსიკალური ფოლკლორი: „მოქრის მატარებელი გულის გამხარებელი, მა-ტა-რე-ბე-ლიიი“...).

მიგვაქროლებდა „ოცნება“ ტოკიოდან კიოტოში — იაპონიის სულიერებისა და მეცნიერული აზრის ცენტრში, ამ ქვეყნის ყოფილ დედაქალაქში.

ეს იყო 7 მარტს, საქართველოში — ანიოკებულ, არეულ, დაქცეულ და დაცემულ ქვეყანაში — ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების მე-7 წლისთავზე. 7 მარტი ქალბატონ ნანული შევარდნაძის დაბადების დღეც არის და ეს, სამგანზომილებიანი, საკრალურ რიცხვთა ერთობლიობა — 777 იყო მიზეზი იმისა, რომ ინტერვიუ მართლაც უნიკალური გამოვიდა.

რესპონდენტის განსაკუთრებული განწყობილების გამოც, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის, უპირველესად, წარმატებული მისია იაპონიაში და, უთუოდ, — პატივისცემა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისადმი.

ეს ინტერვიუ, რომელმაც კორესპონდენტის პროფესიული ძა-

ლების სრული მობილიზება მოითხოვა (თქვენ იცით, რატომაც), მალე გამოქვეყნდება.

ახლა კი განვაგრძოთ საუბარი იაპონიის ტელევიზიისა და პრესის უდიდესი ინტერესის შესახებ საქართველოს პრეზიდენტისადმი.

ჯერ — საერთო ინტერესი მხოლოდ ციფრების ენაზე.

იაპონიის კონსტიტუციით, ამ ქვეყანას წელიწადში მხოლოდ 5 პრეზიდენტის მიღება შეუძლია. 1999 წლის პირველი სტუმარი ედუარდ შევარდნაძეა — საქართველოს პრეზიდენტი.

მხოლოდ ხუთის. არა იმიტომ, რომ ქვეყანას უჭირს უმაღლეს დონეზე სტუმრის მიღება (ასეთი ხარჯები ამ უმდიდრესი ქვეყნისთვის მიზერულია), არამედ იმიტომ, რომ იღებს იმათ, ვინც აუცილებელზე აუცილებელია თვით ამ ქვეყნისთვის, მისი ინტერესის საგანია, ვინც სჭირდება.

თქვენ, რა თქმა უნდა, ხვდებით, რას ნიშნავს ეს. თუნდაც დიდი შვიდეულის (რუსეთის ჩათვლით — რვისა) ოთხ პრეზიდენტსლა გაუღებს კარს იაპონია წლეულს, დანარჩენები — 2000 წელს, ბატონებო!

კიოტოს ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „სან-მიაკო ხოტერუში“ („დედაქალაქის სასტუმრო“) სხვადასხვა დროს აქ ნამყოფი პრეზიდენტები: ჯერალდ ფორდის, რონალდ რეიგანის, ჯორჯ ბუშის, მიხეილ გორბაჩოვის, ვოიცეხ იარუზელსკის, აგრეთვე, ჰელმუტ კოლის გამოფენილ ფოტოსურათებს 1999 წლის 7 მარტიდან ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს პრეზიდენტის ფოტოსურათიც დაემატა. კიოტოში, იაპონიის საუკუნოვანი სულიერების გულში, ეს ტრადიცია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ფაქტის დაფიქსირებას...

მაგრამ აქ შევჩერდეთ, რადგან იაპონელები სიზუსტის მოყვარული ხალხია და ტოკიოს ეროვნულ პრესცენტრში მისასვლელი ავტობუსი დანიშნულ დროს გავა — წუთი წუთში. არავითარი გამონაკლისი.

აკლიმატიზაცია ჩასული ჟურნალისტისთვის, სხვათა შორის, იაპონური სიზუსტით მუშაობასაც ნიშნავს, რადგან არ დაგიცდიან, შენდამი დიდი ხათრის მიუხედავად.

ჰოდა, აკლიმატიზაციის პირველსავე დღეს, პირველსავე ღონისძიებაზე წასასვლელად ჩვენთვის გამოყოფილ ავტობუსთან აქოშინებულები რომ მივვარდით, დაგვხვდა ადგილი, სადაც

ერთი წუთის წინათ იდგა ავტობუსი წარწერით „ჟურნალისტები“ (და არა გაცეიბული და განყენებული, მაშასადამე, უზუსტოც — „პრესა“).

„იდგა“ ზმნა წარსულ დროშია.

მადლობა საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრებს, რომლებიც მათთვის მირთმეულ ავტომანქანებში ცოტა შევიწროვდნენ, მაშასადამე, დაარღვიეს ოფიციალური პროტოკოლი (იაპონელები ამან იმდენად გააოცა, რომ ხმაც ვერ ამოიღეს) და ჩვენი ქალი კოლეგები თან გაიყოლიეს.

ამ გაკვეთილის შემდეგ არც ნატო ონიანს, არც მაია ალუდაურს, არც თამარ ბარბაქაძეს, არც გია აბაშიძეს და არც ამ სტრიქონების ავტორს არათუ არ დაგვირღვევია განრიგი, ჩვენზე მომაგრებულ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს უკვე ავტობუსში ჩამსხდრები ვხვდებოდით...

ახლაც გვეგონა, რომ პრესცენტრში პირველები მივიდოდით. ავდივართ მეთუე სართულზე და გაჭედილია ჟურნალისტებით ეს დიდი დარბაზი. წესრიგის მოყვარულ კოლეგებს ჩვენთვის „დაკავებულია“ წარწერიანი ადგილები რომ არ შეენახათ, ფეხზე დგომა მოგვიწევდა...

— მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი!

დარბაზი ფეხზე დგება და ტაშით ეგებება ედუარდ შევარდნაძეს.

პრეზიდენტის წარდგინება, მისი სიტყვა — ქვეყნის თავისებური პრეზენტაცია, და — შეკითხვები.

არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად — იაპონელმა ჟურნალისტებმა, დიდი ხანია, აღმოაჩინეს ედუარდ შევარდნაძე-პოლიტიკოსი, არამედ, უწინარესად, მსოფლიო პოლიტიკაში გასარკვევად და, რაც მთავარია, ერთგვარი შიშის, დაძაბულობის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ხალხის ფობია გახდა, მოსახსნელად, დასამშვიდებლად საკუთარი თავისაც და საკუთარი მკითხველ-მაყურებლებისაც. ამისთვისაც სჭირდებათ საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან.

არა მგონია, უზუსტო იყოს დაკვირვების ეს შედეგი.

მამ, შეკითხვები.

იაპონელი ჟურნალისტები, უწინარეს ყოვლისა, დსთ-ის არსებობის პერსპექტივით დაინტერესდნენ. ეს სავესებით გასაგებია — იაპონიისთვის სულერთი არ არის ამ დიდი საერთაშო-

რისო ალიანსის სტაბილურობის პრობლემა, რადგან ამომავალი მზის ქვეყანას არცთუ მეორეხარისხოვანი ინტერესები — ფინანსური, ეკონომიკური და სხვა — აქვს ჩადებული თანამეგობრობის ქვეყნებში, უნინარესად, — რუსეთში.

ახლა კიდევ — „დიდი აბრეშუმის გზა“.

თქვენო, შეეკითხებიან შევარდნაძეს, არაერთ ინტერვიუში განგიცხადებიათ, რომ დსთ-ის კარდინალური რეფორმა აუცილებლად საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო მზად არის, გამოვიდეს ამ ორგანიზაციიდან.

ვისი ინიციატივით უნდა მოხდეს ეს რეფორმა, რა პერიოდში, რა ვადაში, რომლის შემდეგაც საქართველო გამოვა ამ გაერთიანებიდან?

ედუარდ შევარდნაძე:

— რამდენიმე თვის წინათ მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში შევიკრიბეთ თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები, ცოტა ხნის შემდეგ ასეთი შეხვედრა გაიმართა მოსკოვში. ჩვენ პრინციპულად განვიხილეთ საკითხი და ყველანი ერთსულოვანი ვიყავით, რომ აუცილებელია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საფუძვლიანი რეფორმირება. აქ ძალიან ბევრი ფორმალიზმი დაგროვდა — ვიღებთ ძალიან კარგ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ცუდად რეალიზდება, ამიტომ საჭიროა ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მიღებულ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებას.

კომისია მუშაობს, პირველ შედეგებს გავეცანი, ვფიქრობ, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა. უახლოეს მომავალში (თარიღს ვერ დაგისახელებთ) შედგება სახელმწიფოთა მეთაურების, პრეზიდენტების შეხვედრა და ამ შეხვედრაზე გავარკვევთ, როგორ ვიმოქმედოთ პრობლემის გადასაჭრელად, რა გზით ვიაროთ.

დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის თანამდებობიდან ბორის ბერეზოვსკის მოულოდნელად და სასწრაფოდ გათავისუფლების შესახებ სწორედ აქ ჰკითხეს პირველად საქართველოს პრეზიდენტს, იყო თუ არაო თქვენთან წინასწარ შეთანხმებული ეს საკითხი, რაიმე კონსულტაციები თუ გაიმართა?

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

— უნდა ვაღიარო, რომ განსაკუთრებულ ახალ ამბავს, ძირითადად, საზღვარგარეთ ყოფნის დროს ვიგებ. ბორის ელცინი არ მომთათბირებია, ამიტომ ჩემთვის ძნელია კომენტირება. სა-

ერთოდ კი, წინასწარ მოთათბირება პრინციპულად საჭირო იყო. ბერეზოვსკი სამი დღის წინათ იყო თბილისში, ვისაუბრეთ დსთ-ის მომავალზე. რომ მცოდნოდა, გასათავისუფლებელი იყო, დროს არ დავკარგავდი.

შეეკითხნენ პრეზიდენტ შევარდნაძეს იაპონელი ჟურნალისტები საქართველოს ნატოში გაერთიანების პერსპექტივაზე. თუ ეს ფაქტად იქცა, რუსეთი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იქნება. ამასთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რა სცენარით განვითარდება?

და კიდევ: თურქეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობსადენის რეალიზაციის პრობლემითაც დაინტერესდნენ.

— რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, იგი არ არის ცუდი, კარგია. ჩვენ ხელმოწერილი გვაქვს მნიშვნელოვანი ჩარჩო-ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ორი ქვეყნის ურთიერთობათა პრინციპებს, სამუხაზროდ, რუსეთი აჭიანურებს მის რატიფიცირებას, არადა, ოთხი წელიწადი გავიდა. ჩვენ, დიდი ხანია, მოვახდინეთ მისი რატიფიცირება და ამ დოკუმენტით ვხელმძღვანელობთ.

რატომ ინტერესდებიან იაპონიაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით? დევს ფეთქებადი ნაღმი ამ ურთიერთობაში, რომლისაც უნდა ეშინოდეთ იაპონელებს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ინტერესი რუსეთის საგარეო პოლიტიკის შეფასებისთვის დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გლობალური ანალიზისთვის სჭირდებათ. პირდაპირ ვთქვათ: შევარდნაძის ავტორიტეტული აზრის გაგება სურთ.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხზე თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტი შევარდნაძე უფრო დეტალურად ილაპარაკებს:

— რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, — იტყვის, — არა მგონია, რომ ეს იაპონელებისთვის რალაც საშიშროებას წარმოადგენდეს, თუ ჩვენ მეორეხარისხოვან პრობლემებს არ გავაზვიადებთ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა სავსებით ნორმალურია. სიძნელეები მოსალოდნელი იყო, არის და მომავალშიც იქნება. არც რუსეთს და არც საქართველოს არ უნდა დაავინწყდეს, რომ ჩვენ თანასწორი სახელმწიფოები ვართ. თუ ეს დავივინწყეთ, მაშინ, რასაკვირველია, მე-

გობრობა არ გამოგვივა. მჯერა, რომ ჩვენი ურთიერთობა კარგი იქნება. შეიძლება საქართველო-რუსეთის ურთიერთობამ ხელიც კი შეუწყოს რუსეთსა და იაპონიას შორის კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. როგორც ვიცი, ჩემი ვიზიტის შემდეგ იაპონიაში ჩასვლას აპირებს რუსეთის ვიცეპრემიერი მასლიუკოვი (მასლიუკოვი ტოკიოში მართლაც ჩავიდა. — ა.ს.). რუსეთს დიდი ინტერესი აქვს იაპონიის მიმართ, არა მარტო კრედიტების მიღების თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ ბევრი ერთობლივი პროექტია, რუსეთში იაპონიის ბიზნესი ძალიან კარგად მუშაობს. ჩვენი ურთიერთობები ერთმანეთს თუ შეავსებს, თორემ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

ეს თბილისში ითქმება.

დავბრუნდეთ იაპონიაში და მოვისმინოთ ედუარდ შევარდნაძის პასუხი კითხვაზე: როგორ იმოქმედებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საქართველოს სურვილი ნატოში გაერთიანების შესახებ?

— ჩვენ რუსეთმა გაგვასწრო. მას ხელმოწერილი აქვს ხელშეკრულება ნატოსთან განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ. ჩვენ კი მასთან მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს. ისიც არის, ძალიანაც რომ მოვიწოდოთ, ნატოში არ შეგვიშვებენ. არც ნატოა საამისოდ მზად, მით უფრო, — არც ჩვენ. ასე რომ, რაიმე „მსოფლიო საფრთხე“ ამ თვალსაზრისით ნამდვილად არ არსებობს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ პრეზიდენტმა ჟურნალისტებს გაახსენა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება ოთხი ქვეყნის პრეზიდენტების დონეზეა მიღებული. „როგორც მითხრეს, — თქვა მან, — არის გარკვეული სიძნელეები ნავთობკომპანიების მხრიდან პროექტის დაფინანსების საკითხში. მე მგონია, რომ ეს პრობლემები გადაიჭრება. უკვე აგებულია და მალე სრული დატვირთვით ამოქმედდება ადრეული ნავთობსადენი და ნავთობის ტერმინალი სუფსაში.

კვლავ და კვლავ დაუბრუნდნენ იაპონელი კოლეგები დსთ-ის პრობლემას, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებას, გამოვა თუ არა საქართველო ამ ხელშეკრულებიდან, მამასა-დამე, თანამეგობრობიდანაც და ა.შ.

— მე მიმაჩნია, — განაცხადა შევარდნაძემ, — კოლექტიური უშიშროების ასეთი ხელშეკრულება საჭირო არ არის. ეს ჩემი

პირადი აზრია. მე ჯერ არ მოვთათბირებოვარ პარლამენტს, კოლეგებს. მოგვიანებით ყველაფერს გავარკვევთ.

დსთ-ის მომავლის შესახებ იმავე პრესკონფერენციაზე შევარდნაძემ უკვე ამომწურავად უპასუხა, მაგრამ რახან კვლავ დაინტერესდა ჟურნალისტი, პატივი სცა მის დაინტერესებას და გაიმეორა თქმული, გარკვეული ნიუანსების დამატებით: მაგალითად, თანამეგობრობის ტრანსფორმაციის აუცილებლობა არა მარტო საქართველოს სურვილია, არამედ დსთ-ის ქვეყნების ყველა პრეზიდენტის აზრიც არის, სხვა გზა, საერთოდ, არ არსებობს.

და, რა თქმა უნდა, — რუსეთში შექმნილი კრიზისული სიტუაცია, რომელიც დიქტატურის ჩამოყალიბების ნოყიერ ნიადაგს და პრაქტიკულად რეალიზებად პერსპექტივას ქმნის.

ამ თემას, ამკარად შიშნარევ დაინტერესებას, იაპონიის წამყვანი გაზეთების წარმომადგენლები მეორე დღეს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს კვლავ დაუბრუნდებიან.

ჩვენც სახვალაოდ გადავდოთ.

1999 წლის 12 მარტი

## „საქართველო მართლ სტალინი არ არის“

ჩასვლისთანავე — წუთი წუთზე დაიწყო საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საქმიანი შეხვედრების განუწყვეტელი ციკლი. ჩვენ, ჟურნალისტებმა, აეროპორტიდან, სადაც იაპონიაში მიღებული წესით პრეზიდენტის ოფიციალური დახვედრის ცერემონია გაიმართა, სასტუმრო „იმპერიალში“ ასვლა ძლივს მოვასწარით და პროგრამით გათვალისწინებული პირველი ნახევარსაათიანი შეხვედრა იაპონიის საგარეო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორთან — სატაკეიამასთან პრეზიდენტს უკვე დამთავრებული ჰქონდა.

ეს — თითქმის 11-საათიანი, დაუჯდომელი ფრენის შემდეგ თბილისიდან ტოკიოში.

იყო 16 საათი ტოკიოს დროით, და აქედან მოყოლებული, გვიან საღამომდე პრეზიდენტმა კიდევ ხუთი საქმიანი შეხვედრა გამართა.

და ასე — ყოველ დღე.

დრო — მცირე, საკითხები — მრავალი: ინვესტიციები, ვაჭრობა, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა, „დიდი აბრეშუმის გზა“ და ასე შემდეგ; უფრო მეტი — შეხვედრის მსურველი, და ეს სიმრავლე დაწინებელი, კონკრეტული, ლაპიდარული — ჩატეული 24 საათში, რადგან შემდეგ სტარტს იღებდა მომდევნო 24 საათი, დატვირთულობით ასლი პირველისა.

საუბრები მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე. სავსებით კონკრეტული პერსპექტივით — ექსპერტების დონეზე გადანყვეტილებების მისაღებად და — ან საქმის დასაწყებად, ან დაწყებული გასაფართოებლად და გასაღრმავებლად — უახლოეს დროში. კვირებზეა ლაპარაკი.

არ დაუჯეროთ, თუ ვინმე წიგნებიდან წაკითხულით შეეცდება თქვენს დარწმუნებას, რომ იაპონელები „ჰოს“ და „არას“ პირდაპირ არ ამბობენ, შემოვლითი გზით, მიკიბულ-მოკიბულად მიდიანო საპასუხო რეაქციამდე, შორი გზით და მშვიდობიანად, უკანდასახევი ხიდების დატოვებით.

ადრე ასე იყო.

ასე არ არის დღეს, რადგან ტრადიციული „სპირალური დიალოგის“ ერთგულება ფინიშამდე სწორი, მამასადამე, მოკლე გზის სხვისთვის დათმობას ნიშნავს. რაიც ნაგებაა — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით — სხვა მოგასწრებს, სხვა წაგართმევს ინიციატივას.

ინიციატივის დაკარგვა, ალებული ტემპო-რიტმიდან ამოვარდნა, კომპიუტერის სიზუსტით, კომპიუტერითვე გათვლილი საქმის კატასტროფას ნიშნავს.

იაპონელები დღეს, შეიძლება ითქვას, პრაგმატული მოსაუბრენიც არიან და საქმის კეთებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

პრეზიდენტის აი, ასეთ დაწინებულ პროგრამაში ჩაწერილი, აღმოჩენასავით „თავისუფალი დრო“ უფრო გაუგებრობის შედეგითაა ან კორექტურული ლაფსუსია, მაგრამ გაშიფრული „10 წუთი“ ყველაფერს კალაპოტში აყენებს.

10 წუთი თავისუფალი დრო — დიდი შელავათია!

თუ საუზმეა, „სამუშაო საუზმეა“, თუ სადილია, იმპერატორის, პრემიერ-მინისტრის ან სუპერკომპანიების სახელით, ვახშამიც ოფიციალური სამუშაოა.

ასე მოხედვასაც ვერ მოასწრებ და უკვე ტამკენტში ვართ წასასვლელი.

ასე ყოფილა და ასე იქნება, როდესაც ამომავალი მზის ქვეყანაში მისთვის საინტერესო მალაღი სტუმარი ჩადის.

\* \* \*

არ დაგვაზინყდეს, დღევანდელი ჩანანერების მთავარი თემა მაინც იაპონელ ჟურნალისტებთან პრეზიდენტის შეხვედრაა. დილიდანვე.

მაგრამ იაპონური მხარის მოთხოვნით, 6 მარტის პროგრამას, რომელიც მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრით უნდა დაწყებულიყო, გემთმშენებელი კომპანიის „ოსიმა ძოსენძოს“ პრეზიდენტთან — მინამისთან საუბარი დაემატა.

საკმაოდ ორიგინალური ნიუანსებით.

ბატონი მინამი მარტო არ მოსულა, მას სატყეო მეურნეობის საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ნიამაჯი და კუნძულ ოსიმას (ო — დიდი, სიმა — კუნძული) მერიც მოჰყვა.

— დიდო პრეზიდენტო შევარდნაძე! — მიმართა ედუარდ შევარდნაძეს იაპონელთა დელეგაციის მეთაურმა, — ჩვენს ხალხს და ჩვენ პირადად ისე გვიყვარხართ, რომ მთელი ღამე არ გვიძინებია, ვლელავდით ძალიან და უთენია გამოვემართეთ თქვენკენ.

იაპონელები გემთმშენებელი ერთობლივი სანარმოს შექმნის იდეით მოვიდნენ, აგრეთვე, საქართველოში ტყეების რეაბილიტაციაში მონაწილეობის სურვილით.

— ტყის გაშენება ჩვენ უნდა დავაფინანსოთ? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

— არა. ჩვენ ამ საქმეს ბიზნესის თვალით არ ვუყურებთ, შარშან საქართველოში ვიზიტის შემდეგ (ისინი მიუღია სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე გივი ჯაფარიძეს, ყოფილან თელავში და ღვინის ექსპორტის საკითხითაც დაინტერესებულან, — ა.ს.), თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, რომ ასეთი მეგობრული შესტი გაგვეკეთებინა. მაისში იაპონელების სამეცნიერო ექსპედიცია კვლავ ჩამოვა საქართველოში და, თუ თქვენი ნება იქნება, შევუდგებით ამ საქმეს.

— ჩვენი ფირმა და ქალაქი დიდი არ არის, — თქვეს სტუმრებმა, — მაგრამ გულთ გვსურს თქვენს ქვეყანასთან მეგობრობის განვითარება.

და — მოულოდნელი რაკურსი: გაირკვა, რომ ოსიმაზე მუნიციპალური არჩევნებისთვის ემზადებიან („მეშვიდე მონვევის“, როგორც ადრე იტყოდნენ ჩვენში) და არ დაუმალავთ, პირდაპირ უთხრეს პრეზიდენტს: იმიტომაც ჩამოვედით თქვენთან ტოკიოში, რათა ეს ფაქტი არჩევნებში გასამარჯვებლად გამოვიყენოთ, როგორც დიდი პროპაგანდისტული დატვირთვის მქონე მუხტი.

აი, ასე — არც მეტი, არც ნაკლები, ედუარდ შევარდნაძის ფაქტორს იაპონიის შორეულ კუნძულზე არჩევნებში გასამარჯვებლად იყენებენ.

შემდეგ სასწრაფოდ გადაიღეს ფოტოსურათები ჩვენს პრეზიდენტთან და დიდად გახარებულებმა დატოვეს „იმპერიალის“ აპარტამენტები.

\* \* \*

იაპონური გაზეთების ურთიერთობის პრინციპი — უმჯობესია ყოველთვის სხვებთან ერთად, ვიდრე ერთხელ აჯობო და შემდეგ ჩამორჩე, ანუ კონკურენციის პრაქტიკულად გამორიცხვა საქართველოს პრეზიდენტთან 6 მარტის შეხვედრის დროსაც გამჟღავნდა. ქვეყნის წამყვანი საინფორმაციო სააგენტოები — „კიოდო“, „ჯიჯი“, გაზეთები — „ნიკეი“, „იომური“, „სანკეი“ ერთად ესაუბრნენ ედუარდ შევარდნაძეს.

პრეზიდენტს ინტერვიუები ჩამოართვეს იაპონიის უდიდესმა ტელეკომპანიამ „NHK“-მ და დიპლომატიურმა ელიტურმა ჟურნალმა.

ედუარდ შევარდნაძის ყველა გამოსვლა თუ ინტერვიუ შესავალი ფრაზით, როგორც წესი, ექსპრომტით იწყება. იაპონიის დიპლომატიურ ჟურნალთან საუბარიც ასე დაიწყო.

— იაპონიაში თქვენ უფრო გიცნობენ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტს.

მე სამი შეკითხვა მაქვს...

**ედუარდ შევარდნაძე** (სიტყვას ჩამოართმევს): — ერთი შეკითხვა თქვენ უკვე დასვით — რატომ არ იცნობენ საქართველოს? იმიტომ, რომ იაპონიაშიც და მთელ მსოფლიოშიც იცნობდნენ ერთ ქვეყანას — საბჭოთა კავშირს. ეს იყო დახურული, ჩაკეტილი საზოგადოება. მისი გაცნობა, პრაქტიკულად, ბევ-

რი სიძნელის გადალახვასთან იყო დაკავშირებული, რასაც, პრაქტიკულად, ზოგიერთები თუ ახერხებდნენ. უდიდესი უმრავლესობა კი საბჭოთა კავშირს აღიქვამდა, როგორც ერთიან ქვეყანას. საქართველოს თუ ვინმე იცნობდა, უმეტესად, როგორც სტალინის სამშობლოს, ეს სახელი კი არცთუ პოპულარულია იაპონიაში(!).

ჭადრაკის ენაზე თუ ვიტყვით, ასეთი დებიუტის გათამაშების შემდეგ ინიციატივა საუბარში მთლიანად რესპონდენტის ხელში გადადის, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუ სწორედ მის ერთგვარ მეორადობას გულისხმობს. ამიტომ, ყველაფრიდან ჩანდა იაპონელი, გამოცდილი ჟურნალისტის შეკითხვები უკვე ედუარდ შევარდნაძის ნაკარნახევს ჰგავდა: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და რეფორმათა მთავარი მიმართულება; თანამეგობრობაში შექმნილი ვითარება; საქართველო-იაპონიის ურთიერთობა.

საქართველოს პრეზიდენტის პასუხის მთავარი აქცენტი ასეთი იყო: საქართველო ჩვენს პლანეტაზე დღეს არსებულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უძველესია. სულ მალე ჩვენი სახელმწიფოებრიობის 3000 წელს აღვნიშნავთ. უძველესი და თანამედროვე სულიერი და მატერიალური კულტურა, ინტელიგენცია, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა ერის არსებობის ორგანული შემადგენლებია.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე დაკარგული თავისუფლება, ორი იმპერიის ბატონობა — რუსეთისა და საბჭოთა კავშირისა.

თავისუფლების აღდგენის პირველი წლები ჩვენთვის უაღრესად დრამატული აღმოჩნდა — აფხაზეთის კონფლიქტი, ეკონომიკის კოლაფსი, მატერიალური წარმოების დაცემა.

1994 წლიდან შედარებითი სტაბილიზაცია; რადიკალური ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის პირველი შედეგები.

1995 წლიდან ეკონომიკური გამოცოცხლების პირველი ნიშნები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობა.

კონსტიტუციის მიღება, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს უპასუხებს.

დემოკრატიული არჩევნები პარლამენტის, პრეზიდენტის.

ქვეყნის დემოკრატიული რეფორმირება ყველა სფეროში, პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება. ადგილობრივი საკრებულოების არჩევნებით ყველა დონეზე დემოკრატიული

მმართველობის სისტემის დანერგვა.

ხელისგულზე დადებულივითაა: ორი საუკუნე და რვა წელიწადი, რომლებმაც რადიკალურად გარდაქმნა ქვეყანა.

ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყო და სულ ორიოდ წელიწადში საერთო ეროვნული პროდუქტი 2 პროცენტიდან 12 პროცენტამდე გაიზარდა.

1998-ში რუსეთის ეკონომიკური კრიზისის უაღრესად უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე სოციალური პრობლემების გამწვავება, მაგრამ 1999-ის იანვარ-თებერვალში ამ სიტუაციიდან გამოსვლას ვიწყებთ. ვალუტის რხევა დასაშვებ ფარგლებშია, ასევე — ინფლაცია. ფასები ძირითად პროდუქტებზე, ფაქტობრივად, უცვლელია.

წლეულს ერთიანი ეროვნული პროდუქტი 7-8 პროცენტის ფარგლებში იქნება.

### — რეფორმირების მთავარი შედეგი?

— კერძო მესაკუთრის გაჩენა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. მინის რეფორმით მილიონ ასი ათასმა ოჯახმა მიიღო მინა კერძო საკუთრებაში. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ოთხი მეხუთედი კერძო სექტორიდან შემოდის.

### — რუსეთთან დამოკიდებულება, დსთ-ის პრობლემები?

— საქართველოს ყველა ქვეყანასთან კარგი დამოკიდებულება აქვს, უწინარესად, ჩვენს მეზობლებთან — სომხეთთან და აზერბაიჯანთან; უკრაინასთან, რომელთანაც გვაკავშირებს ხელშეკრულება თანამშრომლობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

არის გარკვეული სირთულეები რუსეთთან ურთიერთობაში, მაგრამ მათი დრამატიზება არ ხდება, ნაბიჯ-ნაბიჯ ვძლევთ.

ფაქტი: საქართველოს საზღვრებს აქამდე რუსი მესაზღვრეები იცავდნენ, ახლა — ქართველები. ეს პრობლემა, თავიდან რთული, ეტაპობრივად დავძლიეთ.

დსთ არ არის უნივერსალური ორგანიზმი, რეორგანიზაცია სჭირდება. იგი არ უნდა იყოს ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

ედუარდ შევარდნაძემ დსთ-ის პრობლემათა შორის კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებაც დაასახელა, რომელიც, მისი აზრით, ამ სახით არ უნდა არსებობდეს. თუ გამოინახება

კოლექტიური უსაფრთხოების ახალი ფორმები, ამაზე მერე ვიმსჯელოთ.

— **იაპონიაში ვიზიტის მთავარი შედეგი რა უნდა იყოს?**

— ბოლო პერიოდში თქვენს საქმიან წრეებს ინტერესი გაუჩნდათ ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი ენერგომემცველების, კომუნიკაციისა და სხვა სფეროებში. აქცენტირებულია კასპიის (აზერბაიჯანი) გაზია და ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი. აქ წინა პლანზე წამოიწია საქართველოს ახალმა, როგორც „დიდი აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქვეყნის, ფუნქციამ.

იაპონიის პრემიერმინისტრმა ბატონმა ობუჩიმ გამოთქვა მზადყოფნა ამ ტრანსნაციონალური პროექტის მხარდასაჭერად. ამ პროექტის განხორციელება სხვა ქვეყნებთან ერთად იაპონიისთვის მრავალმხრივ საჭირო და სასარგებლოა.

ამის აუცილებლობა უკვე გაითვითცნობიერეს თქვენს საქმიან წრეებში, და თქვენ რომ დაგჭირდით, ჩამოვედით და ხელშეკრულებებსაც მოვანერეთ ხელი.

— **იაპონელები კითხულობენ: სად და რატომ უნდა დაიხარჯოსო ჩვენი ფული? მე გადავცემ მათ იმას, რაც თქვენ ახსენით.**

— მე მგონი, გასაგები ხდება იაპონელებისთვის, რომ საქართველო მართო სტალინი არ არის.

ეს იყო ედუარდ შევარდნაძის დასკვნითი წინადადება და ამით შეიკრა კიდევ ინტერვიუ.

იაპონური ჩანაწერების ეს მონაკვეთიც.

1999 წლის 13 მარტი

**„აბა, ულა!“**

ტექნიკური სასწაულის ამ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კომპიუტერიზებულია, ტუალეტებიც კი, ჟურნალისტები კალმით წერას აძლევენ უპირატესობას.

იეროგლიფების ყალმით წერის (ხატვის?) ტექნიკა, ერთ-ერთი უძველესი ხელოვნება, უნდა იყოს ამ ტრადიციის საფუძველი. ალბათ, სხვა რამეც, თუნდაც ის, რომ შემოქმედებით პროცესში, როდესაც კალმის მოსმა შენი სულიერი მდგომარეობის

გამოხატვის ესთეტიკაა, შუამავალი, უახლესი ტექნიკური სა-  
შუალებაც კი, უცხო სხეულია, მაშასადამე, მიუღებელიც.

ასე იყო ტოკიოს ეროვნულ პრესცენტრში საქართველოს პრე-  
ზიდენტის პრესკონფერენციაზე, იმ არეალში მაინც, რომელ-  
საც თვალი გასწვდა.

მით უფრო, ასე იყო კამერულ სიტუაციაში, როცა იაპონელი  
ჟურნალისტები ედუარდ შევარდნაძის პირისპირ ისხდნენ და  
ესაუბრებოდნენ.

ისხდნენ, ესაუბრებოდნენ და... უსარგებლოდ ეწყობთ კალმე-  
ბი მაგიდაზე.

გაფაციცებით უსმენდნენ და აღიბეჭდავდნენ მეხსიერებაში  
— ყველაზე უფრო საიმედო კომპიუტერში.

ისიც იყო, ალბათ, რომ ასეთი რანგის პიროვნებასთან საუბ-  
რის დროს მთლიანად რესპონდენტზე იყვნენ კონცენტრირე-  
ბულნი და თავს უფლებას ვერ მისცემდნენ, სხვა რამეზე, თუნ-  
დაც პროფესიული მოვალეობის შესრულებაზე, გაენაწილები-  
ნათ ყურადღება.

შეიძლება, ვიღაც ინერდა კიდეც და ვერ შევამჩნიე, მაგრამ  
— არა მგონია.

ეს ყურადღება ცალმხრივი არ ყოფილა.

ინტერვიუსთვის მისული NHK-ს ტელეკომპანიის კომენტა-  
ტორი ქალი ედუარდ შევარდნაძემ იცნო და ეკითხება:

— თქვენ ახლახან ანკარაში არ იყავით?

კომენტატორი ცოტა დაბნეული, ჰოსსაც ამბობს და ვერც ამ-  
ბობს.

პრეზიდენტი აზუსტებს:

— თქვენ იყავით იმ ჟურნალისტებს შორის, რომლებიც ჩემი  
და დემირელის პრესკონფერენციას დაესწრნენ. თქვენ კიდეც  
ცდილობდით, შეკითხვა დაგესვათ, მაგრამ არ მოგცეს ამის სა-  
შუალება.

კიო, მე ვიყავიო.

— აი, ახლა თქვენს ხელთა ვარ, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ.

იყო ეს ექსპრომტად მოგებული დებიუტი (იხ. წინა პუბლიკა-  
ცია) და იყო ამ კაფანდარა ჟურნალისტის გამხნევებაც იმ და-  
ძაბულობის მოსახსნელად, რომლის დაძლევა იაპონელ მატყ-  
ლის ფთილას კი არა, ჟურნალისტიკის ლომა ხარებსაც უჭირთ.

მაშ, ასე: 6 მარტი, შაბათი, სასტუმრო „იმპერიალის“ აპარტა-

მენტები; NHK, საინფორმაციო სააგენტოები — „კიოდო“, „ჯი-ჯი“, „გაზეთები — „ნიკეი“, „იომურა“, „სანკეი“.

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან.

პრესცენტრში გუშინ დაწყებული საუბრის გაგრძელება გვსურსო, განახცადეს ჟურნალისტებმა. პირველი შეკითხვა დსთ-ის პრობლემის შესახებ (ისევე):

— **თანამეგობრობის ქვეყნების ბევრი ლიდერი ამ გაერთიანებას უარყოფითად აფასებს...**

— ეს ძალიან რთული საკითხია და ძნელია ამ სპექტრის სრული მოცულობით და დეტალურად გადმოცემა. ფაქტია, რომ ჩვენ, თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტები, დსთ-ის შეფასებაში ერთსულოვანნი ვართ.

დსთ არის გაბერილი, ბიუროკრატიული ორგანიზაცია, რომლის მრავალრიცხოვანი სახელმწიფო მოხელეები ქმნიან უსარგებლო ქაღალდებს. ამ ბიუროკრატიულ წარმონაქმნს ბოლო უნდა მოეღოს. დსთ სიცოცხლისუნარიანი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ქვეყნების განვითარებას. ამიტომ საჭიროა, შეიმქნას ახალი, ქმედითი ორგანიზაციული სისტემა. არის კონკრეტული პროექტი ამგვარი გარდაქმნის, რომელიც ჩემ მიერ ვიზირებულია.

ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არ უნდა არსებობდეს. დსთ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციაა და მეტი არაფერი.

ეს არ გამორიცხავს, რომ მასში გაერთიანებული ქვეყნები ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირებით ერთმანეთთან იყვნენ ინტეგრირებული. ამის მაგალითები ჩვენს სინამდვილეში არსებობს.

— **რუსეთის დაშლა ჰიპოთეტური საფრთხე არ არის, რეალობაა. ამას აცხადებს ბატონი პრიმაკოვი.**

— ვფიქრობ, რომ ევგენი მაქსიმეს ძემ ყველაფერი უნდა ილონოს, რუსეთის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ფედერაციის დაშლა დიდი ტრაგედია იქნება არა მარტო ამ ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

— **ხომ დაიშალა საბჭოთა კავშირი?**

— ეს სხვა საკითხია. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ფორმალურად, მაგრამ მაინც, კონსტიტუციაში დაფიქსირებუ-

ლად შედიოდა სუვერენული ქვეყნები გამოყოფის უფლებით. რუსეთი ფედერალური სახელმწიფოა და მასში შემავალი სახელმწიფო წარმონაქმნები დამოუკიდებელი ქვეყნები არ არის.

— ჩეჩნეთი?

— ეს განსაკუთრებული კატეგორიაა. ჩეჩნეთის საკითხზე მოლაპარაკება რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე. ეს ჩეჩნეთისთვისაც სასარგებლო იქნება და რუსეთისთვისაც.

— ვინ და როდის დაიწყო „პერესტროიკა“, ბატონო პრეზიდენტო? ჩვენ წაკითხული გვაქვს, რომ თქვენ და გორბაჩოვი სეირნობდით ზღვის პირას, როდესაც ეს იდეა დაგებადათ.

— ეს იყო ბიჭვინთაში, სადაც იგი დასასვენებლად ჩამოდიოდა. მაშინ ვთქვით, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. მინდა გითხრათ, რომ გარკვეული ელემენტები გარდაქმნისა ეკონომიკაში ექსპერიმენტების სახით მაშინ საქართველოში უკვე ხორციელდებოდა. გორბაჩოვი, როგორც ცკ-ის მდივანი, პოლიტიბიუროს წევრი, ჩამოდიოდა საქართველოში და ადგილზე ეცნობოდა მათ.

— მაგრამ იდეა თქვენია?

— არა. გორბაჩოვი იყო მთავარი ორგანიზატორი. ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით და ნუ წავართმევთ მას დაფნის გვირგვინს.

— ამჟამად თუ ხვდებით გორბაჩოვს?

— ძალიან იშვიათად.

— „პერესტროიკაზე“ საუბრობთ?

— საუბრისთვის დროა საჭირო, სუფრა უნდა გაშალო, ბოთლით ღვინო დადგა. მე კი დრო არ მაქვს.

— იყო კი საჭირო „პერესტროიკა“?

— აუცილებლად საჭირო იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო არ შეიცვლებოდა, დარჩებოდა სისტემების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, ბირთვული კატასტროფის საშიშროება. მართალია, არის პრობლემები დღევანდელ მსოფლიოშიც, მაგრამ ყველა ისინი მოგვარებადია.

— თუ იყო გორბაჩოვი მზად იაპონიისთვის კურილის კუნძულების დასაბრუნებლად?

— არა. საკითხი ასე არ იდგა — მიეცათ თუ არ მიეცათ კუნძულები. ითვლებოდა, რომ ეს არის დახურული თემა. როგორც

კი დააყენებდნენ საერთაშორისო შეხვედრების დროს ამ საკითხს, გრომიკო დახურავდა თავის საქალაქს და განაცხადებდა: — Her!

ჩვენ სხვა პრინციპებს ვერთგულებდით, მაგალითად, პირველად ჩვენ განაცხადეთ, რომ კლასობრივი ბრძოლა არ არის ჩვენი მთავარი მიზანი.

მიმაჩნია, რომ სრულიად არანორმალური ვითარებაა შექმნილი იმის გამო, რომ თავის დროზე სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ხელმოწერილი არ იყო სამშვიდობო ხელშეკრულება. ფორმალურად კვლავ ძალაში რჩება საომარი მდგომარეობა. როდესაც ბატონი აბე ჩვენი შეხვედრების დროს დააყენებდა საკითხს სადავო ტერიტორიების შესახებ, მე არ ვდგებოდი და არ ვტოვებდი მოლაპარაკების მაგიდას. ვთათბირობდით და ჩვენ — ორივეს გვიყალიბდებოდა აზრი, რომ პრობლემის გადაწყვეტამდე თანდათან უნდა მივიდეთ.

პრაქტიკულად ეს პროცესი ასეც განვითარდა. დაიწყო იგი იაპონელებისთვის ნებართვის მიცემით, მოენახულებინათ წინაპართა საფლავები. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ეს საკითხი მტკივნეული და გასაგებია.

ამჟამად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა — იაპონელებს იქ თავისუფლად ჩასვლის ნება აქვთ.

**კვლავ, უკვე მერამდენედ, დსთ-ის ფარგლებში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების შესახებ ჰკითხეს საქართველოს პრეზიდენტს და კვლავ მისი აზრი უარყოფითი იყო. თუნდაც ასეთი კუთხით: არის ეს ხელშეკრულება და მაინც არის კონფლიქტები მთიან ყარაბაღში, აფხაზეთში. მოქმედებს ეს აბსტრაქტული ხელშეკრულება ამ კონფლიქტების მოგვარებაზე? არა. როცა შიდა კონფლიქტების მოგვარებას ვერ ახერხებს, განა შეიძლება სერიოზულად დაიჯერო, რომ გარეშე საფრთხისგან დაიცავს ქვეყანას?**

**მაშ, რისთვისაა საჭირო?**

— თუ რუსეთი დაგვესხმება თავს, ეს ხელშეკრულება, ცხადია, არ დაგვიცავს. ჩვენს მეზობლებთან — აზერბაიჯანთან და სომხეთთან ძმურად ვცხოვრობთ და ომის დაწყებას არ ვაპირებთ. თურქეთი თავს არასოდეს დაგვესხმება.

მაშ, ვის წინააღმდეგ, რომელი საშიშროებისგან თავის დასაცავად უნდა გავერთიანდეთ ამ ხელშეკრულებით?

ასეთმა რუდიმენტებმა ამოჭამეს საკუთარი თავი.

იქნებ შეიძლება ასეთი ხელშეკრულების ახალ საფუძველზე დადება, მაგრამ ამაზე ჯერ არ მიფიქრია. და თუ მაინც იქნება, მაშინ მასში მონაწილე ქვეყნები, უწინარესად, ერთმანეთს სამხედრო მშენებლობაში უნდა დაეხმარონ.

ხოლო კონფლიქტები, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება. ქართველებიც, აფხაზებიც მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ, დიპლომატიის გარდა, პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზა არ არსებობს.

თანდათან ჩაცხრა ქართულ-ოსური კონფლიქტი. მიმდინარეობს შერიგების პროცესი და ამ საქმეში მოსახლეობა პოლიტიკოსებს უსწრებს.

ალბათ, ასევე მოხდება ყარაბაღშიც.

საერთოდ კი, კავკასიური ფაქტორი სრულად არ არის ამოქმედებული.

**დაინტერესდნენ იაპონელი ჟურნალისტები ასეთი „უხერხული“ თემითაც:**

— **რიგი ქვეყნების ხელმძღვანელები მაინც ყოფილი პარტიული ლიდერები არიან.**

— სხვების შესახებ სხვებს ჰკითხეთ. მაგრამ ხომ დაინგრა საბჭოთა კავშირი? ხომ დამთავრდა „ცივი ომის“ ეპოქა? თუ მე ვმონაწილეობდი ამ ბედისმიერ გარდაქმნებში, არა მგონია, გამოვდგე დიქტატორის იმ მაგალითად და ხატად, თქვენს შეკითხვაში რომ იგულისხმება.

საქართველო დემოკრატიული იდეალების ერთგულია, ჩვენთან ჩამოყალიბებულია ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება. ჩვენი პრესა, მე მგონი, მსოფლიოში ყველაზე თავისუფალია...

და კვლავ ნატოსთან დამოკიდებულება.

— მე მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენსა და ნატოს შორის განვითარდეს ის ურთიერთობა, რომელიც დღეს არის ჩამოყალიბებული.

რა იქნება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს.

საქართველო პატარა ქვეყანაა დიდი მომავლით.

— **როგორც იაპონია?**

— არა. იაპონია დიდი ქვეყანაა. საქართველოს გაუჩნდა გლობალურ სატრანსპორტო სისტემაში საკვანძო ქვეყნის ფუნქცია და იგი, ფაქტობრივად, ყველასთვის საჭირო გახდა.

ახლა იაპონიაც დაინტერესდა „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენით, ცენტრალური აზიის ქვეყნებით, სამხრეთ კავკასიით, საქართველოთი, და ჩვენც აქ ვართ დღეიდან და ამას იქით სათანამშრომლოდ.

\* \* \*

იყო ზღვა და ზღვისპირა ქალაქი.

ქართველების გუნდი იდგა ამ ქალაქის მთავარ ქუჩაზე — ახალი დიდი საქმის სათავის დადების მონაწილენი, და წარმოსახვის ფართო ეკრანზე სხვა ზღვის ნაპირზე მიმავალი ფეხშიშველა ფეხბურთელები მღეროდნენ „აბა, ულას“.

ხმა სულ მაღალ და მაღალ რეგისტრში რეკდა, როგორც უკან დაბრუნების შეუძლებლობა.

„აბა, ულა!“

1999 წლის 14-15 მარტი

## **„რად გამაღვიპე, მამალო, სიწმრად ვხედავდი დედას“**

მპერატორი იაპონიის — კონსტიტუციური მონარქიის ქვეყნის — სიმბოლოა. კონსტიტუციაში ჩანერილია, რომ იგი არის „სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლო“. ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში მას, რა თქმა უნდა, გაღმერთების შარავანდედი გვირგვინად არ ადგას, მაგრამ ერის ცოცხალ და, გარკვეულწილად, იდუმალებით მოცულ სიმბოლოდ მაინც რჩება.

ამიტომ უცხო ქვეყნის ლიდერის მიღება იაპონიის იმპერატორის სასახლეში უმაღლესი რიტუალური ცერემონიაა (აეროპორტში საზეიმო დახვედრა მხოლოდ დახვედრის ცერემონიაა, სახელმწიფო ეტიკეტით გათვალისწინებული), უმაღლესი პატივისცემის გამჟღავნებაა.

დავაზუსტოთ: იმპერატორის მიერ სტუმრის მიღებაზეა საუბარი.

მაგრამ, როდესაც იმპერატორი მაღალ სტუმარს მეუღლით და, განსაკუთრებით, ოჯახის წევრებითურთ შეხვდება, ეს გამონაკლისი და უიშვიათესი შემთხვევაა.

იმპერატორის სასახლე ტოკიოში ქალაქის ცენტრშია, მისგან წყლით სავსე განივი არხით, ქვის მაღალი ყორითა და დეკორატიული ხეების გვერდით ტერიტორიაზე აგებული, მწვანე სახურავით ილანდება ქალაქიდან მაღალი ფიჭვების კენწეროებს შორის, ცათამბჯენების რკალში მოქცეული. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ერთ დიდ ბაღში ჩაუდგამთ კოხტა კოტეჯი საკმაოდ მდიდარი კაცის; მაგრამ ამით დღეს ვერავის გააკვირვებ.

ალაყაფის კარამდე ავტობუსს მივყავართ (ფართო მოედანი გადავკვეთეთ) და, როდესაც უკვე ვემზადებით შემოწმება-გასინჯვისთვის, შეგვხედავენ, გაგვილიმებენ, დაგვთვლიან და — მიბრძანდითო!

კვლავ ფართო მოედანი, მცირე აღმართი, მოკირწყლული, და ტიპური იაპონური არქიტექტურა: ნაგრძელებული, ორსართულიანი იაპონური სახლი, ოღონდ გაცილებით დიდ მასშტაბში. მუქი მწვანე, თეთრი, მოყვითალო ფერები.

კვლავ ტრადიციის ხაზგასმული ერთგულება: მოკრძალებული ყოფის დემონსტრირება — მარტივი ფორმის განზომილებაში სიდიადის მატერიალიზაცია.

ჟურნალისტთა ქართულ გუნდს სასახლის შესასვლელთან — შუშის დიდ მართკუთხა კართან — ერთ ხაზზე ჩაგვამწკრივებენ. ამ კარის ორივე მხარეს საპატიო ყარაული დგება.

ვდგავართ და ვიცდით.

მოედნის ჰორიზონტზე შავი ლიმუზინების კორტეჟი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტით გამოჩნდება და პრეზიდენტის მანქანა ზუსტად კარის წინ ჩერდება: იმპერატორი აკიჰიტო, იმპერატორის მეუღლე მიჩიკო კარის ზღურბლზე ეგებებიან მაღალ სტუმრებს — საქართველოს პრეზიდენტს და მის მეუღლეს.

გულთბილი მისალმება, მიპატიჟება და შუშის კარი ისე ცივად იკეტება, როგორადაც აქამდე ცივად იყო დახშული ჩვენთვის: ჟურნალისტებს მხოლოდ სადილზე, რომელიც იმპერატორისა და მისი მეუღლის სახელით გაიმართა, სიტუაციის დასაფიქსირებლად შეგვიშვებენ. თან — გადალება არ შეიძლებაო (მწერალი ჟურნალისტებისთვის), ჩვენ მაინც ვიღებთ. არც არავინ გვტუქსავს მაინცდამაინც ამის გამო.

რა იყო იქ, სასახლის სიფრიფანა კედლებს მიღმა შეხვედრის დროს? ვკითხოთ ქალბატონ ნანული შევარდნაძეს, რომელიც

როგორც ჩვენი კოლეგა, უთუოდ დააფიქსირებდა საინტერესო მომენტებს (საუბარი ვიზიტის დამთავრების შემდეგ, თვითმფრინავის სალონში გაიმართ).

— იმპერატორი, როგორც იცით, პოლიტიკური მოღვაწე არ არის, პოლიტიკაში საერთოდ არ ერევა, სამაგიეროდ, იგი ქვეყნის სიმბოლოა და ესეც კარგად მოგეხსენებათ.

სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ იმპერატორი ღმერთთან იყო გაიგივებული.

ჩვენ ვნახეთ საოცრად თავმდაბალი, საოცრად ინტელიგენტური პიროვნება, რომელიც განგანყოფს ურთიერთობისთვის, საუბრისთვის. ლაპარაკობს დინჯად, ყველაფრით ინტერესდება, გვეკითხება ქვეყანაზე, მის სულიერ ღირებულებებზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე.

მთელი ოჯახი განსაკუთრებული ყურადღებით იყო გამსჭვალული ჩვენდამი. თუმცა, ეს ყურადღება ადრეც გამოიყვანდა: იმპერატორის მიუღწევად გამომიგზავნა საოცარი სილამაზის თაიგული — იკებანა, ვარდის მსგავსი ყვავილებით შეკრული, რომელთაც, როგორც მითხრა, მისი სახელი ჰქვია.

აღბათ, თქვენც შეამჩნიეთ იაპონელების ლტოლვა სილამაზისადმი, მშვენიერებისადმი. ყვავილების კულტია. ყვავილების ფერები, ნახეთ, როგორი მსუყეა, თითქოს არაბუნებრივი. თუნდაც მწვანე ფერი. გინახავთ ასეთი სიმწვანე სადმე სხვაგან? წითელი შინდისფერში რომ გადადის, აი, ასეა, ოღონდ მწვანე და — მუქი, მუქი მწვანე.

ხეები და ბუჩქები ისეა გაზრდილი და შეკრეჭილი, რომ სხვადასხვა ფორმა აქვს მიცემული: დეკორატიული ხელოვნება იაპონიაში უმაღლეს დონეზე არის განვითარებული.

ყვავილებით, დეკორატიული მცენარეებით მორთულა სასახლე. ყვავილებია ოთახებში, დერეფნებში, კიბეზე. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ერთ დიდ ბაღში მოხვდი.

— სასახლის სისადავე გარედან, აღბათ, ინტერიერშიც გრძელდება?

— მათ შორის, რა თქმა უნდა, დაცულია წმინდა იაპონური სტილი. ავეჯი არ დგას, ალაგ-ალაგ სკამებია, კედლები — უზარმაზარი ფანჯრები და ამ ფანჯრებიდან თითქოს შინ შემოდის არაჩვეულებრივი სილამაზის ბალები, რომლებიც შენობას გარს ერტყმის; ტბა, რომლის სარკე თან უძრავია და თან

გლუვ ჩანჩქერად გადაედინება მეორე დეკორატიულ ტბაში. და — ძალიან სუფთა ჰაერი ამ ბალების არომატიით...

მესაუბრა იმპერატორი, მისი მეუღლე და, საერთოდ, ისე იყო „ფუნქციები განანილებული“, რომ იმპერატორის ოჯახის წევრები სათითაოდ გვესაუბრობდნენ ედუარდსაც და მეც. ძალიან საინტერესო და თბილი შეხვედრა იყო. საოცრად დახვეწილი პიროვნებები არიან, სადა და თავმდაბლები ურთიერთობაში, რაც დიდი კულტურისა და ინტელიგენტურობის მაჩვენებელია, ჭკვიანები და მრავალმხრივ განათლებულები, იაპონური და ევროპული აღზრდის კულტურის რაციონალური შერწყმით.

სადღაც ჩუმად უკრავდა ორკესტრი და იყო დიდი გემოვნებით განწყობილი ლამაზი სუფრა.

აქაც, სადილის დროსაც, განსაკუთრებულ მოკრძალებას ვგრძნობდით, მასპინძლები ძალიან ცდილობდნენ, ესამოვნიბინათ ჩვენთვის.

იმპერატორი ყოველმხრივ შემკული პიროვნებაა: თავისი ინტელექტით, გონებით, გარეგნობით. არავითარი მედიდურობა და მეფური მიუკარებლობა.

ძალიან გაუხარდა, იაპონურ პოეზიაზე რომ დავინწყეთ საუბარი. მე ველაპარაკე ჩემეულ ხედვაზე, ჩემეულ აღქმაზე იაპონური ტანკასი, დახვეწილი და ლაკონური ფორმის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ქმნილებებზე.

გაოცება არ დაუმაღავს, როცა ტანკა, იმ დროს რომ გამახსენდა, ზეპირად ვუთხარი:

**რად გამალვიძე მამალო,  
სიზმრად ვხედავდი დედას.**

მეუღლეს მოუხმო — ნახეთ, როგორ სცოდნიათო ჩვენი პოეზია. ვილაპარაკეთ იაპონური პოეზიის თარგმნის ხელოვნების შესახებ. ვუთხარი, რომ ჩვენ გვაქვს იაპონური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშების კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და თამაზ ჩხენკელის შესანიშნავი ქართული თარგმანები.

ეს მას ფრიად მოეწონა და ამის შესახებ თავისიანებს აცნობა.

ერთი სიტყვით, ასეთ თბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა შეხვედრამ იაპონიის იმპერატორის სასახლეში იმპერატორთან და მისი ოჯახის წევრებთან.

ქალბატონ ნანულის დაბადების დღე — 7 მარტი ტოკიოში ყოფნას დაემთხვა, მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გამონაკლი-

სი. ამის შესახებ ვკითხე.

მე კი ვკითხე, მაგრამ ამ დროს ეს ინტერვიუ უკვე კოლექტიური მოსმენის საგანი გახდა, რადგან პრეზიდენტის მეუღლის კომენტარი ყველას აინტერესებდა — ნატო ონიანსაც, მაია ალუდაურსაც, თამარ ბარბაქაძესაც, ლუბა ელიაშვილსაც, ნინო ქაჯაიასაც, გია აბაშიძესაც, სერგო ედიშერაშვილსაც, მალხაზ ზაუტაშვილსაც... სხვებსაც, რა თქმა უნდა, მაგრამ „ილ-62“-ის სალონის გაბარიტი არ იძლეოდა მათი სურვილის რეალიზაციის საშუალებას.

ჩავთვალთ, რომ შეკითხვების მიცემის უფლება მე მქონდა დელეგირებული.

მაშ, დაბადების დღის „საზღვარგარეთულ შემთხვევებზე“ ვკითხე ქალბატონ ნანულის, — ხომ არ იყო ტოკიოს ვარიანტი გამონაკლისი და — თუ არა, ყველაზე უკეთესი მათ შორის რომელი იყო?

— ყველაზე კარგი იყო ვაშინგტონში. ისე დაემთხვა, რომ 7 მარტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში აღმოვჩნდით მინვეულები. 300 კაცი მაინც ესწრებოდა ამ მიღებას. აი აქ ასწიეს სასმისები და გამოაცხადეს — დღეს ქალბატონ შევარდნაძის დაბადების დღეაო. ფეხზე წამოდგა ყველა — სტუმარ-მასპინძელი, და ერთხმად იმღერეს „ჰეფი ბერსდეი თუ იუ“ („გილოცავთ დაბადების დღეს!“). შემოიტანეს და ყველა სუფრაზე დაანწყვეს ტორტები, მე შედარებით დიდი ტორტი მომართვეს. შემოვიდნენ მევიოლინე გოგონები, მთელ დარბაზში დაიფანტნენ, ორი თუ სამი ჩემთან დადგა და დაიღვარა მშვენიერი მელოდია. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ედუარდი და თქვა, რომ მე საგანგებოდ ჩამოვიყვანე ჩემი ცოლი ვაშინგტონში, რათა აქ, სახელმწიფო დეპარტამენტში გადამეხადა მისთვის დაბადების დღეო... მე მგონია, იაპონიაშიც ამას ელოდა და არ გამოუვიდა, — იცინის ქალბატონი ნანული.

— **პირველი თქვენი დაბადების დღე ედუარდ შევარდნაძის გვერდით თუ გახსოვთ?..**

— ეეჰ, მაგის მოყოლა არ შეიძლება, — და ისევე იცინის. — ჩემი ბავშვობის დაბადების დღეები მახსოვს კარგად, მე ხომ ომისდროინდელი ბავშვი ვარ, რეპრესირებულის ოჯახიდან. წიგნაკებზე პურს გვაძლევდნენ, დედაჩემს ჰქონდა „ლიტერი-ბ“. ჩემს დაბადების დღეზე რალაცნაირად მოახერხებდა, პურის ნაცვ-



# ჩვენი ქართველიანი, თავისუფლების საუკუნე

## 1. ლეგენდაჲა მითი

1999 წლის 19 სექტემბერი. დილა. თბილისის აეროპორტის დიქტორი აცხადებს: — დამთავრდა ჩასხდომა თვითმფრინავში რეისით თბილისი-პალერმო. შემდეგ: — მოფრინდა თვითმფრინავი ლონდონიდან.

ამ ფონზე მარშრუტის პუნქტად ნიუ-იორკს თუ აირჩევ. ავირჩიოთ და გავფრინდეთ.

ხომალდის მეთაურია ავიაკომპანია „აირზენას“ თავკაცი თამაზ გაიაშვილი, საჰაერო მარშრუტების მაგელანი. ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა), ვინც, ხელმძღვანელი თანამდებობის მიუხედავად, თვითონ ჯდება თვითმფრინავის შტურვალთან.

უმაღლესი კატეგორიის მფრინავია. არ ვიცი, რამდენად ზუსტია ასეთი განსაზღვრა, მაგრამ მე მის პროფესიონალიზმზე ვსაუბრობ, რომელიც, ეჭვგარეშეა, უმაღლესი კატეგორიითაა აღბეჭდილი.

10 კილომეტრის სიმალიდან ისე დაუშვებს და ოქრომჭედლის მარჯვენის სინატიფით ისე გაასრიალებს ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში 167-ტონიან „ილ-62“-ს, თითქოს კარაქი ჰქონდეს წასმული ასაფრენ ზოლს.

ზუსტად ასე იყო შენონშიც — ატლანტის ოკეანეზე ნახტომის სტარტის წინ და ასევე იქნება ვაშინგტონში ენდრიუს სამხედრო აეროპორტში დაშვებისას. გაიაშვილმა იცის თავისი საქმე, ისევე, როგორც მთელმა მისმა ეკიპაჟმა.

ნიუ-იორკი გადაბრუნებული უფსკრულივით არის — ცაში ატანილი სიღრმე. სიღრმე უფსკრულისა კი გეძახის და ჩაგითრევს, დაგანარცხებს.

ეს ცნობილია.

ისიც ცნობილია, თუ რამდენად ძნელია (თითქმის შეუძლებელი) მსოფლიო მნიშვნელობის ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეგაპოლისში წარმატების მიღწევა, უფრო ძნელი — აღიარების მოპოვება.

ხომ გგონიათ, შევარდნაძეზე ვამბობ ამას და თანდათან მიმ-  
ყავს საუბარი მისი გამოსვლისკენ გაეროს 54-ე ასამბლეის  
სხდომაზე.

არა.

ედუარდ შევარდნაძე შეერთებული შტატებისთვის დიდი ხნის  
წინათ აღმოჩენილი და აღიარებული ფენომენია.

დიდი ხნის წინათ და — დიდი ხნით.

და არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის...

\* \* \*

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას ელოდნენ.

20 სექტემბერს, 13 საათსა და 10 წუთზე საქართველოს პრე-  
ზიდენტი ადის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენე-  
რალური ასამბლეის 54-ე სესიის ტრიბუნაზე.

და იწყებს:

— არაერთხელ ვმდგარვარ ამ ტრიბუნაზე და კარგად მახ-  
სოვს აქ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, დაწყებული 1985 წლი-  
დან. ჯერ ერთი, ალბათ, იმიტომ, რომ არ მეგულება ამაზე მა-  
ღალი ტრიბუნა ქვეყნად. მეორეც, იმიტომ, რომ ჩემს პირად პო-  
ლიტიკურ ბედ-იღბალს მოვყავდი აქ დიდი გარდატეხვების  
ჟამს. ბოლოს აქ გენერალური ასამბლეის წინაშე წარვსდექი  
1992 წელს, უკვე როგორც ჩემი სამშობლოს — საქართველოს  
სახელმწიფოს მეთაური და ესეც დრამატიზმით აღსაფხვრელ  
მემენტი იყო — ტანჯვით იზადებოდა ახალი დამოუკიდებელი  
ქვეყანა...

ედუარდ შევარდნაძე ქართულად ლაპარაკობს. დარბაზი (ეს  
კი თითქმის მთელი მსოფლიოა) სულგატრუნული ისმენს პირ-  
ველად, ხაზს ვუსვამ პირველად, გაეროში მიღებული წესის (5  
სამუშაო ენა) დარღვევით აჟღერებულ პატარა ქვეყნის უნიკა-  
ლურ ენას — ქართულს.

უპრეცედენტო ფაქტია.

გაეროს ხელმძღვანელობამ ასეთი გამონაკლისი გააკეთა  
ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებული დამსახურების გათ-  
ვალისწინებით, მისდამი უდიდესი პატივისცემის ნიშნად.

დარბაზში ყველა ქვეყნის დელეგაციები სრულად არის წარ-  
მოდგენილი. ამასაც ხაზს ვუსვამ, რადგან გაეროს გენერალუ-  
რი ასამბლეის ძალიან დემოკრატიული აუდიტორიის წევრები

აქ თავიანთ სურვილებსა და ინტერესებს უფრო ემორჩილებიან, ვიდრე მაღალ საზოგადოებაში ქცევის წესებს: მოსწონთ? უსმენენ. არა? ტოვებენ დარბაზს.

დატოვებაზეც ორიოდ სიტყვა.

სექტემბრის დადგენილებით (რომელიც 54-ე სესიის გახსნისას კვლავ შეახსენეს დამსწრეთ), ტრიბუნიდან ჩამოსულ ორატორთან მისვლა, მისალმება, მილოცვა დარბაზში აიკრძალა. ეს ცერემონია გადატანილია პრეზიდენტის უკან მდებარე ოთახში. ედუარდ შევარდნაძემ სიტყვა რომ დაამთავრა და გაეროს გენერალურმა მდივანმა და სესიის თავმჯდომარემ საქართველოს პრეზიდენტი რომ გააცილეს, დაიცალა დარბაზი.

შემდეგმა გამომსვლელმა (რომელსაც, ბუნებრივია, არ დავასახელებ) ფაქტობრივად ცარიელი უდიტორიის წინაშე დაინყო საუბარი. რა მოხდა შემდეგ, ვინ დაბრუნდა, ვინ — არა, ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჟურნალისტები — ჩვენი და სხვა ქვეყნებისაც — დარბაზიდან გავედით, დაბრუნებაზე არც გვიფიქრია, რადგან სულ რამდენიმე წუთში დელეგატების გასასვლელთან ბრიფინგი იმართებოდა საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობით.

საამისოდ სპეციალურად გამოყოფილი (შემოკავებული) ადგილი უკვე დაკავებული აღმოჩნდა. მივნი-მოვნიეთ. მიინ-მოინივნიენ (პროფესიული სოლიდარობა). მოვთავსდით. მოვეწყეთ...

მაგრამ მოვლენებს გაუუსწარი.

დავბრუნდეთ დარბაზში.

\* \* \*

მოირგო გაერომ, მსოფლიო აუდიტორიამ, ქართული ენა. ორგანულად შეუთავსდა და შეეთვისა. იქნებ ესეც არის ერთ-ერთი საიდუმლო, რომელიც „დამარხულ არს ამ ენასა შინა“.

ასეთი კატეგორიებით იწყებ აზროვნებას, როდესაც ემოციებით, ინტერესით, უნიკალობით დამუხტულ ამ უზარმაზარ დარბაზში ზიხარ და ისმენ ქართულს.

არაფერს ვამტკიცებ. ვამბობ მხოლოდ, რომ მაშინ, როცა „ჩვენ ვცხოვრობთ ძალადობისა და ტანჯვის საუკუნეში“ (კოფი ანანის შესავალი სიტყვიდან), მშვიდობიანი, თანაბარუფლებიანი და ეკონომიკურად განონასწორებული მსოფლიო მშენებ-

ლობის საქმეს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაც ჰყავს შეხიდული. და ეს ქართულ ენაზე გამჟღავნდა.

დახვეწილად თარგმნეს, ემოციურად, აუცილებელი და დროული მახვილებით პრეზიდენტის სიტყვა გელა ჩარკვიანმა (ინგლისურად), მიშა ფიჩხაძემ (რუსულად), იგორ კოტოვმა (ფრანგულად). და კარგი მაგალითიც მისცეს გაეროს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, მაგრამ ემოციადაცლილ სინქრონულ მთარგმნელებს.

გაეროს წევრი ქვეყნების მთავრობებმა სასწრაფოდ მოსთხოვეს თავიანთი ქვეყნების მისიათა ხელმძღვანელებს ედუარდ შვეარდნაძის სიტყვის დაუყოვნებლივ გადაგზავნა.

პლანეტის ბედის გადაწყვეტის გლობალიზაციაში საქართველოს პრეზიდენტის ეს სიტყვაც ჩაერთო.

ქართული აკლდა და შეივსო.

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. მე მგონი, აღარ ჟღერს ფატალურად ეს „ოდესმე“: ჩვენი ისტორიული თავმოყვარეობის დაკმაყოფილების დრო დადგა. გამიგებთ, რა კონტექსტითაც ვამბობ ამას.

იმასაც გამიგებთ, რომ არც ვინრო კუთხური პატრიოტიზმი მალაპარაკებს. ეს არის გაეროს ისტორიაში სამუდამოდ ჩანერილი ფაქტი და ამას მომავალში უფრო მეტად დავაფასებთ, მაგრამ დღესაც ვთქვათ სათქმელი.

\* \* \*

ძალიან დაღლილია ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქმით, შეხვედრებით, ემოციებითა და ფიქრით დაღლილი. მოშვებულები ვსხედვართ ნიუ-იორკის 42-ე ქუჩაზე 46 სართულით წამომართულ სასტუმრო „ჰელმსლის“ ჰოლში, და მიუხედავად იმისა, რომ მინისტრმა ფორმით დიპლომატიური, შინაარსით პირდაპირი ტექსტით მითხრა — შენ უარს არ გეუბნებიან, თორემ ყველა ძალიან დაღლილიაო (მაშინ გაეროში ჩვენს წარმომადგენელს, პეტრე ჩხეიძეს, ვესაუბრებოდი). ვთხოვე ინტერვიუ იმგვარივე დიპლომატიით: — პრეზიდენტის გამოსვლის შეფასება მაინც მოგიწევთ და, მოდით, პირველად ეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის გავაკეთოთ-მეთქი.

დამთანხმდა, რისთვისაც ფრიად მაძღობელი ვარ მისი.

— გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის, მიერ დღეს გამართულ ლანჩს, — თქვა ირაკლი მენაღარიშვილმა, — პრეზიდენტის დავალებით მეც ვესწრებოდი. იქ ითქვა, რომ მომავალ წელს გაიმართება „ათასწლეულის ასამბლეა“, რომელიც ახალი ათასწლეულის პირველ გენერალურ ასამბლეად არის გააზრებული, და აქ ისაუბრებენ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს გაერომ მომავალ ათასწლეულში.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა მონაწილეობას იმ ასამბლეაში, დღეს უკვე თქვა თავისი სათქმელი. მისი გამოსვლა, რომლის მომსწრენიც ჩვენ, ყველანი, ვიყავით, იყო ნიმუში ოცდამეერთე საუკუნის ხედვისა იმ პრობლემატიკაზე, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არა მარტო ჩვენი რეგიონისთვის, არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

მოკლედ ასე შეიძლება ითქვას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ყოფნის დროს გაეროში მისი პირველი გამოსვლის დაახლოებით ექვსი წლის თავზე ედუარდ შევარდნაძემ იმავე ტრიბუნიდან შეაჯამა ჩვენ მიერ განვლილი გზა, მონაკვეთი ისტორიისა. ეს იყო მსოფლიოს ბედზე და არა მარტო საკუთარი ქვეყნის ბედზე დაფიქრებული ადამიანის, ლიდერის ხედვა. ასე შეაფასა ყველამ, ვინც ბატონ ზურაბს (ჩხეიძეს. — ა.ს.) და მე შეგვხვდა და თავისი აზრის გამოთქმა პრეზიდენტ შევარდნაძის სიტყვის გამო აუცილებლად ჩათვალა.

მიმაჩნია, რომ საქართველოს აქვს ყველა შანსი 21-ე საუკუნეში შევიდეს, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი.

ჩვენი დამოუკიდებლობისა და ჩვენი არსებობის ღირსეული საფუძველი, უპირველესი საძირკველი არის შეცვლილი მსოფლიო, თორემ საქართველოს არც მეზობლები შეეცვლება, არც გეოგრაფიული მდებარეობა.

ერთი წამით დავუბრუნდეთ ჩვენს ისტორიას, 1921 წელს, როდესაც საქართველოს, ისევე, როგორც მთლიანად ამიერკავკასიის დაცვა ვერავინ შეძლო, რადგან მაშინ არ არსებობდა საამისო პირობები. დღეს სხვა, შეცვლილი სამყაროა. აი, ამ შეცვლილ პირობებზე პასუხი არის ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლა.

საქართველოში ლამის ბანალურ ფრაზად იქცა მონოდება ქართველების გაერთიანების შესახებ. შემიძლია დავადასტურო, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც მე საგარეო საქმეთა სამსახურში ვარ, თუ ჩვენს ქვეყანას წარმატებები ჰქონია, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველაზე დიდ წარმატებებს ამ სფეროში მივალწიეთ, ქართველებმა მოვახერხეთ ძალისხმევის გაერთიანება. მაგალითად, თუნდაც ევროსაბჭოში განევრების პროცესი დავასახელოთ. ვერც ერთი სტრუქტურა ვერ დაიბრაბახებს, რომ შეუძლია ამ რანგის ამოცანის გადამწყვეტა ყველა ძალის მონდომების, დაინტერესებისა და ხელშეწყობის გარეშე. აქ გამოჩნდა საქართველოს ერთიანი ნება. ამას მე პირველად არ ვამბობ. ღრმად მწამს, რომ ასეა, რადგან არაერთი მაგალითი მაქვს ამის დამადასტურებელი პირადად ჩემს მუშაობაში: იქ, სადაც ვახერხებთ ერთიან ორიენტაციას, ძალისხმევის თავმოყრას, მიზნის მიღწევაც გარანტირებულია.

დღეს ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა უკვე მსოფლიო მასშტაბით.

— ამ ფონზე ანომალიად ჩანს ამბიციური პროვინცილების მტკიცება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, პრეზიდენტი კლინტონი ჩვენს არჩევნებში ვინმე სხვას დაუჭერენ მხარს და არა შევარდნაძეს. თუნდაც იმ „სხვას“ თხილის ერთობლივი ბიზნესი ჰქონდეს აშშ-ის პირველი ოჯახის წარმომადგენლებთან...

(შევცდი. ასეთ დროს ასეთ შეკითხვას არ სვამენ, მისი სრული უაზრობისა გამო. მაგრამ სიტყვა, იცით, გაფრენილი ჩიტით არის).

— საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა პროვინციალიზმია. მე მგონი, მეტი კომენტარი ამ თემას არ სჭირდება.

თუ შევეცდებით, ამგვარი პროვინციული გაგებით აღვიქვათ მსოფლიო, ყოველთვის ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

— „ასეა ეს“, — „დათა თუთაშხიაზე“ მინიშნებული „ციტირებით“ ამთავრებს კომენტარს ირაკლი მენაღარიშვილი.

**1999 წლის 26-27 სექტემბერი**

## 2. ამერიკას ავტორიტეტების სჯერა

თუ ერთხელ აღიარა, მერე უკვე მთლიანად ენდობა, მაგრამ თვით ეს პროცესი ყველაზე მყარი ინერციის დაძლევიტ მიმდინარეობს, განსაკუთრებული სირთულეებით კი მაშინ, როდესაც მსოფლმხედველობით კატეგორიებს ეხება.

ამერიკას და ამერიკელებს, უწინარეს ყოვლისა, დასაძლევია აქვთ ისეთი მდგრადი სტერეოტიპი, როგორც მსოფლიოს მათეული აღქმაა, რომელსაც პირობითად ამორჩევიტი შეიძლება ვუნოდოთ: მანჰეტენი, ოკეანე, შორეული კუნძული იაპონია, სადღაც რუსეთი, ზემოთ — კანადა და დაბლა — მექსიკა.

საკმაოდ შეზღუდული სივრცე, რომელსაც მათი ინტერესების სფერო განსაზღვრავდა.

ასეთ „მსოფლიო რუკაზე“ საქართველო, რალა დავმალოთ, არ ჩანდა, თუმცა პოლიტიკასა და ისტორიაში ჩახედული ხალხისთვის მაინც მოიზრებოდა, როგორც სტალინის სამშობლო.

ასეთ ფონზე 1992 წლის ივლისში საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 184-ე წევრი ხდება, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან უკანასკნელი. ესეც ბევრის მანიშნებელია: იმ პერიოდში, როცა სხვა რესპუბლიკები პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდნენ გაეროსკენ, ჩვენ ჯერ წინა ხელისუფლების უნიათობისა და თვითიზოლაციის მოწმე გაგვხადეს, შემდეგ სამოქალაქო ომი თავს მოგვახვიეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში (1992 წლის მარტი), დაიწყო კონკრეტული საქმიანობა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩვენი განწევრებისთვის.

დრო უკვე დაკარგული იყო...

შეიძლება ითქვას, უკვე წაგებული პოზიციით შევედით გაეროში და მთელი იმ ნეგატიური კომპლექსის გადასალახად, რომელიც აქ შეგვიძღვა, მართლაც ტიტანური — მოცულობით თუ ინტენსივობითა და დაძაბულობით — შრომა იყო გასანევი.

საქართველოს მისია გაეროში 1993 წელს გაიხსნა.

მას შემდეგ 6 წელიწადი გავიდა, მხოლოდ ექვსი და აქაური დიპლომატიური კორპუსის მიერ ჯორჯია შტატსა და ჯორჯია ქვეყანას განსხვავების გარკვევიდან საქართველოსადმი საყოველთაო ინტერესს მივალნიეთ.

თქვენ იცით, ვისი ავტორიტეტის მეოხებითაც.

ამაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება დემოკრატიისა და რეფორმების გზაზე მიღწეული მიჯნებიც. იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, თუნდაც — დიდი მოთმინება ხალხის.

არც საქართველოს მისიის საქმიანობა გამოგვრჩეს.

მოკლედ, რუსეთის სამხრეთით მდებარე რესპუბლიკიდან, ისეთი სიტუაციიდან, როდესაც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის სტადიონზე შემოსვლის დროს ტელევიზიით აჩვენეს რუკა და მიუთითეს — ეს არისო საქართველო, ჩვენს შტატში არ აგერიოთო, უკვე გამოსულები ვართ და აღგვიქვამენ, როგორც დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყანას.

თქვენ ესეც იცით, მე შეგახსენეთ...

როგორც გითხარით, სასტუმრო „ჰელმსლის“ ჰოლში ვსხედვართ. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და გაეროში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი პეტრე ჩხეიძე და ვსაუბრობთ სწორედ ამ განვლილ გზაზე. 20 სექტემბერია. საღამო.

— პირდაპირ გეტყვით: აქ, გაეროში, პირველივე დღიდან, როდესაც ჯერ არაფერი იყო გაკეთებული, შევარდნაძეს, მის პოლიტიკას უჭერდნენ მხარს, მას პირადად, რადგან სწორედ იგი მიაჩნდათ დემოკრატიის ჩამოყალიბების გარანტად.

შემდეგ უფრო ღრმად და მრავალმხრივ შეისწავლეს, გააანალიზეს ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული ვითარება, იმდენად დეტალურად, რომ ქალაქების, სოფლების, მდინარეების სახელებსაც ზუსტად ამბობდნენ და უკვე საქმით დარწმუნდნენ, რომ ავანსი შეუმცდარად იყო გაცემული.

საქართველოსადმი ინტერესის ხარისხობრივი ზრდა განსაკუთრებით 1995 წლიდან დაიწყო.

დღეს საქართველო გაეროში თავის ადგილზე არის, სხვადასხვა ხელმძღვანელი ორგანოს წევრია, აქტიურად მონაწილეობს მისი რამდენიმე მთავარი კომიტეტის საქმიანობაში...

— არის გაეროს რამდენიმე ახალი წევრი ქვეყნის მიღების ინიციატორი, — ირაკლი მენაღარიშვილის რეპლიკა.

— წლეულს განიხილება გაეროს 50 რეზოლუცია, რომელთა თანაავტორი ვართ ჩვენ.

— ანუ ის ქვეყანა, რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინათ ხეირიანად არც იცნობდნენ.

— დიახ, შარშან ჩვენს წარმომადგენლობას მიღებული ჰქონდა მხარდაჭერის, რეზოლუციების ერთად მომზადების, საკითხების ერთად დამუშავების, თანამშრომლობის და ასე შემდეგ წინადადებების 370 წერილი და ნოტა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლობებიდან. ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფის თავმჯდომარე, რამდენიმე კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი... შარშან, სექტემბერში, — შეგვახსენებს პეტრე ჩხეიძე — თქვენი მონა-მორჩილი არჩეული ვიყავი გენერალური ასამბლეის 53-ე სესიის თავმჯდომარის მოადგილედ ერთი წლის ვადით.

გავერკვეთ: ეს თანამდებობა მხოლოდ პრეზიდენტში ჯდომა, ცხადია, არ არის. უამრავი საქმეა გასაკეთებელი — დღის წესრიგების შედგენით დაწყებული, მისაღები დოკუმენტებით, მუშა ჯგუფების საქმიანობის ორგანიზაციით დამთავრებული...

ფრიად საინტერესო და ბევრის მიმანიშნებელი დეტალია: შარშან გენერალური ასამბლეის 53-ე სესიაზე გამოსასვლელად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს სიტყვა მისცა სესიის ქართველმა თავმჯდომარემ პეტრე ჩხეიძემ. — ასეთი დამთხვევა, — უთქვამს მაშინ კოფი ანანს, — მინიმუმ 20 წლის განმავლობაში არ მოხდებო.

— სიმბოლურია, მაგრამ სიმბოლოებისგან შედგება ცხოვრება, — კვლავ ირაკლი მენაღარიშვილის რეპლიკა.

საუბრის ლოგიკამ 20 სექტემბრის სიმბოლურ მოვლენამდე მიგვიყვანა — საქართველოს პრეზიდენტის ქართულად გამოსვლამდე გენერალური ასამბლეის სესიაზე. ასეთი რამ (რაც, როგორც ადრე ვთქვი) ეწინააღმდეგება გაეროში მიღებულ 5 სამუშაო ენას: მათ გარდა, სხვა ენაზე არც გამოდიან, არც ითარგმნება.

— რამდენიმე ხნის წინათ პრეზიდენტმა დამავალა ამ საკითხის შესწავლა — შესაძლებელია თუ არა ქართულად გამოსვლა. ძნელი და მძიმე პროცედურაა, მაგრამ, ვინაიდან საქმე ეხებოდა შევარდნაძეს, პრაქტიკულად არავითარი სიძნელე და დაბრკოლება არ შეგვქმნია: ოღონდ ჩამოვიდეს, სიტყვა თქვასო...

პირველად გაეროს არსებობის ისტორიაში, ეს კი 54 წელიწადია, პირველად ამ დარბაზში აჟღერდა ქართული სიტყვა. ეს ერთი, და, მეორე, ქართულად გამოვიდა სწორედ შევარდნაძე, მაინცდამაინც შევარდნაძე.

— კვლავ მივადექით თემას: ედუარდ შევარდნაძის ლეგენდარული პოპულარობა ამერიკაში.

— კარგია, რომ მე მთავაზობთ ამ თემის გაშლას. არ არსებობს, უთუოდ, რომელიმე ქვეყნის სხვა წარმომადგენელი, რომელსაც ამერიკაში მასავით კარგად იცნობენ. შევარდნაძეს იცნობენ არა მარტო სახელით, — ბიოგრაფიითა და საქმით. ეს დღეს კიდევ ერთხელ გამჟღავნდა, როცა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მისი სიტყვა.

პეტრე ჩხეიძემ თქვა, რომ პირველი, ვინც მას შეხვდა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, დანიის ელჩი იყო, რომელმაც უთხრა, რომ ასეთი სიტყვა დღეს აქ არავის უთქვამს. ნიდერლანდის, აფრიკის წარმომადგენლები, უამრავი ხალხი მოვიდაო ჩვენთან, მოგვილოცეს — ეს იყო თეორია, რომელიც უნდა შევისწავლოთ. ყველამ დააგზავნა ეს გამოსვლა თავიანთ დედაქალაქებში.

პეტრე ჩხეიძე იმასაც ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის ლიდერის გამოსვლას 1992 წელს გენერალური ასამბლეის სესიაზე დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ბევრი რამ მისი თეზისებიდან შესრულდა, ზოგი — არა, რამაც თვით გაეროს შეუღალხა ავტორიტეტი.

20 სექტემბრის სიტყვის მნიშვნელობაზე საუბრისას დიპლომატები ხაზს უსვამდნენ მის მრავალნახნაგოვნობას, შევარდნაძისეულ შეფასებას „ცივი ომის“ შედეგად წაგებულთა და მოგებულთა შესახებ, მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური დაპირისპირების შესახებ, მომავალ ათასწლეულში ვალეების გარეშე შესვლის შესახებ, უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების თანამედროვე პირობებთან შეხამების შესახებ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ყველაფერ ამას გულმოდგინედ იხსენებენ, ანალიზებენ და სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ დღეს სესიაზე გამოვიდა დიდი ლიდერი და პიროვნება.

— ჯერ კიდევ 1994-95 წლებში ამერიკაში მსოფლიო მასშტაბით საუბრისას წამოსწევდნენ სამ პიროვნებას — ნელსონ მანდელას, რომელიც 27 წელიწადს ციხეში იჯდა, ჰელმუტ კოლს, რომელმაც გერმანია გააერთიანა და ედუარდ შევარდნაძეს — „ცივი ომის“ დამთავრების ავტორს. მაშინ ამბობდნენ, რომ არიან პრეზიდენტები (ასახელებდნენ კიდევ), რომლებიც მოდიან

და მიდიან, როგორც გემები ოკეანეში — უკვალოდ. შევარდნაძე დარჩა.

დღეს ლათინური ამერიკის რამდენიმე მინისტრი მოვიდა ჩვენს მაგიდასთან. მიესალმნენ ეღუარდ შევარდნაძეს და მე მითხრეს — ეს არისო ღირსეული პიროვნება, რომელსაც მსოფლიომ პატივი უნდა სცეს და რომელიც უახლესმა ისტორიამ ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ შეაფასაო. მინისტრების ამ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც შარშან გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე იყო.

ჩვეულებრივი რიგის ფაქტები არ არის, როდესაც ძალიან მაღალი რანგის დიპლომატები მოდიან ჩვენს პრეზიდენტთან და თავს ახსენებენ: — ბატონო შევარდნაძე, თქვენ რომ პერუში იყავით, მე პროტოკოლში ვმუშაობდი და მარჯვნიდან მეხუთე ვიყავი მათ შორის, ვინც მოგესალმათო.

ისლანდიის ელჩმა მითხრა (სულ ახალი დანიშნულია) — თქვენს პრეზიდენტს უთხარი, ისლანდიაში რომ იყო ჩამოსული, მე მიმაგრებული ვიყავი მასზეო.

რამდენიმემ სურათებიც კი მოუტანა — ხელი მოგვინერეთო, სთხოვეს.

ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ შევარდნაძესთან თუნდაც ასეთი შეხვედრები მათთვის მნიშვნელოვანი, ისტორიული ფაქტია, რადგან ისტორიულია თვით პიროვნება.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ შევარდნაძის შტატებში ჩამოსვლისას პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურის მასზე მიმაგრებულ თანამშრომლებს არ ეთხოვოთ მასთან სამახსოვრო სურათის გადაღება.

რომ გითხრათ, სხვა პრეზიდენტებისთვის თავს იკლავდნენ, არ ვიქნები მართალი.

პირველ ნელინადს, როდესაც ელჩისა და მისიის ხელმძღვანელის მოვალეობებს ერთდროულად ვასრულებდი, — განაგრძობს ჩხეიძე, — 11-ჯერ შევხვდი კლინტონს. ამას აღვნიშნავ იმიტომ, რომ ბევრ სხვას ერთხელაც ვერ ხვდებო.

თქვენს მკითხველებს ხაზგასმით მიინდა ვუთხრა, რომ ჩემი დამსახურებისთვის კი არ მიმიღო ამდენჯერ, არამედ იმიტომ, რომ შევარდნაძის სახელით, მისი დავალებით მივდიოდი.

ძალიან დაგვიჭირა მაშინ მხარი პრეზიდენტმა კლინტონმა და, პირდაპირ ვიტყვი, შევარდნაძის ხათრით გადაგვარჩინა ამერიკამ.

ამერიკაში მიღებული არ არის შევარდნადის კრიტიკა, უბრალოდ, ვერ გაგიგებენ, არანორმალურად ჩავთვლიან: ამხელა პიროვნება ჩვეულებრივმა მოკვდავმა კრიტიკულად არ უნდა შეაფასოს. აქ მიღებული არ არის მისი აზრის გაუთვალისწინებლობა.

ხშირად, ძალიან ხშირად ვამჩნევ, რომ დიდი სახელმწიფოების მესვეურები, თუნდაც ამერიკისა, პატარა ქვეყნიდან ჩამოსული დიდი მოღვაწის აზრებს, პოზიციას თავიანთ საგარეო პოლიტიკაში ითვალისწინებენ.

\* \* \*

სჯერა ამერიკას ავტორიტეტების, დიდი ავტორიტეტების — უფრორე.

ყველაფერ ამას რომ მოისმენ, ნახავ, თანამონაწილე გახდები, ირწმუნებ სიღრმეს იმ გულწრფელობისა, რომლითაც „დილის გაზეთის“ გამომცემელმა ტარიელ შავერდაშვილმა პრეზიდენტს უთხრა: 43 წლის კაცი გავხდი და ასე ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარო. რადგან ყველაფერი კეთდება საქართველოსთვის და ჩვენ ხომ პატრიოტები ვართ...

იცით, რა უპასუხა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც მხარზე მოუთათუნა ხელი შავერდაშვილს?

— ამიტომ პრეზიდენტს გული არ უნდა ატკინოთ...

**1999 წლის 28 სექტემბერი**

### **3. როცა სულიერი სიახლოვება**

მოდით, ცოტა ავჩქარდეთ, ერთი დღით გავუხსნოთ დროს. გაეროს გენერალური ასამბლეის 54-ე სესიაზე, როგორც ცნობილია, სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უილიამ ჯეფერსონ კლინტონმა.

ედუარდ შევარდნაძე ამ გამოსვლას შეაფასებს, როგორც 21-ე საუკუნეში კაცობრიობის განვითარების საპროგრამო სიტყვას.

ჩამოვიდა პრეზიდენტი კლინტონი ტრიბუნიდან და, რადგან პრეზიდენტი უკანა ოთახში შესვლა წესად არ აქვს, გასასვლელისკენ გაემართა. პრაქტიკულად ყველა დელეგაციის წარ-

მომადგენლებს სურდათ მასთან შეხვედრა, მაგრამ კლინტონი, დაცვით გარშემორტყმული, „ურყევად ადგა არჩეულ კურსს“: თუ ვინმე გზად შეხვდებოდა, მექანიკურად ართმევდა ხელს...

**და უცებ... ახლა მოვუსმინოთ პეტრე ჩხეიძეს, რომელიც იმ მომენტში შევარდნაძის გვერდით იდგა:**

— პრეზიდენტო შევარდნაძე! — კლინტონმა დაინახა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, გადმოჭრა დერეფანი, გაარღვია დაცვის რკალი და შევარდნაძეს მეგობრულად გადაეხვია, გულზე კაცურად მიიკრა და უთხრა: — ძალიან მიხარია, დიდი მადლობა, რომ მოხვედით და ჩემს გამოსვლას მოუსმინეთ. ამ დღეებში ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით და ბევრ საკითხზე ვისაუბრებთ. ისევ გადაეხვია, ხელი ჩამოართვა და დაემშვიდობა.

— მხარზე ხელი დაჰკრა?

— კი, ჩვენმაც დაჰკრა.

ძალიან ახლობლებმა იციან ასე.

— ამის მოწმე იყო მთელი მსოფლიო. ჩვენ ხომ გვიხაროდა და გვიხაროდა. ჩანდა, რომ სხვებიც კმაყოფილები იყვნენ — ასეთ სცენას ყოველდღე ვერ შეესწრები.

მოულოდნელი ასეთ შეხვედრაში არაფერი იყო, არც ექსტრა-ორდინარული და კვლავ ჩხეიძე გვეტყვის, რატომაც:

— გაგახსენებთ ბატონ ედუარდის პირველ შეხვედრას ბილ კლინტონთან. მაშინ, 1994 წელს, ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაური იყო.

თეთრი სახლი. ერთმანეთს ხელს ართმევენ და კლინტონი ამბობს: — ბატონო შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე თქვენ რომ გამოდიოდით, ტელევიზიით გიყურებდით და გისმენდით. ფეხზე ვიდექი, არ დავმჯდარვარ. გისმენდით და ტაშს ვუკრავდი. ვერ წარმომედგინა, იმდენად ბედნიერი ვიქნებოდი, რომ თქვენ ხელს ჩამოგართმევდით, თქვენთან სასაუბროდ დავჯდებოდი. მე ბედნიერი კაცი ვარ.

პეტრე ჩხეიძე ამტკიცებს, რომ სიტყვა-სიტყვით ასე იყო თქმული.

ამერიკის პრეზიდენტის კარზე მიღებულ ერთ ტრადიციაზეც მიყვება ჩვენი წარმომადგენელი გაეროში:

— ამერიკის პრეზიდენტი მიღებებს პერიოდულად ანკობს. ზოგჯერ აგვიანებს, რალაც მიზეზით დანყება ყოვნდება. აი, ამ

დროს გამოდიან ოლბრაიტი, რიჩარდსონი, სხვა მინისტრები და ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა კარგი პრეზიდენტი ჰყავთ, რა ძლიერი, რა რთული პრობლემები გადაწყვიტა.

მართლაც დიდ საქმეებს დაადგა თავი კლინტონმა და აქებენ და ადიდებენ. ეს ტრადიციაა.

ჩვენ კი რატომღაც ვერიდებით, კარგი ვთქვათ ჩვენს პრეზიდენტზე, გვეუხერხულება, ვინმემ მლიქვნელებად არ ჩავვთვალოს.

ამ დროს კი მსოფლიო ხელის გულზე ატარებს ან ტერორისტულ აქტებს უწყობენ. რატომ? იმიტომ, რომ მისი ხმა ისმის, მას ყურს უგდებენ. გარკვეულ ძალებს კი სწორედ ეს არ სურთ.

ერთხელ ფრანგებმა უთხრეს პეტრე ჩხეიძეს: — თქვენ ბედნიერი ხალხი ხართ, რომ ამ ურთულეს პერიოდში ხელმძღვანელად გყავთ მსოფლიოში ცნობილი პიროვნება.

ზუსტად იმავეს იმეორებენ ამერიკელები...

ახლა თქვენ დაასკვნით, ეიფორიის რა ბურუსით უნდა ჰქონდეს თავი გატენილი ზოგიერთ მშობლიურ პროვინციულს, რომელიც საკუთარ თავზე მაღლა ახტომას სერიოზულად ცდილობს და ამომრჩევლებს არწმუნებს — რეკორდზე მივდივარო!

\* \* \*

ამას თავი დავანებოთ, რადგან ცხოვრების საცერი მინარევებისგან განმენდს არჩევნების წისქვილიდან ჩამოყრილ პოლიტიკურ ფქვილს.

სერიოზულ საქმეზე ვსაუბრობთ.

კერძოდ, პრეზიდენტ შევარდნაძის სიტყვაზე გაეროში. მის მთავარ პრიორიტეტებს კომენტარს უკეთებს გელა ჩარკვიანი.

ნიუ-იორკში კი წვიმს. აცივდა, როგორც გვიანი შემოდგომით თბილისში. გუშინ ქუჩაში შილიფად გამოსული ნიუ-იორკელები დღეს ლაბადებში გაეხვივნენ, დემისეზონის მუქი პიჯაკები გამოიღეს კარადებიდან. ხოლო ისინი, ვინც აღმოსავლეთელის დაჟინებით ტანსაცმლის შეუცვლელობის ტრადიციას ჯიუტად იცავს, ჩვენ ვართ, ჟურნალისტები, წვიმის განუწყვეტელი ჯაჭვით სასტუმროს კართან დაბმული.

გამოხვალ ქალაქში, გაიწუნები (ასხამს, მერე როგორ!), ნახვალ გასაცოდავებული კოსტიუმით ოფიციალურ შეხვედრასა თუ მიღებაზე?

ვერა.

არადა, ქალაქის (თანაც ნიუ-იორკის!) ქუჩაზე არ გაიარო, არ დაილალო, არ აკრიფო შთაბეჭდილებები, თავს ვერ აპატიებ.

თუ ჟურნალისტი ხარ, რა თქმა უნდა.

ან შეტრიალდი ჰოლში და დაელაპარაკე შენთვის (და მკითხველებისთვის) საინტერესო პიროვნებას.

გელა ჩარკვიანია ასეთი და აკი ვსაუბრობთ კიდევ, გაგახსენებთ, — პრეზიდენტ შევარდნაძის სიტყვის პრიორიტეტებზე, რომლებიც პრაქტიკულად მთლიანად დაემთხვა პრეზიდენტ კლინტონის გამოსვლის აქცენტებს:

— პირველი პრიორიტეტი იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობა, ანუ მდიდარი, განვითარებული ქვეყნებისა და განვითარებადი, როგორც მათ უწოდებენ, ძალიან ღარიბი ქვეყნების ურთიერთობა.

ისევე, როგორც ჩვენი პრეზიდენტის სიტყვაში, პრეზიდენტ კლინტონის გამოსვლაშიც იყო თქმული, რომ მსოფლიო, რომელიც უკვე ასე დაპატარავდა საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების გამო, ცნობილი სოციოლოგის — მარშალ მაკლუჰანის სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაიქცა „გლობალურ სოფლად“. აი, ასეთ მსოფლიოში უკვე შეუძლებელი ხდება, არსებობდეს უკიდურესობათა დაპირისპირება — სიმდიდრე და სიღატაკე.

ასეთი დაპირისპირება ეთიკის სფეროდან პრაგმატულში გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს არმაგედონი არა, მაგრამ ძალიან სერიოზული პროცესები დაიწყება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, პროცესი დაწყებულია: ღარიბი ქვეყნებიდან სულ უფრო მეტი მოსახლეობა დაიძრა განვითარებული ქვეყნებისკენ, მიგრაცია ძალიან დიდია, მაგრამ მალე უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს.

კლინტონს არ უთქვამს, მაგრამ გელა ჩარკვიანი ამ თემას ამატებს ერთ მნიშვნელოვან ასპექტს: თუ ადამიანს შეუძლია აიტანოს სიღარიბე, ავადმყოფობასა და სიცოცხლის ხანმოკლეობას ვერ ეგუება. თუ ჩრდილოევროპელი, მაგალითად, ნორვეგიელი ცხოვრობს საშუალოდ 79-80 წელიწადს, განვითარებად ქვეყნებში — 40 წელიწადს, ორჯერ ნაკლებს. გენეტიკური ტექნოლოგიები კიდევ უფრო გაახანგრძლივებს სიცოცხლეს, მაშასადამე, დაპირისპირებასაც.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ერთადერთი მანიველი-

რებელი ძალა სიკვდილი იყო — „მისგან გასწორდეს ყოველი“... მაგრამ, თუ აქაც განსხვავება შეიქმნა, მაშინ ნებისმიერი აფეთქებაა მოსალოდნელი.

— მეორე პრიორიტეტი პრეზიდენტ კლინტონის სიტყვაში ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების, ეთნიკური წმენდის, გენოციდის პრობლემა იყო და ის, როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ასეთ შემთხვევებზე. ითქვა, რომ არ იქნება სწორი, ამერიკამ რომ ითავოს მსოფლიოს ჟანდარმის როლი, თუნდაც იმიტომ, რომ ვერ შეძლებს.

ჩვენ თვალწინ ხდება ცვლილება საერთაშორისო სამართალში. ამ სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი არის ის, რომ არ შეიძლება სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. ჩვენს დროში გლობალიზაციის პროცესი ერი-სახელმწიფოების როლის ნაწილობრივ შემცირებას ნიშნავს. ჩნდება ახალი სუბიექტები, ვთქვათ, ევროკავშირი, რომელიც არის ინტეგრაციული სისტემა და მასში ერი-სახელმწიფოები უკვე ვეღარ თამაშობენ უწინდებურად მნიშვნელოვან როლს. ამ სიტუაციაში ფუძემდებლური ნორმა საერთაშორისო სამართლის, ეტყობა, მთლად გამართლებული აღარ არის. ეს ნიშნავს, რომ ერ-სახელმწიფოებს შეუძლიათ, ჩაერთონ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა მასობრივი გენოციდი, ან ეთნოწმენდა იმიტომ, რომ ჩნდება გლობალური საშიშროება, და პრობლემა ერთი ქვეყნის საზღვრებიდან გამოდის: სხვა თუ არაფერი, დევნილთა უზარმაზარი ნაკადები ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის და ფრიად სერიოზულ ცვლილებებს იწვევს მათ დემოგრაფიულ თუ ეკონომიკურ სტრუქტურაში.

მესამე პერიოტიტიტი ყველას ეხება, რადგან ბირთვული ან ბიოლოგიური იარაღით ტერორის საშიშროებით გვემუქრება. როგორ უნდა აღუდგეს მას კაცობრიობა და როგორი უნდა იყოს კოლექტიური უშიშროების სისტემა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

**— და ეს პრიორიტეტები რეზონირებს ედუარდ შევარდნაძის სიტყვის მთავარ მიმართულებებთან...**

— სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. პრეზიდენტ შევარდნაძის სიტყვას, რომელიც მან პირველ დღეს წარმოთქვა, ძალიან სერიოზული ეფექტი ჰქონდა. მე, როგორც ქართველი, შე-

იძლება სუბიექტურიც ვიყო, მაგრამ, არა მგონია, იმდენად, რომ ობიექტურობის გრძნობა დავკარგო.

ყველა გამომსვლელს ყურადღებით ვუსმინე და შემიძლია ვთქვა, რომ მათ სიტყვებს მაინც ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, მოკლებული იყო გლობალურ ხედვას, ვერც ხარისხით და ვერც კლასით ვერ მიუახლოვდა პრეზიდენტ შევარდნაძის სიტყვას.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ პრეზიდენტ კლინტონისა და პრეზიდენტ შევარდნაძის გამოსვლებში ერთი და იგივე თემები ფიგურირებდა, რადგან სწორედ ისინი ანუხებეს კაცობრიობას — ვინც დგას ამ მოვლენათა ზღურბლზე, კიდეც ამჩნევს მათ. აქ სულიერი სიახლოვეა თვალსაჩინო და — არა მარტო.

**— მათ შორის ერთ-ერთია ვალების პატიების თემაც.**

— დიახ, პრეზიდენტ შევარდნაძის სიტყვაში წამოყენებული იყო წინადადება ათწლეულის პროგრამის შემუშავების თაობაზე ამ პრობლემის გადასაწყვეტად. დამაიმედებლად გაისმა პრეზიდენტ კლინტონის პოზიცია ამასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან განაცხადა, რომ დიდი შვიდეული განიხილავს საკითხს, 70 პროცენტით მაინც შეამციროს ამ ვალების ტვირთი. ეს არის დადასტურება იმ თეზისისა, რომელიც ბატონ ედუარდის სიტყვაშია ხაზგასმული: დღეს ყოველი ეთიკური ქმედება არის პრაგმატული. ეს იყო მთავარი აზრი მისი სიტყვის.

**— ესე იგი, ვალები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ალებული აქვს, არც ისეთი დიდი ცოდვაა, რომელსაც მომავალი თაობა არ გვაპატიებს, როგორც ამას ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს.**

— ჯერ ერთი, ვალები, რომლებიც საქართველოს აქვს, არის ე.წ. რბილი კრედიტები — სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კრედიტები, პრაქტიკულად უპროცენტო ვალი და, თუ ინფლაციას გავითვალისწინებთ, მომგებიანიც. ისიც ვთქვათ, რომ უვალო სახელმწიფო არ არსებობს.

საქართველო, რასაკვირველია, არ მიეკუთვნება სიღარიბის იმ დონის ქვეყნებს, რომლებზეც იყო ლაპარაკი. ჩვენ ხშირად არასწორად განვსაზღვრავთ სიმდიდრე-სიღარიბის კრიტერიუმებს. ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე შეუძლებელია შეადარო განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონეს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს მოქალაქეს აქვს სახლი და

ძალიან ბევრს, პრაქტიკულად 80-90 პროცენტს, — მიწის ნაკვეთი. ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია იმ ქვეყნებში.

კლინტონმა ფრიად საყურადღებო ციფრი დაასახელა — მსოფლიოში წელიწადში შიმშილით 80 მილიონი ადამიანი კვდება.

ცხოვრების დონე ხარისხის თვალსაზრისით ჩვენ მაღალი არ გვექონდა, ვერც გვექნებოდა იმ დახურულ ზონაში, სადაც ყველაფერი საღებოდა და რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

ამასთან დაკავშირებით მიწდა ვთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი ცდილობს, შექმნას ილუზია, თითქოს პროტექციონიზმით, ანუ საზღვრების ჩაკეტვით შევძლებთ წარმოების გამოცოცხლებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას. ლათინურ ამერიკაში სავალუტო ფონდის ასეთი პოლიტიკა — იმპორტის შენაცვლების პოლიტიკა — კატასტროფით დამთავრდა.

მეტსაც გეტყვით. მოგეხსენებათ, ბრიტანეთის ლეიბორისტები სოციალისტები არიან. ისინი თავიანთ სოციალიზმს ფაბიანურს უწოდებენ. ფაბიუსი გახლდათ ანტიკური ხანის მხედართმთავარი, რომლის ტაქტიკა იყო აუჩქარებლობა — ნელა აკეთებდა ყველაფერს. ამ სოციალიზმმაც ნელა უნდა მიაღწიოს თავის მიზანს. ამასთან დაკავშირებით გაგახსენებთ ტონი ბლერის ერთ ფრაზას: „პროტექციონიზმი — ეს არის უსწრაფესი გზა სილატაკისკენ“.

კი — შეიქმნება ადგილობრივი წარმოება, მაგრამ ძალიან ცუდი, იმიტომ, რომ მის ნაწარმს ვერსად გაიტან. გზა ერთადერთია — მსოფლიო სტანდარტების დონეზე საქონლის ნელ-ნელა, მაგრამ უკვე საბოლოოდ და გარანტირებულად შექმნა.

\* \* \*

**საუბარი გელა ჩარკვიანთან გრძელდებოდა და გარეთ კი წვიმდა. გვიანი შემოდგომის ცივი წვიმა კარში გაგდებული ძალღის საცოდაობით ავსებდა ქალაქს.**

**ქალაქს ნიუ-იორკი ერქვა.**

**1999 წლის 29 სექტემბერი**

# ქართული შენობების ოთხი დღე გერმანიაში

## 1. იენის უნივერსიტეტის საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა

ბერლინი, ტეგელის აეროპორტი.

12 ოქტომბრის ზუსტად 19 საათია.

საქართველოს პრეზიდენტის „ილ-62“ ლამის ფონიდან ამოკვეთეს ძლიერმა პროუექტორებმა და სხვა განზომილებაში მოაქციეს თეთრი მიწნვდომლობა.

ამ შორეული სითეთრიდან წითელნობდაფენილ თეთრ ტრაპზე გამოჩნდება საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლესთან — ნანული შევარდნაძესთან ერთად.

ქვემოთ — საპატიო ყარაულში გაჭიმული ჯარისკაცები, წითელი ფიანდაზი, დამხვდურთა შავი კოსტიუმების სოლიდურობა და მაღალი სტუმრის გულითადი მოლოდინი.

და ზარბაზნების პირველი ზალკი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მისი დედაქალაქი ბერლინი ეროვნებათა სალუტით მიესალმება საქართველოს პრეზიდენტს...

54 წლის წინათ სხვა ქართველის ბრძანებით 41.600 ზარბაზნისა და ქვემეხის ცეცხლმა ჯოჯოხეთის გენა დაატრიალა ფაშისტურ ბერლინში.

54 წლის შემდეგ ქართველ კაცს ზარბაზნების ქუხილით ესალმება ბერლინი და გერმანია.

საქართველო გახდა მოწმე ამ უნიკალური ისტორიული კონტრასტის...

ორი ქართველის თემა სხვა დროსაც წამოიჭრება. შეუძლებელია, არ წამოჭრილიყო.

მით უფრო, როცა გერმანიის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე დაათვალიერებს ბუნდესტაგის შენობას, დარბაზს, ავა გუმბათზე...

ისტორიული რაიხსტაგი გერმანელთა მოხილვის (მასობრივად, სამუშაო თუ უქმე დღეებში) საგანია.

ასეა შარშანდელი შემოდგომის შემდეგ, იმ დროიდან, როცა გერმანელებმა აქ ახალი შენობა ააგეს, თანამედროვე, დიდი შიდა სივრცეებით, და 1945 წელს გამარჯვებული არმიის ჯარისკაცების მიერ ნარნერილი კედლების ფრაგმენტებიც ჩააყოლეს — მომავალი თაობებისთვის — როგორც სიმბოლო ფაშიზმის კრახის.

ერთი — Тбилиси - Берлин, 6.IV.1945. და იქვე — ამოკანრული ხიმტის წვერით — მამაცაშვილი.

ახალ გუმბათს რაიხსტაგის გუმბათთან მხოლოდ ისტორიული ადგილი აქვს საერთო, რადგან ეს უზარმაზარი, ალუმინისა და შუშის კონსტრუქცია თანამედროვე მშენებლობის შესაძლებლობათა, არქიტექტორების შემოქმედებითი გაქანების მასშტაბური დემონსტრაციაა და არა რეკონსტრუირებული, განახლებული სიძველე.

მოდიან, ათვალიერებენ. ტალღა ტალღას მოსდევს — აუცილებელი და ზუსტად გამოთვლილი პაუზებით — ერთმანეთში რომ არ აირიონ და ხელი რომ არ შეუშალონ ერთმანეთს.

ათასობით მოდიან.

იმ დღეს, 13 ოქტომბერს, როგორც თქვეს, მაინც განსაკუთრებით ბევრი იყო მნახველი. რა თქმა უნდა, პრეზიდენტ შვეარდნაძის მისვლისა გამოც.

შენობაში ლიფტების სისტემაა სართულების გარკვეულ დონეებზე გადასვლისთვის გაანგარიშებული, მაღალ სტუმარს ხელი რომ არ შეშლოდა, ჩაიკეტა ყველა კარი. სულ რამდენიმე წუთით შეჩერდა და დაგუბდა ხალხის ნაკადი...

რა წყალუხვი ყოფილა!

გუმბათზე ფეხით ადიან — ხვეული „ბილიკით“. გრძელია ეს გზა, მაღალია გუმბათი.

და როცა გუმბათის თავზე სტაიერის ტემპით ავიდა პრეზიდენტი შვეარდნაძე, როცა გიდმა საუბარი დაასრულა და როგორც ყველამ, ვინც კი მოახერხა ედუარდ შვეარდნაძესთან შეხვედრა, მაღლობა გადაუხადა გერმანიის გაერთიანებისთვის, დადგა „ჭეშმარიტების მომენტი“, აქ და ამავე წამს უნდა ვკითხო:

— ბატონო პრეზიდენტო, დანგრეული რაიხსტაგის გუმბათზე ქართველმა ჯარისკაცმა გამარჯვების დროშა აიტანა. დღეს თქვენ ამოხვედით, როგორც გამარჯვებული. თქვენი კომენტარი...

— ორივე ფაქტის უკან ისტორიული კანონზომიერება დგას, — ასეთი იყო ედუარდ შევარდნაძის ლაკონური პასუხი.

ისტორიული კანონზომიერება, რომელიც ხალხმა (გერმანელებმა) არა მარტო გაითავისა, არამედ იმ მაღალ ორიენტირად, გნებავთ, დღესასწაულად მიიღო, რომელიც მუდამ მასთან დარჩება.

ეს ხალხი დახვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს ჩამოსვლისას, გუმბათის საძირკველთან, და მე იმდენად ამ მასის ოვაციამ კი არ გამაოცა, რამდენადაც ხუთკაციანმა ჯგუფმა, რომელიც მნახველთა მასას გამოყოფოდა: ხანდაზმული, თეთრთმიანი, მაღალი და სანდომიანი ქალბატონი, რომელიც ძალიან ჰგავდა ვერიკო ანჯაფარიძის მიერ განსახიერებულ გერმანელ დედას ჭიაურელის ფილმში „ბერლინის დაცემა“, გამოყოფოდა ამ ჯგუფს და მარტო უკრავდა ტაშს საქართველოს პრეზიდენტს, ჩანდა, რომ სულ არ აინტერესებდა (ან დარწმუნებული იყო) დანარჩენები როგორ შეხვდებოდნენ.

ტაშს უკრავდა და ცრემლები ჩამოსდიოდა...

დილიდან იდგა ქოლგას შეყუჟული ახალგაზრდა წყვილი იმ დღეს სასტუმრო „ადლონთან“, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია იყო. წვიმდა. რამდენიმე თვის ჩვილი ჰყავდა დედას გულში ჩაკრული:

— იქნებ წასულიყავით, ფრაუ, პრეზიდენტს ამ დილით რამდენიმე შეხვედრა აქვს და გამოსვლა დაავიანდება, — ურჩია თამარ ბერუჩაშვილმა, ჩვენი დელეგაციის წევრმა დედას (თავადაც ახალგაზრდა დედამ).

— ვერაო, — უპასუხეს, — ასე რომ მოვიქცეთ, ეს პატარა რომ გაიზრდება, არ გვაპატიებსო. საშუალება გვაქვს და არ ვნახოთ შევარდნაძე, წარმოუდგენელია.

ალარაფერს ვამბობ იმ განუწყვეტელ, ამინდისა და დროის მიუხედავად, ხალხმრავალ მორიგეობაზე, რომელიც ბერლინელებს ყოველდღე „ადლონის“ მოპირდაპირე ტროტუარზე ჰქონდათ — მხოლოდ იმისთვის, რომ დაენახათ, მხოლოდ დაენახათ ედუარდ შევარდნაძე.

და, როდესაც „ქართულმა დესანტმა“ ბრანდენბურგის კარიბჭე (რომლის გასწვრივაც გადიოდა კედელი) გერმანელთა ტაშის გრიალში დაიპყრო, ინგა გრიგოლიამ (ტელევიზიის პირვე-

ლი არხი) პრეზიდენტს ჰკითხა — რას გრძნობთო. ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

— ბედნიერებას!

რამდენიმე წამის შემდეგ, როცა ქალბატონი ნაწული გაგვის-ნორდა, იმავე შეკითხვით მივმართე:

— რა თქმა უნდა, სიამაყით ვივსები...

არა მგონია, მაშინ ქართველთაგან ვინმე იქ, ბერლინში, თუ აქ, საქართველოში, გულგრილი დარჩენილიყო.

და ასე იყო ყოველდღე.

— კმაყოფილი ხართ, ბატონო ედუარდ? — ამ კითხვის დას-მის შესაძლებლობა უკვე თვითმფრინავში, გამომგზავრების წინ მომეცა.

— არ შეიძლება კაცი კმაყოფილი არ იყო. ასეთ გულწრფელ პატივისცემას, უზარმაზარ სურვილს ხალხისას — გამოხატოს თავისი დამოკიდებულება — ბევრი ვერც ინატრებს. ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება, ალბათ. ეს ბედნიერება ჩვენ, ყვე-ლას, გვერგო, სწორედ ჩვენი თაობა მოესწრო ამას.

უნიკალური ეპოქა უნიკალური მოვლენებით, უწინარესად კი, გლობალური მნიშვნელობის უსისხლო რევოლუციით, რომელ-მაც შეცვალა მსოფლიო.

ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ყოველთვის, ცოტა ჩრდილ-ში მოაქცია ამ ისტორიულ გარემოში საკუთარი დამსახურება.

სამაგიეროდ თქვა სხვამ და არაერთგან, არაერთგზის, არა ერთი დიდი აუდიტორიის, ინტელექტუალური აუდიტორიის წი-ნაშე (ბერლინში, იენაში) ილაპარაკეს ორატორებმა იმ ადგილი-სა და როლის შესახებ, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ, რო-გორც დიდმა (SIC!) პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეოცე საუკუ-ნის მეორე ნახევრის ისტორიაში დაიმკვიდრა და შეასრულა.

ეს იყო მძიმე ჯვარი, რომელიც მან თავის გოლგოთაზე აიტა-ნა, მაგრამ არა სანამებლად, არამედ ნიშნად მშვიდობის დამკ-ვიდრებისა.

მისი მოღვაწეობის მრავალწინაგოვნობიდან სწორედ ეს აქ-ცენტი მიიჩნის ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერ-სიტეტში შეხვედრისას უპირველესად, როდესაც თქვეს (რექ-ტორმა იან მახნიკმა განაცხადა): იმანუილ კანტის დებულება მარადიული მშვიდობის შესახებ არ არის ბუნებრივი მდგომა-

რეობა. იგი ბრძოლითა და დიდი ძალისხმევით უნდა მოიპოვო. ეს შეძლო ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს პრეზიდენტმა, და ევროპა ომის კულტიდან მშვიდობის კულტურისკენ შემოაბრუნა.

მან (ედუარდ შევარდნაძემ) შეცვალა ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პარადიგმები. მან განახორციელა პოლიტიკა, რომელიც სენეკას ფილოსოფიურ იდეას — განსხვავებულ, მაგრამ მინაგანად ერთიანი სამყაროს შესახებ — ეყრდნობა: „ჩვენ დავიბადეთ იმისთვის, რომ ერთად ვიცხოვროთ“.

ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის გამთლიანების იდეა, როგორც ევროპის უსაფრთხოებისა და მშვიდობის მთავარი საკითხი, გამოატარა სამხედრო ძალითა და იდეოლოგიური კედლებით გათიშულ მსოფლიოში მაშინ, როდესაც ბევრს, დასავლეთშიც კი, არსებული რეალობა მუდმივად და უცვლელად ჩამოყალიბებული სიდიდე ეგონა (პროფესორი ბესტი).

ხოლო ლეგენდარული ჰანს დიტრიხ გენშერი საქვეყნოდ მაღლობას ეტყვის პრეზიდენტ შევარდნაძეს იმისთვის, რომ მან (სწორედ მან!) სამშობლო დაუბრუნა.

მიაქციეთ ამ პასაჟს ყურადღება, რადგან მისი ავტორი არის არა ემოციამოჭარბებული ჭაბუკი, არამედ ბრძენი პიროვნება, უდიდესი დიპლომატი, რომელიც შევარდნაძესთან ერთად იღვწოდა გერმანიის გაერთიანებისთვის.

გენშენმა იცის, რასაც ამბობს:

— მან, ედუარდ შევარდნაძემ, ბევრი გაათავისუფლა ძველი იდეოლოგიის კორსეტის სივიწროვიდან, რომელსაც ხშირად დასავლეთშიც ვერ ძლევენ.

ხედავთ, რა აღმავალი ხაზით მიდის შეფასებათა დებულებების ლოგიკა.

და ახლა დააკვირდით:

ახალი აზროვნების (რომლის ღირსეულ ავტორად გერმანელები ედუარდ შევარდნაძეს მიიჩნევენ) წინაპირობა არის აზრის თავისუფლება. იგი არის ყველა ადამიანის უპირველესი უფლება და წინაპირობა ყველა თავისუფლების, რომელიც სჭირდება ევროპას. რადგან ახალი აზროვნება მარტო „ცივი ომის“ დამთავრებისთვის კი არ იყო საჭირო, არამედ ყველა ეპო-

ქისტვის არის აუცილებელი. სხვაგვარად პროგრესი შეუძლებელი იქნება.

— ედუარდ შევარდნაძის გარეშე, — ეს კვლავ გენშერია, — გაერთიანებული გერმანია და ევროპა არ იარსებებდა.

ევროპაზეა ლაპარაკი (SIC!), რომელიც მადლობას უხდის და აფასებს ღირსეულ ქართველ მამულიშვილს.

„ედუარდ შევარდნაძის ხასიათს წარუშლელი კვალი დაამჩნია მისმა ლაღმა სამშობლომ. იგი არის კაცი, რომელსაც მშობლიური ფესვები არ დაუკარგავს!“ — ესეც ციტატაა.

და ამის ერთ-ერთი დადასტურება იყო იქ, ბერლინში, სწორედ სამშობლოს, ყველა ქართველის დიდი ტკივილის არდავიწყება, საზეიმო და ამაღლებულ ნუთებშიც კი ფიქრი ქვეყნის გაერთიანებაზე.

და არა მოთქმა.

ერთმა ქართველმა გერმანია გაყო, მეორემ — გააერთიანა. ეს ისტორიული ფაქტი, როგორც ვთქვი, სხვადასხვა რაკურსით, არაერთხელ გაიხსენეს გერმანიაში.

ბოლოს შევარდნაძეც მიადგა ამ თემას: იმდენად ხშირად გაიმეორესო, — თქვა მან, — რომ, მგონი, ეჭვი აღარავის ეპარება — დიდი პოლიტიკა ქართველების გარეშე შეუძლებელიაო.

გერმანელებმა ადეკვატურად შეაფასეს შევარდნაძისეული იუმორი (სხვათა შორის, ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში მისი გამოსვლებისას).

მაგრამ ნახეთ, როგორ შემოატრიალებს ამ სიტუაციას ედუარდ შევარდნაძე:

— ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, გაქვთ თუ არა საქართველოს გაერთიანების იმედი?

— მაქვს-მეთქი.

— რის საფუძველზე?

— გაცილებით ძნელი იყო გერმანიის გაერთიანება, მაგრამ ეს შესაძლებელი გახდა.

მიხვდით ხომ: ის ძნელი საქმე მოაგვარა და ამ, საჩვენოსაც მოერევა უეჭველად.

ქართველი კაცი ლაპარაკობდა ამას.

\* \* \*

**ინის უნივერსიტეტში, უკვე როგორც ამ დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებლის საპატიო დოქტორი,**

ედუარდ შევარდნაძე მადლობას უხდის რექტორატს, სამეცნიერო საბჭოს (სენატს), პროფესორებს, სწორედ ამ დროს უნივერსიტეტის საათმა, რომელსაც არაერთი ისტორიული წუთი ჩამოუთვლია, თორმეტჯერ დარეკა.

თორმეტჯერ.

დამთავრდა ერთი ნახევარი და იწყება მეორე.

ჩვენ ორივეს მომსწრე და მნახველები ვართ და ვიქნებით.

**1999 წლის 17-18 ოქტომბერი**

## **2. ჯერ მხოლოდ უშადღეა**

თორმეტჯერ დარეკა-მეთქი იენის უნივერსიტეტის საათმა, რომელსაც არაერთი ისტორიული წუთი ჩამოუთვლია.

ეს ნიშნავს (ვაგრძელებ), რომ ჯერ მხოლოდ უშადღეა, რომ წინ დიდი და საინტერესო გზა გვიდევს, საინტერესო და რთულად გასავლელი იმ ევრაზიულ სივრცეში, ახალ მსოფლიო განზომილების სტადიაში რომ შევიდა.

ბერლინერ დომში, ამ უზარმაზარ ტაძარში (ლუთერანულში) ედუარდ შევარდნაძისთვის ვიუნშეს პრემიის გადაცემის დიდი ბული ცერემონიის დროს წარმოთქმულ სიტყვებში განსაკუთრებით გამოიკვეთა სწორედ ეს პერსპექტივა: გაკეთდა დიდი ისტორიული საქმე, აღდგა ისტორიული სამართლიანობა. მშვიდობამ იზეიმა ომის კულტზე გერმანიაში; მაგრამ ყველაფერი ეს სჭირდება ევროპასაც, ევროპის მომავალს იმავე ისტორიული სამართლიანობის ზეობისთვის.

ვინც ქმნა სიმართლე, მანვე უნდა ითავოს ვაგრძელება, მას უნდა დაუფგდოთ ყური, ვისმინოთ მისი და მივყვეთ მას. მძიმეა ეს გზა, მაგრამ არც უკვე გამოვლილის დაძლევა იყო იოლი. ჩვენ ეს შევძელით. შევძლებთ ახალი ეტაპის გადალახვასაც.

ეს იყო პათოსი ბერლინერ დომში გამართული ზეიმის.

ახლა დეტალები — აქცენტირებული ციტატები:

„ლუდვიგ ვიუნშეს პრემიის მინიჭება პრეზიდენტ შევარდნაძისთვის ნიშნავს იმ ადამიანისთვის პატივის მიგებას, რომლის გარეშე გაერთიანებული ბერლინი, გერმანია და ევროპა ვერ იარსებებდა“.

„მან მთელს ევროპას ახალი კარიბჭე გაუხსნა“.

აქედან გამომდინარე, — მან თავისი ქვეყნის მომავალიც უზრუნველყო და მისთვის — ევროპის მხარდაჭერაც.

„თუ ჩვენ გვსურს, ღირსეულად მოვიხადოთ ვალი, უნდა ვიზრუნოთ, რომ ხალხებმა, რომლებიც ჩვენს აღმოსავლეთით ცხოვრობენ, იცოდნენ, რომ ევროპა მათ ზურგს არ შეაქცევს. მხოლოდ ასე განხორციელდება ერთიანი ევროპის იდეა“.

„ჩვენ მოვალენი ვართ, მადლობა გადავუხადოთ იმითაც, რომ დავებმართო (*შევარდნაძის*. — ა.ს.) საქართველოს, გავუკვალოთ გზა იმ მიმართულებით, რომლითაც მიდის“.

ეს გზა ძნელი რომ არის, მტრებისა და ავისმოსურნეთა ბოროტი საქმეებით დანაღმული რომ არის, მაინცდამაინც პრეზიდენტი შევარდნაძის გერმანიაში ვიზიტის დროს გაამჟღავნეს ზურგში ჩაცემული ლახვარივით.

ვინ?

გამყიდველთა ჯგუფმა კრიმინალებისა, რომლებმაც გაიტაცეს გაეროს დამკვირვებლები კოდორის ხეობაში.

უდღეური გამოდგა შედეგი ამის.

მოელოდნენ, რომ ეს ჩანთხეული შხამი მონამლავდა ვიზიტის ატმოსფეროს.

არ გამოვიდა. მართალია, დაინტერესდნენ ჟურნალისტები, ჰკითხეს კიდეც შევარდნაძეს ამის შესახებ, მაგრამ, პასუხი რომ მოისმინეს, ამით დამთავრდა ყველაფერი.

— ეს საკითხი 2-3 დღეში მოგვარდება, — უპასუხა პრეზიდენტმა, — მთავარია, ვიცით, სად არიან გატაცებულები და ჩვენ მათ გავათავისუფლებთ...

და როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე, უკვე ვიუნშეს პრემიის ლაურეატი, ბერლინერ დომის საკათედრო ტაძრის ტრიბუნაზე შედგა, როდესაც ეს უზარმაზარი აუდიტორია გაირინდა მის მოსასმენად, მან განაცხადა:

— ამ დღეებში ბევრს წერენ ფაქტზე, რომელიც ყველას გვაღელვებს — გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა გატაცებაზე საქართველოში. უნდა განვაცხადო, რომ ოთხი მათგანი უკვე გათავისუფლებულია...

უნდა მოგესმინათ, როგორი ოვაციით შეხვდა აუდიტორია ამ სიტყვებს, უნდა გენახათ გერმანელთა გაბრწყინებული სახეები!

ეს იყო კიდეც ერთი, ელევანტური გამარჯვება საქართველოს

პრეზიდენტის: მერე რა მაღალი რეგისტრით, როგორი მსოფლიო რეზონანსით! ჩვენმა ქვეყანამ დაამტკიცა, რომ იგი მართლა არის სახელმწიფო და კრიმინალური ფაქტები (ისეთი, როგორიც ადამიანის გატაცებაა) მხოლოდ ანომალური გამოვლენაა, ცალკეული, შემთხვევითი და სხვა ქვეყნის მიერ ინსპირირებული.

შევარდნაძემ ეს კონკრეტული, მისი სახელის შელახვის მიზნით გათამაშებული პარტია მოიგო.

გერმანელებმა ეს არა მარტო გაიგეს და გაიაზრეს, არამედ დააფასეს სწორედ იმ ოვაციით, რომელზეც ეს-ესაა ვთქვი.

ბერლინერ დომი რომ იგრძნო და შეაფასო, აქ უნდა მოხვდეს — ამ სიდიდესა და სიდიადეში, ოქროცურვილ სვეტთა აღმართულობაში, ოქროთი მოვარაყებული ბიბლიური სცენების ხატოვნებაში და იმ გარინდულობაში, რომელიც მორიდებული საუბრების მოცეღვით რომ დაიპყრობს სივრცეს ასეულობით ადამიანითურთ: განიხვნა ტაძრის კარი და მასპინძლების თანხლებით ზღურბლს გადმოაბიჯა საქართველოს პრეზიდენტმა.

იგი მოდიოდა მორიდებული ღიმილით სახეზე და იდგა მოწინებული სიჩუმე — პატივისცემის ნიშანი.

ვერ გეტყვით, რამდენ ნუთს გაგრძელდა ასე, მაგრამ რამდენიც იყო, იმ დროში არავინ შერხეულა, არ განძრეულა, ერთი ბგერაც არ წამოსცდენია არავის.

დარბაზი იდგა ფეხზე — გერმანიის ელიტური საზოგადოება — პოლიტიკური მოღვაწეები, ბიზნესმენები, მეცნიერები, ხელოვანნი, ის გონებრივი კაპიტალი, რომლითაც მდიდარია დღეს გერმანია, რომლითაც ამაყოფს.

და როდესაც საქართველოს პრეზიდენტი პირველ რიგში მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაჯდა, გაისმა პირველი აკორდები ბახის დიდებული მელოდიის, რომელსაც ასრულებდა მევიოლინეთა ანსამბლი — სხვადასხვა ქვეყნის ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებლებისაგან შემდგარი.

ამ კონკრეტულ ერთობლიობაშიც აისახა ლუდვიგ ვიუნშეს პრემიის პრინციპი — ხალხთა შორის ურთიერთგაგებისთვის, ტოლერანტობისა და თანადგომისთვის ხელშეწყობა.

ლუდვიგ ვიუნშეს პრემიის ლაურეატები მსოფლიოში სახელმწიფოებრივი ადამიანები არიან — მანდელა, ვიაც ზეკერი და ა.შ. ასეთი პრემიის მიღება, რა თქმა უნდა, აღიარებაა, მაგრამ,

იცით, რა უთხრეს შევარდნაძეს პრემიის მინიჭებისას? თქვენთვის ამ პრემიის მონიჭება, ბატონო პრეზიდენტო, თვით ამ პრემიის ავტორიტეტის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

აი, ასე.

მოდით, ვკითხოთ ამის თაობაზე როინ მეტრეველს, აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს დელეგაციის ყველაზე უფრო (ვთქვათ ასე) დეპოლიტიზებულ წევრს:

**— როგორია მეცნიერის თვალით, ქართველის თვალით, მოქალაქის თვალით დანახული ვიზიტი პრეზიდენტისა გერმანიაში?**

— ეს იყო უთუოდ უდიდესი აღიარება საქართველოსი, როგორც სახელმწიფოსი, და მისი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის.

არის ოფიციალური პროტოკოლის ჩარჩოები, რომლებიც ზედმინევნით ზუსტად სრულდება ხოლმე, მაგრამ აქ, გერმანიაში, ამ ოფიციალური ღონისძიებების მიღმა არის ის, რაც ოქმში ვერ აღინიშნება.

ეს არის ადამიანების, ხალხის, საზოგადოების დამოკიდებულება, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის მიმართ, ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ.

ჰანს დიტრიხ გენშერს რომ მოვუსმინე, განმაცვიფრა და აღმაფრთოვანა მისმა სიტყვამ, იმდენად სრულყოფილი, ზუსტი, ამასთან, ადამიანურად თბილი შეფასებებით იყო გამსჭვალული. როდესაც დიდი პოლიტიკოსი (გენშერი კი სწორედ ასეთია) თავისი მაღალი სამრეკლოდან შეაფასებს კოლეგის მოღვაწეობას, ეს მართლაც განსაკუთრებით ღირებული ფაქტია.

საზოგადოება, რომელიც იმ ტაძარში იყო თავმოყრილი, გერმანიის ზეპური საზოგადოება, ინტელიგენცია გახლდათ. იგი ქვეყნის სახეს წარმოადგენდა. ამ საზოგადოების მიერ ედუარდ შევარდნაძის აღიარება, სრულიად გერმანიის მიერ აღიარებას ნიშნავს. და არა მხოლოდ გერმანიის მიერ.

ჩემზე, როგორც რიგით მოქალაქეზე, როგორც არაპოლიტიკოსზე (ამას ხაზს ვუსვამ), ყველაფერმა ზემოთ თქმულმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები გერმანიის პოლი-

ტიკურ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან, ის დიდი მონივნება, სითბო და სიყვარული, რომელსაც ისინი თავიანთ სიტყვებში მისდამი გამოხატავდნენ, მიდასტურებს ჩემი შთაბეჭდილებების სისწორეს.

ამასთან, ყველაფერ ამის მიღმა, ძალიან სერიოზული მოლაპარაკებები გაიმართა როგორც ეკონომიკური, ასევე (როგორადაც მე ვგრძნობ), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართული დახმარებისთვის მზადყოფნის საკითხებზე, რაც ამ ვიზიტის მნიშვნელობას განუზომელს ხდის.

გამოაცა ხალხის დამოკიდებულებამ საქართველოს პრეზიდენტისადმი, ამ წვიმიან ამინდში გამოსული დიდი თუ პატარა საათობით ელოდა მის გამოჩენას, თვალი რომ მოეკრათ მისთვის. ბატონი ედუარდი ჩვეული სითბოთი ხვდებოდა ამ ხალხს, ესაუბრებოდა და მე ვხედავდი მათ ბედნიერ სახეებს.

— **ბატონო როინ, თქვენთვის, მგონი, მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვიზიტი იენაში, შილერის სახელობის უნივერსიტეტში, იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელთანაც თქვენ და უნივერსიტეტს დიდი ხნის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა გაკავშირებთ.**

— დიახ, ასე იყო და მეამაყება, რომ ეს ურთიერთობაც იყო ერთი დეტალი ედუარდ შევარდნაძის მასშტაბური მოღვაწეობის, რომელმაც თავისი როლი შეასრულა ამ დიდი პოლიტიკოსის — ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევაში.

მინდა, განსაკუთრებით ხაზი გაფუსვა იენის უნივერსიტეტის სოციოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ბესტის გამოსვლას დოქტორობის მინიჭების ცერემონიაზე. ეს იყო მეცნიერული გამოკვლევა, ღრმა ანალიზი იმისა, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი მსოფლიოსთვის ედუარდ შევარდნაძე. ის ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა „ცივი ომის“ შეწყვეტის, გერმანიის გამთლიანების საქმეში, პროფესორმა ბესტმა განზოგადებულად წარმოადგინა, როგორც მეცნიერმა-ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა.

მე მაინც მინდა, ხაზი გაფუსვა ბატონ ედუარდის გამოსვლას — ეს იყო საპატიო დოქტორის სიტყვა, რომელშიც იგი იმ ძაფებს, ნიუანსებს შეეხო, გერმანელ და ქართველ ხალხებს რომ

აკავშირებს და აახლოებს ერთმანეთთან; იმ ტრადიციულ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტებს შორის არის დამყარებული.

მე ადრეც ვიყავი სამთავრობო დელეგაციაში რამდენიმე ქვეყანაში და მიმაჩნია, რომ ვიზიტი გერმანიაში განსაკუთრებულად გილზე დგას. მიმაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ყველა შეხვედრა, გერმანელების ყველა გამოსვლა ღრმად უნდა გაანალიზდეს და ამის საფუძველზე შევაფასოთ საბოლოოდ იგი.

**— მაგრამ, მოდით, ჩვენც ვცადოთ, თუნდაც მისი ისტორიული როლის შეფასების თვალსაზრისით, ისტორიულ ჭრილში, მგონი, თქვენ ხართ ის რესპონდენტი, რომელსაც ეს კითხვა უნდა დავუსვა.**

— მიგიხვდით, რასაც მეკითხებით. ძალიან მოკლედ გეტყვით.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთმა უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ (როგორადაც უნდა შევაფასოთ, ამას ვერ უარყოფთ) იოსებ სტალინმა დაამარცხა ფაშიზმი, მაგრამ გაყო ბერლინი, გაიხლიჩა გერმანია და მსოფლიო. და აი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ისტორიის ჩარხის ტრიალის რაღაც ეტაპზე, გამოჩნდება მეორე დიდი ქართველი, რომელიც გააკეთებს სრულიად სანინაალმდეგოს. მას ამ დიდი მსოფლიო მნიშვნელობის საქმის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა საბჭოთა კავშირის, — სუპერსახელმწიფოს — საგარეო საქმეთა მინისტრად მოღვაწეობის პერიოდში. პატარა საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეს, ძნელია, ამხელა საქმეები მოსთხოვო...

**— თუმცა დღევანდელი მსოფლიო პრაქტიკა, ეგებ, სანინაალმდეგოს ამტკიცებს.**

— გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ისტორიაზე ვსაუბრობთ, იმაზე, უხეშად რომ ვთქვა, რასაც გამართლება ჰქვია, ბედი...

**— თვითონაც არაერთხელ უთქვამს, რომ განგებამ ინება ასე.**

— დიახ. მაგრამ ამ შესაძლებლობას გამოყენება უნდა. მისმა სრულიად ორიგინალურმა ხედვამ მსოფლიო მოწყობის პერსპექტივის, გამჭრიახობამ, ალლომ და ძალიან მაღალმა რეიტინგმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და ჩვენ მოგვევლინა მეორე ქართველი, რომელმაც გააერთიანა გერმანია, ხელი შეუწყო ევროპის გაერთიანებას, მსოფლიოსათვის „ცივი ომის“ საშიშრო-

ების თავიდან აცილებას.

— ჩვენ მოწმენი ვიყავით, ბატონო როინ, რომ გერმანელები მას სწორედ ამ დამსახურებას უფასებდნენ განსაკუთრებული მადლიერებით.

— მართალია. ისტორია პარადოქსებისგან შედგება. ისიც მართალია, რაზეც ბატონმა ედუარდმა შესანიშნავად იხუმრა — მსოფლიოში პოლიტიკური ძვრები ქართველების გარეშე არ ხდებაო.

მართლაც ასეა.

\* \* \*

ერთი დეტალიც: იენის უნივერსიტეტში ედუარდ შევარდნაძისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიაზე დასწრების, მისი გამოსვლის მოსმენის მსურველი იმდენი იყო, რომ ერთმა სააქტო დარბაზმა ვერ დაიტია და სტუდენტობა, პროფესორ-მასწავლებლობა მეორე, არანაკლებ მოცულობითს დარბაზში იყო შეკრებილი, გასასვლელებშიც კი იდგა და ტელეეკრანით თვალს ადევნებდა ამ უნიკალურ მოვლენას.

გერმანიის ერთ-ერთმა ტელეარხმა, სამწუხაროდ, ვერ დაგისახელებთ, კერძოდ, რომელმა, გაითვალისწინა საერთო ინტერესი და იენიდან მთელს გერმანიაზე ტრანსლაცია მოაწყო. გერმანია უსმენდა შევარდნაძეს.

1999 წლის 23 ოქტომბერი

# 2000 წელი





# «განუგზავთ გზა უფალს, მოსწორეთ მისი ბილიკები»

## 1. გათლავები ქრისტიანობის დღესაც ისროდნენ

თბილისის ქუჩათა დამთხვეულობას შეჩვეულებმა ყურადღება არც მივაქციეთ ჭექა-ქუხილსა და ქართატეხაში თვითმფრინავის ძაგძაგსა და ნახტომებს გაუხედნავი ცხენივით.

თამაზ გაიაშვილმა მოთოკა უბელო მუსტანგი — „ილ-62“ — როდეროზე გამოსული კოვბოივით, ელვის გრაგნილობის ცენტრში გაატარა (სხვა რა გზა იყო!) და დაშოშმინებული დაასრიალა ბენ გურიონის აეროპორტის დასაშვებ ზოლზე.

შავი ღრუბლის დიდი ნახევი გამოეგლიჯა იანვრის მეხუთე დღეს ღრუბელთა დაპრესილობიდან, წამოეხურა თელ-ავივისთვის და გრძელდებოდა ეს ნესტიანი შემცივნება იერუსალიმამდე: წვიმდა მოსასვლელი წვიმების ხარჯზე და ყველა წვიმის ნაცვლად წმინდა მინაზე.

ნეგევის უდაბნოს სუნთქვა ქვეყნის სუბტროპიკულ ჰავას განსაკუთრებით აშრობს, აფიცხებს მინას შოთიპურის ასაკრავად გამზადებულ თონესავით.

წყალს სიცოცხლის ფასი აქვს. თუმცა, სად არ აქვს?!

ჩვეულებრივ, სექტემბრიდან იწყებენო ლოცვას რაბინები წვიმის მოსავლენად. წლეულს განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო გვალვა და, როგორც გურამ ბათიაშვილი (დრამატურგი, მეცნიერი, „მენორას“ მთავარი რედაქტორი) ყვება, თვითმფრინავით შემოუფრენიათ რაბინებს ქვეყნის გარშემო და აღუვლენიათ ლოცვა იმავე თხოვნით იელოვასადმი.

დაშვებულან მინაზე და ორმოციოდ წუთში კოკისპირულ წვიმას მოურწყავს ისრაელი.

ამოისუნთქეს.

ეს თავსხმა წვიმა კი, ახლა ასე უადგილოდ რომ გვეჩვენება, ორი დღეა, დაჟინებით ალბობს მინას — დღეისთვის და სამომავლოდ, პერსპექტივისთვის: ივსება მაცოცხლებელი ტენით

წყაროსთავი ისრაელისა — გოლანის მაღლობის ბუნებრივი წყალშემკრები ტბა ტიბერიადის.

აქედან მოედინება ხრიოკ დაბლობში მაცოცხლებელი ტენი. წვიმს.

წვიმს თუ თოვს?

ხორბლის მარცვლების მსგავსი ირიბი მძივები ოქროსფერი ლამპიონების შუქზე ნისლებს უვარცხნის იერუსალიმს.

ხვალ შობის წინადღეა, 6 იანვარი 2000 წლის.

ხვალ მაცხოვრის საფლავის ტაძარს მოიხილავს და ილოცებს საქართველოს დელეგაცია.

ამ საღამოს კი თოვს: თოვა დაინყო ამასობაში.

ხუთი წელიწადია, არ უთოვია იერუსალიმში. ვიღაცამ თქვა — შვიდიო, სხვამ — მაქსიმალისტმა — ორმოცდაათიო. იქნებ, მართალია მაქსიმალისტი?

თეთრი თოვლი მწვანე ბალახზე (სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც) დაეფინა „ბეით ჰანასის“ — ისრაელის პრეზიდენტის რეზიდენციის მოვლილ გაზონებს.

ეს ანომალია(?) ყველაზე მეტად ჩვენმა ტელეოპერატორებმა (სოსო გულბანმა, უპირველესად) იგრძნეს, რომელთაც მაინცდამაინც ამ ადგილიდან მოისურვეს საქართველოს პრეზიდენტის შემოსვლის გადაღება.

ჩასვლისთანავე შეხვდა ედუარდ შევარდნაძე ეზერ ვაციმანს; ოფიციალური სადილის შემდეგ კი, რომელიც პრეზიდენტის სახელით გაიმართა, სახელმწიფოებისა და ეკლესიათა მეთაურების პატივსაცემად, სასტუმრო „კინგ დევიდში“ ესაუბრა საბერძნეთის პრეზიდენტს — კონსტანტინოს სტეფანოპულოსს. პრეზიდენტებთან შეხვედრების ციკლი — იასერ არაფატის მიწვევის ჩათვლით — მეორე დღეს გაგრძელდა. როგორც საქმიანსა და სასარგებლოს — ასე შეაფასებს ამ შეხვედრებს ედუარდ შევარდნაძე.

მაგრამ ეს იქნება ხვალ და ზეგ.

ამ საღამოს კი — ჩამოიქცა ცა.

ჩვენი დელეგაციის ქართველი ებრაელები ნათესავ-მეგობრებმა დაიტაცეს.

რამდენიმე თავგადადებულმა (ყურნალისტების გარდა, სხვა ვინ იზამდა ამას) თავსხმასა თუ თოვლ-ჭყაპში იერუსალიმის დათვალაიერება(!) გადაწყვიტა.

გადაწყვიტეს და ნავიდნენ კიდეც (მაია თაბაგარი — პრეზიდენტის პრესსამსახური, ირმა გეგეჭკორი — საქინფორმი და ნათია ბანძელაძე — „საქართველოს ხმა“). ვერ გეტყვით, მათი ყურადღება იერუსალიმის ღირსშესანიშნაობებზე იყო კონცენტრირებული თუ ფეხქვეშ გუბებზე, მაგრამ პრინციპულად უკან არ დაბრუნებულან და, როცა შუა გზა განვლეს, ქართული ლაპარაკი შემოესმათ.

— ქართველები ხართ?

— ვართ, — ორ ხმაში უპასუხეს „ალიას“ და „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორებმა — გიორგი ბრეგვაძემ და ლაშა ტულუშმა.

ხუთი ქართველი წვიმაში გამონაკლისი არ აღმოჩნდა: ქუდიან-პალტოიანად გალუმპულმა, მაგრამ ძალიან კმაყოფილმა ვლადიმერ ალფენიძემ, მწერალმა და ჟურნალისტმა, სასტუმრო „დარომის“ ვესტიბიულში დარჩენილებს ნიშნისმოგებით და ამკარად გამარჯვებულის პოზიციიდან გამოგვიცხადა: — აბა, ვინ დასველებულხართ 2000 წლის იანვარში იერუსალიმის წვიმით?

— არავინ, ბატონო ვლადიმერ! (იმ ხუთის გარდა, ვინაც ზემოთ ვახსენე).

იშვიათი მოვლენაა, უიშვიათესი და ყველა თავისი შეხედულებისამებრ შეეწყოს და მიესადაგა ამინდსა და განწყობილებას.

მაგრამ უძილობა ყველას სჭირდა.

რა დაგაძინებს შობის წინა დღეს, რომელიც სადაცაა გათენდება.

6 იანვარს, 6 საათზე იერუსალიმის თავზე ქარი ღრუბლებს აღმოსავლეთისკენ იაპონური ექსპრესის უკანმოუხედაობით მიერეკებოდა. ნაბდით დაჭედილი (კონსტანტინე გამსახურდიას შედარებაა) მონღოლური ცხენების რემა მიეზავებოდა კაბადონზე, დაეპყრო ცაც და მიწაც, სანამ თვალი გასწვდებოდა და იმას იქითაც.

დილით მაცხოვრის საფლავი უნდა მოეხილა პრეზიდენტს.

ჟურნალისტები, წესისამებრ, უფრო ადრე გავედით, მაგრამ აღმოსავლური ქალაქის ქუჩაბანდების ლაბორინთებში (სადაც ყოველი შესახვევი ჩიხია) ძლივს გზაგაკვალულებმა, ფეხად მივუსწართ მის მოსვლას.

თანაც გადაულეבלად წვიმდა,

სასწრაფოდ ნაყიდი ქოლგები უკანმიდევნებულ ლამპარით იყო ამბობენ, იმ ორ დღეს იმდენი ქოლგა გაიყიდა, რამდენიც წინა ორი წლის განმავლობაშიო.

მაცხოვრის ტაძრის ეზოში სიცარიელეა. ჩამოსულ ქართველ მომლოცველებს ტაძრისთვის შეუფარებიათ თავი.

ტაძრის ირგვლივ ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილია — უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია დაცული: პოლიციის ჯავშნიანი მანქანები, სპეციალური სამხედრო ნაწილების მეომრები მართლა კბილებამდე შეიარაღებული და ჩახმახზე შეყენებული ოდნავ საეჭვო მოქმედებას თუ შეამჩნევენ, ისვრიან, ამიტომ დაიცავით ყველა შემოთავაზებული წესი!

ტაძარში პრეზიდენტის მოსვლას ელოდებიან საქართველოს სამღვდელოება, მონაზვნები, მომლოცველები.

კიდევ რამდენიმე წუთი... რეკენ ზარები, მღერის გუნდი საღვთო საგალობელს და...

და გადაიღო, გადაიკარა, მზემ ღრუბლებიდან გამოანათა, გაიხსნა ცა მაცხოვრის ტაძრის თავზე და ჩადგა მზის სხივი ცასა და ეკლესიას შორის.

ამ დროს შემოდიან ედუარდ შევარდნაძე; საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, თანმხლები პირები მოჰყვებიან.

არაფერს ვამტკიცებ, ფაქტს ვადასტურებ, კიდევ ერთს, ადრე მრავალგზის განმეორებულს კულმინაციურ მომენტებში.

„მან თქვა: კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია“ (ლუკა, 18, 27).

ასეა.

\* \* \*

ეს-ესაა ვთქვი, რომ ისრაელის მთავრობამ ქრისტიანობის დღესასწაულზე ჩასული პრეზიდენტების უსაფრთხოების დასაცავად უპრეცედენტო ზომები განახორციელა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სტუმრებს სთხოვეს, არ დასწრებოდნენ ღვთისმსახურებას ბეთლემის საშობაო ბაზილიკაში 7 იანვრის ღამეს, რადგან ვერ შეძლებდნენ მათ დაცვას, ვერ იძლეოდნენ გარანტიას, რადგან ბეთლემი პალესტინის ტერიტორიაა.

მლოცველებს, ყველას სათითაოდ ამონმებდნენ, ატარებდნენ

სპეციალურ მონყობილობაში, რომელიც სრულიად უადგილოდ ჩანდა ეკლესიური ტრადიციულობის გარემოში.

ალბათ, იმიტომ, რომ ბეთლემში პრეზიდენტები არ ეგულე-ბოდათ, იმ ღამემ მშვიდად ჩაიარა. ერთად, ერთმანეთის გვერ-დით სწირავდნენ ბაზილიკაში იმ ღამეს ეგვიპტელი, სომეხი, ქართველი, რუსი, ბერძენი მღვდელმთავრები.

ზუსტად 12 საათზე ბეთლემის ზარებმა ამცნეს სამყაროს 2000 წლის შესრულება მაცხოვრის დაბადებიდან:

„და, აჰა, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დადგებოდა იმ ადგილ-ზე, სადაც ყრმა იყო.

ვარსკვლავი რომ დაინახეს, მათ მეტისმეტი სიხარულით გა-იხარეს.

როცა სახლში შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას; გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მუ-რი“. (მათე, 2, 9, 10, 11).

რეკდნენ ზარები ბეთლემის ბაზილიკაში და უამრავი ჯვარი განათებულიყო ღამის ცაზე საგანგებოდ გამოკვეთილი ილუ-მინაციით.

„ქრისტე იშვა ბეთლემსაო!“

იმ ადგილას, რომელზეც დადგა ვარსკვლავი, ქრისტეს შობის მაუნყებელი, მუხლი უნდა მოიყარო, ემთხვიო — ღმერთო შეგ-ვენე და დაგვიფარე!

იქვე, მარჯვნივ ბაგაა, რომელზეც იზრდებოდა ღვთის შვილი.

კვლავ მუხლის მოდრეკა.

ძონისფერ ფონზე ოქროსფრად ამოქარგულ ჩუქურთმებიან საზეიმო ფარდებს გადასწევ და კლდეში ნაკვეთი გამოქვაბუ-ლის დიდებულ უბრალოებას ემთხვევა — ეს კედლები მომსწ-რეა ორი ათასი წლის წინანდელი სასწაულის.

ხვალ აქ მოვლენ პრეზიდენტები და, ამღამინდელი სიმშვიდის ნაცვლად, გარეთ მყოფი ჟურნალისტები ავტომატების არაერ-თგზის გასროლას მშვიდად მოვისმენთ და აღვიქვამთ, როგორც ძალიან ნაცნობსა და „მშობლიურს“ ჩვენი ახლო წარსულიდან.

წარსულიდან!

ბეთლემში ქრისტეშობის დღესაც ისროდნენ.

## 2. „სღმქ მტკიცედ და შეუდრეკლად!“

ბეთლემში ქრისტეშობის დილას ისროდნენ... (პრეზიდენტები ამ დროს ბაზილიკაში ლოცულობდნენ). იმ დღეს და იქ და არა მარტო ბეთლემში...

სიავის ცდუნება ცდუნების წუთისოფელში: „ვამ წუთისოფელს ცდუნებებისაგან, ვინაიდან ცდუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვამ იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება“. (მათე, 18,7).

რადგან „ყველა, მახვილის ამღები, მახვილითვე დაილუპება“. (მათე, 26,52).

მაცხოვრის ეს წინასწარმეტყველება მრავალგზის დადასტურებულია.

ამიტომ არის მშვიდობის მოციქული, მშვიდობის მყოფი განსაკუთრებით აღიარებული და პატივდებული ყველა ქვეყანაში. ამიტომ ეგებებიან აქ, იერუსალიმში, სინმინდეთა მოსახლეობადად მოსული მლოცველები ტაშითა და გულწრფელი პატივისცემით ედუარდ შევარდნაძეს — მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ომის — „ცივი ომის“ ზღვარის დამდებს.

— იტალია!

— კანადა!

— რუმინეთი!

სხვადასხვა ჯგუფიდან ისმოდა ქვეყნების დასახელება — პრეზიდენტს მიანიშნებდნენ, რომელი ქვეყნიდან ჩამოსულები მიესალმებოდნენ. დასახსომებლად.

თითქოს უჩვეულო ჩანდა ეს მიწიერი რეაქცია იმ სულიერ ამალღებულობასთან, რომელიც სუფევდა იერუსალიმში, მაგრამ (ამ შემთხვევაში მაინც) ეს უჩვეულობა ჩვენი ლიდერის ნამოღვაწარს სრულად ესადაგებოდა, ისევე, როგორც ყველა დანარჩენის, ანუ თითოეული ჩვენგანის დაკმაყოფილებულ ამბიცინას.

მაგრამ გადავდოთ პირადი შთაბეჭდილებები და თავად პრეზიდენტს მოვუსმინოთ, მით უფრო, რომ ედუარდ შევარდნაძე უკვე გამოვიდა ჟურნალისტებთან სასაუბროდ მათ სალონში „საჰაერო ბრიფინგის“ გასამართად.

**„საქართველოს რესპუბლიკა“:**

— ბატონო ედუარდ, სახელმწიფოს მეთაური თავის ლოცვაშიც მარტოდ დარჩენილი, უთუოდ, სამშობლოს შეავედრებს

**ღმერთს. რა შესთხოვეთ მაცხოვარს?**

— რა თქმა უნდა, საქართველოს ბედნიერება, გამთლიანება და მისი აყვავება...

**ამის თაობაზე სიტყვა არ გაუგრძელებია, ტევადი იყო ეს მართლაც ლოცვასავით ლაკონური წინადადება. და, სანამ ჩვენ ვრცელი პასუხის მოლოდინში ყურადღებად ვიყავით ქცეული, თავადვე დასვა შეკითხვა (მისეული მეთოდი მოგებული დებიუტის):**

— შეიძლება მკითხოთ, რა შეგრძნება მაქვს ახლა. ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ორი დღე იყო იერუსალიმის ეს დღეები. ისეთი განცდა მაქვს, აღმართს რომ შეუდგები დიდი ტვირთით, დაიღლები და საშუალება მოგეცემა, მოიცილო ეს სიმძიმე, ამოისუნთქო. არ ვიცი, რამდენად ემთხვევა ეს თქვენს განცდებს, მე კი სწორედ ამას ვგრძნობ.

**— ესე იგი, თქვენი გოლგოთა აიარეთ...**

— მე მგონი... (დაფიქრდა). მე მგონი, — კი. ჩვენ მართლაც ისტორიული დღეების მომსწრენი ვართ, და თქვენც ბედნიერი ხართ და მეც ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, ყველა ქართველის ოცნება იყო, აქ ყოფილიყო, სამწუხაროდ, ბევრმა ვერ შეძლო, მაგრამ მაინც საკმარისად ვიყავით წარმოდგენილი.

ძალიან საინტერესო იყო ქართველ ებრაელობასთან კონტაქტი, საერთოდ, ყველასთან, მათ შორის, არაბებთან, უწინარეს ყოვლისა, არაფაატთან.

**საქართველოს ტელერადიოკორპორაცია:**

**— ებრაელ ქართველებთან შეხვედრაზე თქვენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და განვითარება საქართველოს სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებას შეადარეთ. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას 50 წელი დასჭირდა, რამდენი დასჭირდება საქართველოს?**

— არა, მე ამიტომ არ შემიდარებია. შევადარე იმ კუთხით, რომ სიძნელებმა არ უნდა შეგვაშინოს. ებრაელობამ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო მაშინ, როცა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო ამ მიზნის მიღწევა. მაშინ არც ამერიკელები უჭერდნენ მათ მხარს, უფრო სტალინი ეხმარებოდა. შედარებით. მაგრამ ეს მხარდაჭერა უფრო პოლიტიკური და მორალური იყო. არა მატერიალური. ამიტომ ის, რაც მოიმოქმედეს ებრაელებმა თავიანთი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად,

ნამდვილი გმრობაა. რამდენი ათეული წელიწადი დასჭირდათ მათ ამ მძიმე და ეკლიანი გზის გასავლელად და ისეთი სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც თქვენ ნახეთ — ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული, ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს შესაქმნელად, საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონით, დიდი გადახდისუნარიანობით და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა, ამ გზას ჩვენ უფრო მოკლე დროში გავივლით. ისრაელის მაგალითი იმიტომ დავასახელებ, რომ არ უნდა დავყაროთ ფარ-ხმალი, არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ხშირად მითქვამს, ძვირად ღირებული სიამოვნებაა, რაც გასაღებია, უნდა გავილოთ!

ცოტალა დავგვრჩა და გავივლით.

— საქართველოში თქვენი არყოფნის დროს პრესაში გამოქვეყნდა ინტელიგენციის ერთი ჯგუფის (თხუთმეტი კაცი ანერს ხელს) თქვენდამი მიმართვა, თხოვნით, რაც შეიძლება სწრაფად წამოაყენოთ, უკვე ოფიციალურად, თქვენი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში. რამ განაპირობა ასეთი თხოვნა და როდის გააკეთებთ ოფიციალურ განცხადებას?

— საერთოდ, ინტელიგენცია საზოგადოების ყველაზე უფრო მგრძნობიარე ნაწილია. მე ჯერ არ ვიცი, ვინ მოაწერა ხელი, ვინ დამიჭირა მხარი, მაგრამ, ვინც უნდა იყოს, მე ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი და ვანიჭებ ინტელიგენციის აზრს და მის დამოკიდებულებას. ჩავალთ თბილისში, გავერკვევი და მერე მივიღებ გადაწყვეტილებას.

(რამდენიმე დღეში გაირკვევა, რომ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ედუარდ შევარდნაძემ სწორედ იერუსალიმში ყოფნის დროს მიიღო: „ჯერ კიდევ იერუსალიმში ყოფნისას... მივიღე საბოლოო გადაწყვეტილება და დღეს ვაცხადებ თანხმობას, კენჭი ვიყარო საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე“, — იტყვის იგი 10 იანვარს ნატო ონიანთან ტრადიციულ რადიოინტერვიუში.)

რატომ არ გვითხრა ჩვენ? იმიტომ, რომ ასეთ მნიშვნელოვან განცხადებას ის კამერული სიტუაცია, რომელიც თვითმფრინავის სალონში იყო, არა და არ ესადაგებოდა. საჭირო იყო დიდი აუდიტორია, მაგალითად, ისეთი, როგორიც რადიოს გააჩნია და რომელიც მეორე დღეს პრესით იქნებოდა ტირაჟირებული).

— ალბათ, შემთხვევითი არ არის, — **განაგრძო საქართველოს პრეზიდენტმა**, — რომ არსებობს კანონზომიერება: ჩემი ჩასვლა იერუსალიმში და ინტელიგენციის ხმა საქართველოში არც შემთხვევითია და არც უბრალოა ასეთი დამთხვევა.

(**მით უფრო, რომ წინასწარ დაგეგმილი მსგავსი არაფერი ყოფილა, — დავამატებდი**).

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რეპლიკა:**

— **ბატონო ედუარდ, თქვენ ქართველმა ებრაელობამაც მოგმართა თხოვნით, კენჭი იყაროთ პრეზიდენტობაზე...**

— ახლა ხომ არის ხმა ღთისა ხმა ერისა?

(**მკითხველებს შევახსენებ, რომ აშქელონში, საქართველოდან ამოსული ებრაელობის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს შაფთაი ცურმა, მერის მოადგილემ, სიტყვა-სიტყვით ასე განაცხადა: „თქვენს შინაურ საქმეებში ჩარევად არ ჩაგვეთვლება, თუ განვაცხადებთ დღეს და აქ, რომ ჩვენ, ყველანი, თქვენი ამომრჩევლები ვართ“**).

— ვნახოთ, ჯერ ჩავიდეთ თბილისში, — თქვა 7 იანვარს ედუარდ შევარდნაძემ.

**პრეზიდენტებთან შეხვედრებს შორის რომელს მიიჩნევს უმთავრესად? ამ შეკითხვას ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო, რომ კოლეგებს იგი ხშირად ხვდება და ესაუბრება.**

— მაგრამ იასირ არაფატს არ შევხვედრივარ მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან წამოვედი. უნდა გითხრათ, რომ საინტერესო შეხვედრა იყო. მომეჩვენა, რომ ეს არაფატი ის არ არის. მაშინ უფრო აგრესიულად განწყობილი არაფატი იყო, ახლა მშვიდობა სურს. მართალია, სადავო ბევრია, მაგრამ მაინც წინნაწეული პროცესია.

სხვათა შორის არაფატმა ორდენით დამაჯილდოვა.

**აი, ამ, უკვე სხვა ტონალობით გაცემული, პასუხის შემდეგ პრესკონფერენციამ უფრო „შინაურული“ ხასიათი მიიღო, ამიტომ დაინტერესდნენ ჟურნალისტები:**

— **რა ორდენია?**

— კარგი ორდენია. დამაჯილდოვა კი იმ დამსახურებისთვის, რომელიც ადრე გამინევია პალესტინელებსა და ებრაელებს შორის დიალოგის გამართვაში.

— **ელცინთან თუ გქონდათ საუბარი?**

— ელცინი ახლა ისეთ ფორმაში არ არის, რომ საქმიანი საუბრები გამართოს. ისე კი, რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, ერთადაც ვისხედით...

**ბოლოს, „კვირის პალიტრის“ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს საქართველოს პრეზიდენტმა დააკონკრეტა, რომ იგი სამშობლოში დიდტვირთმოცილებული ბრუნდება:**

— ეს არ არის ერთი და ორი წლის ტვირთი. ათეული წლების ტვირთია და არა მარტო ჩემი.

— როგორ გესახებათ საქართველოს ხვალინდელი დღე?

— ჟამი არს ქვეების შეგროვებისა, — უპასუხებს საქართველოს პრეზიდენტი.

ამ ჟამს ქვათა შეგროვებისა დიდი ძალისხმევა სჭირდება, მით უფრო, რომ შენი ქვეყნის მეზობლად ომია. ამიტომ ყლერს ძალიან თანამედროვედ შეგონება, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე იყო მიწერილი:

„სდექ მტკიცედ და შეუდრეკლად!“

2000 წლის 12 იანვარი

# ვიზიტი, როგორც კალიან საქირო იყო ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი საქმისთვის და ჩვენი სამშობლოს მომავლისთვის

ლონდონი. ჰიტროუს აეროპორტი.

19 ივლისია, სალამოს 18 საათი და 20 წუთი. დელეგაციის წევრები და ჟურნალისტები თვითმფრინავში სხედან. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე „ილ-62“-ის ე.წ. ჟურნალისტთა სალონში შემოდის.

ჟურნალისტები ფეხზე დგებიან.

ფოტო და ვიდეოკამერები გამზადებულია, დიქტოფონები — ჩართული.

ამ, ცოტა „მაღალი შტილით“ (მომენტი და გარემო ბატონობს) ბრიტანულ ტრადიციებს ხარკი მოვუხადოთ და გთხოვთ ყურადღებას, რადგან ტრადიციული ბრიფინგი თვითმფრინავში მაინცდამაინც „საქართველოს რესპუბლიკის“ ორი შეკითხვით იწყება:

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში აქცენტირებულად საქმიანი იყო, თუმცა არც ზემოთაა აკლდა. სწორია ასეთი შეფასება?

და, მეორეც, — კონკრეტული საკითხი: ერთმა გაზეთმა საქართველოში ხმა გაავრცელა, თითქოს ნავთობმომპოვებელმა კომპანიამ „ფრონტიერა რისორსიზმა“, — რომელსაც ტარიბანის ნავთობსარეწზე აქვს მუშაობა გაშლილი, უსახსრობის გამო და იმის გამო, რომ ნავთობი შირაქში არ არის, შეწყვიტა საქმიანობა. თქვენ ლონდონში ესაუბრეთ ამ კომპანიის პრეზიდენტს — სტივ ნიკანდროსს. რამდენად ესადაგება პრესის „ინფორმაცია“ იმ სინამდვილეს, რომელიც აქ დაგხვდათ?

— ვიზიტი მართლაც უფრო მეტად საქმიანი იყო, ვიდრე საზეიმო. ამ ბოლო დროს ახალი პრემიერის მოღვაწეობისთვის დამახასიათებელი სტილია საქმიანი მხარის წინა პლანზე წამოწევა. მე ამას მხოლოდ მივესალმები.

რა თქმა უნდა, იყო ასეთი ვიზიტებისთვის დამახასიათებელი ზეიმურობაც.

იყო თუ არა საჭირო ეს ვიზიტი? ყოველთვის ამას კითხულობენ ხოლმე დაინტერესებული ადამიანები.

ვიზიტი აუცილებელი იყო.

ბოლოს ინგლისს 5 წლის წინათ ვესტუმრე.

პრემიერმინისტრს დღეს საუბარში კიდევ ვუთხარი, რომ ეს არის თავფურცლით, სუფთა ფურცლით დაწყებული ჩვენი ურთიერთობა.

იმ ვიზიტის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, ბევრი რამ შეიცვალა ევროპაში, ისევე, როგორც მსოფლიოში. საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის კავშირები მრავალმხრივი ხასიათისა გახდა და, ამავე დროს, ძალიან საინტერესო: უწინარეს ყოვლისა, ეს არის საკმაოდ დიდი მოცულობის ინვესტიციები. თუ არ ვცდები, სულ რამდენიმე წელიწადში 90-მილიონიანი ინვესტირება განახორციელეს ბაქოსუფსის ნავთობსადენის მშენებლობაში ინგლისური კომპანიების მონაწილეობის ჩათვლელად. აქ, დაახლოებით, 600-700 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

ვიზიტის დროს ძალიან საინტერესო პერსპექტივა გამოიკვეთა ბევრი, ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით.

ახლა მეორე შეკითხვის შესახებ.

სამხრეთ კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან დიდი ბრიტანეთის თითქმის ყველა ძირითადი ნავთობკომპანია არის დაკავშირებული.

ამითაც აიხსნება ის, რომ ვიზიტის დროს უფრო მეტად საქმიანი შეხვედრები გვექონდა, ვიდრე პომპეზური მიღებები.

კმაყოფილი ვარ, რომ შევხვდი მსოფლიოში უდიდეს ნავთობკომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის“ ხელმძღვანელობას, ამერიკული და სხვა ქვეყნების კომპანიების ხელმძღვანელებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნავთობსადენებით, გაზსადენებით და, ამასთანავე, საქართველოს ნავთობის პერსპექტივით.

კონკრეტულად „ფრონტიერას“ პრეზიდენტთან შეხვედრის თაობაზე („ფრონტიერა რისორსზის კომპორეიშნი“ ამერიკული ნავთობკომპანიაა. მისი პრეზიდენტი სტივ ნიკანდროსი საგანგებოდ ჩამოვიდა აშშ-დან, ჰიუსტონიდან, სადაც კომპანიის სა-

თავო ოფისია, ლონდონში საქართველოს პრეზიდენტთან შესახვედრად. — ა.ს.) ბატონ სტივ ნიკანდროსს შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა: იგი რეკლამას უკეთებს იმას, რასაც საქართველოში მიაღწია (გთხოვთ, ამას ყურადღება მიაქციოთ — რეკლამის გაკეთებას. რას ნიშნავს ეს, პრეზიდენტი ახლავე ახსნის. — ა.ს.). მან ჩამოიტანა ძალიან საინტერესო სქემები, განგარიშებანი და დასკვნები, რომლებიც მეტყველებს, რომ ტარიბანის ველის და საერთოდ, შირაქის ნიაღში არის დიდი ნავთობი. მას ამაში ეჭვი არ ეპარება და ახლა ფიქრობს, თუ როგორ გაიტანოს, როგორ გადაამუშაოს და სად გაყიდოს საქართველოში მოპოვებული ნავთობი.

სწორედ ამისთვის გთხოვთ ყურადღების მიქცევა.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა „ფრონტიერას“ პრეზიდენტს სჭირდებოდა, როგორც უძლიერესი ზემოქმედების რეკლამა, რომელიც მის კომპანიას დაეხმარება მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ნავთობისთვის საკუთარი სეგმენტის მოპოვებაში: არის საქონელი (არის!) და საჭიროა მისი გაყიდვა. განათლებული და პატიოსანი მკითხველი თავადვე მიხვდება იმას, რაც ახლა ვთქვი. ჩემი „შუამავლობა“ იმათკენაა მიმართული, რომ ვისაც, რაღაც მიზეზების გამო არ სურს, დაიჯეროს სიკეთე, ამ შემთხვევაში, — სიმდიდრე ქართული ნიაღის. არიან (სამწუხაროდ) ასეთი პოლიტიკური ვამპირები, რომლებიც თავს კარგად მხოლოდ მაშინ გრძნობენ, როდესაც „ქვეყანაში ფერებია მუქი“.

პრეზიდენტი შევარდნაძე ამასობაში განაგრძობს:

— ჩვენ მისხალ-მისხალ გავარჩიეთ ნიკანდროსის ჩამოტანილი მასალები, რომლებიც უეჭველად ამტკიცებს საქართველოში დიდი ნავთობის არსებობას.

სხვა შეხვედრებიდან, უნინარეს ყოვლისა, გამოვყოფ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრთან შეხვედრას. ტონი ბლერი ახალგაზრდა კაცია, ძალიან გონებაგახსნილი, საღად მოაზროვნე, გაბედული პიროვნება. მიმაჩნია, რომ თანამედროვე მოქმედ პოლიტიკოსებს შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და, როგორც ვთქვი, გაბედული მოღვაწეა, თანაც — არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც, სადაც იგი ძალიან დიდ რეფორმებს განახორციელებს. რეფორმების განხორციელება კი ინგლისში, ქვეყნის მყარად ტრადიციული მენ-

ტალიტეტიდან გამომდინარე, ძალიან ძნელია.

დაუნ სთრიტზე, რომლის მეათე ნომერში პრემიერმინისტრის რეზიდენცია და ოფისია მოთავსებული ჯერ კიდევ 1735 წლიდან (მაშინ პირველი ლორდ-ხაზინადრის სამუშაო ადგილი ყოფილა), აი, ამ „ეზოყურეს“ რომ გვათვალისწინებდნენ, მე-12 სახლში (გვერდითვე) ფინანსთა მინისტრის ოფისი და რეზიდენცია დაგვანახეს და გვითხრეს (მივადექი სათქმელს), რომ მისი მკვიდრი, გოდენ ბრაუნი, დღეს ძალიან კარგ ხასიათზეა, რადგან გუშინ პარლამენტში გამოსვლის დროს მან განაცხადა ბოლო 25 წლის განმავლობაში გაუგონარი რამ: იმ რეფორმების შედეგად, რომლებიც ბლერის მთავრობამ განახორციელა, სახელმწიფოს შესაძლებლობა გაუჩნდა, დამატებით და სერიოზულად დააფინანსოს განათლება, მედიცინა და დამნაშავეობასთან ბრძოლა (დამნაშავეობასთან ბრძოლაო! ხაზს ვუსვამ ამ მომენტს, რომელსაც თქვენ უჩემოდაც მიაქცევდით ყურადღებას). აი, ამ გაბედულ და შედეგიან რეფორმებს გულისხმობდა პრეზიდენტი შევარდნაძე.

დამნაშავეობა, კორუფცია ჩვენი საზოგადოებრიობის უმწვავესი პრობლემებიც არის, მოგეხსენებათ.

მაგრამ ჩვენ დამატებით აფხაზეთის პრობლემაც გვანუხებს. ბუნებრივია, ჟურნალისტები ამითაც დაინტერესდნენ (გოდერძი შარაშია, ტელევიზიის პირველი არხი):

— შეეხეთ თუ არა საუბრის დროს აფხაზეთის თემას?

— რა თქმა უნდა, შევეხეთ. უნდა გითხრათ, რომ, საერთოდ, ყველა ძირითად საკითხში პრემიერმინისტრისგან სრული მხარდაჭერა მივიღე, მათ შორის, აფხაზეთის საკითხშიც.

მოგეხსენებათ, რომ დამთავრდა აფხაზეთის სტატუსის თაობაზე ძირითადი პრინციპების ფორმულირება და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ერთად, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ერთხელ სცადა, დაეყენებინა საკითხი ვალების გაუქმების შესახებ. პრემიერმინისტრმა მას მხარი დაუჭირა, ამიტომ ვუთხარი დღეს ტონი ბლერს: თუ მსოფლიომ მოახერხა „ცივი ომისგან“ გათავისუფლება, თავი დააღწია ბირთვული იარაღით, ბირთვული ომით შანტაჟს, დღევანდელი პოლიტიკოსები ვალდებული არიან, იფიქრონ, რომ ქვეყნები ვალებისგან გაათავისუფლონ. სულ ერთია, მა-

ინც ვერ გადაიხდიან, მხოლოდ ქალაქებზე ემატება ვალი ვალს და ასეთი ქვეყნების ბედი სულ უფრო მძიმდება. ეს საუბარი შემდეგ სხვებთანაც გაგრძელდება.

და აქ კიდევ ერთი გადახვევა დაგვჭირდება.

შარშან გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიაზე გამოსვლის დროს, რომელსაც მსოფლიო ლიდერები ესწრებოდნენ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ წამოიწია პრობლემა ოცდამეერთე საუკუნეში მდიდარი და ღარიბი ქვეყნების არსებობის შეუთავსებლობის შესახებ და ამ დიდი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ შემადგენელ თემად ვალების გაუქმების (პატიების, როგორც ჰუმანური შესტისა, რომელიც პრაგმატულ ლოგიკასა და გათვლებს ეფუძნება) საკითხიც დააყენა.

ამ თემამ იმავე საიუბილეო სესიაზე პრეზიდენტ კლინტონის სიტყვაშიც შევარდნაძის იდეის მხარდამჭერად გაიჟღერა.

ედუარდ შევარდნაძე თანმიმდევრულია!

— ამასთან ერთად, მე მას ვთხოვე, — განაგრძობს პრეზიდენტი, — მხარი დაუჭიროს იდეას, რომელიც თავის დროზე მრავალი ინიციატივის, მათ შორის, ჩვენი ინიციატივის ბაზაზე სულეიმან დემირელმა წამოაყენა. მხედველობაში მაქვს კავკასიური სტაბილურობის პაქტი. იგი ძალიან დაინტერესდა ამ პაქტის დეტალებით და შემპირდა, რომ გააგრძელებს საკითხის შესწავლას და ყოველმხრივ შეეცდება, მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მშვიდობასა და სტაბილურობას.

ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის ინიციატივას, შეიქმნას სპეციალური ფორენდი, რათა საქართველოში მყოფ რუსეთის ჯარებს გაუადვილდეს გასვლა ჩვენი ქვეყნიდან. სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება გაიღონ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად.

— სპეციალური ფონდის შექმნა ძალიან კარგი იდეაა, ამიტომ მე მას მხარი დაუჭირე და შევეცადე კიდევ, ცოტა სტიმული მიმეცა.

დაუნ სთრიტის №10-ში ჟურნალისტებს არ უშვებენ — წესად არ აქვთ. ფოტო — კი, ბატონო, ტელეკამერა — მოზრდანი, უკიდურეს შემთხვევაში, ორგანიზატორიც შეიძლება შე-

ვიდეს, მაგრამ „მწერალი ჟურნალისტები“ გარეთაც კარგად მოიცდიან.

ვიცდით.

მაგრამ უსაქმოდ არ ვართ, რადგან ინფორმაცია ამ მოშავომონაცრისფრო შენობიდანაც მოჟონავს. არ მკითხოთ, რა გზებითა და არხებით.

ამ ინფორმაციის სახელდახელო ანალიზი კი აი რაზე მეტყველებს: ბლერის წინამორბედი მეიჯერი და მისი მინისტრები საქართველოს პრეზიდენტის კარგი მეგობრები იყვნენ. როგორც ჩანს, მათ შექმნეს ის ფონი, რომელმაც ხელი შეუწყო ამჟამინდელ პრემიერს, განეხორციელებინა გარღვევა საქართველოსკენ.

საქართველო თავისი მდიდარი პოტენციალით მსოფლიოს სჭირდება. ეს არ არის ლიტონი წინადადება. ამას ადასტურებს მილიონიანი ინვესტიციები, საქართველოში ჩადებული. ეს თქვენ იცით.

საქართველო ედუარდ შევარდნაძის გამო სჭირდებათ და არც ეს არის ლიტონი სიტყვები, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ გამოჟონილმა ინფორმაციამ, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ პრეზიდენტ შევარდნაძესთან საუბრისას დიდი ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა:

— ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან თქვენი თაყვანისმცემელი ვიყავი და მინდა დღეს, როცა ამის შესაძლებლობა მომეცა, რაღაც კარგი გავაკეთო თქვენთვის და თქვენი ქვეყნისთვის.

ასეთი ემოციური გულახდილობა ბრიტანელებისთვის დამახასიათებელი არ არის.

მაგრამ, როგორც ხედავთ, ხდება და გამონათებასავით არის.

— სხვა რა გითხრათ, — ამბობს პრეზიდენტი შევარდნაძე, — შევხვდი სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელებს: დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანს — რობინ კუქს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს — სერ ჩარლზ გარის. ძალიან საინტერესოდ ვითარდება ჩვენი ურთიერთობა ამ სფეროში, გვეხმარებიან და, როგორც თვითონ თქვეს, კვლავაც დაგვეხმარებიან. გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი აგვისტოს დასაწყისში ჩამოვა თბილისში და ვფიქრობ, — ხელცარიელი არა.

დაგვპირდნენ ბევრ რამეს. ბრიტანელები, ტრადიციისამებრ, სიტყვას არ ტყვენ.

კიდევ ერთი საკითხის შესახებ ვესაუბრე ტონი ბლერს, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ საქართველოში გვალვების გამო ლამის ეკოლოგიური კატასტროფა ყალიბდება, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ვუთხარი, რომ ამასთან დაკავშირებით მე მივმართავ ევროკავშირს. ინგლისის პრემიერმინისტრი შემპირდა, რომ იგი აქტიურად დაუჭერს მხარს ჩემს მიმართვას, თვითონაც გამოძებნის რესურსებს და ევროკავშირი სათესლე მასალითა და მარცვლეულის საჭირო რაოდენობით დაეხმარება საქართველოს.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, მოიწვია თუ არა პრეზიდენტმა ტონი ბლერი საქართველოში (1988 წლის შემდეგ, როდესაც მარგარეტ ტეტჩერი თბილისს ერთი დღით ესტუმრა, არც მანამდე, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი საქართველოში არ ჩამოსულა), ბუნებრივი იყო ამიტომ კოლეგების ინტერესი.

— პრემიერმინისტრი დავპატიჟე. შემპირდა, მაგრამ ვადა ვერ განსაზღვრა, თუმცა, — ხუმრობს ედუარდ შევარდნაძე, — თავისი მეოთხე ვაჟის დაბადების თარიღი ზუსტად თქვა.

საქართველოში ვიზიტის თარიღის დასაზუსტებლად ცოტად რო იქნება საჭირო.

— ის კი ვუთხარი, — კვლავ ხუმრობა გაურია პრეზიდენტმა, — რომ საქართველო იაპონიის გზაზე თითქმის შუაში არის, შემოგვევლოთ-მეთქი, მაგრამ ახლა ამ ფაქტორის რეალიზება ვერ მოხერხდება.

და, როგორც ეგზოტიკური ფაქტი, დაამატა (თუ დაასრულა):

— ქალბატონ დედოფალს ვეახლე, მეორედ მოვინახულე. შესანიშნავად გამოიყურება. აგვისტოში დედამისის ასი წლის იუბილეს იხდიან ლონდონში. დიდი სამზადისია. ისიც ძალიან კარგად გამოიყურება.

ბუნებრივად სიტყვა ჩამოვარდა ედუარდ შევარდნაძის წმინდა მიხეილის ორდენით დაჯილდოებაზე. შევარდნაძე დაგვპირდა, გაჩვენებთო ორდენს. გამოიტანეს ჟურნალისტების სალონში. გვაჩვენეს.

დიდებულია, უნდა მოგახსენოთ.

**\* \* \***

ერთი სიტყვით, საქართველო-დიდი ბრიტანეთის ურთიერთობაში გამოიკვეთა ახალი კონტურები, საქმიანი თანამშრომლობა ახალ სტადიაში შევიდა, რაც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ქვეყნის ლიდერები პირად კავშირს დაამყარებენ.

პირად შეხვედრებს სათავე დაედო.

ვიზიტის კვინტესენცია ედუარდ შევარდნაძემ ასე ჩამოაყალიბა: ვიზიტი ძალიან საჭირო იყო ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი საქმისთვის, ჩვენი სამშობლოს მომავლისთვის.

**2000 წლის 21 ივლისი**

# ედუარდ შევარდნაძე: ერთი აღაგიანის საზრუნავი კაცობრიობის საზრუნავი ხდება

## 1. პრეზიდენტი აწასებს

ამ დროს თბილისში თენდება, 9 სექტემბრის დილის 5 საათია. თქვენ იტყვით, რომ ატლანტიკის თავზე თბილისის დროით ლაპარაკი, გეოგრაფიული ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ცოტა უხერხულია.

რა მოგახსენოთ?!

ნიუ-იორკის დროით, სალამოს 9 საათია, 8 სექტემბრის. ევროპაში ეს-ესაა შუალამეს გადასცდა და ხვალე დაიწყო.

საათების სარტყელთა ამ მრავალგანზომილებიან სივრცეში რომ არ დავიკარგოთ, თბილისის დროზე შევჩერდეთ, რადგან სწორედ საქართველოს აქცენტით ლაპარაკობს XXI საუკუნის მსოფლიოს პრობლემებზე ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის ამჯერადაც თვითმფრინავის პრეზიდენტის სალონში გაიმართა:

— გაამართლა თუ არა გაეროს სამიტმა თავისი მაღალი სახელწოდება „ათასწლეულის სამიტისა“?

— არ შეიძლება ითქვას, რომ არ გაამართლა. ეს მართლაც იყო გარკვეული შეჯამება ყველაფერი იმისა, რაც ამ საუკუნეში, ამ ათასწლეულში გაკეთდა — კაცობრიობამ გაიარა ეს გზა.

მაგრამ მე იმასაც ვერ ვიტყვი, რომ იგი იდეალურ დონეზე იყო მომზადებული — არა ორგანიზაციულად — ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მე ისე წარმომედგინა, რომ ათასწლეულის სამიტი უფრო უკეთ მომზადებას მოითხოვდა. სახელმწიფოთა უფრო მეტ მონაწილეობას.

მაგალითად, რატომ არ უნდა ჰქონოდა საქართველოს საშუალება, ორი-სამი წლის განმავლობაში ეფიქრა და ემუშავა ამ საკითხზე? იმიტომ კი არა, რომ ჩვენ განსაკუთრებული ინტელექტის ხალხი ვართ, — ყველა სახელმწიფოს აზრი საინტერესო იყო, განვითარებულის თუ განვითარებადის. ძირითადად,

წარმოდგენილი იყო ექსპერტების მიერ შემუშავებული დოკუმენტები. თუცა, ესეც საინტერესო იყო...

ძირითად დოკუმენტში — გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მოხსენებაში — ბევრი ძალიან საინტერესო აზრია ჩამოყალიბებული. იგი მიუთითებს, რომ მსოფლიო მართლაც ახალია, კაცობრიობამ მიაღწია პრინციპულად ახალ დონეს. მთავარი დასკვნა, რომელიც კაცობრიობამ გამოიტანა და ამ სამიტზეც გამოიკვეთა, შემდეგია: მდიდრები მუდამ მდიდრები ვერ იქნებიან, თუ მათ გვერდით მილიარდობით ადამიანი იშიშვლებს. იმ ციფრებმა, რომლებიც სამიტზე დაასახელეს, რომლებიც სამიტის დოკუმენტებშია მითითებული (განსაკუთრებით, აფრიკის კონტინენტზე, განვითარებად ქვეყნებში), არ შეიძლება არ შეგზაროს.

**ეს თემა, ეს ტკივილი, უფრო ზუსტად, ეს გლობალური პრობლემა, ედუარდ შევარდნაძეს ათასწლეულის სამიტიდან არ გამოჰყოლია. აქაური „ემოციური ღელვის“ შედეგად არ გაჩენილა.**

ეს მისი თემაა და მისი ტკივილი - წარსულ დროშიც და ამ ეპოქაშიც: შევარდნაძის გამოსვლებს თუნდაც გაეროში (თუნდაც ეუთოსა და სხვა სამიტებზე და სხვაგან და სხვაგან) წითელ ზოლად გასდევს დაუმშვეველი მსოფლიოსკენ მისწრაფების აუცილებლობის თემა.

სოციალურად სამართლიანი საზოგადოების აშენება საქართველოს პრეზიდენტის პროგრამის მთავარ ქვაკუთხედთაგანია.

მიაქციეთ ყურადღება — არა ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში, არამედ საერთო სამართლიანობის კონტექსტში (სოციალურ სამართლიანობაზე ვამბობ), რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში უტოპიაა. ის, რომ ეს პრობლემა კვლავ წამოიჭრა (და მკვეთრადაც აჟღერდა) სამიტის პლენარულ სხდომებზე (და არა მარტო აქ) ბევრად იყო განპირობებული საკითხის ისტორიით და, რა თქმა უნდა, მსოფლიო რეალობით. თანაც, არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ ფორმაში.

**დავუგდოთ ყური პრეზიდენტს:**

— გადასაჭრელ საკითხად განისაზღვრა ვალების საკითხი და მეც ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ ვალების ბორკილებისაგან უნდა გავათავისუფლოთ ღარიბი, ლატაკი და განვითარებადი

ქვეყნები. ეს უნდა მოხდეს ან ამ საუკუნის დამთავრებამდე, ან მომავალი საუკუნის დასაწყისში. უფრო შორს გადაწევა აღარ შეიძლება, რადგან კატასტროფული იქნება ასეთი გაჭიანურება მოვალე ქვეყნებისთვის.

ეს აზრი, სხვათა შორის, ბევრმა გაიმეორა.

ათასწლეულის სამიტიზე — მოხსენებაშიც და გამოსვლებშიც — აშკარად იგრძნობოდა, რომ ბოლოს და ბოლოს კაცობრიობამ გაიგო არსებული ვითარების სოციალური სიმწვავე.

კაცობრიობამ გაიგო, რომ დაუშვებელია განათლება, მეცნიერება უმაღლეს დონეზე იყოს ცალკეულ ქვეყნებში. და, ამავდროს, იყოს მილიარდობით წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი.

ხვალ და ზეგ ასეთ კონტრასტს მსოფლიო ველარ მოითმენს.

**მომდევნო შეკითხვა (ჩართული შეკითხვა „ალიასი“) გაეროს რეორგანიზაციას შეეხო.**

**ედუარდ შევარდნაძეს ასეთი რეორგანიზაცია პრინციპულად აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ გაეროს უზარმაზარი, ტრადიციული ბიუროკრატიული ინერცია ყოველგვარ სიახლეს ძნელად მიიღებს.**

— მე უკვე ვთქვი, — უპასუხა პრეზიდენტმა ამ კითხვას, — სამიტმა წააგო იმით, რომ არ გაიმართა წინასწარი კონსულტაციები სახელმწიფოთა მეთაურებთან.

მე, მაგალითად, სულ სხვა კუთხით დავაყენებდი ამ საკითხს. 1992 წლიდან დაწყებული (და უფრო ადრეც) ყველა ჩემს გამოსვლაში ხაზს ვუსვამდი გაეროს რეფორმირების აუცილებლობას, უშიშროების საბჭოს გაფართოებას, ვეტოს უფლების შეზღუდვის საკითხებს.

რას ნიშნავს ვეტოს უფლება, განვიხილოთ ერთ კონკრეტულ მაგალითზე: ცოტა ხნის წინათ შემუშავდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მოდელი, განიხილეს უშიშროების საბჭოზე და რუსეთმა მისი მიღებისგან თავი შეიკავა. რატომ უნდა შეეკავებინა თავი?

ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და იმიტომ. მიმაჩნია, რომ ვეტოს უფლება უნდა შეიზღუდოს. არ შეიძლება ისეთი სამოქმედო რეჟიმის შენარჩუნება, როდესაც ერთ სახელმწიფოს არ სურს, კაცობრიობამ კი შეიძლება ამის გამო ბევრი რამ დაკარგოს. ლაპარაკი უნდა იყოს ახალ უშიშროების საბჭოზე.

ჩემი გამოსვლის დასასრულს გენერალური მდივნის სიტყვები მოვიშველიე: უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი სახანძრო მანქანა, რათა მსოფლიოს ყველა კუთხეში კონფლიქტების ხანძარი ჩანასახშივე ჩააქროს. მე მართლა ბედნიერი ვარ იმით, რომ სამიტზე გაიჟღერა, დოკუმენტებშიც აისახა პოზიცია, რომლითაც სახელმწიფოთა შიგნით არსებული კონფლიქტები მართო ამ სახელმწიფოთა მოსაგვარებელი პრობლემა არ უნდა იყოს.

რამდენი ხანია, ვლაპარაკობთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მონესრიგების საკითხში მსოფლიო უნდა ჩაერიოს. სხვა შემთხვევაში, პატარა კონფლიქტი შეიძლება დიდ ხანძრად გადაიქცეს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ სიტყვებია. რამდენი სახანძრო მანქანა მოიძებნება, მოისურვებს თუ არა ყველა სახელმწიფო, ჩაერთოს ამ მოძრაობაში, ეს ცალკე საკითხია. უმრავლესობა ჩემი კოლეგებისა, რომლებსაც გაეროს რეორგანიზაციის საკითხებზე ვესაუბრე, აგრეთვე, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები იზიარებენ იმ აზრს, რომ გეჭირდება ეფექტიანი საერთაშორისო ორგანიზაცია.

**პრეზიდენტი შევარდნაძე ამ საკითხთან დაკავშირებით შეეხო ორპოლუსიანი მსოფლიოს მრავალპოლუსიანად გადაქცევის საკითხს, რომელსაც რუსეთის ყოფილი ხელმძღვანელობა აყენებდა. კრიტიკულად შეეხო: ორპოლუსიანი — ორი პოლუსის დაპირისპირება და კონფლიქტები; მრავალპოლუსიანი — ყველაფერი ეს მრავალგზის გამრავლებული. მისი აზრით, მსოფლიო პროცესები, განსაკუთრებით, უსაფრთხოება — თუნდაც სასურსათო უსაფრთხოება (რომელსაც მან თავის სიტყვაში გაუსვა ხაზი) და კონფლიქტების მოგვარება ინტერნაციონალიზებული უნდა იყოს, ზოგადსაკაცობრიო საქმე, ზოგადსაკაცობრიო ამოცანა უნდა იყოს. ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ტრიბუნებიდან გამოსვლებშიც და პირად საუბრებშიც ეს თემები ფრიად აქტუალურად ჟღერდა, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების წარმომადგენლებისგან, რომლებსაც ასეთი საფრთხე უშუალოდ ემუქრება.**

— ჩემთვის რომ ეკითხათ და ამ სამიტისთვის მოსამზადებელი მუშაობა ორი-სამი წლის წინათ დაგვენყო არა ექსპერტე-

ბის დონეზე, არამედ სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობით, ეს შეკრება, მართლაც, ათასწლეულის სამიტი იქნებოდა, ბევრი სენისგან განკურნავდა კაცობრიობას.

აი, ამის იმედი ჯერ კიდევ არ მაქვს.

ძალიან ჭკვიანური იყო კოფი ანანის მოხსენება, მიმზიდველი, შესანიშნავი, იდეალებამდე აყვანილი იდეებითა და მათი რეალიზაციის გზებით, მაგრამ ეს გზები ისე ფრთხილად არის ნაჩვენები, რომც არ შესრულდეს, მას ბრალს არავინ დასდებს.

**აი ასეთი გულახდილი (კრიტიკულად გულახდილი) იყო პრეზიდენტის პასუხი „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვაზე — გაამართლა თუ არა ათასწლეულის სამიტმა?**

**შეკითხვას (პრაიმ-ნიუსი) „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტის პერსპექტივის შესახებ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ასე უპასუხა:**

— „დიდი აბრეშუმის გზა“ თავისი პროექტებით, და არა მარტო პროექტებით, ხვალინდელი დღით, მომავლით უკვე კოსმოსში ავიდა: მის განვითარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით ჩინეთამდე და იაპონიამდე უკვე კოსმოსი დასჭირდა — ლაპარაკია ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

სამიტის ფარგლებში საუბარი იყო იმაზე, რომ უნდა დავძლიოთ ის რადიკალური განსხვავება, რომელიც ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში არის მაღალგანვითარებულ ქვეყნებსა და ღარიბ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის, უნდა ამოვაგსოთ ის უფსკრული, რომელიც მათ შორის არსებობს. სხვა შემთხვევაში, ეს განსხვავება (ისევე, როგორც სილატაკე), უფრო დიდი კატასტროფის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ის, რაც ჩვენ დღეს დავინწყეთ, არის ძალიან დიდი მოძრაობა — კაცობრიობის მასშტაბის, მსოფლიო მასშტაბის, — კოსმოსის სფეროში თანამედროვე მიღწევები უნდა დაემორჩილოს იმას, რაც ადამიანს სჭირდება.

**და კვლავ: ვალების პატიების წრილში საქართველოსთვის დახმარების პერსპექტივა. ეს თემა ჟურნალისტებს რომ განსაკუთრებით აინტერესებთ, დადასტურდა იმითაც, რომ ბრიფინგის დასაწყისში „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ დასმული ეს შეკითხვა ახლა სხვამ („ალიამ“) გაიმეორა. ამ თემით ზოგი გაზეთი სპეკულირებს კიდევ (შვილებს და შვილიშვი-**

**ლებს ვუტოვებთ გადასახდელად, ვაკაბალეობთ ჩვენს მომავალს და ასე შემდეგ). ერთმა ტელეარხმა ეძება, ეძება და იბოვავა ამერიკელი, რომელიც ეკრანიდან ამტკიცებდა, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში ვინც გინდა გაიმარჯვოს, არავინ საქართველოს აღარ დაეხმარებაო, გადანყვევით ვიცით.**

— ასამბლეის არც ერთ სხდომაზე ისე მწვავედ არ დამდგარა ვალების საკითხი, როგორც ახლა. ბევრი რამ ითქვა საინტერესო და გადანყვევტილებები, მე მგონი, კონკრეტული და პერსპექტიულია. არ შეიძლება, ვალებით დაახრჩონ საქართველო და არა მარტო საქართველო, მაშინ მთელი აფრიკა, ნახევარი აზია უნდა ამოჟლიტო. ამის აბსურდულობა გაიგო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროპამ. უახლოეს წლებში ვალების პატიების საკითხი უნდა გადანყდეს. სწორედ ამიტომ ვთქვი მე, რომ ღარიბი, ღატაკი და განვითარებადი ქვეყნები უნდა გავათავისუფლოთ იმ ბორკილებისგან, რომლებსაც ვალები ჰქვია. რაც შეეხება ახალ კონკრეტულ დახმარებებს.

დიდად გვიჭერენ მხარს ამერიკელები. დღეს მქონდა შეხვედრა ქალბატონ ოლბრაიტთან, რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტის სახელით გადმომცა, შეიძლება არცთუ დიდი თანხა, მაგრამ დამატებით იმისა, რასაც ჩვენ ვიღებთ — 2,5 მილიონი დოლარი. ეს გათვალისწინებული იქნება იმ, ყველაზე გაჭირვებული 900 ათასი ადამიანისთვის მარცვლის, სანვავის შესაძენად, რომლებმაც მოსავალი ვერ მოიწიეს; ასევე — განვითარების სააგენტო, რომელმაც თითქმის მთლიანად გადანყვიტა თესლით მომარაგების საკითხი საქართველოში; ასევე — სასურსათო პროგრამა, რომელმაც ათიათასობით გაჭირვებული ოჯახისთვის კიდევ ორი წლით გააგრძელა დახმარების პროგრამა, მანამდე საქართველო ფეხზე დადგება.

ასეთია ერთი შედეგი ამ სამიტისა.

ადამიანებმა გაიგეს, რომ არ შეიძლება მსოფლიოში იყოს ერთი მართლაც ბედნიერი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ღარიბ და უპოვარ სახელმწიფოთა გარემოცვაში.

სამიტის დოკუმენტებში ამოვიკითხე, რომლებსაც ჯერჯერობით კანონის ძალა არ აქვს, რომ ერთი ადამიანის საზრუნავი კაცობრიობის საზრუნავი ხდება.

**ერთი ადამიანის საზრუნავი, კაცობრიობის საზრუნავი ხდება. მიაქციეთ ამას ყურადღება, რადგან ეს ადამიანის უფლებ-**

**ბათა დაცვისა და აღიარების ახალ ხარისხში აყვანა, ანუ კიდევ უფრო გაფართოება. მაგრამ შევარდნაძის რეალისტური ოპტიმიზმი თავდავინწყებულ უეჭველობას არ ნიშნავს, პირიქით, საკმაოდ ზომიერია და დაეჭვების ელემენტსაც არ უგულვებელყოფს.**

— თუ ეს მიდგომა არ იქნება რეალიზებული, — თქვა მან, — ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკეთ, შეიძლება ქალაქდზე დარჩეს. გუშინ კლინტონთან მიღებაზე ვიყავი, საერთო მიღებაზე. ცოტა ხანს ზოგიერთ საკითხზე ვისაუბრეთ. თქვენ იცით, რომ მან წერილი მომწერა — აუცილებლად დავეხმარებით, საქართველოს დავეხმარებო. ნუხელ, როცა, როგორც მეგობრები, ერთმანეთს დავემშვიდობეთ, მითხრა: ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში — რესპუბლიკელები თუ დემოკრატები, აშშ საქართველოს მაინც დაეხმარება, რადგან ამერიკის შეერთებული შტატებისთვის თქვენ იქეცით სტრატეგიულ მოკავშირედ.

**და კიდევ ერთხელ გაიმეორა ადრე ნათქვამი: — სანამ აქა ვარ, გამომიყენეთ.**

**— ექნება თუ არა მხარდაჭერა იმ პროექტებს, რომლებიც ახლა ხორციელდება საქართველოში?**

— ჩემი აზრით, არსებობს რეალური შანსი, რომ ყველა პროექტი, რომლებიც ახლა ხორციელდება საქართველოში, ბოლომდე იქნება მიყვანილი. მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რახან ხელშეკრულებას ხელი მოვანერეთ, მისი ცალკეული ელემენტები სადავო არ გახდება.

ძალიან საინტერესო შეხვედრა მქონდა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ბატონ ჰათამისთან. მან შემომთავაზა: ჩვენ დიდი რაოდენობით გვაქვს ნავთობი და კიდევ უფრო მეტი — გაზი. ჩვენ გვინდა, თქვა მან, ჩვენი გაზი და ნავთობი გავიყვანოთ საქართველოს ნავსადგურებისაკენ, შემდეგ — ევროპაში, დაგვიჭერთ თუ არა მხარსო. ესე იგი, ბატონ ნიაზოვის ამასწინანდელ წინადადებას (**ყაზახეთის დიდი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების შესახებ. — ა.ს.**) კონკურენტი გაუჩნდა.

**ასეთ შემთხვევაში საქართველოს უკვე შეუძლია თამაშის თავისი წესები უკარნახოს დაინტერესებულ მხარეებს. წარ-**

მოგედგინათ ასეთი რამ სულ ცოტა ხნის წინათ?

აღბათ, არა.

და ესეც ერთ-ერთი შედეგია ნიუ-იორკის სექტემბრის სამიტის.

ირანის პრეზიდენტ სეიდ მუჰამედ ჰათამის შესახებ საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ იგი დაახასიათა, როგორც მეტად საინტერესო პიროვნება, რომელიც რეალურად შეებრძოლა ფუნდამენტალიზმს ჯერ მარტო, შემდეგ ახალგაზრდობაც აჰყვა.

— იუნესკოს ეგიდით გამართულ შეხვედრაზე „ცივილიზაცი-ათა დიალოგი“, სადაც მომხსენებელი ჰათამი იყო, მე ახალი ირანი აღმოვაჩინე, ახალი შეხედულებებით. რა თქმა უნდა, ისლამს ეფუძნება. მაგრამ, თუ დიალოგი გვსურს, ისლამში უნდა დავინახოთ ის პროგრესული, რომელიც გარკვეულად არის მასში წარმოდგენილი.

პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ მოწოდებულმა ცნობამ, რომ პრეზიდენტმა ჰათამიმ იგი ირანში მიიწვია, ჟურნალისტებში, განსაკუთრებით, ქალებში, დიდი გამოცოცხლება გამოიწვია — ჩვენ თუ წაგვიყვანთო?

ამაზე ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ ჰათამის ქალებიც, ვაჟებიც ახლდნენ და შესანიშნავად გამოიყურებიან.

შეხვდა თუ არა პუტინს შევარდნაძე?

არა. წინასწარ მოილაპარაკეს, რომ ამ სამიტზე ერთმანეთს არ შეხვდებიან.

იგორ ივანოვს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელსაც ეკა ხოფერია („რუსთავი 2“) გაეროს დერეფანში შემთხვევით გადაეყარა და ინტერვიუ ჩამოართვა, მიაჩნია, რომ ბიშკეკის ხელშეკრულებიდან რუსეთის გამოსვლის დრამატიზება ხდება.

ედუარდ შევარდნაძე კი ფიქრობს, რომ რუსეთის პოლიტიკის ორმაგი და სამმაგი სტანდარტები დსთ-ის ქვეყნების მიმართ და ბიშკეკის ხელშეკრულებიდან მისი გამოსვლა სერიოზული შეცდომაა და სავსებით შესაძლებელია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაშლის მიზეზი თუ არა, ბიძგი გახდეს; ნიშანი რომ არის, უეჭველია. ევროპამ მიაღწია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის აბსოლუტურად თავისუფალია გადაადგილება. რუსეთი პირი-

ქით იქცევა და ეს ვერ ჯდება სტრატეგიულ მოკავშირეთა ურთიერთობის მცნებაში, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მოკავშირეობა მართო დეკლარაციული განცხადება არ არის.

მადლენ ოლბრაიტიან საუბრის დროს თუ შეეხნენ იელოვას მონმეთა საკითხს?

შეეხნენ. ედუარდ შევარდნაძემ აუხსნა სახელმწიფო მდივანს, რომ იელოველთა შემოსვლა შემოჭრის სახით მოხდა, რამაც შეაშფოთა ეკლესიაც და მართლმადიდებელი მრევლი. ყველა საკითხი რელიგიათა შორის ურთიერთობის, სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის მოგვარდება მაშინ, როდესაც საქართველოს ექნება კანონი რელიგიის შესახებ.

ხომ არ გადაინაცვლა აქცენტებმა დსთ-დან სუუამისკენ?

სუუამის ქვეყნების პრეზიდენტების შეხვედრები კიევის მომავალი შეხვედრიდან (ლეონიდ კუჩმას წინადადება) მოყოლებული დამოუკიდებელ ხასიათს მიიღებს და არ მოენყობა სხვადასხვა სამიტის დროს.

ძალიან საინტერესო, მოვლენითი ფაქტი: რუმინეთის პრეზიდენტმა განუცხადა პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომ მისი ქვეყანა მზად არის, შეუერთდეს სუუამის ალიანსს.

აქცენტები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ინაცვლებს.

საქართველოს გააქტიურება სუუამის ფარგლებში გარკვეული დემარშიც არის ბიშკეკის ხელშეკრულებიდან რუსეთის გამოსვლის წინააღმდეგ.

**2000 წლის 10-11 სექტემბერი**

## 2. სახელი, რომელიც არ ხუნდება: იყო გუშინ, არის დღეს, იქნება ხვალ

ნიუ-იორკში არჩევნებისწინა განწყობილებაა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების კამპანია ძალას იკრებს, ფართოვდება.

არჩევნების ამ ველში შეიჭრა ათასწლეულის სამიტი.

ადვილი წარმოსადგენია, პოლიტიკურ შესაძლებლობათა როგორ ცენტრად იქცა გაეროს სამიტის დღეებში აშშ-ის უდიდესი ქალაქი — ალლოიან მოლვანეს მართლაც შეეძლო მდიდარი პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება.

ყველა და ყველაფერი ხელის გულზე იდო. ისარგებლეს ამ უნიკალური სიტუაციით აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო შტაბებმა და ეს სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო: ყრუ მეთევზის მიერ ოქროს თევზის ხელიდან გაშვებასავით იქნებოდა ყველა სხვა ქმედება.

და მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტთან.

— რატომ მოვიდნენ? — ამ ცოტა მარტივი შეკითხვით მივმართავ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის ჯორჯ ბუშის, მრჩეველს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში — რობერტ ზოლექს სასტუმრო „პენინსულას“ ჰოლში (ამ სასტუმროს მე-20 სართულზე პრეზიდენტის აპარტამენტებია).

— პრეზიდენტ შევარდნაძეს უდიდესი რეპუტაცია აქვს შეერთებულ შტატებში და ამის საფუძველია არა მარტო ის, რაც მან გააკეთა „ცივი ომის“ დამთავრებისთვის, არამედ ისიც, რასაც დღეს აკეთებს საქართველოსთვის. ამიტომ მასთან საუბარი მქონდა არა მარტო წარსულ საქმეებზე, არამედ იმაზე, რასაც მომავალში გავაკეთებთ თქვენც და ჩვენც.

მისი პიროვნების მასშტაბურობიდან გამომდინარე, იგი საუბრობს არა მხოლოდ საქართველოს პრობლემატიკაზე, არამედ სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო პოლიტიკას განეფინება.

მე მინდა, ხაზი გავუსვა იმ სიამოვნებასაც, რომელიც გასულ თვეს საქართველოს პარლამენტარების სტუმრობის დროს მივიღე. იგი უდავოდ მნიშვნელოვანი იყო საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის განვითარებისთვის.

პრეზიდენტთან საუბრისას ვთქვი იმის შესახებაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის თანამშრომლობას, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძველი.

**— როგორ ესახება ეს სამომავლო თანამშრომლობა აშშ-ის მომავალი (თვალი არ ეცეს!) პრეზიდენტის მრჩეველს?**

— დადასტურებულად მინდა გითხრათ იმ უეჭველობის შესახებ, — თქვა ბატონმა რობერტ ზოლექმა, — რომ, რომელმაც პარტიამაც უნდა გაიმარჯვოს, ორივე პარტიის ლიდერებს აქვთ და ექნებათ ძალიან კარგი დამოკიდებულება საქართველოსადმი, პრეზიდენტ შევარდნაძისადმი, რომელსაც დიდი სახელი აქვს შეერთებულ შტატებში.

ბუში, რა თქმა უნდა, უკეთ ჩაატარებს არჩევნებს (იცინის), მაგრამ ბუში იქნება თუ გორი, ამერიკელ ხალხს გათვითცნობიერებული აქვს საქართველოსა და მისი პრეზიდენტის ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო თანამეგობრობაში.

ამიტომ თქვენი ქვეყნისადმი დახმარება და თანადგომა უეჭველად გაგრძელდება.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მომავალი ქართველი ხალხის ხელშია, მან უნდა გადაწყვიტოს თავისი პერსპექტივის ხარისხიც და მიმართულებაც.

**პერსპექტივა კი დიდად არის დამოკიდებული იმ პროგრამებზე, რომლებიც საქართველოში ხორციელდება, თუნდაც ნავთობ და გაზსადენების პროექტების სახით.**

ამიტომაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის თანამემნესთან — ჯონ ვულფთან.

რიჩარდსონსა და ჯონ ვულფს ახლახან მნიშვნელოვანი ტურნე ჰქონდათ ცენტრალური აზიის ქვეყნებში — ყაზახეთში, თურქმენეთში. იქ ჩასვლა შევარდნაძემ ურჩია იალტაში პრეზიდენტ ნაზარბაევთან შეხვედრის შემდეგ, რომელთანაც ისაუბრეს დიდი რაოდენობით დამატებითი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების შესახებ ყაზახეთისა და შაჰ-დენიზის საბადოებიდან. იყვნენ თურქეთშიც.

— ფაქტობრივად, იწყება ახალი ეტაპი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ფორსირებულად განსახორციელებლად, — კომენტარს აკეთებს საქართველოს ნავთობის

საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია **(ამერიკელებმა მასთან ერთად ეს-ესაა დაამთავრეს შევარდნაძესთან მოლაპარაკება)**, — გახსოვთ, ერთ პერიოდში ჩვენთან გაავრცელეს ხმები, თითქოს პროექტს განხორციელება არ უნერია. პრეზიდენტთან საუბრის დროს ხაზგასმით დადასტურდა, რომ ამ პროექტს წინ არაფერი დაუდგება. რამდენიმე კვირაში აზერბაიჯანი გამართავს სპონსორთა პირველ კონფერენციას და დაიწყება ნავთობსადენის ინჟინერინგი. თურქეთი თავის ტერიტორიაზე საკუთარი სახსრებით იწყებს მშენებლობას, არ ელოდება სპონსორთა ჯგუფის ფორმირებას. ეს კარგი ნიშანია თვით ინვესტორებისთვისაც.

ამერიკის მხარემ პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრისას კვლავ დაადასტურა, რომ ეს პროექტი უალტერნატივოა. არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები მოვლენ თუ დემოკრატები — აშშ-ის ადმინისტრაცია აღიარებს მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს.

ამას ადასტურებს ისიც, რომ სწორედ ამ პროექტის ხელშეკრულების გასაფორმებლად გაია ჭანტურია სამიტის შემდეგ ვაშინგტონს გაემგზავრა.

ამერიკელთა დაინტერესება იმითაც გამოიხატა, რომ წამყვანმა ნავთობკომპანიებმა, რომლებიც ამერიკა-საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭოში არიან გაერთიანებული, სასტუმრო „პენინსულას“ დიდ დარბაზში — „ლა გრანდ სალში“ წესებდნენ ძალიან თბილი მიღება მოუწყვეს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს.

საერთაშორისო პოლიტიკის აღიარებული პატრიარქი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, უნიკალური პიროვნება, რომელიც ამ ორ პროფესიულ სანყისს უნაკლოდ უხამებს ერთმანეთს, ჰენრი კისინჯერი ჩემს შეკითხვას — არსებობს თუ არა პოლიტიკოსისთვის ასაკის ზედა ზღვარი, ანუ საუკეთესო ასაკი რომელია, იუმორის ტალღაზე უპასუხებს — ჩემი ასაკიო. ვიჩქარი, გაცნობოთ, რომ თარჯიმნობას სახელმწიფო მრჩეველი კახი ქენქაძე მიწევს, მაგრამ „ჩემი ასაკიო“ ისე თქვა კისინჯერმა, რომ თარგმნა არ დასჭირდა. კახის მერე დაადგება ჯაფა, მაგრამ ამ მისიას ბოლომდე სიამოვნებით შეასრულებს — კისინჯერსა და სოროსს (ისიც მალე მოვა) ასე ქუჩაში ვერ შეხვდები.

ვიცინით.

მაგრამ ეს პასუხი უკვე სადღაც მაქვს მოსმენილი...

რა თქმა უნდა, საქართველოში: რუსეთის ტელევიზიის მიმომხილველს — ყარაულოვს ედუარდ შევარდნაძემ იმავე შეკითხვაზე უპასუხა — 68 წელიო. მაშინ ზუსტად ამდენი წლისა იყო პრეზიდენტი.

— თუმცა, ყველა ასაკი კარგია, — ამატებს კისინჯერი.

კისინჯერს შევარდნაძეზე ვეკითხები:

**— ეს-ესაა პრეზიდენტი შევარდნაძეს შეხვდით, რა შთაბეჭდილებით გამოხვდით მისგან?**

— ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე არის ძალზე სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც მსოფლიოსთვის და თავისი ქვეყნისთვის უაღრესად დიდი საქმეები გააკეთა. მას განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს გაერთიანებული დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მოპოვების საქმეში. დემოკრატები თუ რესპუბლიკელები მოვლენ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში, ეს ხელს არ შეუშლის საქართველოსთან ამერიკის ადმინისტრაციის კეთილგანწყობილი ურთიერთობის განვითარებას.

იგივე გაიმეორა ბიზნესმენმა და მეცენატმა ჯორჯ სოროსმა. კი, მაგრამ საქართველოში კორუფცია რომ არის, როგორ ეხმარებით? — შეეკითხა ერთი ტელეარხის კორესპონდენტი. კორუფციასთან ბრძოლის პროექტებსაც დავაფინანსებო, — უპასუხა სოროსმა.

ახლა კი გელა ჩარკვიანს — სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო განყოფილების უფროსს, მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, რომელიც, როგორც ყოველთვის, მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა, შევაჯამებინოთ ის, რაზეც ფრაგმენტულად ზემოთ გესაუბრეთ:

**— ბატონო გელა, დრო გადის, „ცივი ომის“ პერიოდი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ისევე, როგორც იმ მოღვაწეთა გვარები, რომლებმაც მსოფლიო კონფრონტაცია წარსულს ჩააბარეს — თითქმის ყველასი. მაგრამ ამ სამიტზეც გამოჩნდა, რომ ედუარდ შევარდნაძის სახელი არ ხუნდება, იგი კვლავ ყურადღების ცენტრშია, მას კვლავ დიდად აფასებენ.**

— მართლაც ასეა და ამის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ შევარდნაძე მოქმედი პოლიტიკოსია — სახელმწიფოს მეთაუ-

რია. იგი იყო და დღესაც არის ყურადღების ფოკუსში, მსოფლიო პოლიტიკაში მას არ შეიძლება გვერდი აუარო.

ბიპოლარიზმის დაძლევის ყველა ქვეყნის (ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნების, რომლებიც მნიშვნელოვანი აქტორები იყვნენ ამ პროცესისა) პოლიტიკური ისტებლიშმენტი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, მისთვის ეს იყო გრანდიოზული ცვლილება, რევოლუციური გარდაქმნა, რომლის მსგავსი XX საუკუნეში მსოფლიოს არ ახსოვს, რადგან ყველა სხვა, მსოფლიო მასშტაბის მოვლენა, უწინარეს ყოვლისა კი, მსოფლიო ომები უარყოფითი ნიშნით, სატანისტური მუხტით მიმდინარეობდა, ეს ახალი პროცესი კი უდიდეს დადებით ცვლილებას მოასწავებდა. მაშინ ედუარდ შევარდნაძე მასმედიის, და არა მარტო მისი, ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა.

მართალია, დღესაც გამოჩნდებიან, და არც თუ იშვიათად, პოლიტიკოსები ეკრანზე თუ პრესაში, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის მიმდინარე მოვლენები უკვე არ არის ის რევოლუციური, უდიდესი მნიშვნელობის მქონე ცვლილებები, რომელთა შუაგულში ედუარდ შევარდნაძე ტრიალდება.

თანაც ეს ცვლილებები, როგორც ვთქვი, საოცრად პოზიტიური იყო: ყველაზე ხანგრძლივი მსოფლიო ომი — „ცივი ომი“, როგორც პრეზიდენტმა გაეროში გამოსვლის დროს განაცხადა, დამთავრდა უსისხლოდ და ეს იყო უნიკალური ფენომენი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია შევარდნაძის პოპულარობისა და ავტორიტეტის გაუხუხარობა.

ახლა დღევანდელი სამიტის შესახებ.

### — სამიტზე გამართულ შეხვედრებს გულისხმობთ?

— დიახ. აი, ასეთ შეხვედრებზე ტრადიციული ეტიკეტით მიღებული კომპლიმენტების გარდა, ედუარდ შევარდნაძისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვა ყველა საუბარს თავიდან ბოლომდე გასდევდა. და ამას აკეთებდნენ ბუნებრივად, შინაგანი მოთხოვნით.

აი, მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან — მადლენ ოლბრაიტთან შეხვედრას რეფრენად მიჰყვებოდა შევარდნაძის თემა: რამდენჯერმე ითქვა მისი საერთო დამსახურებისა და იმ უდიდესი პატივისცემის შესახებ, რომელიც ამერიკელ ხალხს მისდამი აქვს. როგორ კონტექსტში, იცით? მიუხედავად იმისა,

როგორი შედეგით დამთავრდება აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება უცვლელი დარჩება და ეს, უნინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მისი ხელმძღვანელია „შევი“ (მოგეხსენებათ, შტატებში სწორედ ასე მოიხსენიებენ შევარდნაძეს და ასეთი რამ ამერიკაში განსაკუთრებული პოპულარობის ნიშანია). „შევი“ როგორც იყო, კვლავაც დარჩება მათთვის უალრესად პატივსაცემ პიროვნებად და მოღვაწედ.

მეტსაც ვიტყვოდი: ამ სახელს — „შევი“ — მსოფლიოში და, განსაკუთრებით, დასავლეთში მაგიური ძალა აქვს.

**— ამ ბოლო დროს „საქართველოს რესპუბლიკამ“ შეერთებული შტატების პრეზიდენტის — ბილ კლინტონის რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა, რომლებშიც, პრეზიდენტ შევარდნაძის მოღვაწეობის შეფასებასთან ერთად, მისთვის მხარდაჭერისა და დახმარების აღმოჩენის თაობაზეა საუბარი. ფაქტობრივად, ეს წერილები შევარდნაძის დემოკრატიული კურსის სრული აღიარებაა, ერთგვარი დემონსტრაციაც კი ამ აღიარების, ამ მხარდაჭერის.**

— უნდა გითხრათ, რომ მათ — პრეზიდენტებს — სისტემატური მიმონერა აქვთ. ამ წერილებში ლაპარაკია იმ პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარეს აწუხებს, აქ არის შეფასებები პოლიტიკური ფაქტებისა და პროცესების. აშშ-ის პრეზიდენტის არაერთ წერილში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საქართველო, მიუხედავად იმ ნაკლოვანი მხარეებისა, რომლებიც, როგორც სხვა გარდამავალ ქვეყნებს, ჩვენც გვახასიათებს, თავისი დემოკრატიით, სიტყვის, პიროვნების თავისუფლებით და ასე შემდეგ, არის სანიმუშო და მისაბაძი.

ასეთი შეფასების გარდა, ყველა წერილში ყოველთვის აღინიშნება შევარდნაძის როლი, მისი განსაკუთრებული წინამძღოლობის მნიშვნელობის შესახებ არის საუბარი.

და ეს არ არის მხოლოდ გუშინდელი და დღევანდელი საკითხი, ხვალაც ასე იქნება.

\* \* \*

**მოისმენ ყოველივე ამას პირველწყაროდან, შენი თვალთ ნახავ, დარწმუნდები, რა დიდად აფასებენ შენი ქვეყნის პრეზიდენტს დემოკრატიის ციხადელში და სიამაყით აივსები (გადაუჭარბებლად ვამბობ). ჩამოხვალ თბილისში, თვალს გადა-**

ავლებ ქალაქში გავრცელებულ გაზეთებს და აქა-იქ შინაზარდი „პოლიტოლოგების“ მიერ გაბნეულ ისეთ მარგალიტებს ამოკრეფ, რომ დარწმუნდები — მოგვიმრავლდნენ საქართველოში ცოლების პრინციპით მომუშავე მამაკაცები, რომლებიც ომიდან დაბრუნებულ ქმრებს ამბავს ახვედრებენ.

ქალიც შენა ხარ და კაციცო!

თვით ამირანს გულღვიძლს ვუკორტნიდიო!

აი, ამ სადისტური პრინციპით „მუშაობენ“.

თუ დაკვეთას ასრულებენ? მაგრამ ამაზე — ცალკე.

ახლა ამით ხასიათს ვერ გაგიფუჭებთ.

2000 წლის 13 სექტემბერი

# 2001 წელი





# «ერთი ნაბიჯი ოპტიმისტური პერსპექტივისკენ»

1 ივნისს, გუშინ, მინსკში დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა მორიგი სამიტი დასრულდა.

პრეზიდენტების პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინი შეაჯამებს შედეგებს და იტყვის, რომ თანამეგობრობა ვითარდება — развивается.

**ნეტრალური ფორმულირება — ვითარდება.**

**არის ასეთი აზრი.**

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომელიც წლების განმავლობაში ამტიციცებდა, რომ თანამეგობრობის ბედი მოსკოვში წყდება და მთლიანად რუსეთზე არის დამოკიდებული, იმავე პრესკონფერენციაზე დიპლომატიურად განაცხადებს:

— ამ სამიტიზე მე ექვსი შეხვედრა მქონდა კოლეგებთან, სხვა დროს და სხვა ვითარებაში ამ შეხვედრების ორგანიზებას დიდი ძალისხმევა და თვეები დასჭირდებოდა.

აქ კი, დსთ სამიტიზე, კომპაქტურად და ოპერატიულად გვარდებაო ეს საქმე.

ესე იგი, მთავარია, პრეზიდენტების ორმხრივი შეხვედრები, საქმიანი, შედეგიანი.

მკითხველებს მინდა შევახსენო, რომ ზუსტად ასეთი აზრი დსთ-ის სამიტების შესახებ სწორედ ასეთი ფორმულირებით ჩამოაყალიბა ედუარდ შევარდნაძემ, ოღონდ წინა სამიტის დამთავრების შემდეგ, აქვე, ბელარუსის დედაქალაქში.

და მაინც, მინსკის შეხვედრებს საქართველოსთვის ორი მნიშვნელოვანი აქცენტი ჰქონდა: პირველი — პრეზიდენტ პუტინთან პირისპირ საუბარი და საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების — „კავკასიის ოთხეულის“ — შეხვედრა.

ეს აქცენტები დაადასტურა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქართველი ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე თვითმფრინავის „მეოთხე ხელისუფლების“ სალონში.

პირველი შეკითხვა ტელევიზიის პირველი არხის კორესპონდენტ ნიცა ჩოლოყაშვილს აქვს: — პანკისის ხეობის შესახებ თუ

გქონდათ საუბარი, ბატონო პრეზიდენტო, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს?

— პუტინთან შეხვედრაზე ბევრ საკითხზე ვილაპარაკეთ — პანკისზეც, აფხაზეთზეც, ორმხრივ ურთიერთობებზეც, რუსეთთან ხელშეკრულებაზეც. ძალიან კარგი და იმედისმომცემი საუბარი იყო.

პანკისის ხეობის თაობაზე ამჯერად საკმაოდ მშვიდი საუბარი გვექონდა. ჩემი მიდგომა ამ პრობლემისადმი ასეთია — როგორც კი ოდნავი საშუალება გაჩნდება, ლტოლვილები თანდათან უნდა გაიყვანონ, დაეხმარონ მათ მატერიალურად, ფინანსურად, უსახლკაროებს აუშენონ საცხოვრებელი სახლები და ძირითადი მასა ლტოლვილებისა, თუ ისინი მოისურვებენ, სამშობლოში დააბრუნონ.

აფხაზეთზეც შევთანხმდით: გვექნება პირადი კონტაქტები. ახლა აფხაზეთში ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომ საჭირო იქნება ჩვენი, ურთიერთგაგებაზე აგებული თანამშრომლობა.

რაც შეეხება სამიტის ორ დღეს, მე მაინც ყველაზე მნიშვნელოვნად ჩავთვლიდი პუტინთან შეხვედრას, საუბარს მასთან და გუშინდელ, ეგრეთ წოდებულ, კავკასიური ოთხეულის თათბირს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრას რაიმე კონკრეტული გარღვევა არ მოჰყოლია, თავისთავად ეს ფაქტი — ოთხეულის შეხვედრა — მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. ჩემი წინადადებით, ეს შეხვედრა გახდება ტრადიციული და უდავოდ დაგვეხმარება, რამდენადაც შესაძლებელია, დაჩქარდეს, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარება და აფხაზეთის საკითხის გადანყვეტა.

ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დადასტურდა დსთ-ის გადანყვეტილებების მნიშვნელობა და სიცოცხლისუნარიანობა აფხაზეთის საკითხის მოგვარების საკითხში: თანამეგობრობას საკმაოდ მკვეთრი და მკაცრი განცხადებები ჰქონდა აფხაზეთის მიმართ.

თუ ამას დავუმატებთ, რომ შეხვედრები ტრადიციული გახდება, ყალიბდება საინტერესო მექანიზმი დამატებით იმისა, რომელიც დღეს არსებობს — უშიშროების საბჭო, ევროპული სტრუქტურები და სხვ.

უნდა გითხრათ, რომ თანამეგობრობა ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. მართალია, განსაკუთრებით წონადი დოკუმენ-

ტები არ მიგვიღია, მაგრამ კონტაქტები, თუნდაც ნახევარ წელიწადში ერთხელ პრეზიდენტების შეხვედრა, ძალიან ბევრს იძლევა.

მაგალითად, სუჟამის თაობაზე საბოლოოდ აქ, სამიტზე შევთანხმდით — ცალკე ლეონიდ კუჩმასთან საუბრის დროს, ცალკე — ჰეიდარ ალიეევთან შეხვედრაზე. დღეს ძალიან საინტერესო საუბარი მქონდა ისლამ კარიმოვთან და სხვ.

**(სუჟამის შესახებ ამ შეთანხმების ანარეკლი იყო უთუოდ პრეზიდენტ პუტინის პასუხი შეკითხვაზე: ხომ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს სუჟამი და ევრაზიური გაერთიანება, რომელიც მას პრესკონფერენციაზე ბელარუსმა ჟურნალისტმა დაუსვა:**

— აქ ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. ისინი არათუ არ უშლის ერთმანეთს ხელს, არამედ — ავსებს.

გახსოვთ უთუოდ, რუსეთის მიერ კატეგორიული მიუღებლობა სუჟამისა. ევრაზიური ეკონომიკური გაერთიანება, ერთგვარად, მის საპირწონედაც კი შეიქმნა. და — რადიკალურად ახლებური მიდგომა იმავე რუსეთის მხრიდან.

ორმხრივი ურთიერთობები, როგორც ხედავთ, მართლაც დადებითი შედეგის მომცემია.

აქ, რა თქმა უნდა, არის სერიოზული ქვეტექსტი: პოზიციითა ცვალებადობა პროგრესისკენ სხვისი პოზიციის მიღებისა და გაზიარების საფუძველზე ხდება.

— ამ შემადგენლობით გადავწყვიტეთ, რომ ყირიმში შევიკრიბებით 6 მაისს. მეთვალყურეებიც დაგვესწრებიან, შესაძლებელია, — რუსები, ამერიკელები, თურქები. სუჟამი საინტერესო გაერთიანებად ყალიბდება. მის კომპეტენციაში, ძირითადად, ეკონომიკური საკითხები მოექცევა. ისეთი, როგორც არის თავისუფალი ზონა მასში შემავალი ქვეყნებისთვის — სავაჭრო და ეკონომიკური ზონები.

კიდევ ერთი ჩემი დაკვირვება: პუტინი, უწინდელისგან განსხვავებით, ახერხებს ძალიან კარგი ურთიერთობის დამყარებას პრეზიდენტებთან, რეგიონებთან და საკმაოდ უნარიანადაც. სხვა პრეზიდენტებთან ერთად, უძღვება საქმეს, ხაზს არ უსვამს თავის რაიმე უპირატესობას **(აქ შევარდნაძე თავის იუმორს გაურევს, რომელშიც ნახევარზე მეტი სიმართლეა, როდესაც დაამატებს — პრეზიდენტებს არ მოსწონთ მაინცდამაინც, რო-**

დესაც ვინმე ასეთი უპირატესობის გამოვლენას (ცდილობს).

**„საქართველოს რესპუბლიკა“**: — პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ დსთ-ის საგარეო პოლიტიკა ინტეგრირებული უნდა იყოს მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობებში. ნიშნავს ეს დსთ-ის ქვეყნების ერთიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას?

— არა, არ ნიშნავს. ეს მან თქვა ბელარუსების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე დსთ-მ გაგზავნოს თავისი დამკვირვებლები. ეუთო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, დასავლეთის ქვეყნები აგზავნიან და რატომ არ უნდა იყვნენ დამკვირვებლები თანამეგობრობიდანო. ყველამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

ჩემს გამოსვლაში ასეთი ელემენტი იყო: ჯერ ერთი, ამის გაკეთება აუცილებელია იმიტომ, რომ ბელარუსებმა იგრძნონ დსთ-ის წევრობა. ჩვენთვის, დანარჩენი ქვეყნებისთვის, სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები ჩვენს პარტნიორ ქვეყანაში.

მეორეც: მე გამოვხატე, მგონი, საერთო აზრი იმის თაობაზე, რომ დამკვირვებლის ფუნქცია ნიშნავს მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას **(მიაქციეთ ამ ფორმულას ყურადღება, რადგან პირველად არის გაჟღერებული და აქამდე არავის უთქვამს. რად გვჭირდება დსთ-ის ავტორიტეტის ამაღლება? ედუარდ შევარდნაძე სრულიად ახალი კუთხიდან დაგვანახვებს საკითხებს, რომელთა მომსწრე თითქოს ყველანი ვართ, მაგრამ მისეული რაკურსისთვის ყურადღება არ მიგვიცქევია. მოუსმინეთ).**

— რატომ არის ეს ჩვენთვის საინტერესო? თუნდაც იმიტომ, რომ უშიშროების საბჭომ რამდენჯერმე ახსენა დსთ-ის გადაწყვეტილებები აფხაზეთის თაობაზე, მოიხსენია, როგორც საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტი. იმ გადაწყვეტილებებს საერთაშორისო უღერადობა მიეცა.

ეს იგულისხმებოდა პუტინის პასუხში.

**„პრაიმ ნიუსი“**, ინვა დადიანი: დსთ-ს 10 წელი შეუსრულდა. რა ინვესტს უკმაყოფილებას განვლილ პერიოდში?

— ის, რომ არ აღმოჩნდა, იმდენად ეფექტიანი, როგორც თავიდან ვფიქრობდით. მიზეზი სხვადასხვაა. ძირითადი მიზეზი — რუსეთის პასიურობა იყო, განსაკუთრებით, კონფლიქტების

მოგვარების საკითხში. მაგრამ საქართველოს მაინც გარკვეული სარგებელი მოუტანა, თუნდაც — ამ ქვეყნებთან ურთიერთობის ჩამოყალიბების სახით.

აი, ახლაც პრეზიდენტი ნაზარბაევთან შევთანხმდით, რომ ჩვენი სამთავრობო დელეგაცია ყაზახეთში ჩავა და ფოთში ნავთობის ტერმინალის დაფუძნების თაობაზე მოილაპარაკებენ. ეს ნიშნავს, რომ ნავსადგურში და რკინიგზაზე ტვირთების რაოდენობა გაორმაგდება, მაშასადამე, — შემოსავალიც.

ასეა სხვა შეხვედრებზეც. მაგალითად, კარიმოვს არ ჰქონდა საბოლოოდ გადანყვეტილი მონანილეობა მიელო სუჟამის სამიტში. დავსხედით, შევაჯერეთ აზრები და იგი დარწმუნდა, რომ მისი ჩამოსვლა სასარგებლო იქნება.

მოლდოვის პრეზიდენტმაც გამოთქვა მზადყოფნა და ისიც ჩამოვა ყირიმში. ის კი არა, შეიძლება, რუმინეთიც ჩამოვიდეს დამკვირვებლის სტატუსით. ამ ქვეყანას კი დიდი გავლენა აქვს მოლდოვაზე.

**„საქართველოს რესპუბლიკა“: — ჩვენ, ჟურნალისტებს, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა დღევანდელი პრესკონფერენციიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტმა პუტინმა საკმაოდ თბილად და სიმპათიით ილაპარაკა საქართველოს შესახებ. ეს დიპლომატიური ყესტია თუ მართლა ასეთი პოზიცია აქვს?**

— ამ საკითხებში ის საკმაოდ გულწრფელია. ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ბევრი რამ მოაგვარა. მე მგონი, ჩვენი საუბარი იყო პატიოსანი საუბარი პატიოსანი ხალხის, სახელმწიფოთა პატიოსანი მეთაურების. არავინ დაისწრო **(მასპინძელი რუსეთის პრეზიდენტი იყო — ა.ს.)** — არც ოქმის დამწერი, არც თანაშემწეები. მარტონი ვიყავით. გულახდილად ვლაპარაკობდით. პირველი შეხვედრის დროს — არა, მაგრამ ახლა უფრო გაბედულად დამარწმუნა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, მათ შორის, ეკონომიკური საკითხების გასაუმჯობესებლად.

ასე რომ, ერთი მცირე, მაგრამ კარგი, ნაბიჯი გადაიდგა.

\* \* \*

**მაშ, ასე, დღეს ვითარდება, მაგრამ პრეზიდენტების პირადი ურთიერთობის საფუძველზე.**

# «თქვენ პრეზიდენტ ბუშის ოჯახის წევრი ხართ»...

## 1. „წითელი საზო საქართველოს საზღვარია“

დასკვნითი ბრიფინგი, რომელიც, ტრადიციისამებრ, თვითმფრინავის „ჟურნალისტთა სალონში“ იმართება, ერთგვარი კოლექტიური ბლიც-ინტერვიუა, რომელიც ჩართული ძრავების ფონზე იწყება და აფრენამდე მთავრდება.

უნდა დამთავრდეს.

— ბატონო პრეზიდენტო, თეთრი სახლიდან რომ გამოხვედით, ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ ძალიან კმაყოფილი იყავით. ხომ არ შეცდნენ კოლეგები?

ასეთი იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი შეკითხვა, ერთგვარად დაუსრულებელი, რადგან ამ ვიზუალური ეფექტის შესახებ შთაბეჭდილება ერთმანეთს რომ გავუზიარეთ, ისიც დავამატეთ, რომ აშკარა კმაყოფილება, რომელიც პრეზიდენტს სახეზე ენერა, და მისი უაღრესად ლაპილარული პასუხები, მოკლე და სხარტი, უცხოელ ჟურნალისტთა შეკითხვებზე თეთრი სახლის წინ, ამტკიცებდა, რომ საუბარი პრეზიდენტებს შორის მართლაც უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შეეხო და ჩვენი ქვეყნისთვის იმდენად პრინციპული იყო, რომ ასე უბრალოდ და მარტივად ვერ დახურდავდებოდა პრესის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად — უფრო მეტი იყო და უფრო მასშტაბური.

როგორი? ეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძემ იცის. შეხვედრის შედეგი, უთუოდ, დაემთხვა მსოფლიო პრობლემების მისეულ ხედვას, კონცეფციურსაც და კონკრეტულსაც.

უთუოდ.

შეიძლება ვცდები, მაგრამ ისე მეჩვენება, რომ ჩვენ ის აუდიტორია არ ვიყავით, რომელთანაც პირველად უნდა გაჟღერებულყო სრულად და მთელი ძალით პრეზიდენტების საუბრიდან გამომდინარე დასკვნები.

არ ვიცი.

**მაგრამ შეკითხვა უკვე დასმულია და მოვუსმინოთ პრეზიდენტ შევარდნაძეს.**

— მართლა კმაყოფილი სახე მქონდა, როცა გამოვედი თეთრი სახლიდან პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრის შემდეგ. ძალიან კარგი შეხვედრა იყო, თბილი, ადამიანური, ისეთი, როგორიც არის ხოლმე ახლობელ ადამიანებს შორის, პირველ წინადადებას გეტყვით: მამაჩემმა (*მამა ბუშმა*) დარეკაო ამ დღით, მკითხა — თუ ხვდები შევარდნაძეს? ვუთხარი, რომ გხვდებოდით. კარგი კაცი, მითხრა. ამაზე ვუპასუხე, რომ საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ბუში უფროსი არ ცდება-მეთქი (**რა თქმა უნდა, იქაც და აქაც — თვითმფრინავში — ამ ხუმრობაზე ყველას გულიანად გაეცინა. — ა.ს.**). კარგი საუბარი გამოვიდა. ძალიან კარგი.

მომეწონა ამერიკის პრეზიდენტი — გონიერი, ჭკვიანი. კარგად და სწრაფად აზროვნებს (**გავაკეთოთ მეორე პასუხა და გავაანალიზოთ შევარდნაძის ეს წინადადება, ქვეტექსტი ამოვიკითხოთ. შევეცადოთ ამოკითხვას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრი ვთქვათ: „სწრაფად აზროვნებს“ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ შევარდნაძის მიერ მიწოდებული კონცეფციური ხედვა თუ კონკრეტული წინადადებები თანამოსაუბრემ სწორად აღიქვა, იქვე („სწრაფად“) დაეთანხმა და არც დაუმალავს, რომ ეთანხმება („კარგად აზროვნებს“) — ა.ს.**)

ბევრი საკითხის განხილვა მოვასწარი, ორმხრივი ურთიერთობის, რომელიც განსაკუთრებულში უნდა გადაიზარდოს, მათ შორის, სამხედრო, თავდაცვა, უსაფრთხოების პრობლემები და საქართველოს განსაკუთრებული როლი, როგორც ევრაზიის დერეფნის საკვანძო ქვეყნის.

**(მიაქციეთ ყურადღება: ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც განსაკუთრებულ ურთიერთობაში უნდა გადაიზარდოს, აი, აქ უნდა ვეძებოთ გასაღები შევარდნაძე-ბუშის საუბრის მნიშვნელობისა. — ა.ს.)**

— საკმარისად კარგი წარმოდგენა აქვს ჩვენს ხალხზე, საერთოდ და დეტალებშიც. მათ შორის, იმათზეც, ვინც მომზადება შეერთებულ შტატებში გაიარა ანტიტერორისტული სპეციალობით. მიაჩნია, რომ ჩვენ ძალიან ბევრის გაკეთება შეგვიძლია არა მარტო ტერორიზმის, არამედ ისეთი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც კვებავს ტერორიზმს — აგრესი-

ული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის, ფანატიზმისა და ფუნდამენტალიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმითა და სახით. განვიხილეთ ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხებიც.

— **რუსეთზე თუ თქვა რამე საქართველოსთან მიმართებაში? („მეცხრე არხი“).**

— ძალიან ზომიერად ილაპარაკა.

მაგრამ ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს არავითარი პრობლემა არ შეექმნას. არის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთა არ შეიძლება და ეს წითელი ხაზი არის საქართველოს საზღვარი.

**და შეკითხვას — სამაგიეროდ რას ითხოვსო, უპასუხებს ნახევრადხუმრობით:**

— რვა წელიაღია, უფასოდ გვაჭმევს და გვასმევს...

— **საქართველოსთვის ფინანსურ დახმარებაზე თუ იყო საუბარი? („რუსთავი2“).**

— არა, ფინანსურ დახმარებაზე — არა; მე ისე შევატყვე, მან ჩათვალა, ცოტა არ არის ის, რასაც გვაძლევენ. მაგრამ ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებესთან, ენერგომომარაგებასთან და სხვა დახმარებასთან დაკავშირებით მან გასცა განკარგულება, რომ გაძლიერდეს მისი ადმინისტრაციის ძალისხმევა ამ მიმართულებებით.

**ბრიფინგის ერთი მონაკვეთი ცოტა „აჭრილი“ ხასიათისა იყო — კოდორის ხეობაში მომხდარი ფაქტით დაწყებული, რომელიც პრეზიდენტმა ინციდენტის დონეზე შეაფასა, და „ეი-ი-ეს“-ის ხელმძღვანელობასთან შეხვედრით დამთავრებული, რომელსაც შეხვედრაც კი არ დაარქვა და მათი მოთხოვნების სამართლიანობის განსახილველად მათი წარმომადგენლების თბილისში ჩამოსვლა და უცხოური აუდიტის მონაწილეობით ადგნაზე განხილვა შესთავაზა. ამგვარი გართულებები „ეი-ი-ეს“-ს სხვა ქვეყნებშიც ჰქონია. ალბათ, მათი ცოდვებიც არის და ჩვენიცო.**

— **პენტაგონის აფეთქებული ნაწილი თუ ნახეთ, ბატონო პრეზიდენტო?**

— ვნახე. ვნახე და საშინელებაა. ამგვარი აფეთქებისთვის ძალიან დიდხანს უნდა ემზადო. მგონი, უკვე გითხარით, რომ ეს არ არის მხოლოდ ტერორისტული აქტი, უფრო სხვა ხარისხის

და ხასიათის მოვლენაა.

**კვლავ და კვლავ შეკითხვა:** — გამოიყენებს თუ არა აშშ საქართველოს საჰაერო დერეფანს ავღანეთზე ავიადარტყმების განსახორციელებლად? და — განმარტება, რომ ეს მარშრუტი სამხედრო ავიაციისთვის ხელსაყრელი არ არის, რომ საამისოდ მის განკარგულებაშია უზბეკეთის აეროდრომები. დაინყება თუ არა საომარი ოპერაციები? ეს იქნება ლოკალური ხასიათის ზუსტი დარტყმები?

— ასე უნდა იყოს წესით, მაგრამ თუ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციებს დაინყებენ და იმავე მიზნებს დაისახავენ, რომელთაც თავის დროზე საბჭოთა კავშირი ისახავდა ავღანეთში, მაშინ...

**მაშინ რა იქნება, აღარ თქვა.**

— მაშინ ედუარდ შევარდნაძე დასჭირდებათ თავიანთი ჯარების გამოსაყვანად, — ვითომ წააშველა სიტყვა ამ სტრიქონების ავტორმა, რაც, რა თქმა უნდა, საჭირო არ იყო, რადგან იმ დაუმთავრებელ ფრაზაში იგულისხმებოდა.

ამ დროს „ილ-62“-ის ძრავები მთელი სიძლიერით ამუშავდა. სავსებით სამართლიანად (და საფუძვლიანადაც) შეშფოთებულმა დაცვამ პრეზიდენტს აქვე, „ჟურნალისტების სალონში“ დაჯდომა შესთავაზა, რადგან წინ წასვლა არა მარტო პრაქტიკულად შეუძლებელი, არამედ საშიშიც იყო.

აი, ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი პრეზიდენტ შევარდნაძის გვერდით და სრულად გამოვიყენე ჩემი ეს უპირატესი მდგომარეობა (თქვენ უარს იტყოდით?).

— ბატონო ედუარდ, გარედან ისე ჩანს, რომ თქვენი შეხვედრა პრეზიდენტ ბუშთან მაინც განსაკუთრებით გამორჩეული იყო.

— რეიგანით დაწყებული ყველა პრეზიდენტთან მქონდა შეხვედრები. ადამიანური სიტბოთი, უშუალოებით, პატივისცემის გამოვლინებით და ასე შემდეგ, ეს უნიკალური შეხვედრა იყო, რა თქმა უნდა, — თავისი შინაარსითა და გულწრფელობით. მან პირდაპირ მითხრა: თქვენ პრეზიდენტ ბუშის ოჯახის წევრი ხართ.

თვითმფრინავს იმ სიმაღლის მეთაედიც არ ჰქონდა აღებულლი, როცა მგზავრებს ნებას რთავენ, ღვედები შეიხსნან, ედუარდ შევარდნაძე წამოდგება და იმ უშუალოებით, რომელიც მი-

სი ხასიათის ორგანული გამობატულებაა, განდობილად მეუბნება:

— მშიშრები ადგილზე რჩებიან...

— პრეზიდენტები კი წინ მიდიან... — პროფესიული თავისუფლება, რას არ გაგაბედინებს.

შევარდნაძეს ელიმება და პირველი სალონისკენ მიდის.

\* \* \*

ახლა თქვენ მკითხავთ: რას ნიშნავს სათაურად გამოტანილი წინადადება?

დაგაინტერესათ ხომ? დარჩეს ეს პატარა ინტრიგა ამოსახსნელად.

არავითარი „ათას ერთი ღამე“, რადგან შემდეგი წერილი იწყება: „ამ დილით ვაშინგტონში“.

2001 წლის 7 ოქტომბერი

## 2. 11 სექტემბრის კვალზე

ამ დილით ვაშინგტონში ისეთივე სიმშვიდეა, როგორც წინა დღეს. ვერ ვიტყვი, არის თუ არა ეს „სიმშვიდე ქარიშხლის წინ“, რადგან არავითარი ნიშანი არ არის ქარიშხლის.

ქარიც არ ჩანს, მწვერვალებს მოსადები.

არადა, ომის წინა დღე ყოფილა. ეს გაცხადდება ხვალ.

თეთრ სახლთან პოლიციელთა ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობაა. ძალიან თუ დააკვირდები, შეამჩნევ, მაგრამ ავტომატ-მომარჯვებულის, ესესელის დგომში გაშეშებული იქ არავინ ჩანს.

არ ჩანან, თორემ არიან იქ, სადაც საჭიროა, „სრულ საომარ მზადყოფნაში“ სპეციალური დანიშნულების რაზმები.

აქედან ასიოდ მეტრში, სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ მახლობლად და მერეც — ქუჩის გაყოლებით ჯიხურებში (სადაც ლათინოსები ვაჭრობენ) იყიდება ამერიკული დროშები, მათსურები უკვე არარსებული „ტყუპების“ და... ბენ ლადენის გამოსახულებით.

ეს, ტურისტებზე გათვლილი „სავაჭრო რიგი“ დიდ ბიზნესზე არანაკლებ განიცდის კრიზისს, რადგან დღე ისე ჩათავდება, მყიდველი არავინ გამოჩნდება.

მაგრამ ფასს მაინც არავინ აგდებს.

ამერიკელი ობივატელი თავის თავში ჩაიკეტა და საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შკალით აფასებს პრეზიდენტ ბუშის ანტიტერორისტული ოპერაციისთვის სამზადისს.

უზარმაზარი მედია — ტელევიზია და პრესა — საზოგადოებრივ აზრს „დღე X“-სათვის ამზადებს. საოცარი შეკავშირებაა ქვეყნის მეთაურის გარშემო, არნახული ნდობა მისდამი ყველასი, მიუხედავად იმისა, მისცა თუ არა ხმა მოქმედ პრეზიდენტს.

ამერიკელი თავისი პრეზიდენტის ღირსებას, როგორც საკუთარს, ისე უფრთხილდება.

ამდენი საზრუნავით და ემოციით დატვირთულ „ჩვეულებრივ ამერიკელს“ თითქოს არც დრო, არც სურვილი არ უნდა ჰქონდეს, ზედმეტი ინფორმაციით თავი დაიტვიროს.

ზედმეტი — არა.

მაგრამ ქვეყნის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსში არის. პეტრე ჩხეიძე, ჩვენი წარმომადგენელი გაეროში, მომიყვება, ასეთ სპეციფიკურ სიტუაციაში ამერიკელთა დიდი ინტერესის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის ვიზიტისადმი. ზოგადი ფრაზებით კი არა, კონკრეტული ფაქტებით, და მრავალთაგან აქ მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ:

ტაქსით მგზავრობდა იმ დღეს ნიუ-იორკში ბატონი პეტრე. ნიუ-იორკელ ტაქსისტებს უყვართ გამოლაპარაკება მგზავრობთან. აქაც გააბა საუბარი და სადაურობა ჰკითხა. პასუხი რომ მიიღო, ააა, შევარდნაძის ქვეყნიდან ხარ, საქართველოდანო? და შემდეგ იმ ტაქსისტმა ილაპარაკა შევარდნაძის დიდი კაცობის შესახებ.

ეს — საზოგადოების ერთი ფენის წარმომადგენლის აზრი.

ახლა — მეორის, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის. ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტში ასე წარუდგინეს ლექციის მოსასმენად ორ დიდ აუდიტორიაში (მეორეში მონიტორი იყო ჩართული) შეკრებილ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუ-

დენტებს, ასპირანტებსა და სხვადასხვა პროგრამების მსმენელებს პრეზიდენტი შევარდნაძე:

— იგი არის უნიკალური პიროვნება, — თქვა ჰარვარდის ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის დირექტორმა გრენ ელისონმა, — რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ორი ქვეყნის ისტორიაში: პირველი, საბჭოთა იმპერიის გარდატეხისა და დასასრულის პერიოდში და, მეორე, ახალი, დემოკრატიული ქვეყნის შექმნისა და ჩამოყალიბების ეტაპზე.

განსაკუთრებით აღნიშნა მისი დამსახურება მსოფლიოში „ცივი ომის“ დასრულების ისტორიულ მისიაში ბუშთან, ბეიკერთან, გორბაჩოვთან ერთად.

იგი სახელმწიფოს სათავეში მოღვაწეობს ურთულეს პერიოდში, წინააღმდეგობრივ გარემოში, რომელიც შეიქმნა აფხაზეთის, ჩეჩნეთის, რუსეთის გამო.

ორი ტერორისტული აქტი განხორციელდა მის წინააღმდეგ. „სამიო“, — ჩაუთო შევარდნაძემ და გაილიმა. ჩანს, ამდენი ქეზით უხერხულად იგრძნო თავი და ამ რეპლიკით ორატორის მიწაზე დაბრუნება სცადა.

სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან ორატორს უნდა გაეხსენებინა და გაიხსენა კიდევ, რომ სტუმარი ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო ხარისხის მფლობელია და რომ სწორედ მან — საქართველოს პრეზიდენტმა და ჰარვარდის პროფესორმა — პირველმა გამოუგზავნა ამერიკის პრეზიდენტს თანაგრძნობისა და თანადგომის წერილი 11 სექტემბრის ტრაგედიასთან დაკავშირებით.

პირველმაო.

არა მარტო აქ არის პირველი.

მსოფლიო ლიდერთაგან ედუარდ შევარდნაძე პირველი იყო, ვინც პირადად მივიდა ამერიკის ტრაგედიის ადგილზე, მანჭეტენის ნანგრევებზე და პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

ეს იყო ქართული მენტალიტეტის მსოფლიო მასშტაბით წარმოჩენა (შედარებისთვის: მიხეილ გორბაჩოვი ჩერნობილს სათოფეზე არ გაჰკარებია), სხვისი (სხვისი?) ტყვილის გათავისება და კიდევ ბევრი რამის ხაზგასმა: ტერორიზმი ის თეთრი აქლემია, რომელიც ყველას კართან დაიჩოქებს სიკვდილივით.

მაგრამ არა ფატალური გარდაუვალობით. და ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ცივილიზებუ-

ლი მსოფლიო ანტიტერორისტულ კოალიციაში გაერთიანდება.

აფხაზეთის ომის დროს და აფხაზეთის ომის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო ლიდერთაგან პირველი იყო, ვინც დაჟინებით, ახალი და ახალი არგუმენტების მოშველიებით აფრთხილებდა ჯერ რუსეთს, მერე მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს, რომ, თუ არ აღმოიფხვრება აგრესიული სეპარატიზმი და ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმის დამოკლეს მახვილის პერსპექტიული საშიშროება ფაქტად იქცევა.

არ დარჩენილა ეს მოწოდება ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა, მაგრამ ვერც გაეროს მნიშვნელოვანი, თუმცა უძალო რეზოლუციები, „სახანძრო რაზმების“ რეალობად ვერ დაკონკრეტდა.

შედეგად: ჩეჩნეთისა და ბალკანეთის გავლით 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში.

— **რა შთაბეჭდილებით დაბრუნდა პრეზიდენტი შევარდნაძე მანჰეტენიდან?** — „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვა.

**პაუზა. საკმაოდ ხანგრძლივი — ბუნებრივია, განცდა ღრმაა და ფიქრი დიდი.**

— მე გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ძალიან მოკლე დროში ისე მოანესრიგეს მანჰეტენი, რომ ქალაქი უკვე ქალაქს ჰგავს.

ნიუ-იორკის მერი არის უნიკალური პიროვნება. მოქალაქეთა დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით სარგებლობს. ძალაუფლებაც დიდი აქვს და დახმარებაც მთავრობის მხრიდან.

მიმაჩნია, რომ ცუდი არ იქნებოდა, შეიქმნას ნიუ-იორკის ალდგენის მსოფლიო ფონდი.

მე მაინც მგონია, რომ ეს არ არის კლასიკური ტერორისტული აქტი.

**შემდეგ სხვა გამოსვლებსა და ინტერვიუებში პრეზიდენტი გაშლის ამ თემას.**

— **პარალელს ხომ არ გავავლებდით, ბატონო პრეზიდენტო, დანგრეულ თბილისთან, მოსკოვიდან ჩამოსულს რომ დაგხვდათ?**

— რა არის, იცით? ტკივილი თბილისის დანგრევის გამო, შეიძლება, მეტი იყო, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ეს ცათამბჯენები ასე დაინგრეოდა, ხუხულასავთ დაიშლებოდა, ამის წარმოდგენა მე არ შემეძლო, ამიტომ გაოცებისა და მოულოდნე-

ლობის ეფექტი აქ უფრო დიდია.

— რუდოლფო ჯულიანი, ნიუ-იორკის მერი, მართლა უნიკალური პიროვნებაა, — მითხრა პეტრე ჩხეიძემ, — შეიძლება ითქვას, რომ იგი ნიუ-იორკში პრეზიდენტი. მან საქართველოს პრეზიდენტთან საუბრისას განაცხადა სიტყვასიტყვით შემდეგი: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მთელი თქვენი ცოდნა და შესაძლებლობა შეალიეთ მშვიდობის დამკვიდრებას მსოფლიოში, ამიტომ არის, რომ მთელი მსოფლიო პატივს გცემთ. ჩვენ ეს ვიცით, გვახსოვს და არასოდეს დაგვაავიწყდება. ჩვენი კარი თქვენთვის ყოველთვის ღია არის და თქვენი ღვაწლი თაობებს გადაეცემა.“

პეტრე ჩხეიძე პრეზიდენტ შევარდნაძის ყველა საინტერესო შეხვედრას ესწრებოდა. აშშ-ში საქართველოს ელჩთან — თედო ჯაფარიძესთან ერთად ამზადებდა პრეზიდენტის ამ ვიზიტს. ამ ერთობლივ საქმიანობას და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო დეპარტამენტის უდიდეს წვლილს მან ხაზი გაუსვა ინტერვიუში, რომელიც ვაშინგტონში „ინტერკონტინენტალის“ ჰოლში ჩავიწერე და რომლის ჩანაწერიც დიქტოფონთან ერთად, ჩემთვის სრულიად გაუგებრად, სადღაც გაქრა.

დიქტოფონი — ჯანდაბას, მაგრამ საუბარი იყო ძალიან საინტერესო.

გუშინ ბატონ პეტრეს ტელეფონით ველაპარაკე და ერთი ფრაგმენტი აღვადგინე, სწორედ ის ფრაგმენტი, რომელიც საშუალებას მაძლევს, ავიხსნათ, საიდან მოდის ამ ჩანაწერების სათაური.

პეტრე ჩხეიძემ გაიხსენა:

— პრეზიდენტი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს რუსეთში — ბობ შტრაუსს. იგი ამჟამად უდიდესი ბიზნესმენია, დემოკრატიული პარტიის წევრი, მაგრამ ორივე პარტიაში ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებაა. არის ადვოკატთა უდიდესი ფირმის პატრონი.

ამ საუბარს ჩემთან ერთად ესწრებოდნენ ირაკლი მენაღარიშვილი, გელა ჩარკვიანი, თედო ჯაფარიძე და პრეზიდენტ კლინტონის ყოფილი მრჩეველი მადიში.

აი, ამ დროს განუცხადა შტრაუსმა შევარდნაძეს: — თქვენ მხარს გიჭერთ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია და მომავალშიც დაგიჭერენ მხარს, სულერთია, ვინ მოვა ხელისუფლე-

ბის სათავეში — რესპუბლიკელები თუ დემოკრატები. თქვენ კარგად იცით, რომ მე ბუშების ოჯახის წევრი ვარ, მაგრამ თქვენ ბუშების ოჯახის ჩემზე უფრო ახლობელი ბრძანდებით.

თქვენ უდიდესი პიროვნება ხართ და ამერიკას სწორედ თქვენი ძალიან დიდი იმედი აქვს, კავკასია სტაბილური რომ იყოს.

\* \* \*

საქინფორმის სპეციალურმა კორესპონდენტებმა მათა ალუ-დაურმა და მათა თაბაგარმა, ციური ბაჯელიძემ, რომელთაც თავმდაბლობის გამო ამერიკიდან გამოგზავნილ კორესპონდენტებს გვარებიც კი არ მოანერეს, იმდენი ოპერატიული მასალა მიანოდეს „საქართველოს რესპუბლიკას“, რომ მკითხველებიც და გაზეთიც სრულად დააპურეს უახლესი ცნობებით პრეზიდენტ შვეარდნაძის ვიზიტის შესახებ.

საქინფორმის ჯგუფი, ქალბატონ მერი გაბრიადის ხელმძღვანელობით, დღე-ღამეს ასწორებდა მასალების მიღება-გადა-მუშავება-გადმოცემაში.

რატომ ვწერ ამას? იმიტომ, რომ ჩვენს მკითხველს ეს ინფორმაცია ცჰქონდეს.

\* \* \*

**იმ დილით, როდესაც ეს წერილი დავიწყე, თეთრ სახლთან შეხვედრა ძველი ნაცნობისთვის გამარჯობის თქმასავით იყო:**

**— დილა მშვიდობისა!**

თეთრი და მწვანე ფერების მარტივი ესთეტიკა — მწვანე მინდორი, სვეტების სითეთრე და წითელი ყვავილების რკალი დროშის ზოლების სინთლის ძახილის ნიშნით.

სავსე თეთრი მთვარე, როგორც ნახევარმთვარის ალტერნატივა, ჯერ კიდევ მონაცრისფრო ცაზე ეკიდა და მზის პირველი სხივებით, როგორც ბუნებრივი ილუმინაციით, განათებული დროშები დაბალი სახლების სახურავებზე ფრიალებდა.

ყვიანახველიანი ყიყინით დაეშვნენ გარეული ბატები თეთრი სახლის წინ, მინდორზე და ჯოგებად ჩაუდგნენ თავის წილ ბალახს.

უზარმაზარ რკალად შემორტყმოდნენ მწვანე მინდორს ბაკებზე მიბმული ულაცებით „ფორდები“, „შევროლეები“, „კრაისლერები“, შედარებით ნაკლებად — „ტოიოტები“, სამი

„ფოლცვაგენი“ და ერთადერთი შავი „მერსედესი“.

ვერცხლისწყლის წვეთებივით დაგორავდნენ ციყვები წრეს ჩაყოლებულ ხეების ძირას და ისე ვაინტერესებდი მე, როგორც მე ისინი. და, თუ მაინც ვახსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ წერტილი დამესვა.

იყო 2001 წლის 6 ოქტომბერი. ომის დაწყების წინა დღე.

2001 წლის 10 ოქტომბერი

# საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ახალ ფაზაში შედის

კრემლის ერთ-ერთ უზარმაზარ, მოოქროვილ „ალექსანდრეს დარბაზში“ დსთ-ის პრეზიდენტების პრესკონფერენცია გაიმართა — თითო შეკითხვა თითო ქვეყნიდან. ჟურნალისტებს პრეზიდენტების პრესმდივნები აძლევდნენ სიტყვას.

ჩვენგან ტრადიციული „დაინტერესებული პირი“ კვლავ ინგა დადიანი იყო, „პრაიმნიუსის“ გენერალური დირექტორი. შეკითხვა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს, რა თქმა უნდა, „ამოუცნობი“ თვითმფრინავების მიერ თუშეთის დაბომბვას, საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევას ეხებოდა.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ძალიან ტაქტიკურად (ვითარებიდან გამომდინარე), მაგრამ პრინციპულად უპასუხა, რომ დილით, პლენარულ სხდომაზე მან ეს საკითხი (დაბომბვისა) შეგნებულად არ დააყენა, რადგან უნდა შეხვედეს რუსეთის პრეზიდენტს, მოელაპარაკოს მას სწორედ ამ ფაქტის გამო.

ქვეტექსტი — მიუღებელი და გაუმართლებელია, შენს ოპონენტთან საუბრის გარეშე, მისი პოზიციის გაუთვალისწინებლად აპრიორი დასკვნების გაკეთება.

მაგრამ „ფაქტი სახეზეა“.

და ეს ფაქტი უტყუარად ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს უმძიმეს ინციდენტთან ორი ქვეყნის ურთიერთობაში, როდესაც ერთი მხარე თავს უფლებას აძლევს, დაარღვიოს მეორის საჰაერო სივრცე, დაბომბოს მისი ტერიტორია, სოფლები. მაღლობა ღმერთს, უმსხვერპლოდ გადავრჩით, მაგრამ მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით.

ეს ინციდენტი, თქვა პრეზიდენტმა, ან ჩეჩნეთში მოქმედი სამხედრო ნაწილების მეთაურების თვითნებობის, ან მათი შეცდომის ბრალი უნდა იყოს.

პასუხი ისეთი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს ეკადრება, სახელმწიფო მოღვაწეს.

მოულოდნელად მკვახე და მკვეთრი იყო პუტინის პასუხი. თუმცა, თავისი საკმოდ გრძელი ტირადა დაიწყო მადლობით ეღუარდ შევარდნაძის მიმართ — ქვეყანაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის მიუხედავად, აუცილებლად ჩათვალაო, ჩამოსულიყო დსთ-ის საიუბილეო სამიტზე.

მაგრამ ამის შემდეგ უცებ აისხა აბჯარი და ისე შემოგვიტია, გამწარებულმა კაცმა რომ იცის.

კი არ გამოთქვა შეშფოთება ან სინანული ასეთი ინციდენტისა გამო, არამედ — ეს რანაირი სოფლების დაბომბვაა, თუ არავინ არ დახოცილაო? ნიშნის მოგებით, ცინიკურად!

ის კი არაო, და ახალ ამბავს გეტყვითო: ამ დილით დააკავეს ჰატაბის მოადგილე აბუ საიახი, რომელიც მეკავშირე იყო ჩეჩნებსა და არაბებს შორის და ამ კავშირს საქართველოს მეშვეობით განახორციელებდაო.

სრულიად უადგილოდ ჩართო „ახალი ამბავი“, რადგან ძალიან ჰგავდა გამოღმა შემოდავების პრიმიტიულობას, მით უფრო, რომ არ იყო მართალი ის, რაც თქვა: რუსეთისავე მასმედია იმავე დღეს, ფეხდაფეხ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იმ დილით მოთარეშე კი არ დააკავეს, მოკლეს, ხოლო მოკლულის მიერ მიცემული ჩვენების შესახებ თუ რამ გაგიგიათ, ალბათ, ზოგიერთ გაზეთში ამოიკითხავდით...

აი, თქვენ რომ რეტრანსლატორები გაქვთ და ამ რეტრანსლატორებით ჩეჩნები არაბებს რომ უკავშირდებიანო(?!);

პანკისში ნარკოტიკების ქარხანა რომ გაქვთ და ხალხს გვიწამლავთო(?!);

თქვენს ტერიტორიაზე მოთარეშეთა სანვრთნელი ბაზები რომ არისო(?!) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ამ „ასე შემდეგს“ თავი დავანებოთ. სხვა რამ უფრო საინტერესოა: ამირ ჰატაბის თანამებრძოლის — აბუ საიახის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვერსიას ქართველი ძალოვნები ფრიად საეჭვოდ მიიჩნევენ. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის — ჯემალ გახოკიძის თქმით, აბუ საიახი, როგორც ჰატაბის მარჯვენა ხელი, ჩეჩნეთში ტერაქტების ორგანიზებით იყო დაკავებული.

ძალიან ჰგავდა პუტინის პასუხი წაგებული პერსპექტივის (დაბომბვა რუსეთის თვითმფრინავებით რომ მოხდა, ამის დამ-

ტკიცება სათუო არ უნდა იყოს) ამთავითვე გამართლების მცდელობას.

შემოგვიტია, ძალიან შემოგვიტია და არ დაუფარავს გაბრაზება და აღელვება. იმდენად ამოვარდა კალაპოტიდან, რომ, როდესაც „ფაქტების“ უტყუარობის დასაბუთება სურდა, თქვა (წამოსცდა) — **საბჭოთა სპეცსამსახურების მონაცემებით დასტურდება**. მართალია, იქვე გაასწორა, რუსეთისო, მაგრამ სიტყვა უკვე გაფრენილი იყო. გაჭირვების დროს კაცი თავის მშობლიურ ენაზე რომ შესძახებს — ვაიმე, დედაო! — იმას ჰგავდა.

წარმომავლობას რომ გამოააშკარავებს თავისას.

მეტს არაფერს ვიტყვი.

ფრიად უხერხული მდგომარეობა შეიქმნა, დამძიმდა სიტუაცია. ქართველი ჟურნალისტები იმდენად სულში ჩაფურთხებულებივით ვიყავით, წამოვდექით კიდეც გასასვლელად, მისატოვებლად პრესკონფერენციისა, მაგრამ სად გარბინარ, რომ გარბინარ?

პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრა წინ არის, ყველაფერი მხოლოდ იწყება, როგორ დამთავრდება?

ამ დღეებში აქ გერმანელი ფაშისტებისგან მოსკოვის დაცვისა და კონტრშეტევაზე გადასვლის 60 წელს აღნიშნავენ. მაშინ სტალინმა გამოიყენა ფრაზა (გნებავთ, ლოზუნგი): რუსეთი დიდია, მაგრამ ჩვენს უკან მოსკოვია!

ჩვენს უკან საქართველო იყო, თავისი უმწვავესი პრობლემებით და ეს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტმა იცოდა: საქართველოში მშვიდობის შენარჩუნება სრულად მის ხელში იყო. ალბათ, ნებისყოფის მაქსიმალურად მობილიზება დასჭირდა, დემონსტრაციულად რომ არ მიეტოვებინა სამიტი თავისი პრესკონფერენციით.

დარჩა.

დარჩა თუნდაც იმიტომ, რომ მეორე მხარემ სრულად გაამჟღავნა თავისი თავი, თავისი პოზიცია და უკვე წაგებულ იყო.

უმალლეს დონეზე დიპლომის დიდოსტატმა ეს იმავე წამს იგრძნო, თუმცა არაფრით გაამჟღავნა: სახეზე არც ერთი კუნთი არ შერხვია.

პუტინმაც იგრძნო რალაც — აკი ვთქვი, დარბაზში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა, მოჟღურტულე ჟურნალისტებმა ხმა გაკმინ-

დეს. არ შეიძლება არ ეგრძნო და ამიტომ უკვე მომდევნო შეკითხვაზე პასუხის გაცემა დაიწყო ასე:

— სანამ ამ შეკითხვას ვუპასუხებდე, მინდა, წინა შეკითხვაზე პასუხი დავამთავრო იმით, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მონესრიგებაში უდიდესი როლი ენიჭება სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობაო.

\* \* \*

შეეძლო თუ არა შევარდნაძეს, იქვე ეპასუხა, ასე ვთქვათ, „ადგილზე დაესვა“ სპეცსამსახურების ინფორმაციულ ემოციებს აყოლილი პუტინი?

არ შეეძლო.

არ შეეძლო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პრესკონფერენციის წესი და რეგლამენტი არ იძლეოდა ამის საშუალებას (თითო შეკითხვა პრეზიდენტებს და მათი პასუხი ამ შეკითხვაზე მკაცრად იყო დაცული).

და მეორე: ეს არ იყო არც „მოამბე“ ინგა გრიგოლიასთან ერთად, არც ეკა ხოფერიას „ლამის კურიერი“, სადაც მიწვეული პოლიტიკოსები გააფთრებულ ხარებს ჰგვანან და ჩვენი კდემამოსილი კოლეგები ტორეადორის სიმშვიდით, დაშნის ელეგანტური ჩაცემით „კორიდას“ თავიანთ სასარგებლოდ ამთავრებენ.

არ იყო პოლიტიკური შოუ. აქ თავშეკავება და უმაღლესი დიპლომატია გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე, თუნდაც პრეზიდენტ ლუკაშენკოს სოციალისტური ვნებანი, რომელთა კიდევ ერთხელ გამჟღავნების მოწმენი გახდნენ პრესკონფერენციის მონაწილენი.

პუტინი კი შოუს აზარტმა აიტაცა, რაც შესანიშნავად გამოიყენეს იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც მისი „პროკრუტიტ“ არიან დაინტერესებული: ნახეთ, რა პრინციპული და რუსეთის ინტერესების როგორი უკომპრომისო დამცველიაო ჩვენი პრეზიდენტი.

კაცმა რომ თქვას, აბა, ვისი და რისი ინტერესები უნდა დაიცვას პრეზიდენტმა თუ არა თავისი ქვეყნის?! სავალალო ის არის მხოლოდ, რომ ამ შემთხვევაში ვლადიმერ ვლადიმერის ძე რუსეთის სამხედროების საეჭვო (თუმცა, ყველასთვის აშკარა) ინ-

ტერესების მალემრწმენ დამცველად გამოვიდა, უფრო სწორად, ამ ინტერესების დეკლამატორად.

სამწუხაროდ.

საქართველოს საელჩოში უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამის გამო თქვა: როგორც ჩანს, მე და პრეზიდენტ პუტინს ინფორმაციის განსხვავებული წყაროები გვაქვსო.

ზოგიერთმა ტელეარხმა თავისი სიმპათიის შესაბამისად დაამონტაჟა და გადასცაო პუტინის პასუხი: მთლიანად მოკვეთეს დასაწყისი, გაავდნენ მეორე ნაწილზე.

მოდით, ცოტა გავშალოთ ეს თემა: თავისი პასუხის შესავალში პუტინმა უდიდესი პატივისცემით ილაპარაკა პრეზიდენტ შევარდნაძეზე, მის სახელმწიფოებრივ სიბრძნეზე: „მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს იმისთვის, რომ იგი, მისთვის ჩვეული სახელმწიფოებრივი სიბრძნით, სირთულეთა მიუხედავად, ჩამობრძანდა მოსკოვში, რათა შევხვედროდით და გულახდილად გაგვეზიარებინა აზრები ამ სიტუაციასთან **(დაბომბვის ფაქტი იგულისხმება. — ა.ს.)** და მთლიანად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით“.

აი, ეს არ მოეწონათ სხვაგვარ ინფორმაციულ ნადირობაზე დაგეშილ კოლეგებს. არ მოეწონათ და არ გადასცეს.

ესეც თქვენი „ობიექტური“ რუსული პრესა!

თუმცა ამ „ობიექტურ“ და „თავისუფალ“ მედიაში ისეთ დასკვნებს ამოიკითხავ და მოისმენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ მიმართული ეს დემარში ისტერიკის გარეშე უნდა აღიქვას და შეაფასოს.

ისტერიკა აქ უნდა ნახოთ, ანტიამერიკული ისტერიკა, ანტიებრაული და ა.შ.

აი, ერთი მაგალითი. ტელეარხ „რუსკი დომის“ წამყვანი — პროფესორი და გენერალ-ლეიტენანტი (გვარი არ დამიხსოვებია) სრული სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ აშშ-მა 11 სექტემბრის ტერაქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში თვითონ მოიწყო: რომ სადღაც, გამოქვაბულში მჯდომი ბენ ლადენი კი არ დგას იმ ტერაქტების უკან, „ციმბირის წყლულის“ ფხვნილებით გავრცელებაში რომ გამოიხატა, არამედ, თუ თვით ამერიკა არა (ნიშნის მოგებით: — რატომ არავის მიმართეს დახმარებისთვის?), ისრაელის „მოსადი“ ხომ არის და არისო...

ვისხედით ალექსანდრეს დარბაზში ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები, ობიექტური დამკვირვებლის ფუნქციადაკარგულე-ბი. ის, რაც აქ ხდებოდა, უკვე სრულიად უინტერესო იყო ჩვენთვის.

ასეთი სტრესი სწრაფად არ ნელდება. ამ ემოციური ტალღიდან ამოსასვლელად (ცხადია, არა მარტო ამისთვის) უკვე თვითმფრინავში მიმართავს პრეზიდენტს შეკითხვით ანი მიროტაძე („ახალი თაობა“):

— **ტრიალებს აზრი იმის თაობაზე, რომ თქვენ უნდა გეპასუხათ პრეზიდენტ პუტინისთვის.**

— კომპლიმენტები საქართველოს პრეზიდენტის მიმართ ტელერეპორტიორებმა „მოჭრეს“, რაც კატეგორიული იყო, გადასცეს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ჩვენ ვისაუბრეთ გულახდილად და პრინციპულად **(საელჩოში პრესკონფერენციაზე თქვა, — ამხანაგური საუბარი გვექონდაო. — ა.ს.)**.

მე თავიდან ავიღე ისეთი კურსი, რომ იმ ფონზე, რომელიც მძიმე იყო ძალიან, უფრო მეტი სულგრძელობა გამოემჩინა, თუ გვსურდა, რალაც შედეგისთვის მიგვეღწია.

ასეთი შედეგები აუცილებლად გვჭირდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი კვირა რუსეთმა გაზის მოწოდება რომ შეგვიწყვიტოს... ჩემი ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ ამ საკითხზეც მიგველო პასუხი. და მან გადაჭრით მითხრა, რომ, როგორც აქამდე იყო, ასევე დარჩება ყველაფერი.

და არა მარტო ამ სფეროში.

— **ესე იგი, ბატონო ედუარდ, ის კატეგორიულობა, რომელიც კრემლში პრესკონფერენციაზე გამჟღავნდა, პირადი შეხვედრით განელდა? („საქართველოს რესპუბლიკა“).**

— მეტიც, კარგი საუბარი იყო.

— **საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო პერიოდის ურთიერთობა შეაფასეს, როგორც „ცივი ომი“. თუ ეს შეფასება სწორია, ასეთ შეკითხვას დაგისვამთ: დღეს მეორე „ცივი ომი“ ხომ არ მოიგეთ? („საქართველოს რესპუბლიკა“).**

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა: თან ეღიმება. ბოლოს:

— არა, „ცივი ომამდე“ არ მისულა მთლად საქმე, მაგრამ გაცილებული ურთიერთობა კი არის.

საუბარიც ამ ფონზე წარიმართა.

მე ასე დავახასიათებდი: ეს არის შემობრუნების დასაწყისი.

ეს არ არის რაღაც ახალი ეტაპი, მაგრამ, როდესაც საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდება და მას ხელს მოვანერთ (ალბათ, ჯერ მე მომიწევს მოსკოვში ჩასვლა, მოგვიანებით იგი ჩამოვა თბილისში), მაშინ კი ახალი ურთიერთობის მშენებლობა დაიწყება.

\* \* \*

**ესე იგი, მთავარი შედეგი დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტების საიუბილეო სამიტისა ჩვენთვის და საჩვენო:**

**საქართველო-რუსეთის „გრილი ურთიერთობა“ ახალ ფაზაში, იმედი ვიქონიოთ, დათბობის ფაზაში შევიდა.**

**2001 წლის 2 დეკემბერი**



# 2002 წელი





# ჰანს დიტრის გენშეი: თქვენ წინაშე მსოფლიო ლაგანდა ღვას

2002 წლის 16 მარტს ჰალეში გამართული ჰანს დიტრის გენშეის გრანდიოზული საიუბილეო საღამო იმდენად მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანი იყო, შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი, რომ ვერარა საგაზეთო პუბლიკაცია, ვერც სატელევიზიო გადაცემა სრულად ვერ ასახავს იქ მომხდარსა და წარმოდგენილს — სახიობას დახვეწილი ფორმით და ტემპორიტ-მით, შინაარსით — პიროვნებაში მატერიალიზებული ერისა და პიროვნების ერთიანობას, პლუსი ნიშნით დიდი პოლიტიკის დემონსტრაციას; ემოციურად — თანამემამულისადმი პატივისცემასა და სიყვარულს, რომელსაც საზღვარი არ აქვს და თბილი იუმორით არის გაჯერებული თავიდან ბოლომდე.

ამ წერილის ქვესათაურიც იმ საღამოს იუმორიდან მოდის. იქ ითქვა, უფრო ხომ არ მოუხდებაო იუბილარს, ალილუია კი არ ვუთხრათ, ჰალელუია აღვავლინოთ, რადგან თავის მშობლიურ ჰალეში არის და ეს ქალაქი მის სადიდებელს ამბობსო.

რატომ მარტო ჰალე?

ეგებ, — მთელი დოიჩლანდი (გერმანია), რომელსაც დღეს, უპრიანი იქნება, გენშერლანდი დავარქვათო!

და ყველაფერ ამას დამატებული — გემოვნებით შერჩეული მხატვრული ნომრები — სიმღერა, სკეტჩი, ეგზოტიკური ცეკვა და ა.შ.

ყველაფერი გათვლილი იყო და ეს გათვლილი ყველაფერი დიდი თანამემამულის ღვანლის კიდეც უფრო წარმოჩენას ემსახურებოდა — გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, გერმანიის გამაერთიანებლის — ჰანს დიტრის გენშეის.

ეს გრანდიოზული სახიობა ისე ვითარდებოდა, რომ მისი კულმინაცია ორი ისტორიული პიროვნების, ორი ლეგენდარული საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრით გვირგვინდებოდა.

მაგრამ მოხდა ის, რაც არც ერთ სცენარში არ ეწერა: დარბაზი ზეიმის დაწყებამდე აფეთქდა ტაშით, მაშინ, როცა საქართ-

ველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მასპინძელთა თანხლებით შემოვიდა.

ეს არ იყო ზრდილობისთვის დაკრული ტაში, მით უფრო — ორგანიზებული: ფეხზე წამოუდგნენ და ოვაცია გაუმართეს, რომელიც მხოლოდ მაშინ შენელდა, როცა საპატიო სტუმარი ცენტრალურ მაგიდას მიუახლოვდა.

მაგრამ არ დაჯდა.

რატომ?

დაიძაბა აუდიტორია.

ედუარდ შევარდნაძე შეტრიალდა, უკან დაბრუნდა (რა ხდება? ინტრიგა) და შეეგება უკვე იქ მყოფ, მის შესახვედრად წამოსულ ჰენრი კისინჯერს — აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს.

კვლავ იფეთქა ტაშმა!

რაც გნებავთ, ისა თქვით, — მაგრამ იყო ეს პოლიტიკური სოლიდარობის დემონსტრაცია, საქართველო-ამერიკის ბოლოდროინდელი დაახლოების მხარდაჭერის გამოხატვა.

რა უსუსური ჩანს ამ ფონზე იმათი პოზიცია, ვინც ჰალეს სპორტდარბაზის ტაშით ამფეთქებელს ტერორისტების მფარველობაში ბრალსა სდებს.

უსუსური და ღვარძლიანი გამოხდომა, რომელიც მორიელის მიერ საკუთარი თავის დაგესვლას ჰგავს გამოუვალ სიტუაციაში.

იუმორის ტონის მიმცემი თვით ჰანს დიტრიხი იყო. მან თქვა, კარგად ვიცი, რამდენს იცინოდნენ ჩემს ყურებზეო. მეც ბევრჯერ მიცინიაო (არც შევარდნაძე გაუშვებს ამ მომენტს ხელიდან და თავის გამოსვლაში ეტყვის გენშერს: — შენი სურათი დავახატინე საქართველოში და ჩამოგიტანე, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ იმ სურათში ცოტა სხვანაირი ყურები გაქვს, აღარ მახსოვდაო შენი ყურების კონფიგურაცია). და, საერთოდ, ხაზი გაუსვა გენშერმა, პოლიტიკოსი იუმორის დიდი გრძნობით უნდა იყოს დაჯილდოებული, უნინარესად, საკუთარი თავისადმი და, ამასთან ერთად, სხვას არ დასცინოს!

არ დასცინოსო.

არის ახლა ვინმე ჩვენი ნორჩი პოლიტიკოსებიდან ამის წამკითხავი და დამმასოვრებელი?..

და კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც საყურადღებო უნდა იყოს

ჩვენი ჟურნალისტებისთვის (თუმცა, ამას გენშერი თავისიანების გასაგონად ამბობდა):

„ჟურნალისტებმა თავი უნდა დაანებონ პოლიტიკოსების პირად ცხოვრებაში ჩარევის მცდელობას. მათი ოჯახების წევრებს ისედაც დაძაბული და ნერვიული ცხოვრება აქვთ და თანაგრძნობას უფრო საჭიროებენ, ვიდრე ინტრიგანობას“.

გენშერმა გაიხსენა თავისი მოღვაწეობის კიდევ ერთი ურთულესი პერიოდი — პრალის საელჩოს წინ განვითარებული მოვლენები, როცა განამებულმა ჩეხებმა გერმანიის საელჩოს შეაფარეს თავი.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მათ დასავლეთ გერმანიაში გადაყვანას დაჰპირდა. მაგრამ დევნილებს სერიოზულად ეშინოდათ (და ამის საფუძველიც ჰქონდათ), რომ გდრ-ის და საბჭოთა სპეცსამსახურები მათ გადასვლის საშუალებას არ მისცემდნენ.

— მაშინო, — თქვა გენშერმა, — მე მივმართე ედუარდ შევარდნაძეს დახმარებისთვის. მან მკითხა (ამ შეკითხვის დასმა მხოლოდ შევარდნაძეს შეეძლო), ბავშვები თუ არიანო მათ შორის. დადებითი პასუხი რომ მიიღო, მითხრა: — ნუ გეშინიათ, ხელს არავინ ახლებს.

ედუარდ შევარდნაძემ სიტყვა არ გატეხა.

ამას რომ ყვებოდა გენშერი, დარბაზში დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე აჩვენებდნენ არეულობას პრალის საელჩოს წინ, ისტორიულ კადრებს. აი, ახალგაზრდა მამა თავის პატარა ბიჭს მალლა ასწევს და საელჩოს რკინის ღობის იქით მიანვდის გერმანელებს.

კადრი გაიყინება.

დიქტორი აცხადებს, რომ სცენაზე იწვევს ჩეხოსლოვაკიიდან დევნილებს — სწორედ იმ ოჯახს, რომელიც (სხვებთან ერთად) გენშერმა შევარდნაძის დახმარებით გადაარჩინა...

ზეიმი აპოგეას მიუახლოვდა. სცენაზე ადის ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტი მისასალმებელ სიტყვას ადამიანური ურთიერთობის ერთი, თითქოს უმნიშვნელო პასაჟით იწყებს, ამბობს, რომ აქამდე მან ვერა და ვერ გადალახა უხერხულობის ბარიერი და ყოველთვის თქვენობით ელაპარაკებოდა გენშერს.

— და დღეს გადავწყვიტე, შენობით მოგმართო, ჩემო მეგობარო ჰანს დიტრიხ.

კვლავ ტაშით გამოხატა თავისი მონონება აუდიტორიამ და შემდეგ გაიტრუნა, რათა ყურადღებით მოესმინა მისი სიტყვის თარგმანისთვის.

— ბევრი პოლიტიკოსი ოცნებობს იმაზე, რომ სიცოცხლეშივე დაუდგან ძეგლი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. შენ ის ადამიანი ხარ, რომელმაც ეს ძეგლი დაიდგა. ეს ძეგლი არის გაერთიანებული და გათავისუფლებული გერმანია. ასეთი რამის ნატვრაც კი შეუძლებელია.

თითქოს ამის პასუხია გენშერის სიტყვები:

— ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმაღლეს მწვერვალად მიმაჩნია გერმანიის გაერთიანება და ამ საქმეში ჩემს გვერდით იყო ედუარდ შევარდნაძე.

— მე ჩამოვედი იმ ქვეყნიდან, რომლის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და, ეს რასაც ნიშნავს, გერმანელები, ალბათ, ყველაზე უკეთ გაიგებენ... ჩვენ თავიდან აგვეწყო ურთიერთობა. ამ ურთიერთობით ბევრი საქმის გაკეთება შევძელით, მაშინ მოხერხდა ბერლინის კედლის დანგრევა. მაშინ ყველაზე ბედნიერი იყო გერმანია. დღეს მე მჭირდება დახმარება. დღეს ჩემს ქვეყანას ძალიან უჭირს...

და თითქოს ამის პასუხად გენშერი ამბობს:

— ყველამ, თითოეულმა გერმანელმა რომ საკუთარი ნვლილი გაიღოს საქართველოსთვის, მაინც ვერ გადაგიხდით იმის საფასურს, რაც ჩვენ გვაჩუქე, და მიმართა ხალხს: თქვენს წინაშე მსოფლიო ლეგენდა დგას — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. დიდი მადლობა მას ყველაფრისთვის!

\* \* \*

მეორე დღით, 17 მარტს გენშერმა და შევარდნაძემ ერთად ისაუბრეს. სასტუმრო „კემპინსკიდან“, სადაც გაჩერებული იყო საქართველოს პრეზიდენტი, მასპინძელი სტუმარს აცხილებს.

ახლა წარმოიდგინეთ:

სასტუმროს დერეფნით, გასასვლელისკენ ორი ლეგენდარული პიროვნება მიდის. თქვენ ხართ ჟურნალისტი, თანაც მხოლოდობით რიცხვში. რას იზამთ?

დიახ, სწორი ბრძანდებით, — ჩამოართმევთ ინტერვიუს. მაშ, ვიჩქაროთ.

— ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით...

თარჯიმანი უთარგმნის, გენშერი თითქოს თანახმაა.

— ერთი საათი გეყოფა? — ეს ედუარდ შევარდნაძეა, თავისი იუმორით. უთარგმნიან გენშერს. იგი ხვდება ამ იუმორის მარტივად და, რაც მთავარია, დაფარულ თანხმობას. ორივეს ეცილება, ჩაენყო საქმე.

— ჰერ გენშერ, მეგობრებისთვის დროის ფაქტორს მნიშვნელობა არ აქვს. დიდი ხნის უნახავებიც რომ იყვნენ, ისე შეხვდებიან ერთმანეთს, თითქოს წუთის წინ შეწყვეტილ საუბარს აგრძელებენ. თქვენს ამდილანდელ საუბარში მოგონებები ჭარბობდა თუ დღეის პრობლემები? თუ პერსპექტივა?

გენშერი:

— იცით, ერთიც იყო და მეორეც. ჩვენ მართლაც ისე შევხვდით ერთმანეთს, თითქოს გუშინ დავცილდით.

შევარდნაძე:

— ჩვენ მართლაც გუშინ დავცილდით ერთმანეთს.

იცინიან. გენშერი (ოდნავ ჩახლეჩილი ხმით):

— საერთოდ, დრო არ გასულა შეხვედრებს შორის. წარსულზეც ვილაპარაკეთ, მომავალზეც და დღევანდელ სიტუაციაზეც, მაგრამ მე მინდა, უფრო პირადულს შევეხო და ვთქვა, რომ ჩემმა ქალიშვილმა გუშინ სალამოს, მიღებაზე მითხრა: — ბატონი პრეზიდენტი ზუსტად ისეთია, როგორც შენ აღმინერდი ყოველთვისო.

შევარდნაძე:

— ჩვენ ყველაფერზე ვილაპარაკეთ, რაც შეიძლება ამ დროში ჩატეულიყო.


ასე ჩაილია ის ერთი წუთი, რომელიც მაშინ არის უმცირესი, როცა შენ ძალიან გჭირდება.

დრო, მართლაც, ფარდობითი მცნებაა.

**2002 წლის 24 მარტი**



# 2003 წელი





# «სომ იხით, რა დიდი გნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქართველოს»

ასე განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების  
პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს  
პრეზიდენტთან — ელშარდ შევარდნაძესთან  
შეხვედრის დროს.

ეს მოხდა 31 მაისს, პეტერგოფში, სანქტ-პეტერბურგის 300  
წლის საიუბილეო ზეიმზე.

შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უთუოდ ღირს,  
დანვრილებით შევჩერდეთ ამ ფაქტზე.

მაშ ასე, ექსპოზიცია: პეტერგოფი, პეტრეს დარბაზი. ჩრდი-  
ლოეთის პალმირას საიუბილეო ზეიმის დამამთავრებელი  
აკორდი: 45 სახელმწიფოს ლიდერები მიწვეულნი არიან სა-  
ზეიმო სადილზე, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადი-  
მერ პუტინმა და მისმა მეუღლემ — ლუდმილამ მათ პატივსა-  
ცემად გამართეს. გამოსამშვიდობებელი ღონისძიებაა, თუმ-  
ცა ამის შემდეგ კიდევ ერთი აქტი გაიმართება — შადრევნე-  
ბის დიდ კასკადზე ლამაზ თეატრალურ სანახაობას წარმო-  
ადგენენ მარინეს თეატრის საბალეტო დასის მოცეკვავეები.

ეს იქნება მერე.

ახლა კი სტუმრებს დიდი სასახლის მეორე სართულზე „სა-  
ცეკვაო დარბაზში“ აპერიტივზე მიიწვევენ.

ყველა ელოდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზი-  
დენტის გამოჩენას, რომელიც ეს-ესაა ჩამოფრინდა პეტერ-  
ბურგში პოლონეთიდან და წუთი-წუთზე უნდა შეუერთდეს  
ზეიმის მონაწილე კოლეგებს.

პრეზიდენტები ჯგუფ-ჯგუფად დგანან. საუბრობენ. გან-  
წყობილება, რა თქმა უნდა, დღესასწაულის შესაფერისია.

ხომ ვთქვი, ელოდნენ-მეთქი, მაგრამ ჯორჯ ბუშის გამოჩე-  
ნას არც მოულოდნელობის ეფექტი აკლდა, არც ემოციური  
მუხტი: სტუმრები ერთბაშად მიტრიალდნენ, მიჰყვნენ ამ ემო-

ციურ ტალღას და რკალში მოიქციეს, გარშემოერთყნენ: „პეტრეს დარბაზში“ ზესახელმწიფოს ლიდერი შემოვიდა.

მისალმებები, კეთილი სურვილები.

ჯორჯ ბუში თითოეულს ხელს ართმევს, ადეკვატურად უპასუხებს მისასალმებელ კეთილ სიტყვებს, სულ რამდენიმე წამით, რაც ხელის ჩამორთმევას და მოკითხვას სჭირდება, ჩერდება თითოეულთან.

პრეზიდენტების ალყაში მოქცეული, იგი ენერგიულად მიჰყვება პროტოკოლით გათვალისწინებულ წესს, რომელიც თითქოს მარტივია, მაგრამ ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. უცებ ეს აწყობილი პროცედურა შეჩერდება, გაჩერდება მისალმებათა კონვეიერი: ინდოეთის პრემიერმინისტრის წინ მდგომი ბუში ეღუარდ შევარდნაძეს შენიშნავს, მისკენ მოტრიალდება, ხელგანვდილი გადმოჭრის დარბაზს და სიტყვებით: „გამარჯობა, ჩემო მეგობარო“ გულთბილად მიესალმება მას.

— მამაჩემი, ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტი, და მისი და თქვენი მეგობრები ყოველთვის მოკითხვას და კეთილ სურვილებს მაბარებენ თქვენთვის გადმოსაცემად. მე ამას სიამოვნებით ვასრულებ, — ასე დაიწყო ეს საუბარი ჯორჯ ბუშმა.

ეღუარდ შევარდნაძემ მიულოცა მას გამარჯვება ერაყის სამხედრო კამპანიაში. ბუშმა დიდი მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ანტიერაყული კოალიციისთვის იმ ფონზე, როცა ზოგიერთს ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობასა და წარმატებაში ეჭვი ეპარებოდა.

ახლა უკვე სხვა სიტუაცია ჩამოყალიბდა და სხვა საკითხები წინ წამოიწია. ეს-ესაა ჩამოვედი პოლონეთიდან, სადაც დიდი გამოსვლა მქონდა. მთავარი აქცენტი ახლა ხალხთა შერიგებაა (ბუშს მხედველობაში ჰქოდა ევროპაში ჩამოყალიბებული სიტუაცია, როცა ნაწილი ქვეყნებისა კოალიციას არ შეუერთდა, რამაც ევროპის სახელმწიფოთა შორის გარკვეული დაპირისპირება გამოიწვია).

ეღუარდ შევარდნაძემ დაუდასტურა, რომ ასეთი კურსი ყოველმხრივ გამართლებულია და მნიშვნელოვანი, ხოლო მისი განხორციელება — გადაუდებლად აუცილებელი. შედეგიც შესაბამისი იქნება.

— რასაც თქვენ ამბობთ, გარდაუვალია. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, — უდასტურებს ჯორჯ ბუში.

ამშ-ის პრეზიდენტი დაინტერესდა, თუ როგორ ხორციელდება საქართველოში ამერიკული პროგრამები, უნინარესად, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ხოლო მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი შევარდნაძე უპასუხებს, რომ შედეგები სანიმუშოდ კარგია, რომ ჩვენი ქვეყანა ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა ხელი შეუწყოს რეგიონში სტაბილურობის დამკვიდრებას და მადლობას ეტყვის დახმარებისთვის, განაცხადებს:

— ჩვენი მხარდაჭერა გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა მრავალმხრივ განვითარდება და თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქართველოს.

\* \* \*

გამოფრენის წინ პრეზიდენტი შევარდნაძეს ტრადიციული პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისთვის არ გაუმართავს — შუალამეს გადაცილებული იყო: საიუბილეო, ისედაც გადატვირთული პროგრამა, უსაშველოდ გაგრძელდა.

სახელდახელო (ილ-62-ის აფრენამდე) შეხვედრის დროს მან მხოლოდ ის მთავარი მომენტები აღნიშნა, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

საქართველოს პრეზიდენტმა, უნინარეს ყოვლისა, დაასახელა ჯორჯ ბუშთან შეხვედრა, შემდეგ — რუსეთის პრეზიდენტი პუტინთან საუბარი და იგი შეაფასა, როგორც კონსტრუქციული და ორივე მხარისთვის სასარგებლო.

ამ შეხვედრაზე განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი.

პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე მთავარი არის სოჭში მიღწეული შეთანხმებების აუცილებელი შესრულება. „ამ შეთანხმებების ამოქმედების პროცესს თავად უნდა მივადევნოთ თვალი და ვაკონტროლოთ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. ამ პროცესის დროს წარმოქმნილი დაბრკოლებებისა და პრობლემების ოპერატიულად გადასაჭრელად, ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და ყოველგვარი გაუგებრობის თა-

ვიდან ასაცილებლად და, საერთოდ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის თანმიმდევრული განვითარებისთვის მიზანშეწონილად მიიჩნიეს (ვლადიმერ პუტინის წინადადებით) ეგრეთ წოდებული „ცხელი სატელეფონო ხაზის“ ამუშავება.

პეტერბურგის საზეიმო პროგრამის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრს — ტონი ბლერს შეხვდა.

ორივე პრეზიდენტის საერთო პოზიცია ასეთ ფორმულაში გამოიხატა: უკვე დადგა დრო და ყველა პირობა შეიქმნა საიმისოდ, რომ დიდმა ბრიტანეთმა ისტორიული როლი შეასრულოს კავკასიაში: უწინარესად, აქტიურად ჩაერთოს საქართველოში მიმდინარე პროცესებში, განსაკუთრებით კი, კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

ამ ჭრილში არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი ასეთი დეტალი: ეუთოს მისიის ხელმძღვანელად საქართველოში აქამდე ლაკომბი მუშაობდა, ახლა დანიშნულია დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, რომელიც მალე ჩამოვა თბილისში. ისიც საყურადღებოა, რომ ინგლისი ჯერჯერობით ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც უშიშროების საკითხებში სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს.

\* \* \*

— სანქტ-პეტერბურგის საიუბილეო ზეიმზე წამოუსვლელი ბა არ შეიძლებოდა, — გვითხრა პრეზიდენტმა, — ჩვენ ვალი გვადევს ამ ქალაქის, რადგან სწორედ აქ სწავლობდნენ დიდი ქართველი მამულიშვილები და ერისკაცები, ისინი, ვინც სათავეში ჩაუდგა და ათწლეულების მანძილზე წარმართავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ჩვენი კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების ახალ სიმაღლეებზე ასვლა სწორედ ამ ქალაქთან არის დაკავშირებული.

ამიტომ ვიყავით ვალდებული, ჩამოვსულიყავით პეტერბურგში.

და ერთგვარად წრე რომ შეიკრას, ბოლო შეკითხვა პრეზიდენტს:

— პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრის შესახებ გვეტყვი რამეს?

— მხოლოდ იმას, რომ ეს იყო სახელმწიფოებრივად უაღრესად სასარგებლო და საჭირო შეხვედრა, თანაც საოცრად თბი-

ლი, ადამიანური, გულწრფელი და კაცური შეხვედრა.

ასეთივე საინტერესო და სასარგებლო იყო საუბრები ჩემს მეგობრებთან — თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

ასე რომ, სწორი გზით მივდივართ. თუ არ გადავუხვიეთ, რასაკვირველია...

მრავალმნიშვნელოვნად ამთავრებს, ელიმება.

თბილისში დაბრუნებულებს გვხვდება ამბავი ერთი ალიაქოთის შესახებ, რომელიც ვილაცას კომმარულ სიზმარში უნახავს — საქართველომ ხელი მოაწერაო გადაწყვეტილებას აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მანდატის 10 წლით გაგრძელების შესახებ.

ტელევიზიით — პირველი არხით, „იმედით“ — ამ აბდაუბდას უკვე უპასუხეს.

მე არ გავაგრძელებ, რადგან უაზრობაზე არ დავობენ. „რუსთავი2“-ის კორესპონდენტის — რუსუდან ნიკურაძის გუშინდელი სიუჟეტის შემდეგ ზურაბ ჟვანიამ საკუთარი ფანტაზიით შექმნილი მონსტრებით შეშინება რომ დაგვიწყო, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი.

ესიზმრება და ეზმანება.

იმას კი ვიტყვი, რომ, თუ ვერ არჩევ, რა განსხვავებაა 1992 წელს „რეპრესირებული ხალხების უფლებათა აღდგენის სფეროში დსთ-ის სახელმწიფოთა თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებასა (10 წლით იყო დადებული და იაროვმა მისი 10 წლით პროლონგაციის თაობაზე ილაპარაკა) და აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელებას შორის, საკუთარი დასკვნებისგან თავი უნდა შეიკავო.

ცნობისთვის, დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის მიერ დაყენებული საკითხის განხილვაში საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია.

**2003 წლის 2 ივნისი**

**პანკისის ხეობიდან  
მომდევნო რევოლუტაჟმა,  
არა მგონია, დაარღვიოს  
წიგნის საერთო კონცეფცია.  
ვგედავ და გთავაზობთ.**

# ღღე, ჩოქელი ერთ ღღეზე მეტია

ყველა წინააღმდეგი იყო — ძალოვანი სტრუქტურები, მეგობრები, ახლობლები... ყველას თავისი არგუმენტი ჰქონდა, ანუ პაკეტი არგუმენტებისა. მთავარი მაინც ერთი იყო: პანკისის ხეობაში არის იარაღი და არის ომიდან გამოსული ხალხი, რომელიც ისე შეეგუა და შეეთვისა იარაღს, რომ ავტომატის სამიზნეში მოხვედრილი ადამიანი აღარ აღიქმება ტაბუირებულ სიცოცხლედ, რომლის ხელყოფა ღვთისაგან აკრძალულია („არა კაც ჰკლა...“), ხოლო დანიის პრინციის ფორიაქი ყოფნა-არყოფნის გამო თავსატეხად და საკითხავად („საკითხავი, აი, ეს არის“...) შექსპირისავე პრობლემად რჩება.

ურთიერთობები ავტომატის სასხლეტის გამოკვრამდეა გამარტივებული. მით უფრო, როცა არის ძლიერი გამაღიზიანებელი.

იყო სხვა, არანაკლებ დამაჯერებელი არგუმენტი — პროვოკაციის შესაძლებლობა, რომლის მოწყობის პროფესიონალები დაინტერესებულ სპეცსამსახურებში ძალიან მაღალ ხელფასებს იღებენ.

მედია მეზვრიშვილიც კი, თელავის გამგებელი, ლეგენდარული მასპინძელი და ვაჟკაცივით რისკიანი ქალბატონი, სადამდიც ხმა მიუწვდებოდა, აგონებდა — თავი დაგვანებოს რა... პრეზიდენტზე ამბობდა, ხალხო!

ედუარდ შევარდნაძე გასულ კვირადღეს პანკისის ხეობაში მაინც წავიდა.

და წავიდოდა, ჯოჯოხეთის გეენის დატრიალების საშიშროებაც რომ ყოფილიყო იქ.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ უშიშარია (წარმოუდგენლობამდე) და, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ეთამაშება სიკვდილს.

არწასვლა ნიშნავდა გაუცხოებას, გაუცხოებას ამ მხარისა და ამ მხარესთან, სადაც, საზღვრის სიახლოვისა გამო, რა თქმა უნდა, არ არის მარტივი მდგომარეობა.

და ამ სიტუაციაში, როგორც ყოველთვის მსგავს ვითარებაში, ამოქმედდა შევარდნაძის ფორმულა ნდობის მოხვეჭისა და

ნდობის გაფრთხილების შესახებ.

გამჭოლი ეფექტი აქვს ამ ფორმულას — ნდობა ნდობის წილ, და არ არსებობს ძალა, რომელიც მას წინ აღუდგება, „ვინაიდან ყოველი ღვთისგან შობილი ძლევს ნუთისოფელს; ეს არის ძლევა, ნუთისოფლის მძლეველი — ჩვენი რწმენა“ (ახალი აღთქმა, მოციქული იოანეს პირველი წერილი, 5;7).

საქართველოს პრეზიდენტის დამოკიდებულებამ, პოლიტიკამ ამ ხეობის მიმართ ნდობა და მხარდაჭერა მოუპოვა შევარდნაძესაც და მის პოლიტიკასაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან — ქისტებშიც, თუშებშიც, ხევსურებშიც, ფშავლებშიც, ოსებშიც და ლტოლვილ ჩეჩენთა მხრიდანაც.

ამ ნდობას გაუფრთხილდა ედუარდ შევარდნაძე და იქ ჩასვლით დაამტკიცა, რომ პოლიტიკა არა მარტო შესაძლებლის ხელოვნებაა, არამედ ხელოვნებაც ნდობის მოხვეჭის.

და — რისკიანი ხალხის საქმე.

ეს იგრძნეს, გაიგეს, განიმსჭვალნენ ამით ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში და ჩაიძურნა ბილნი და ბოროტი ხევსუვეების ნაპრალებში, რომელთაც თეთრ სუდარასავით გადაფარებოდა იმ მზიან დღეს კავკასიონის ფერდობებიდან ჩამონახვავი თოვლი.

კახეთის კავკასიონი — თეთრი მიუნვდომლობა — ხადორის ხეობიდან ჩამოქცევასავით ჩანდა, გაფრთხილებად სტიქიასთან ბრძოლის შეუძლებლობისა, თეთრმოსასხამიანი სნაიპრებივით ჩასაფრებულიყვნენ უსახელო მწვერვალები ზამთრის ტყის შავი ხეების ქაოსურ შორისებში.

სამაგიეროდ, არსად ჩანდნენ სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების მებრძოლები (პრეზიდენტის დაცვის, ვთქვათ ასე, შეზღუდული კონტინგენტის გარდა): შევარდნაძის ჩასვლის გამო ძალის დემონსტრაცია არავის მოუხდენია, იქნებ, პირიქითაც იყო — ხაზგასმული ნდობა: საქართველოს პრეზიდენტი ყველგან შინ არის, სხვათა შორის, პანკისის ხეობაშიც, ხადორის ხეობაშიც და ასე შემდეგ.

ხადორის ნასოფლარისკენ რომ მივდიოდით (ესეც გადმოცემით, თორემ ნასოფლარისა იქ არაფერი დარჩენილა) მე და ჩემმა კოლეგამ, „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარმა რედაქტორმა ტატო ლასხიშვილმა, არაერთხელ გავაჩერეთ მანქანა გზის არცოდნის გამო და ჩვენს შეკითხვაზე — ახლა საითო, პასუხის

მიღების შემდეგ თავად ვხდებოდით ინტერესისა და ცნობის-  
ნადილის დაკმაყოფილების წყარო:

— შევარდნაძე ჩამოდის?

— Шеварднадзе придет?

შევარდნაძე ჩავიდა, და არა მარტო ჩავიდა, არამედ შეხვდა  
მოსახლეობას — ადგილობრივსა და ლტოვილს.

ეს იყო სოფელ დუისის ცენტრში. არ ვიცი, რა ჰქვია იმ მოე-  
დანს, და ჰქვია თუ არა საერთოდ სახელი, მგონი, მოედანიც არ  
იყო, უფრო — გაშლილი მიწა, რომელზეც იდგა ხალხი, იდ-  
გა და გულისკენ (როგორც გსურთ, ისე გაიგეთ) გზა გაუხსნა  
ედუარდ შევარდნაძეს.

მიდიოდა ამ, ბეჭ-ნახევარი სიგანის დერეფანში საქართვე-  
ლოს პრეზიდენტი და მიჰყვებოდა აღფრთოვანებული შეძახი-  
ლები, მისალმებანი.

ძალიან ცდილობდა, ასე არ ყოფილიყო, მაგრამ ჩამოსართმე-  
ვად განვდილ ხელს უკოცნიდნენ, მხარზე ეფერებოდნენ, რო-  
გორც საკრალურ სიმბოლოს რამეს, რომლის სიახლოვე გადა-  
გარჩენს. ვიღაც ტიროდა, ვიღაც იცინოდა, ვიღაც იდგა, ბავშვი  
ჩაეხუტებინა და ორივე გარინდებული მისჩერებოდა სასწაულს.

ტაში ტალღასავით მიჰყვებოდა.

და, როცა ამ ტალღამ აპოგეას მიაღწია, როცა აღფრთოვანე-  
ბული შეძახილები, მადლობა და სიკეთის სურვილები არა და  
არ დაცხრა, დადგა ედუარდ შევარდნაძე საიდანღაც მოტანილ,  
თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდასთან, რომელიც ჭიქითა და  
წყლიანი გრაფინით გაეწყობოდა და ქართულად მიესალმა შეკრე-  
ბილთ.

მოისხიპა ყველა სხვა ხმა — ლაპარაკობდა საქართველოს  
პრეზიდენტი!

არც ერთი სიტყვა ძირს არ დაცემულა ან როგორ დაეცემო-  
და — ადგილი არ იყო ნემსის ჩასაგდება. გადაუთარგმნეთო,  
ვისაც ქართული გესმით. გვესმისო.

— მე მჯერა, რომ სულ ცოტა ხანში მშვიდობა დამყარდება  
და თქვენ საკუთარ სახლებს დაუბრუნდებით. მე მინდა, დაიხ-  
სომოთ, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, მხოლოდ სიკე-  
თეს თესავს. მადლობელი ვარ ამ შეხვედრისთვის. ბედნიერე-  
ბას, სიხარულს გისურვებთ ყველას. მხარდაჭერისთვის დიდი  
მადლობა.

და კვლავ — ტაში.

კვლავ — მოფერება.

კვლავ — შეძახილები.

და უცებ, თითქოს მინიდან ამოძვრა, პრეზიდენტის წინ დადგა ახალგაზრდა ქალი ტელეკამერით (მერე მეტყვის თინა ჯაბრაილოვა ვარო, ტელეჟურნალისტი):

— Я хочу, от имени 12 тысяч беженцев сказать Вам благодарность за то, что в самые тяжелые для нас дни приютили и оказали нам содействие, и столько людей спасли. Спасибо Вам от 12 тысяч беженцев.

გადმოგცემთ იმას, რასაც ამბობდა, ისე, როგორც ამბობდა.

ხმა ჩაუნყდა, ცრემლმა დააღრჩო, პროფესიული მოვალეობა გრძნობათა მოჭარბებამ გადაფარა, მადლობაო და მკერდზე ეამბოროა საქართველოს პრეზიდენტს ჩეჩენი ქალი, ჟურნალისტი:

— Вы вернетесь, я уверен, вернетесь. Установится мир и вы вернетесь, — ამშვიდებდა ედუარდ შევარდნაძე.

— С каким ответом я могу вернуться к своим беженцам? — ცრემლებს მოერია ბოლოს და ბოლოს, — Они в настоящее время страдают, боятся, якобы будут вести зачистки в Панкисском ущелье российские войска. Пожалуйста, ответте на этот вопрос.

„Пожалуйста“, — ისე უთხრა, როგორც ვედრება — დაგვიფარეო ამ საშინელებისგან.

საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა:

— Никакого насилия здесь не будет.

— Вы уверены?! — გაიოცა, გაუკვირდა და როგორც კი ჩანვდა პასუხის არსს, — Спасибо Вам огромное! — გაიხარა და კვლავ ეამბოროა მკერდზე. და აღარ ებრძოდა სიხარულის ცრემლებს.

— Вы наши гости.

— Мы всегда с вами!

ხომ გაიგონეს ეს სიტყვები, და ახლო მდგომთაგან ვილაც ხმელხმელა მამაკაცმა წამოიძახა:

— Большое Вам спасибо! Счастливой жизни Вам! Все мы благодарны Вам!

ლტოლვილია.

— კარგად ბრძანდებოდეთ, სულ კარგად, თქვენ გენაცვა-

ლეთ! — იძახის სხვა და ტაშს უკრავს.

ქისტია.

— გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას! — ეს კიდეც სხვა არის, ახალგაზრდა, სუფთად პირგაპარსული.

თეთრი მტრედები შემოავლეს თავზე და ცაში ატყორცნეს.

შეკრა კამარა ერთმა და მხარზე დააფრინდა.

— ვააა! — აღმოხდა ხალხს.

თეთრი მტრედივით მოირგო თეთრთმიანმა პრეზიდენტმა თეთრი ნაბადი, რომელიც უხუცესებმა მიართვეს.

სიხარულის სიცილი და შეძახილები, კვლავ და კვლავ, დაუსრულებლივ, სანამ ავტომანქანაში არ ჩაჯდა და მერეც, მთელი გზის გაყოლებაზე, სანამ სოფელი არ დასრულდა.

სოფელი კი დიდია.

შემიძლია ვთქვა: მე ეს ვნახე და აქამდე მსგავსი არაფერი მი-ნახავს.

— ადამიანებმა, რომლებსაც დღემდე შუბლი არ გაუხსნიათ, გაიღიმეს, გახალისდა ხალხი, გათბა. ეს მოხდა 4 თებერვალს, დღეს, რომელიც ერთ დღეზე მეტია!

ასეთი იყო პრეზიდენტის რეზიუმე, რომელიც მან შემდეგ არაოფიციალურ ვითარებაში გააკეთა:

— ჩვენ განვახორციელეთ ძალიან დიდი მიზანი, — თქვა მან, — მსოფლიო დაინახავს, რომ არც საქართველოში არიან კაციჭამიები, არც ჩეჩნები არიან კაციჭამიები. და ქისტებიც, რომლებიც, 130 წელიწადია, ჩვენთან ცხოვრობენ, მშრომელი, გულითადი და წესიერი ხალხია, შეუძლიათ სიყვარულის გამოხატვა, რაც მათ დღეს აბსოლუტურად გულწრფელად გააკეთეს, თითოეული ჩვენგანი მართლაც გულში ჩაიკრეს, როგორც პატრონები, როგორც იმ ერის წარმომადგენლები, რომელმაც 130 წლის წინათ შეიფარა ისინი.

ისტორია განმეორდა და ათასობით ადამიანი, ლტოლვილები — ქალი და კაცი, ბავშვები და მოხუცები შევიფარეთ და შევიკედლეთ. ისინი ამ დღეს არ დაივიწყებენ. არასოდეს დაივიწყებენ არც ისინი და არც მთელი კავკასია.

ჩვენ დავანახვეთ მათ და ყველა სხვას, მათ შორის, ლტოლვილებსაც, რომ გული გვტკივა მათი ძნელი ყოფის გამო.

იმ დღეს იქ მე ვერ ვნახე ადამიანი, რომელსაც თვალები სიხარულის ცრემლით არ ჰქონოდა სავესე...

\* \* \*

ჩვენს მკითხველებს, რა თქმა უნდა, ახსოვთ რუსეთის არმიის გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილის, გენერალ მანილოვის მონოღება — საქართველოს გზა გაეხსნა რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის პანკისის ხეობით რუსეთ-საქართველოს საზღვრისკენ გასვლისა და იქ დაბანაკებისთვის.

ედუარდ შევარდნაძემ კატეგორიული უარი განაცხადა — საქართველოს ტერიტორია ვერ გახდება სატრანზიტო საშუალება სხვა ხალხის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ოპერაციისთვის!

ვთქვათ, შემოსულიყვნენ.

მერე?..

მერე, მტრისას, იმის წარმოდგენა, რაც აქ დატრიალდებოდა — იქნებოდა უსიცოცხლო სივრცე, როგორიც აფხაზეთში არის ამჟამად და — უსასრულო კავკასიური ომი.

დღეს კი არშემდგარი საომარი თეატრის მიდამოებში — ხადორის ხეობაში საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის აგება დაიწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, საქართველოსთვის აშენებს.

ისეთი კონტრასტია, ბრმაც რომ დაინახავს.

ასეთია „კავკასიური ღირსების კოდექსის“ რეალური შედეგი, რომლის ავტორი პრეზიდენტი შევარდნაძეა, ასეთია ნაყოფი მართალი პოლიტიკის: „სიმართლის ნაყოფი მშვიდობით ეთესებათ მშვიდობისმყოფელთ“ (*მოციქული იაკობის წერილი, 3; 18*).

\* \* \*

**ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში, საქვეყნოდ ცნობილ პარკში ედუარდ შევარდნაძემ ძელქვის ნერგი დარგო.**


**ძელქვა, რომელიც ხუთ საუკუნეს ხარობს.**

**და ეს იყო ფინალი 2001 წლის 4 თებერვლის, დღისა, რომელიც ერთ დღეზე მეტია.**

**2001 წლის 6 თებერვალი**

# მხიკა ფოტოგრაფიანა





1999 წლის 18 ნოემბერი — ძ. სტამბოლში ეუთოს სამიტის ძარტიისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის პროექტების ხელმოწერის ცერემონიაზე: ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი, თურქეთის პრეზიდენტი სულაიმან დემირელი, სამართველოს პრეზიდენტი ელზარდ შეიხნოვ, თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი



1997 წლის ივლისი. ვაშინგტონი. თეთრი სახლი —  
საპარტიველოს პრეზიდენტი ედუარდ შივარდნაძე  
და აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი



2001 წლის 5 ოქტომბერი. ვაშინგტონი. თეთრი სახლი —  
საპარტიველოს პრეზიდენტი ედუარდ შივარდნაძე  
და აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში



2000 წლის 17 ივლისი, ლონდონი. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერმინისტრი ტონი ბლერი და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე



1999 წლის 21 აპრილი, ქ. ვიუსტონი, სანსტუმრო „უორვიკ პლაზა“ — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში



1997 წლის 3 თებერვალი.  
პარიზი. საფრანგეთის  
პრეზიდენტი ჟაკ შირაკი  
და საქართველოს  
პრეზიდენტი ედუარდ  
შევერდნაძე



იალტა. ლივადიის სასახლე.  
„დიდი სამეულის“ ისტორიული შეხვედრის მაგიდასთან



1999 წლის 13 ოქტომბერი. ბერლინი — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ქალბატონი ნანული შევარდნაძე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოჰანეს რაუ მეუღლითურთ



1999 წლის 13 ოქტომბერი. ბერლინი — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გერჰარდ შრიომდერი



1999 წლის 8 მარტი. იაკონია — საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და ქალბატონ ნანულის შეხვედრა იაკონიის იმპერატორ აკივიტოსთან და მის გეულესთან



2000 წლის 6 იანვარი — შეხვედრა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურთან — იასირ არაფატთან



1999 წლის 15 ოქტომბერი. ედუარდ შევარდნაძე, ნანული შევარდნაძე და ჰანს დიტრიხ ბენშეიერი



1999 წლის 27 აპრილი. ქ. სტრასბურგი — საქართველოს ევროსაბჭოში განწევრების ცერემონიაზე



1999 წლის 21 აპრილი. აშშ. ქ. ჰიუსტონი.  
აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯიმ ბაიკერი,  
მისი მეუღლე სიუზანი და ელზარდ შვეპარდნაძე



1997 წლის 14 მაისი. რომი — საღიღი იტალიის პრეზიდენტ  
ოსკარო ლუიჯი სკალფაროს სახელით საქართველოს  
პრეზიდენტ ელზარდ შვეპარდნაძის პატივსაცემად



2000 წლის 25 იანვარი. პირისპირ შეხვედრა კრემლში.  
ვლადიმერ პუტინი და ედუარდ შევარდნაძე



1997 წლის თებერვალი. ქ. ბაქო —  
ჰვიდარ ალიევი და ედუარდ შევარდნაძე




2001 წლის 23 ოქტომბერი. სომხეთში ოფიციალური ვიზიტის დროს. სომხეთის პრეზიდენტ როზარტ ქოჩარინთან ერთად



1997 წლის მაისი. ვატიკანი.  
შეხვედრა რომის პაპთან — იოანე-პავლე II-სთან



1997 წლის ივლისი.  
შახვედრა ესპანეთის მეფესთან — ხუან კარლოსთან



1996 წლის 18-19 მარტი. მოსკოვი — საქართველოს  
პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და რუსეთის  
ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი



1997 წლის სექტემბერი. ათონის ივერთა მონასტერში



1997 წლის 16 სექტემბერი. ათენი — საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ონასისის სახელობის საერთაშორისო პრემიის გადაცემის ცერემონიაზე



დსთ-ის წევრი ქვეყნების პრეზიდენტები მორიგ სამიტზე: ასახარ აბაევი (ყირგიზეთი), ელზარდ შივარდნაძე (საქართველო), პილარ ალიევი (აზერბაიჯანი), ვლადიმერ პუტინი (რუსეთი), ალექსანდრე ლუკაშენკო (ბელარუსი), რობერტ შოჩარიანი (სომხეთი)



2000 წლის 7 იანვარი. პეტლევი — საღვთსანაწულო მსახურების დროს საშობაო გაზილიკაში



ლიდერთა შორის

# სარჩევი

## 1996 წელი

|   |    |
|---|----|
| როცა გულითადად გხვდებიან და საქმიანად გმსახურებენ | 7  |
| ღაფყება დანაწყისისა                               | 20 |
| არც ისე უორია ლისაგონაღვი                         | 26 |

## 1997 წელი

|   |    |
|---|----|
| ქარაგანი მიღის, მიუხედავად...                                     | 43 |
| მართის თოვლზე დაცრილი თეთრი ფურცლები                              | 50 |
| ისტორია გმანაგლის, როცა ერთად ვართ, ვიმარჯვებთ                    | 55 |
| როგომ 18 საუკუნის უმეღვი  | 60 |
| თეთრი სახლი, 18 ივლისი, 18 საათი                                  | 68 |
| „ბედნიერი ვარ, რომ უზენაესის ნებით<br>ფეხი დავადგი ვმინდა მიწაზე“ | 73 |
| „შეგარდნაჲს ფენოვანი<br>დღესაც ყველასთვის არსებობს“               | 82 |

## 1998 წელი

|   |    |
|---|----|
| ახალი მსოფლიო მოწყობისკენ<br>ბადადგეული კიდევ ერთი ნაბიჯი | 91 |
|---|----|

## 1999 წელი

|  |     |
|--|-----|
| საპურა ამ გაზაფხულზეც აყვავდება        | 99  |
| ჩვენე ქართულიანი, თავისუფლების საუკუნე | 124 |
| ქართული უმეოღვოვის ოთხი დღე გერმანიაში | 142 |

## 2000 წელი

|  |     |
|--|-----|
| „განუგაღეთ გზა უფალს, მოასწორეთ მისი ბილიკები“ | 157 |
|--|-----|

|   |            |
|---|------------|
| <b>გიჟიტი, როგორც კალიან საქირო იყო<br/>ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი საქმისთვის<br/>და ჩვენი საფეხბურთო მომავლისთვის</b> | <b>167</b> |
| <b>ედუარდ შეგარდნაძე: ერთი აღამიანის საზრუნავი<br/>კაცობრიობის საზრუნავი ხდება</b>                                  | <b>175</b> |
| <b>2001 წელი</b>  |            |
| <b>„ერთი ნაბიჯი ოპტიმისტური პერსპექტივისკენ“</b>  | <b>193</b> |
| <b>„თქვენ პრაზიდიდენტ გუვის ოჯახის წევრი ხართ“...</b>   | <b>198</b> |
| <b>საქართველო-რუსეთის ურთიერთობა<br/>ახალ ფაზაში შედის</b>  | <b>209</b> |
| <b>2002 წელი</b>  |            |
| <b>ვანს დიტრის გენუერი:<br/>თქვენ წინაშე მსოფლიო ლეგენდა დგას</b>   | <b>219</b> |
| <b>2003 წელი</b>  |            |
| <b>„სომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის<br/>საქართველოს“</b>  | <b>227</b> |
| <b>დღე, როგორც ერთ დღეზე მეტია</b>  | <b>233</b> |
| <b>მცირე ფოტოგატიანი</b>  | <b>239</b> |